

This is a file in the Digital South Caucasus Collection (DSCC) project:

Author:

Title: IBERIA-COLCHIS Researches on the Archaeology and History of Georgia in the Classical and Early Medieval Period 15

The DSCC is part of the Ancient World Digital Library hosted by the Institute for the Study of the Ancient World Library.

The Georgian National Museum has granted permission to the Institute for the Study of the Ancient World of New York University to publish this material electronically in the Digital South Caucasus Collection (DSCC). We are making such material available on a noncommercial basis for research and educational purposes in an effort to expand access to thinly-held and/or out-of-print material related to the study of the ancient world. If you wish to use copyrighted material from this site for purposes beyond those in accordance with fair use (Title 17 U.S.C. Section 107), you must obtain permission from the Georgian National Museum. We respect the intellectual property rights of others. If you believe that you own the copyright to the material made available on this site, please see our takedown policy: <http://dcaa.hosting.nyu.edu/takedown-notice>



DIGITAL SOUTH CAUCASUS COLLECTION



NYU | ISAW




იბერია-კოლხეთი

საქართველოს კლასიკური და ადრემედიევური პერიოდის
არქეოლოგიურ-ისტორიული კვლევანი

IBERIA - COLCHIS

Researches on the Archaeology and History of Georgia
in the Classical and Early Medieval Period



№ 15

2019

საქართველოს ეროვნული მუზეუმის
ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიური კვლევის ინსტიტუტი
GEORGIAN NATIONAL MUSEUM
Otar Lordkipanidze Institute of Archaeological Studies



იბერია-კოლხეთი

საქართველოს კლასიკური და ადრემედიევური პერიოდის
არქეოლოგიურ-ისტორიული კვლევანი

IBERIA-COLCHIS

Researches on the Archaeology and History of Georgia
in the Classical and Early Medieval Period



15

თბილისი 2019 Tbilisi

მთ. რედაქტორი: გელა გამყრელიძე

სარედაქციო-სარეცენზიო საბჭო:

ზურაბ ბრაგვაძე, დევიდ ბრაუნდი, ნინო ლორთქიფანიძე,
დარეჯან კაჭარავა, მარინე კვაჭაძე, გურამ კვიციანი,
დავით მინდორაშვილი, გოდერძი ნარიმანიშვილი,
ვახტანგ შატბერაშვილი, მათა ჩარკვიანი

ტექნიკური უზრუნველყოფა: ირაკლი ხუციშვილი

Editor-in-Chief: Gela Gamkrelidze

Editorial & Reviewers Board:

Z. Bragvadze, D. Braund (UK), N. Lordkipanidze,
D. Kacharava, M. Kvatchadze, G. Kvirvelia, D. Mindorashvili,
M. Charkviani, G. Narimanishvili, V. Shatberashvili

Layout: Irakli Khutsishvili

See the web site:

<http://dspace.nplg.gov.ge/browse?type=author&value=Gamkrelidze%2C+Gela>
<http://ancientworldonline.blogspot.com/2014/09/open-access-journal-iberia-kolxeti.html>

სტატიებში წარმოდგენილი მოსაზრებები ეკუთვნით ავტორებს და შესაძლებელია არ ემთხვეოდეს ჟურნალის სარედაქციო-სარეცენზიო საბჭოს შეხედულებებს.

Address: Otar Lordkipanidze Institute of Archaeological Studies
3, Rustaveli Ave. Tbilisi, 0105, Georgia

© საქართველოს ეროვნული მუზეუმი. 2019

ISSN 1512-4207

UDC 94(479.22)+902. ი-315

- შინაარსი -

ნ. სულავა, არქეოლოგია საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე (კოლხური ბრინჯაოს კულტურის გამო) 5

გ. გამყრელიძე, სახელმწიფოებრიობის დასაბამი საქართველოში და არქეოლოგია..... 9

ზ. ბრაგვაძე, ზემო იმერეთის შუა საუკუნეების ციხეები - წარსულის რეპრეზენტაცია 40

ნ. მინდაძე, თ. ქანიშვილი, არქეოლოგიური არტეფაქტები და ეთნოგრაფიული რეალიები (ქირურგიული ინსტრუმენტების ისტორიისათვის საქართველოში)..... 45

ნ. ყიფიანი, სვეტებიანი კრატერი წითელფიგურული ნახატით 54

ქ. რამიშვილი, ცხენოსნის გამოსახულება გემაზე ჟინვალის სამაროვნიდან..... 58

დ. ახვლედიანი, მ. ჩარკვიანი, კოლხეთის ტერიტორიაზე გამოვლენილი ძვ.წ. V-ახ.წ. VI სს-ის განძები 86

ირ. სოზიაშვილი, ჟინვალის სამაროვანზე აღმოჩენილი შენობის ნაშთის დათარიღებისათვის 101

გ. გოგოჭური, ანტიკური ხანის მასალები მარნეულის მუნიციპალიტეტიდან..... 107

ა. ჭყონია, ოქროს ისრისპირისებური საკიდები..... 142

ან. როგავა, მცხეთის ჯვრის, გლდანი-ნორიოს და სამადლოს ნამოსახლარების წითლად მოხატული კერამიკის შედარებითი პეტროგრაფიული ანალიზი 151

რეცენზიები ახალ ნაშრომებზე 162

სსოპსა

გიორგი დუნდუა (1932-2019)..... 172

გურამ ლორთქიფანიძე (1938-2019)..... 174

ნენა (ელენე) გიგოლაშვილი (1941-2019)..... 176

PAPERS IN ENGLISH:

Giorgi Dundua †, *COLCHIAN TETRI (COLCHIAN COINS IN ANCIENT GEORGIA)*..... 178

Vakhtang Shatberashvili, *ABOUT ONE GROUP OF GILT GLASS JUGS* 192

Nicolas J. Preud'homme, *AURELIE AND DIVUS VERUS - NEW READING OF A GREEK INSCRIPTION FROM ARMAZI* 201

Summaries 215

Abbreviations 223

ინფორმაცია ავტორებისათვის 224

- CONTENTS -

N. Sulava, ARCHAEOLOGY ON THE OCUPIED TERRITORIES OF GEORGIA (About the Colchian Bronze Culture)	5
G. Gamkrelidze, THE BEGINING OF STATEHOOD IN GEORGIA AND ARCHAEOLOGY	9
Z. Bragvadze, MEDIEVAL FORTRESSES OF UPPER IMERETI - A REPRESENTATION OF THE PAST	40
N. Mindadze, T. Chanishvili, ARCHAEOLOGICAL ARTIFACTS AND ETHNOGRAPHICAL DATA (For the History of Surgical Instruments in Georgia)	45
N. Kipiani, THE COLUMN CRATER WITH RED FIGURE PAINTING	54
K. Ramishvili, THE DEPICTION OF HORSEMAN ON THE GEM FROM JHINVALI CEMETERY	58
D. Akhvlediani, M. Charkviani, THE HOARDS OF 5th BC – 6th AD ON THE TERRITORY OF COLCHIS (The Materials for the Archaeological Map of Colchis)	86
I. Soziashvili, FOR DATING OF THE BUILDING FROM JHINVALI	101
G. Gogochuri, ARCHAEOLOGICAL MATERIAL OF CLASSICAL PERIOD FROM MARNEULI MUNICIPALITY	107
A. Chkonia, GOLDEN SPEARHEADS PENDANTS	142
A. Rogava, COMPARATIVE PETORGRAPHIC ANALYSIS OF RED PAINTED WARE FROM THE SETTLEMENTS OF MTSKHETIS JVARI, GLDANI-NORIO AND SAMADLO	151

REVIEW

<i>Kulevi</i> (Archaeology, History). - R. Papuashvili, G. Chitaia, I. Papuashvili.	162
<i>Millennia Illuminated by the Sun - Jurkha Nadiradze</i> . E. Nadiradze.....	163
Materials for the Archaeological Map of Colchis, 5th-1st cent. BC (Settlements, Cemeteries). D. Akvlediani, M. Elashvili, G. Kirkitadze, S. Kharabadze, G. Asatiani.	165
The Principles of Field Researches of Archaeological Sites. - V. Sadradze, T. Khokhobashvili, M. Dzeladze, E. Gligvashvili.....	167
For the Archaeology of Zugdidi. - R. Papuashvili.	170

IN MEMORIAM

Giorgi Dundua (1932-2019)	172
Guram Lordkipanidze (1938-2019)	174
Nena (Elene) Gigolashvili (1941-2019)	176

PAPERS IN ENGLISH

Giorgi Dundua †, <i>COLCHIAN TETRI (COINS IN ANCIENT GEORGIA)</i>	178
Vakhtang Shatberashvili, <i>ABOUT ONE GROUP OF GILT GLASS JUGS</i>	192
Nicolas J. Preud'homme, <i>AURELIE AND DIVUS VERUS - NEW READING OF A GREEK INSCRIPTION FROM ARMAZI</i>	201
Summaries	215
Abbreviations	223

არქეოლოგია საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე (კოლხური ბრინჯაოს კულტურის ბაზო)

საქართველოს განუყოფელ ნაწილებს აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთს (resp. ცხინვალის რეგიონს) უძველესი დროიდან აერთიანებს — კოლხური ბრინჯაოს კულტურა ანუ ის არქეოლოგიური კულტურული კუთვნილება, რომელიც საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილს მოიცავს.

საქართველოში მე-20 საუკუნის განმავლობაში დიდი რაოდენობით აღმოჩენილმა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის არქეოლოგიური კულტურისათვის დამახასიათებელმა ძეგლების სრულმა კომპლექტმა (ნასახლარები, სამაროვნები, პრეისტორიული მეტალურგიის ძეგლები, ბრინჯაოს განძები) დაადასტურა, რომ კოლხური ბრინჯაოს კულტურის ფესვები საქართველოს, კოლხეთის ტერიტორიაზეა და შემოიხაზა კიდეც მისი არეალი (საკონტაქტო და ინფილტრაციის ზონებით - საქართველოს მიმდებარე თურქეთის ტერიტორია, აფხაზეთის მიმდებარე ჩრდ. ნაწილი და შიდა ქართლისა და ჩრდ. კავკასიის ნაწილი) [ლორთქიფანიძე 2001: 127-140. აფაქიძე 2002. Панцхава, Сулава, Папуашвили 2003. Sulava 2015. Sulava 2016].

კოლხური ბრინჯაოს კულტურის საკითხთან არის დაკავშირებული ე.წ. ყობანური კულტურა. მისი სახელდება ეპონიმური ხასიათისაა და უკავშირდება ოსეთის სოფ. ყობანში (ჩრდ. კავკასია) 1869 წელს გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამაროვნის აღმოჩენას, რომლის სამარხეული კომპლექსები იმისდა მიხედვით თუ რომელი ქვეყნის წარმომადგენელი აწარმოებდა არქეოლოგიურ გათხრებს, გაფანტულია სხვადასხვა ქვეყნის მუზეუმებში (საქართველო, რუსეთი, საფრანგეთი, გერმანია, ავსტრია, შვეიცარია). ე.წ. ყობანური კულტურის კულტურული კუთვნილების საკითხი ყოველთვის საკამათო იყო.

ერთი თვალსაზრისის მიხედვით ყობანის კულტურის ცენტრი კოლხეთშია (მ. ივაშჩენკო, ი. მემჩანინოვი, ა. იესენი, ალ. კალანდაძე), მეორეს მიხედვით – კოლხური და ყობანური კულტურა იდენტურია (ბ. კუფტინი, ი.

ვორონოვი, ჯ. აფაქიძე), მესამე თვალსაზრისის მიხედვით კოლხური და ყობანური ორი სხვადასხვა კულტურაა, მაგრამ ერთმანეთთან მჭიდრო ურთიერთობაში მყოფი (ოთ. ჯაფარიძე, ე. კრუპნოვი, დ. ქორიძე, ბ. ტეხოვი, თ. მიქელაძე, ლ. სახაროვა, ვ. კოზენკოვა).

ავტორთა კოლექტივი (ლ. ფანცხავა, ნ. სულავა, რ. პაპუაშვილი) ფიქრობდა, და ამას საგანგებო ნაშრომიც მიეძღვნა, რომ ჯერჯერობით უნდა შევჩერდეთ, ბ. კუფტინის მიხედვით ტერმინზე, კოლხურ-ყობანური ბრინჯაო [Панцхава, Сулава, Папуашвили 2003].

მაგრამ წლითი წლობით სულ უფრო ძლიერდებოდა, განსაკუთრებით რუსი არქეოლოგების მცდელობა, რომ ოსებისათვის ყობანის კულტურის საფუძველზე შეექმნათ ე.წ. „თვითმყოფადი ადგილობრივი კულტურა“, რომელსაც ბოლოს შიდა ქართლის კოლხური არქეოლოგიური ძეგლებიც (თლიას სამაროვანი) მიათვალეს და ჩრდილო ოსეთისა და ე. წ. სამხრ. ოსეთის ტერიტორიაზე არსებული არქეოლოგიური ძეგლები გააერთიანეს ჯერ „ყობან-თლის არქეოლოგიურ კულტურაში“, ბოლოს კი მთლიანად ყობანური კულტურის ძეგლებად გამოაცხადეს [იხ. Техов 1999. Техов 2002. История южных осетин 1990], რაც იმას ნიშნავს, რომ ყობანური კულტურა შიდა ქართლის ტერიტორიაზე ვრცელდება და მალე ალბათ დასავლეთ საქართველოსაც გადასწვდებიან და მიათვლიან ამ კულტურას.

ყოველივე ამას პირველ რიგში ემსახურება ვ. კოზენკოვას [იხ. Козенкова 1978. Козенкова 1982. Козенкова 1989. Козенкова 1996. Козенкова 1998] და ბ. ტეხოვის ნაშრომები. თუ შევადარებთ თლიას გამთხრელის არქეოლოგ ბ. ტეხოვის ადრეულ ნაშრომებს მის ბოლოდროინდელ ნაშრომებს, დავინახავთ, რომ მისი დამოკიდებულებები კოლხური კულტურის მიმართ რადიკალურად შეცვლილია. ასევე, აღსანიშნავია, რომ მისი გათხრილი თლიას სამაროვნის მთელი ის მასალა, რომელიც გაითხარა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დაფინანსებით

და მისივე არქეოლოგიური კომისიის მიერ გაცემული სანებართვო მოწმობით და მოპოვებული მასალა ინახებოდა ცხინვალში, მან გადაიტანა ვლადიკავკაზში ყოველგვარი ოფიციალური შეთანხმების გარეშე.

ანალოგიური დამოკიდებულებაა აფხაზი არქეოლოგების მხრიდანაც, რომლებსაც ასევე რუსი არქეოლოგები „უმაგრებენ“ ზურგს როგორც პუბლიკაციებით, ასევე არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალების „სამეცნიერო ინტერპრეტაციით“. სისტემატიურად ატარებენ სხვადასხვა სახის კონფერენციებს და შესაბამის კრებულებსაც ბეჭდავენ.

ამგვარად, როგორც ვხედავთ, კავკასიაში არსებული არქეოლოგიური კულტურებიც კი პოლიტიკური მანიპულაციების საგანი გახდა. ამასთანავე ეხლა მანაც კარგად ჩანს, რომ მზადება კარგა ხნით ადრე იყო დაწყებული.

ამ ტერიტორიებზე, აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ე.წ. „სახელმწიფოებში“, ორი მიმართულებით მიმდინარეობს ე.წ. „სამუშაოები“ - პუბლიკაციები და არქეოლოგიური სამუშაოები.

1. პუბლიკაციები. უნდა ავლნიშნოთ, რომ ჩვენთვის ხელმისაწვდომი სტატიებისა თუ მონოგრაფიების აქ დაწვრილებითი კრიტიკის საშუალება არ არის და აზრიც არა აქვს. ამას საგანგებო ნაშრომის ფორმატი და არაერთი მკვლევარის ჩართულობა დაჭირდება. ჩვენის აზრით, ეს ჩვენს სამეცნიერო პროდუქციაში უნდა აისახოს.

ე.წ. კონფლიქტურ ტერიტორიებზე, როგორც აფხაზეთში, ასევე ე.წ. სამხრეთ ოსეთში, დიდი მნიშვნელობა ენიჭება იდეოლოგიურ მუშაობას, სახელმწიფო იდეოლოგიას, რომლის მიზანია, რომ ახალ თაობას ისევე, როგორც საბჭოთა კავშირის დროს ასწავლიდნენ ისეთ ისტორიას, რომელიც შორს იყო სინამდვილისაგან, ასწავლონ ამ იდეოლოგიაზე დაფუძნებული და მორგებული ისტორია (მაგ. იხ.: - Презентация по истории Осетии).

რაც შეეხება, ისტორიულ და არქეოლოგიურ სამეცნიერო ნაშრომებს, „თეორიული“ კვლევები მიმართულია იქითკენ, რომ ამ ტერიტორიებს შეუქმნან საკუთარი, არაარგუმენტირებულად წარმოჩენილი წარსული და უამრავ ახალ გამოცემაში დააფიქსირონ ეს. თუ მიმოვიხილავთ იმ მცირე სამეცნიერო

ლიტერატურასაც კი, რაზეც ხელი მიგვიწვდება ინტერნეტის თუ სხვა საშუალებებით, ვნახავთ, რომ იქმნება ისეთი ნაშრომები, სადაც არაარგუმენტირებულად, სამეცნიერო ლიტერატურაში ადრე გამოთქმული დებულებების გაუკრიტიკებლად და საკუთარი დამოკიდებულების დასაბუთების გარეშე, უგულვებელყოფილია ეთნოგენეზის, არქეოლოგიური კულტურული კუთვნილებისა და თვით ტოპონიმის საკითხებიც კი [იხ.: История южных осетин 1990 - ჩიბიროვის რედაქციით]. ამგვარ მიდგომებს საკმაოდ დიდი ისტორია აქვს, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვით რუსი არქეოლოგების გარკვეულ ნაწილს. ოსეთის შემთხვევაში კვლავ დღის წესრიგშია ე.წ. „ყოფილი კულტურის“ საკითხი. ეს საკითხი ერთგვარად „ნიადაგის მომზადებას“ წარმოადგენდა „ორივე“ ოსეთის (რომელიც ყოველთვის ერთადერთი იყო და ჩრდ. კავკასიაში მდებარეობდა) გაერთიანებისათვის ერთი არქეოლოგიური კულტურის ქვეშ, რასაც სამხრეთ ოსეთიდან მხარს უჭერდა, როგორც ავლნიშნეთ, ცნობილი თლიას სამაროვნის გამთხრელი [Техов 1999].

ის რაც ადრე საკამათო საკითხი იყო და ხელალებით უგულვებელყოფა ვერ ხერხდებოდა, ეხლა სრულიად უაპელაციოდ არის უგულვებელყოფილი. მაგალითად, კავკასიის ისტორიაში ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორცაა ამ რეგიონის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კულტურის - კოლხური ბრინჯაოს კულტურის საკითხი. თუ ადრე ყოფილი კულტურა მხოლოდ ჩრდილოეთ კავკასიის კუთვნილება იყო, ეხლა საზღვარი უკვე სამხრეთით არის გადმოწეული და თლიას სამაროვნის, რომელიც შიდა ქართლის ტერიტორიაზეა, მასალაც მიკუთვნებულია და გაერთიანებულია ე. წ. ყობან-თლის კულტურაში [Техов 1999] და უფრო შორსაც არიან წასული - ყობანის კულტურის სამხრეთ არეალადაც მოიხსენიებენ.

ეს იყო მიზანმიმართული პოლიტიკის და იდეოლოგიის გარკვეული სფერო, რომელიც, როგორც ჩანს, გაცილებით უკეთ მუშაობს ადამიანების ფსიქიკაზე, ვიდრე თუნდაც სოციალური და ეკონომიკური საკითხები. ამ მხრივ, განსაკუთრებით დიდია რუსი მეცნიერის ვ. კოზენკოვას დამსახურება [Козенкова 1978, 1982, 1989, 1996, 1998].

რაც შეეხება აფხაზეთის „სამეცნიერო

პროდუქციას“ არქეოლოგიის საკითხებში, აქაც სრული თვითნებობა და არეულობაა. ვერ ხდება ერთი ხელის მოსმით იმის უარყოფა, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე ვრცელდება კოლხური კულტურა, და აფხაზები (აფხაზების ეთნოგენეზის საკითხი ცალკე დიდი თემაა, რომელიც ჩვენს კომპენტენციას ცილდება), კოლხური კულტურის მემკვიდრეები არიან, მაგრამ არის „მცდელობები“ ამ არქეოლოგიური კულტურის „დაკნინების“ და სხვადასხვა მცირე ლოკალურ კულტურებად გამოცხადების, რაც გაკეთებული აქვს ა. სკაკოვის [იხ.: ინტერნეტში ა. სკაკოვის ნაშრომები]. იგი აფხაზეთის ტერიტორიაზე იგივე როლს ანუ დავალებებს ასრულებს, რა როლსაც ასრულებდა თავის დროზე არქეოლოგი ი. ვორონოვი. ამაზე მეტყველებს ალ. სკაკოვის ე. ნ. პოლიტოლოგიური ხასიათის ნაშრომები, რომლებიც ძირითადად ქვეყნდება კრებულში - „Международная аналитика“. აგრეთვე, იხ.: კრებულის - Абхазская международная археологическая конференция - მასალები).

ჩვენთან ასეთივე ინტენსიურობით არ იბეჭდება სათანადო სამეცნიერო ლიტერატურა არქეოლოგიასა თუ ისტორიაში, ამიტომ გამოდის რომ მათი ე. ნ. „თეორიული ნიაღვრები“ უძველეს ისტორიაზე, რომელსაც საერთო არქეოლოგიური კულტურა აერთიანებს, ჩვენი მხრიდან უპასუხოდ რჩება. იმ იშვიათ შემთხვევაში, როცა ჩვენს მკვლევარებს საშუალება აქვთ თავიანთი ნაშრომის პუბლიკაციისა საზღვარგარეთ, ამგვარი ნაშრომების უგულვებლყოფა ან უსაფუძვლო კრიტიკა ხდება [იხ.: Сулава 2012].

2. არქეოლოგიური სამუშაოები.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე აწარმოებენ არქეოლოგიურ გათხრებს საქართველოს კანონმდებლობის (იხ.: საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის დებულება¹) გაუთვალისწინებლად, რაც შეიძლება „შავ არქეოლოგიად“ იქნეს განხილული; მაგალითად, ის არქეოლოგიური გათხრები, რაც უკვე 90-იანი წლების მერე ტარდებოდა ე. ნ. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ტერიტორიაზე. ამ ტერიტორიებზე წარმოებული არქეოლოგიური ექსპედიციების მუშაობაზე საჭიროა რეაგირება.

რა შეიძლება ყველაფერ ამას სამეცნიერო თვალსაზრისით დავუპირისპიროთ? უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ ყველა ქართველ არქეოლოგს, ვინც კოლხური კულტურის პრობლემატიკით იყო დაკავებული, შეხება უხდებოდა აღნიშნულ საკითხებთან (ა. კალანდაძე, ბ. კუფტინი, დ. ქორიძე, ო. ჯაფარიძე, თ. მიქელაძე, ლ. სახაროვა, ლ. ჯობლაძე, ნ. სულავა, ჯ. აფაქიძე, რ. პაპუაშვილი, გ. ბედიანაშვილი).

მაგრამ საგანგებოდ არის აღსანიშნავი და გასათვალისწინებელი ოთ. ლორთქიფანიძის ბოლო ნაშრომი [ლორთქიფანიძე 2001], სადაც იგი ლაპარაკობს რა ბრინჯაოს „განძების“, როგორც ეთნიკურობის ელემენტის მატარებელი ფენომენის შესახებ, რამდენიმე უაღრესად საინტერესო მოსაზრება აქვს წამოყენებული. კერძოდ ის, რომ კოლხურ-ყობანური კულტურების ურთიერთობის პრობლემების კვლევისას ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, რომ „... ე. ნ. ყობანური კულტურის არეალში აღმოჩენილ ყველა „განძში“² მეტნაკლები რაოდენობით, მაგრამ მაინც დასტურდება კოლხური ბრინჯაოს კულტურის ელემენტები“. და თუ „განძები“ მართლაც კოლხური ბრინჯაოს კულტურის ეთნიკური ნიშანია, მაშინ მათი აღმოჩენა კოლხური ბრინჯაოს სხვა ელემენტებთან ერთად ... შესაძლოა კოლხთა ეთნიკური ინფილტრაციისა და მათი კულტურული მიღწევების დიფუზიის მაჩვენებელია მეზობელ რეგიონებში“. მას მიაჩნდა, რომ - „განძების“, როგორც „კოლხური“ ფენომენის კვლევამ, შესაძლოა პასუხი გასცეს ოსი ლინგვისტიკის ვასილ აბაევის მიერ დადასტურებულ ფაქტებს - ზანიზმები თანამედროვე ოსურ ენაში“ [ლორთქიფანიძე 2001].

კოლხური ბრინჯაოს კულტურა თავისი მრავალფეროვნებითა და სიმდიდრით უამრავ პერსპექტივას შლის შემდგომი მუშაობისათვის, სადაც კვლავ და კვლავ უპირველეს ყოვლისა, მასალის წარმოჩენაზე უნდა იყოს აქცენტი გაკეთებული, რადგან სწორედ არქეოლოგიურმა არტეფაქტებმა, მათმა კონცენტრაციამ და ქრონოლოგიამ უნდა თქვას თავისი სიტყვა, რაც შემდეგნაირად გვესახება:

1 იხ.: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1363307>.

2 ჩემის მხრიდან დავუმატებდი, რომ ჩრდ. კავკასიაში ბრინჯაოს განძების აღმოჩენის სულ 9 ფაქტია ცნობილი.

• არქეოლოგიური ატლასის ტიპის ნაშრომები არტიფაქტებზე, სამაროვნებზე, ნასახლარებზე, განძებზე, არქეომეტალოურგიის ძეგლებზე;

• კოლხური ბრინჯაოს დროებითი გამოფენები (სხვადასხვა კონცეფციით), როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ; თავისი ალბომებითა და კატალოგებით;

• საქართველოს ეროვნული მუზეუმის ყობანის კოლექციისა და კოლხური ბრინჯაოს დროებითი გამოფენა; შესაძლებელია სხვადასხვა ქვეყნის მუზეუმების „ყობანის კოლექციებისა“ და კოლხური ბრინჯაოს გამოფენა;

• კოლხური ბრინჯაოს „ფუნდამენტური“ ალბომი;

• კოლხური ბრინჯაოს განძების გამოფენა და ალბომი;

• ცალკეული ძეგლებისა თუ თეორიული კვლევების ინტენსიური პუბლიკაციები (რომლებიც აუცილებლად უნდა გავიდეს საზღვარგარეთ);

• სხვადასხვა კონცეფციის სამეცნიერო შეხვედრები და სესიები, რეგიონული და საერთაშორისო კონფერენციები.

ყველაფერი ეს შექმნის დამაჯერებელ ნიადაგს იმისი დემონსტრირებისათვის, რომ კოლხური ბრინჯაოს კულტურის ფესვები საქართველოს, კოლხეთის ტერიტორიაზეა, ხოლო მისი არეალი (საკონტაქტო და ინფილტრაციის ზონებით) მოიცავს საქართველოს მიმდებარე თურქეთის ტერიტორიას, აფხაზეთს მიმდებარე ჩრდ. ნაწილით და შიდა ქართლისა და ჩრდ. კავკასიის ნაწილს.

ამგვარად, სამუშაოები უნდა გაგრძელდეს კვლავ სამი ძირითადი მიმართულებით – თეორიული კვლევები, კოლხური ბრინჯაოს დემონსტრირება (ექსპოზიციები, ალბომები), რეგიონული და საერთაშორისო კონფერენციები.

ეს მოსაზრებები, რომლებიც ბევრად ადრე მქონდა ჩამოყალიბებული კონცეფციის სახით, დაიბეჭდა ოთ. ლორთქიფანიძისადმი მიძღვნილ საიუბილეო კრებულში 2010 წელს [სულავა ნ. 2010]. მაგრამ კვლავ იმ ფაქტის წინაშე ვდგევართ, რომ, ოთ. ლორთქიფანიძის სიტყვებს თუ გავიმეორებთ ვ. კოზენკოვას ერთ-ერთი ნაშრომის გამო - „სამნუხაროდ, ჩვენმა ბრინჯაოს ხანის სპეციალისტებმა ჯერ კიდევ არ გასცეს ჯეროვანი პასუხი ამ უაღრესი ტენდენციურობისა და არქე-

ოლოგიური ფაქტების უხეში დამახინჯებით გამორჩეულ ნაშრომს“ [იხ. ლორთქიფანიძე 2001].

ლიტერატურა:

აფაქიძე 2002: აფაქიძე ჯ. გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის კოლხური კულტურის ქრონოლოგია, ისტ. მეცნ. დოქ. ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი. თბილისი.

ლორთქიფანიძე 2001: ლორთქიფანიძე ოთ. „განძები“ კოლხური ბრინჯაოს კულტურაში. ურ. ძიებანი, დამატებანი, VI.

სულავა 2010: სულავა ნ. კოლხურ-ყობანური ბრინჯაო: სტრატეგია, შედეგები და პერსპექტივები. საერთაშორისო კონფერენცია - „საქართველოს არქეოლოგია საუკუნეთა მიჯნაზე: შედეგები და პერსპექტივები“ (მოსხენებათა თეზისები). თბ.

История южных осетин (под ред. Л. Чибирова). Т. 2. 1990.

Козенкова 1978: Козенкова В. О южной границе восточной группы кобанской культуры, САИ, № 3.

Козенкова 1982: Козенкова В. Типология и хронологическая классификация предметов кобанской культуры (Восточный вариант), САИ, вып. В2-5. М.

Козенкова 1989: Козенкова В. Кобанская культура Кавказа, Археология СССР, Степи европейской части СССР в скифо-сарматское время. М.

Козенкова 1996: Козенкова В. Культурно-исторические процессы на Северном Кавказе в эпоху поздней бронзы и в раннем железном веке. М.

Козенкова 1998: Козенкова В. Материальная основа быта кобанских племен (Западный вариант), САИ, вып. В2-5. М.

Панцхава, Сулава, Папуашвили 2003: Панцхава Л., Сулава Н., Папуашвили Р. Колхидская, кобанская или колхидско-кобанская? Кавказоведение, № 4, М.

Сулава 2012: Сулава Н. В поисках медей, комментарии. 34-RAE-2.

Техов 1999: Техов Б. Кобано-тлийская археологическая культура, ДА . - № 3-4 .

Техов 2002: Техов Б. Тайны древних погребений, Владикавказ, 2002.

Sulava 2015: Sulava N. On the spread of representations of „fantastic“ animals on bronze items (Ancient Colchis and Europe: Research Perspective). The symposium - „Archaeological Heritage – its Role in Education, Presentation and Popularisation of Science“. Belgrad.

Sulava 2016: Sulava N. Gravierte „fantastische“ Tierbilder auf der kolchischen Axt. „Megalithic Monuments and Cult Practices (SOUTH WEST UNIVERSITY NEOFIT RILSKI RESEARCH CENTER FOR ANCIENT EUROPEAN AND EAST-ERN MEDITERRANEAN CULTURES SECOND INTERNATIONAL SYMPOSIUM). Blagoevgrad, Bolgaria.

სახელმწიფოებრიობის დასაბამი საქართველოში და არქეოლოგია

დღევანდელი საქართველოს მიწანყალზე საუკუნეების განმავლობაში მიმდინარეობდა ისტორიულ-კულტურული განვითარების ხანგრძლივი და თავისებური პროცესი. ვფიქრობ, პროტოსახელმწიფოებრიობა ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში საქართველოს ტერიტორიის დასავლეთ მხარეს ჩაისახა და შემდეგ აღმოსავლეთი მხარეც მოიცვა. ძვ.წ. III ს-დან კი საპირისპიროდ, კოლხეთის ნაწილი გაძლიერებული და კონსოლიდირებული იბერიის სამეფოს ფარგლებში მოექცა.

პოლიტოგენეზი, პროტოსახელმწიფოების წარმოქმნა-განვითარების კვლევა ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი საკითხია. ძველი საქართველოს პოლიტოგენეზთან დაკავშირებული საკითხების განხილვას არაერთი მეცნიერი შეეხო [იხ. კაკაბაძე 1924: 25-31; ჯანაშია 1952:19-20; სულგულაძე 1951; მელიქიშვილი 1955; მუსხელიშვილი 1977: 32-62; ჯაფარიძე 2012: 248-284; ლორთქიფანიძე 2002: 124-183; ინაძე 2009: 31-50; ყორანაშვილი 2000; მამულია 1979; ქავთარაძე 2006; ფიცხელაური 2013: 305-318; გამყრელიძე 1993; ქართული სახელმწიფოებრიობის სათავეებთან 2001 და იქ დასახელებული ლიტ.].

ახალმა არქეოლოგიურმა გათხრებმა გაზარდა ძველი საქართველოს სახელმწიფოებრიობის ისტორიის შესწავლის თვალსაწიერი. ისტორიოგრაფიაში აღიარებულია, რომ ძველ საქართველოში სახელმწიფოს შექმნას საფუძველი შეუმზადა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ეპოქის მეტალურგიის და მიწათმოქმედება-მესაქონლეობის განვითარებამ, რამაც აქაური სოციუმის გარკვეული დიფერენცირება გამოიწვია [იხ. ჯაფარიძე 2012: 248-284; მელიქიშვილი 1970; გობეჯიშვილი 1970: 243-311; გობეჯიშვილი 2014; Куфтин 1949; Куфтин 1950; ფიცხელაური 2013; მიქელაძე 1974; სადრაძე და სხვ. 2018 და იქ დასახ. ლიტ.].

ძვ.წ. VII ს-თვის კოლხეთში უკვე ჩამოყალიბებულია სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი, რომელსაც ე.წ. ჩიფდომს უწოდებენ [იხ. Service 1975: 81-90; Васильев 1981: 157-175]. არქეოლოგიაში ეს წარმონაქმნი „კოლხ-

ური ბრინჯაოს კულტურის“ (resp. არქაული კოლხეთი – ძვ.წ. XV- VI სს.) სახელით არის ცნობილი. ის წარმოჩინდება გრავირებული ცულებით, მრავალფეროვანი სახის და გაფორმების კერამიკით; სპეციფიური სამკაულით და სხვ. [შეად. იხ. ჯაფარიძე 1950: 35-89; ქორიძე 1965; ლორთქიფანიძე 2002: 138-153; რამიშვილი 1974; რამიშვილი 2003: 41-48; აფაქიძე ჯ. 2002; Панцхава, Сулава, Папуашვილი 2003: 102-117; Техов 1985; Козенкова 1989 და მათში მითითებული ლიტ.]. ამგვარი არქეოლოგიური კულტურა ძვ.წ. XV-VII სს-ში ჩანს და ვრცელდება დასავლეთ და ცენტრალურ ტრანსკავკასიაში, შავი ზღვის სამხრეთით მდ. ყიზილ-ირმაქამდე (ჰალისი), მდ. მტკვრის ზემო და შუა აუზში, მდ. ჭოროხის აუზში. მისი ე.წ. ყობანური ნაირსახეობა ვრცელდება აგრეთვე ჩრდილოეთ კავკასიაში. ამ „კოლხური ბრინჯაოს კულტურის“ მატარებელი საზოგადოება, რომელიც სახლობდა დღევანდელი საქართველოს დასავლეთ და ცენტრალურ ნაწილში, მეორე ეტაპზე, პროტოსახელმწიფოებრივი განვითარების დონეზე უნდა ყოფილიყო [ამ ეტაპის ქრონოლოგიის შესახებ იხ. გამყრელიძე 1985ა: 123-129].

ძველი სამყაროს ყველაზე მძლავრმა ლითონმა — რკინამ, კაცობრიობის ცივილიზაციის წინსვლა დააჩქარა. ძვ.წ. IX ს-დან საქართველოში თანდათანობით რკინის მეტალურგია იწყება. რკინის ჩასახვა-წარმოებას თან ახლდა იმ დროინდელი ადგილობრივი საზოგადოების სწრაფი სოციალურ-ეკონომიკური დანინაურება. კავკასიაში რკინის ინტენსიური დამუშავება-წარმოების განვითარებისათვის კარგი პირობები არსებობდა. კერძოდ, აქ იყო რკინის მადნით მდიდარი რეგიონები; საწვავისათვის ხე-ტყე და რაც მთავარია ბრინჯაოს ლითონის წარმოების მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება [იხ. ინანიშვილი 2018; Деген-Ковалевский 1935: 242; Хахуთაიშვილი 1987]. შემდგომ, რკინაფოლადის მაღალხარისხიანმა იარაღის წარმოებამ გამოდევნა შედარებით რბილი ლითონი — სპილენძ-ბრინჯაო. პირველ ეტაპზე რკინის სამეურნეო და საომარი იარაღები

იმეორებენ ბრინჯაოს ნივთების ფორმა-სახეობებს და იგივე, ბრინჯაოს ქურებში მზადდებობდნენ.

საქართველოს ტერიტორიაზე მრავლადაა აღმოჩენილი და ნაწილობრივ გათხრილ-გამოკვლეულია ადრერკინის პერიოდის არქეოლოგიური ძეგლები — სამოსახლოები, სამაროვნები, მეტალურგიული და კერამიკული წარმოების ნაშთები. ძველი ბერძნული წერილობითი წყაროები ქართველურ მოსახლეობას — ხალიბებს, რომლებიც სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ცხოვრობდნენ, რკინა-ფოლადის გამომგონებლად აღიარებდნენ [იხ. კვიციანი 1976]. საქართველოში არქეოლოგიური გათხრებისას გამოვლენილი რკინის იარაღის შესწავლის საფუძველზე გაირკვა, რომ ადგილობრივმა ხელოსნებმა მადნის ქურაში დნობა, ყალიბში ჩამოსხმა, ცხლად ჭედვა, წრთობა და სხვა რთული ტექნოლოგიური მეთოდები იცოდნენ. ძვ.წ. VIII ს-დან რკინის წარმოება საქართველოში უფრო ინტენსიური ხდება. რკინის სადნობი ქურებია მიკვლეული მთიან რეგიონებში და ზღვისპირეთში. კოლხეთში რკინის სასოფლო-სამეურნეო და საომარი იარაღების საოცარი სიმრავლეა დადასტურებული. კერძოდ, აღმოჩენილია რკინის მახვილები, ცულები, ისრისა და შუბის პირები, სახნისები, თოხები, ნამგლები, დანები და სხვ. [იხ. Микеладзе 1990].

ძვ.წ. VII ს-დან კავკასიაში რკინა-ფოლადის საყოველთაო გავრცელების პერიოდი იწყება, რაც საზოგადოების განვითარების ტექნიკური პროგრესის მყარ ბაზას ქმნიდა. ეს კი წინაპირობა იყო სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების სამეურნეო-სოციალური და სამხედრო-პოლიტიკური პროგრესის. ამ დროისათვის სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის ტერიტორიაზე ურარტული წერილობითი წყაროები ახსენებენ კოლხეთს. კერძოდ, ურარტუს მეფე სარდურ II-ის ძვ.წ. 750 წ-ის წარწერაში: „გავემართე მე კოულხას ქვეყნის წინააღმდეგ, ქალაქი ილდამუსი, სამეფო ქალაქი... გამაგრებული, ... რკინის ბეჭედი მოვამზადე, ... ციხესიმაგრეები, ქალაქები დავწვი,...“ [იხ. Меликишвили 1960: 304]. ეს წარწერა იმის მოწმობაა, რომ კოლხეთი გარკვეული ადმინისტრაციული სისტემის მქონე პროტოსახელმწიფოს წარმოადგენდა [იხ. მელიქიშვილი 1965:68-92]. იმდროინდე-

ლი კოლხეთი დღევანდელი საქართველოს დასავლეთი და აღმოსავლეთი მხარის დიდ ნაწილსაც მოიცავდა.

არქეოლოგიური მონაცემები მოწმობს, რომ ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისისათვის კოლხეთი საკმაოდ კარგად იყო განსახლებული სამოსახლო ბორცვებით. საცხოვრებლად და სამეურნეო საქმიანობისათვის ათვისებული იყო დაბლობი და მთისწინა ბორცვ-გორაკები. სადღეისოდ, 300-მდე ნამოსახლარია აღნუსხული. სამოსახლო ბორცვების განსაკუთრებული სიმრავლე მდ. რიონის ქვემო წელზე შეინიშნება. აქ სამოსახლოები ძირითადად ხელოვნურად მოზვინულ ბორცვებზეა განლაგებული. ბორცვების არქეოლოგიური გათხრების შედეგად ხელოვნურად მოზვინურ გორაკზე აგებული ხის ძელებიანი ნაგებობები დასტურდება, რომლებიც შემოზღუდული იყო ძელებითვე ნაშენი დამცავი კედლებით. ნამოსახლარების გარშემო გათხრილი იყო სადრენაჟე და თავდაცვითი არხები. სამოსახლო ბორცვები უმეტესად ჯგუფურად არის განლაგებული. ამ ჯგუფებში გამოირჩევა შედარებით დიდი ზომის სამოსახლო ბორცვები, რომლებიც უფრო ფართო ორმაგი თხრილებითაა გამაგრებული. ეს სამოსახლო გამაგრებული ბორცვი სხვებზეა გაბატონებული. მთავარი ბორცვების დიამეტრი 80 — 150 მ-მდე მერყეობს; ხოლო დაქვემდებარებული მცირე ბორცვების დიამეტრი დაახლოებით 30 — 80 მ-მდეა; სიმაღლე — 3 - 7 მ-მდეა. ბუნებრივია, რომ ასეთი სიდიდის ხელოვნური მიწაზვინულების შექმნა, ასეთი სადრენაჟე, თავდაცვითი და საკომუნიკაციო არხების გაჭრა შესაბამისი შრომის იარაღებისა და მრავალრიცხოვან ადამიანთა კარგად ორგანიზებული შრომის გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა. აგრეთვე ბუნებრივია, რომ ამ სამუშაოებს ხელმძღვანელობდნენ ცოდნა-გამოცდილების მქონე გამორჩეული პიროვნებები. სწორედ ეს ლიდერები ანხორციელებდნენ ამ ბორცვზე განლაგებული გამაგრებული სასოფლო დასახლებების დაცვას. ამრიგად, თავდაცვითი და საცხოვრებელი პრობლემების ერთობლივი ძალისხმევით გადაწყვეტის პირობებში ხდებოდა გარკვეული პოლიტიკური კონსოლიდაცია, რაც შემდეგ ერთგვაროვანი კულტურის გავრცელებაში აისახებოდა. სამუშაოების მასშტაბების და

თავდაცვითი მზადყოფნის ზრდასთან ერთად იზრდება ლიდერების როლი საზოგადოებაში. ამავდროულად, ჩნდება ერთიანი წინამძღოლი, რომელსაც დანარჩენი ლიდერები ემორჩილებიან. ამგვარ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სტრუქტურას, რომელიც წინასახელმწიფოებრივიდან სახელმწიფოზე გარდამავალ ეტაპს წარმოადგენს, პროტოსახელმწიფოებრივ საზოგადოებრივ წყობას უწოდებენ. ზემოთ ნახსენებმა გარემოებებმა და ძვ.წ. VII ს-დან ბრინჯაოს უფრო მტკიცე ლითონით, რკინით, ჩანაცვლებამ ძვ.წ. V - IV სს-ში ხელი შეუწყო ძლიერი პოლიტიკური ერთეულის კოლხეთის სახელმწიფოს განვითარებას, რომელიც წერილობით წყაროებში „ოქრომრავალი კოლხეთის“ სახელითაა ცნობილი [იხ. Lordkipanidze 2001: 2-37].

სახელმწიფოს წარმოშობის ერთ-ერთი ვერსიის მიხედვით, რომელიც ისტორიკოს-სოციოლოგმა კარლ ვითფოგელმა შეიმუშავა (ე.წ. ჰიდრაულიკური; ირიგაციული; hydraulic state) სახელმწიფოს წარმოშობის მიზეზი გახლდათ ის, რომ მდინარეების ნოყიერ ნაპირებზე დაიწყო ინტენსიური მიწათმოქმედება, რამაც ხელი შეუწყო სახელმწიფოებრიობის წარმოქმნას. შესაძლოა, ზოგადად ასეთივე მდგომარეობა ცენტრალურ კოლხეთში, მდ. რიონის აუზშიც შეიქმნა. აქ ნამოსახლარების გარშემო კეთდებოდა მოზრდილი თხრილები (≈ 40 მ სიგანისა და ≈ 4 მ სიღრმის), რომლის გათხრაც და შემდეგ ბორცვის მოზინვა დიდ კოლექტიურ ძალისხმევას მოითხოვდა. „ჰიდრაულიკური თეორიის“ მიხედვით მდინარეების რესურსების დამოუკიდებლად გამოყენება დაქსაქსულ ჯგუფებს არ შეეძლოთ. საჭირო იყო მოსახლეობის მობილიზება და კონსოლიდაცია. ამისათვის კი, მათ სამართავად საჭირო შეიქმნა სახელმწიფოებრიობის — ე.წ. მარეგულირებლის გაჩენა. ამ თეორიაში ბიოგეოგარემოს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა [იხ. Wittfogel 1957; შეადარე — გამყრელიძე 1993: 3-45].

სპეციალურ ლიტერატურაში გამოყოფენ რიგ ფაქტორებს [იხ. Поздняков 1995: 23-89; Еллинек 1903: 33-41; ენგელსი 1953], რომლებიც თავს იჩენენ სახელმწიფოებრიობის ჩასახვისას — წარმოების პროგრესი და შედეგად პროდუქტის ზედმეტობა, მოსახლეობის სწრაფი დემოგრაფიული ზრდა, თავდასხმის, ომის საფრთხე; მეზობელი ქვეყნებიდან

მომდინარე აგრესია, მეზობელი სახელმწიფოების კულტურის გავლენა; გამორჩეული პიროვნების, ორგანიზატორის, წინამძღოლის აღზევება და სხვ. [იხ. Claessen, Skalnik 1978: 5-26]. ტრანსკავკასიის გეოგრაფიული მდებარეობა, ე.წ. ვიწრო ყელი, განაპირობებდა მომხდურებისაგან პერმანენტულ საფრთხეს. ამიტომ აქაური მაცხოვრებლები მუდმივ საომარ მზადყოფნაში უნდა ყოფილიყვნენ. ყურადსაღებია R. L. Carneiro-ს თეორიის მოდიფიკაცია, რომლის თანახმადაც, მოსალოდნელი ომის საფრთხის არსებობაც კი იძლევა სოციალურ-პოლიტიკური ევოლუციური ცვლილებისათვის ნოყიერ გარემოს; ასეთი საფრთხე ქმნიდა უფრო სტაბილური მმართველობის გაჩენის პირობას და ძლიერ ლიდერს (chief) [იხ. ქავთარაძე 2006: 6-14; Carneiro 1970 და იქ დასახელებული ლიტ.]. სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით მეზობელი ქვეყნები ერთმანეთზე ზოგჯერ სასიკეთო, ხოლო ზოგჯერ უარყოფით გავლენას ახდენენ. ძველი საქართველო ძლიერი მეზობელი ქვეყნებისაგან ხშირ აგრესიას განიცდიდა. ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში ურარტუს სახელმწიფოს აგრესიულმა მეზობლობამ ძველი საქართველოს (იმ დროინდელი კოლხეთის) ტერიტორიაზე მომხდურთან დასაპირისპირებლად საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების მეტი თავდაცვითი ორგანიზება და შეკვრა-კონსოლიდაცია გამოიწვია.

საზოგადოების ისტორიული განვითარების პროცესში ბიოგეოგარემოზეა (resp. გეოგრაფიული გარემოზე) დამოკიდებული სოციოგარემოს, სახელმწიფოს განვითარების მდგომარეობა. სოციოგარემოს წარმოქმნა მისი ბიოგეოგარემოსთან ურთიერთზემოქმედების ევოლუციით იწყება, სხვადასხვა საფეხურზე მყოფ სოციუმებს შორის ინოვაციური ზემოქმედებები იწვევს საზოგადოებათა გარკვეულ პროგრესს. დაწინაურებული ცივილიზაციების ცენტრებიდან ხდება კულტურის (სამეურნეო-საწარმოო, ინტელექტუალურ-ტექნიკური, სულიერ-კულტურული) დიფუზია (მაგ.: მესოპოტამია-მცირე აზიიდან კავკასიისაკენ). ჰიპოკრატე (იხ. „ჰაერთა, წყალთა და ადგილთა შესახებ“ 12,16, 24) პირველი იყო, რომელმაც ბიოგეოგარემო, კერძოდ, კლიმატი მიიჩნია ადამიანების, ხალხების ფიზიონომიური და ფსიქიკური წყობის

განმსაზღვრელ ფაქტორად. არისტოტელემ თხზულება — *პოლიტიკაში* — კლიმატის და ლანდშაფტის ზეგავლენა საზოგადოების მმართველობის ფორმებს დაუკავშირა. იგი აღნიშნავდა — დაბლობი ქვეყნებისათვის დამახასიათებელია მონარქია, ხოლო მთაგორიანისათვის — დემოკრატია. იბნ-ქალდუნმა [იხ. Muhsin Mahd 1957] ქვეყნიერება კლიმატური პირობების მიხედვით შვიდ სარტყლად დაყო. იგი ბიოგეოგარემოდან ასახელებს ნიადაგს, მადნეულს, ფაუნას, ფლორას. შარლ ლუი მონტესკიეს მიხედვით, ადამიანის და ბიოგეოგარემოს ურთიერთზემოქმედებაში მთავარია კლიმატი, რომელიც ძირითადად განსაზღვრავს პოლიტიკური მმართველობის ფორმებს. დიდი მნიშვნელობა ენიჭება გარკვეულ ტერიტორიულ სივრცეს და მდებარეობას, რასაც უკავშირდება სახელმწიფო წყობილების ტიპები. ჰენრი თომას ბოკლის — *ისტორია ცივილიზაციისა ინგლისში* [იხ. Бокль 1906] აზრით, ისტორია ისევე ვითარდება, როგორც ბიოგეოგარემო; საზოგადოებაზე გავლენას ახდენს — კლიმატი, ნიადაგი, საკვები, ინტელექტი. მისი მოსაზრებით, ისინი ერთობლივად მოქმედებენ და ძირითადად განსაზღვრავენ საზოგადოების ისტორიულ განვითარებას; პირველ საფეხურზე, მატერიალური დოვლათის შექმნა დაკავშირებულია ზომიერ კლიმატზე და ნოყიერ ნიადაგზე. ამაზევეა დამოკიდებული საკვების მოპოვება, რომელიც, თავის მხრივ, დემოგრაფიულ მდგომარეობას განაპირობებს. კლიმატი, ნიადაგი და საკვები მოქმედებს მატერიალური დოვლათის შექმნაზე, ხოლო ლანდშაფტი ხალხის ფსიქიკაზე, სულიერ მდგომარეობაზე აისახება. ბოკლი მიიჩნევს, რომ ცივილიზაციების განვითარება დაკავშირებულია როგორც ბიოგეოგარემოს მდგომარეობაზე, ასევე ხალხზე, მათ ინტელექტზე, რათა შემოქმედებითად გაითავისოს გარემოს მიერ შემოთავაზებული შესაძლებლობანი.

გეოგრაფ-სოციოლოგ ლევ მეჩნიკოვის მიხედვით (იხ. „ცივილიზაცია და დიდი ისტორიული მდინარეები“ [Мечников 2013]) ბიოგეოგარემოს მრავალ კომპონენტაგან მთავარია — ჰიდროსფერო. მისი აზრით ცივილიზაციის განვითარებაში უპირველესი როლი შეასრულა მდინარეებმა, ზღვებმა, ოკეანეებმა. მას მიაჩნია, რომ მსოფლიო ისტორიამ განვითარების სამი ეტაპი განვლო.

პირველი სამდინარო ეპოქა, როცა ცივილიზაციები ჩაისახა მდინარეთა ნაპირებზე, კერძოდ, მდინარეების – მაგ.: ტიგროს-ევფრატის, ნილოსის, განგის, ხუანხეს ხეობებში. მეორე ეტაპზე, ე.წ. საზღვაო ეპოქა — ცივილიზაციებმა მდინარეთა ნაპირიდან ზღვის სანაპიროებისაკენ გადაინაცვლა (მაგ.: გენუა, ვენეცია, კონსტანტინეპოლი) — ხმელთაშუა ზღვის და შავი ზღვის ცივილიზაციები (ალბათ, მდ. რიონისაც). მესამე ეტაპი კი (ე.წ. საოკეანე ეპოქა) ამერიკის კონტინენტის აღმოჩენით იწყება, რასაც ცივილიზაციის გადანაცვლება მოჰყვა შიდა ზღვებიდან ოკეანეთა (მაგ.: ლონდონი, ლისაბონი, ნიუ-იორკი) სანაპიროებზე. ფრიდრიხ რათცელი („*პოლიტიკური გეოგრაფია*“, „*ანთროპო-გეოგრაფია*“ [Ратцель 1897]) დედამიწის ისტორიას ორად ყოფს — ადამიანამდელ და ადამიანის ეპოქად. რამდენადაც დედამიწის გარემო იცვლება, იმდენად იცვლება ადამიანიც. ბიოორგანიზმის მსგავსად, გარემოს ზემოქმედებას განიცდის ხალხი და ქვეყანა. ხალხებსა და სახელმწიფოებს შორის ისტორიულ-კულტურულ განსხვავებას განსაზღვრავს კლიმატი, რელიეფი, ნიადაგი. რათცელის მიხედვით, სახელმწიფოებს შორის ყველაზე უფრო მყარი — გეოგრაფიულ-ზუნებრივი საზღვარია (მაგ.: კავკასიონის ქედი). გეოგრაფიული დეტერმინიზმის იდეები ენვაირონმენტალისტებმა სტატისტიკურ-ტიპოლოგიური მეთოდის გამოყენებით უფრო განავითარეს.

გეოგრაფიული გარემო (ჩვენეული ბიოგეოგარემო) საზოგადოების განვითარების ძირითადი დეტერმინატორია [იხ. Huntington 1925; Huntington 1945; Markhem 1942]. მას წამყვანი ადგილი ეჭირა ძველი ცივილიზაციების ჩასახვა-განვითარებაში, სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში. ბიოგეოგარემოს თავისებურება განაპირობებს კონკრეტული საზოგადოების, სოციუმის — სამეურნეო-საწარმოო, დემოგრაფიულ, სავაჭრო-კომუნიკაციურ, სამხედრო-სტრატეგიულ, სულიერ-კულტურულ, სახელმწიფოებრივ მდგომარეობას. საყურადღებოა, რომ სხვადასხვა ერების განვითარება კონკრეტულ ბიოგეოგარემოში მიმდინარეობს, რაც შემდგომ მათთვის დამახასიათებელ ზოგად თვისება-ნიშნებს აყალიბებს. საქართველოშიც სახელმწიფოს წარმოქმნაში განსაკუთრებული როლი ადგ-

ილობრივ ბიოგეოგარემოს ენიჭება [იხ. გამყრელიძე 1993: 25].

კოლხეთის ისტორიულ-გეოგრაფიულ მხარეს ჩრდილოეთით კავკასიონის ქედი, სამხრეთით აჭარა-ლაზეთის მთიანეთი, აღმოსავლეთით ლიხის ქედი, ხოლო დასავლეთით შავი ზღვა ერტყმის. კოლხეთის მთიანეთის ბორცვგორაკები, ხეობები, სერები, ტაფობები და დაბლობი თავიანთი ბუნებრივი გარემოთი მოსახერხებელ დასახლებულ ადგილებს ქმნიან. აქ დიდი რაოდენობით მოიპოვება საშენი მასალა — ხე, სხვადასხვა ჯიშის ქვა, თიხა და ა.შ. აქ მეტალურგიული (სპილენძი, რკინა, თუთია, კალა, ვერცხლი) ნედლეულის მოპოვების ძირითადი ადგილებია — რაჭა-ლეჩხუმი, სვანეთი, აფხაზეთი, აჭარა. ცნობილია მეზობელი ხალიბების, მოსუნიკებისა და მოსხების როლი მეტალურგიული წარმოების საქმეში. მოსახლეობის მიერ მადნეულის ნაყოფიერმა დამუშავება-გამოყენებამ აქაური საზოგადოება უკვე ძვ.წ. II ათასწლეულში ახალი განვითარების საფეხურზე აიყვანა. რაც შემდგომში საფუძვლად დაედო მომპოვებელი და გადამამუშავებელი ხელოსნობა-წარმოების სხვადასხვა დარგების განვითარებას. მდინარეების ენგურის, ცხენისწყლის, ტეხურის და რიონის ქვიშა გარკვეული რაოდენობით ოქროს შეიცავს. ამას ადასტურებს სტრაბონი (იხ. სტრაბონი, XI, II, 19). იგივეს აღნიშნავს II ს-ის ავტორი აპიანეც (იხ. აპიანე, მითრიდატეს ომები, 103) ოქროს მოპოვების შესახებ გადმოგვცემს I ს-ის ავტორი გაიუს პლინიუს სეკუნდუსიც (უფროსი) (NH, XXXIII).

კოლხეთის რელიეფი მთა-მთისწინეთად და ბარ-დაბლობად იყოფა. ის შემოსაზღვრულია მთებით (ქედები, ხეობები, სერები, ტაფობები, ბორცვ-გორაკები), რაც მოსახერხებელ თავდაცვით გარემოს ქმნიდა. მდინარეებიდან ხობზე, ტეხურზე, ფიჩორზე, ჭოროხზე, სუფსაზე და განსაკუთრებით რიონ-ყვირილაზე ნაგებით დაცურავდნენ. ზღვამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა კოლხეთის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. წერილობითი და არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით ზღვის სანაპიროზე მთელი რიგი ნაქალაქარები და სხვა დასახლებული პუნქტებია მიკვლეული: აფსაროსი (გონიოსთან), ციხისძირი, ქობულეთ-ფიჭვნარი, ურეკი, ფასისი (≈ ფოთთან), ანაკლია, ფიჩორი, გიენოსი (≈ ოჩამ-

ჩირესთან), დიოსკურია-სებასტოპოლი (სოხუმთან), ეშერა, პიტიუნტი (ბიჭვინთასთან) და ა.შ. სტრაბონის მიხედვით, კოლხეთი ბუნებრივი რესურსებით საკმაოდ მდიდარ ქვეყნად წარმოგვიდგება (იხ. სტრაბონი, XI, II, 17). საყურადღებოა კოლხეთის შესახებ პროკოპი კესარიელის ცნობაც (იხ. BG VIII, 14).

კოლხეთის დაბლობი რომ დანიანურ-ბული სამეურნეო-ეკონომიკური მხარე იყო, კარგად ჩანს ამ რეგიონში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალიდანაც. ძველი კოლხეთის სამეურნეო ყოფისათვის დიდი მნიშვნელობა ექნებოდა ისეთი მცენარეების გავრცელებას, როგორც იყო — ხორბალი, ქერი, ფეტვი, ჭვავი, ვაზი, ნაბლი, კაკალი, თხილი, ლელვი, ზღმარტლი, ხახვი და სხვ. კოლხეთში ცხოველთა სამყაროს სიმრავლეზე იყო გარკვეულწილად დამყარებული მოცემულ ტერიტორიაზე მოსახლეობის გამოკვება. არქეოლოგიურად მოპოვებულ მასალაში ხშირია ოსტეოლოგიური ნაშთები, რაც გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ძველი კოლხეთის მოსახლეობის მეცხოველეობა-მონადირეობის შესახებ. რაც შეეხება მეცხოველეობას, არქეოლოგიურ მასალაში მსხვილი და წვრილი რქოსანი საქონლის (ხარ-ძროხა, თხა, ცხვარი) ძვლები მრავლად არის დადასტურებული. გვხვდება აგრეთვე ღორის, ძაღლის, ცხენის ძვლებიც. კოლხეთში წვიმების სიუხვე, თბილი ზამთარი და ხანგრძლივი ზაფხული ხელსაყრელ პირობებს ქმნის სამეურნეო საქმიანობისათვის, კერძოდ, მემარცვლეობის, მებოსტნეობის და მევენახეობა-მეხილეობის განვითარებისათვის. სამინათმოქმედო-სამეურნეო დარგების განვითარებას და მეორე მხრივ, სანარმოო ძალთა განვითარებას და ჭარბი პროდუქციის წარმოებას კოლხეთში დემოგრაფიული ზრდა უნდა გამოეწვია, რასაც არქეოლოგიური მონაცემებიც მოწმობენ. ძველი კოლხეთის ისტორიული განვითარების პროცესში მოწინავე როლი ითამაშა ზომიერმა კლიმატმა, ნოყიერმა ნიადაგმა, ჰიდრორესურსების სიმრავლემ, სხვადასხვა მადნეულმა, ფლორისა და ფაუნის მრავალსახეობამ. რამაც, საზოგადოების პროგრესისათვის კარგი საფუძველი შექმნა. უპირატესად კი ამაზე არის დამოკიდებული საზოგადოების სამეურნეო-ეკონომიკური, დემოგრაფიული, სავაჭრო-კომუნიკაციური, ფიზიოლოგიურ-ფსიქიკური, გეოპოლიტი-

კურ-სტრატეგიული, სულიერ-კულტურული განვითარების დონე. აქედან გამომდინარე, კოლხეთში, ცენტრით მდინარე რიონზე, განვითარდა ფრიად თავისებური სახელმწიფოებრივი არე. აქ ისტორიული განვითარების დონე, ეკონომიკა და პოლიტიკური მდგომარეობა სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვანაირი იყო. შემდგომ, ანტიკური ხანის კოლხეთს გეოპოლიტიკურად საკვანძო ტერიტორია ეკავა; აქ მოხდა მაღალგანვითარებული საზოგადოების ჩამოყალიბება; აქ ხდებოდა აღმოსავლური და დასავლური ცივილიზაციების გარკვეული თანხვედრა.

სახელმწიფოებრივი განვითარების განხილვისას, იერარქიულად პირველ ადგილზე ბიოგეოგარემოს ვაყენებთ. მასთან ურთიერთზემოქმედებაში ადამიანი ქმნის სოციოგარემოს, რაზედაც დამოკიდებულია ამა თუ იმ ქვეყნის ისტორიული წინსვლის შემდგომი ბედი. მეორე ადგილზე, საგარეო ფაქტორი, რომელიც ამა თუ იმ ქვეყნის გეოპოლიტიკური სინამდვილის ნაწილია. მეზობელი ქვეყნები ერთმანეთზე ზოგჯერ სასიკეთო, ხოლო ზოგჯერ უკეთურ გავლენას ახდენენ. საგარეო ფაქტორი სახელმწიფოს ისტორიაში ხან კონსტრუქციულ, ხან კი დესტრუქციულ როლს თამაშობს. კონსტრუქციულია, მაგ.: საგარეო-სავაჭრო, სამეურნეო, კულტურული ინოვაციები; დესტრუქციულია — საომარი თავდასხმის შედეგად ქვეყნის დაპყრობა, საზოგადოებრივი წყობის ტრადიციული სტრუქტურების შეცვლა, საბრძოლო მოქმედებების შედეგად სამოსახლოების დანგრევა, მატერიალურ ფასეულობათა ძარცვა-განადგურება, დასახლებების ეკონომიკური საფუძვლის მოშლა და ა.შ. სამეცნიერო ლიტერატურაში პროტო-სახელმწიფოს ჩასახვის ერთ-ერთ ძირითად ფაქტორად ომისათვის მზადებას (თავდაცვას ან თავდასხმას) მიიჩნევენ. ომისათვის მზადება, საომარ მდგომარეობაში ყოფნა, გამორჩეულ წინამძღოლ-პიროვნებათა აღზევებას, საზოგადოების შეკვრა-მობილიზებას და მეტ ორგანიზებულობას იწვევდა, რაც, თავის მხრივ, საზოგადოების განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე აყვანაში და სახელმწიფოებრიობის წარმოქმნაში გამოიხატებოდა [იხ. Claessen, Skalnik 1978: 619-636]. უკვე ჩამოყალიბებული სახელმწიფოს განვითარებაშიც „საომარ ფაქტორს“, აგრეთვე

დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. ჩამოყალიბებულ, განვითარებულ სახელმწიფოში ეს ფაქტორი დადებით (ქვეყნის კონსოლიდაციადარაზმულობა, საზოგადოებრივი წესრიგის ამალღება, საფორტიფიკაციო მშენებლობა და სხვ.) ან უარყოფით — სახელმწიფოებრიობის დაკარგვა, ტრადიციული ცხოვრების წესის მოშლა, ეკონომიკურ ზარალს იწვევდა.

გვიანბრინჯაო-ადრერეკინის ხანაში, კოლხეთის დაბლობზე მოსახლეობის ცხოვრების ხანგრძლივ ნაკვალევს ასახავს ბორცვებზე არქეოლოგიურად შესწავლილი ნამოსახლარები. აქ გვხვდება თხრილებითა და საარხო სისტემებით გამაგრებული მძლავრი სამოსახლო კომპლექსები. კოლხეთის დაბლობზე ბრინჯაოს ხანის განმავლობაში დამის მომდევნო ეპოქებში, არქეოლოგიური არტეფაქტების მიხედვით შეინიშნება განვითარების ერთიანი გენეტიკური ხაზი [იხ. ლორთქიფანიძე 2002]. ბორცვების გარშემო საარხო სისტემები კარგადაა შემონახული მაგ.: ნამარნუში, ნაოხვამუში, ნაკარლალში, ჯვარალეში, ფიჩორში, ანაკლიაში, წყემში და სხვა. ადრერეკინა-ანტიკურ ხანაში ნამოსახლარების მასშტაბების ზრდასთან ერთად ხელოვნური თხრილები ფართოვდება. არხების ამოღების სამუშაოებს შრომით ორგანიზაციაზე დამყარებული საგვარეულო თემი აწარმოებდა. ცხადია, ერთი გვარის წარმომადგენლებს გაუჭირდებოდათ 10-20 და 30-40 მეტრის სიგანისა და 3-5 მეტრის სიღრმის არხის გათხრა. სავარაუდებელია, რომ ამ სამუშაოებში რამდენიმე მეზობელი თემის გაერთიანება იყო ჩართული (მაგ.: ნამარნუს მსგავსი საარხო სისტემა). ამ ირიგაციული სისტემების შექმნაში მრავალნაირი სამეურნეო იარაღი გამოიყენებოდა, რაც არქეოლოგიური მონაპოვრებით დასტურდება. შესაძლოა, რომ ცენტრალურ ბორცვებზე თავდაპირველად ცხოვრობდა ერთი დიდი ოჯახის წარმომადგენლები. ქონების დაგროვებისა და მოსახლეობის გამრავლების შედეგად დიდი ოჯახიდან ხდებოდა უფრო მცირე ოჯახების გამოყოფა, ცენტრალური ბორცვის მომიჯნავე ტერიტორიების ათვისება და ახალი სამოსახლოების მთელი კომპლექსების წარმოქმნა. ამგვარი მოდელი, კოლხეთის მთელ გვიანბრინჯაო-ადრერეკინა-ანტიკური პერიოდის ნამოსახლარებზე ვრცელდებოდა.

კოლხეთის შედარებით უკეთ შემონახული არქიტექტურულ ნაგებობებზე დაკვირვება საშუალებას გვაძლევს გარკვეული წარმოდგენა შევიქმნათ იმდროინდელი მოსახლეობის საშენი მასალების, ნაგებობათა ტიპებისა და მშენებლობათა ტექნიკის შესახებ. ბუნებრივ-კლიმატური პირობები გარკვეულ ზეგავლენას ახდენდა არქიტექტურულ ნაგებობათა ტიპების ჩამოყალიბებაზე და მშენებლობის ტექნიკაზე. კოლხეთის ბარში და ბორცვიან ზოლში, გვიანბრინჯაო-ადრერკინა-ანტიკურ პერიოდში ჯარგვლური, ძელური ნაგებობები დასტურდება, რომლის ერთ-ერთი სახეობის აღწერილობაც მოგვიანო ხანაში რომაელმა არქიტექტორმა ვიტრუვიუსმა დაგვიტოვა. მისი ცნობის თანახმად ძველი კოლხები ძელებისაგან აშენებდნენ სწორკუთხა სახლებს. ძელები ერთმანეთზე ეწყობოდა ე.წ. უსრულო ქდობით. მათ შორის რჩებოდა სივრცე, რომელიც თიხით ივსებოდა [იხ. *Витрувий 1936: 41*] (II,1). ეს ნარატივი არქეოლოგიური გათხრებითაც დასტურდება. ჯერ კიდევ ბრინჯაო-ადრერკინის ხანაში ჯარგვლურ ნაგებობათა გვერდით გავრცელებული ყოფილა სარ-ლასტზე გამართული ნულკედლიანი, ნულკარკასიანი, ფაცხისმაგვარი შენობები. ასევე თირში ჩაჭრილი სათავსოები, მიწურები და ნახევრადმიწურები, რომელზედაც ზემოდან დადგმული იყო ფაცხისმაგვარი სარ-ლასტზე გამართული ნაგებობები. ისინი სითბოს უკეთ შენარჩუნების მიზნით გარედან და შიგნით თიხით ილესებოდა. სამშენებლო ხის მასალად ძირითადად ნიფელი, თხმელა, რცხილა, ნყავი, იფანი, ფიჭვი გამოიყენებოდა. ზოგან გვხვდება ხის ძელური კედლით ნაგები, წრიული შენობებიც. მათი დიამეტრი 8-6 მ-მდეა. აღმოჩენილია აგრეთვე ნულკედლიანი, წრიული ფორმის შენობები, რომელნიც თიხით იყო შელესილი (მაგ.: ოჩამჩირე, ნოსირი, ნაოხვამუ, ანაკლია). ნამოსახლარებზე ხშირად დასტურდება რიყის ქვებით იატაკის მოკირწყვლის წესი (მაგ.: ოჩამჩირეში, ფიჩორში, ნამჭედურში, ნაკარღალში, კისტრიკში, მოქვში, ბომბორაში და სხვა).

კოლხეთის ნამოსახლარებზე დასტურდება ხორბლეული, რომელთა შორის ჭარბობს სპელტა, მახა, ორმარცვალა, რბილი, ჯუჯა ხორბალი, ფეტვი და ქერი [იხ. მაისაია, შანშიაშვილი, რუსიშვილი 2005: 67-96]. მარცვ-

ლეული კულტურების მოსაყვანად გამოიყენებოდა ამაღლებული ადგილები. კოლხეთის დაბლობის ნამოსახლართა კომპლექსები ზოგჯერ 15-25 ჰა აღწევს (მაგ.: ნამარნუ). ნამოსახლარებზე მინათმოქმედებასთან დაკავშირებული სხვადასხვა იარაღია არქეოლოგიურად გამოვლენილი. მათ შორის ყურადღებას იპყრობს ხის სახვნელები [იხ. ჯიბლაძე 1997: 88-91]. სახვნელები გამოვლინდა ჩოლოქის (12 ერთეული) [იხ. ჩავლეიშვილი 1999] და ფიჩორის ნამოსახლარებზე. კოლხეთში მიწის დასამუშავებელ ძირითად იარაღად გამოიყენებოდა მხრებმომრგვალებული და სამკუთხაპირიანი თოხები, რომელთა ადრეული ნიმუშები ჯერკიდევ ძვ.წ. II ათასწლეულის მიწურულში ჩნდება. კოლხეთში მინათმოქმედებასთან ერთად განვითარებული იყო მეცხოველეობა, მეთევზეობა, მონადირეობა და მეურნეობის სხვა დარგები. ნამოსახლარების ფენებში გამოვლენილ ოსტეოლოგიურ მასალებში ჭარბობს საქონლის, ღორისა და ცხვრის სახეობები. არქეოლოგიური მასალებით ირკვევა, რომ რთვასა და ქსოვას უძველესი მოსახლეობის შინამრეწველობაში ერთ-ერთი ნამყვანი ადგილი ეკავა. ამ საქმიანობასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული ნამოსახლარებზე დიდი რაოდენობით მიკვლეული თიხის კონუსისებური ფორმის კვირისტავეები [ჯიბლაძე 2007].

კოლხეთის ნამოსახლარების შესწავლის შედეგად სადღეისოდ ამ ტერიტორიის სამოსახლოდ ინტენსიური ათვისება ხდება ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში და გრძელდება ადრერკინა-ანტიკურ ეპოქაში. როგორც უკვე აღვნიშნე აქ, დაბლობზე ნამოსახლართა ძირითად ტიპს ხელოვნური ბორცვები წარმოადგენს. ხელოვნური ბორცვების უფრო მეტი კონცენტრირება შეინიშნება რიონ-ენგურის ორმდინარეთში. ხელოვნური ბორცვების გარდა ჯგუფებად განლაგებული ნამოსახლარები გამოვლენილია ბუნებრივ შემადლებებზეც, მთის ფერდებზე, ზღვისპირა და მდინარისპირა ტერასებზე. სადაც ძირითადად ხის ძელური შენობები და ფაცხისმაგვარი ნაგებობები დასტურდება. არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით ფოთი-პალიასტომის მიმდებარე ტერიტორიის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნასახლარებიდან — ნამარნუ, ძიგური, სირიაჩქონის ოხოჯე, ნანდეჯუ, საგვიჩიო

(ზურგანი, კონშა), ნალმიპიჯი, ჭალადიდი (ზურგა, საბაჟო, ჩხარი), გურიფული, ნაოხვამუ (სოფ. რეკა), ერგეტა და სხვ. — ალბათ, ფასისი უფრო დანიინაურდა. მას კომუნიკაციების მიხედვით მოხერხებული ადგილი ეჭირა (კერძოდ, მდ. რიონ-ფასისის დელტა) და ურბანისტულ ცენტრად განვითარდა [დანვრ. იხ. გამყრელიძე 2003: 170-189].

ფოთის შემოგარენში სამოსახლოს კვალი აღმოჩნდა სოფ. ქვემო ჭალადიდში, მდ. რიონის მარჯვენა მხარეს (1,5 კმ-ზე ჩრდილოეთით), ფოთისაკენ მიმავალი გზის მარცხენა მხარეს. ამ ბორცვის ფართობი 1800 კვ. მ-ია; აქ გაითხარა ბათქაშიანი და ძელებიანი ნაგებობების ნაშთები. ნამოსახლარზე აღმოჩნდა კერამიკა: ქოთნები, ჯამები, თასები. ისინი შემკულია ირიბ ჭდეებიანი, ტალღოვანი, რომბისებური ორნამენტით. აქვე აღმოჩნდა ყალიბი, ქვის ხელსაფქვავე, კვირისტავეები და სხვ. სოფ. ქვემო ჭალადიდის ე.წ. საბაჟოს მონაკვეთზე. ნამოსახლარებზე აღმოჩნდა ნაგებობების ძელების და ბათქაშების ნატეხები. კერამიკის გარდა მეტალურგიული ქურის საბერველი მილი და ყალიბი აღმოჩნდა [იხ. მიქელაძე 1978: 33-40]. მეორე სამოსახლო, რომელიც შეიძლება მივიჩნიოთ ქ. ფასისის სასოფლო-სამეურნეო გარეშემორტყმად, აღმოჩნდა სოფ. საქორქიოს აღმოსავლეთ ნაწილში, «სიმაგრეს» სახელწოდებით ცნობილ მონაკვეთში, მდ. რიონის მარცხენა ნაპირზე. ბორცვი 3300 კვ. მ-ს მოიცავს. აქ აღმოჩნდა ხის ნაგებობები. ნამოსახლარის არქეოლოგიური მასალა ძვ.წ. VII-V სს. თარიღდება. ნაგებობები ოთხკუთხაა და ძელების წყობითაა ნაგები. ერთ-ერთი ნაგებობა 112 კვ.მ-ისაა. მასში კედლების ძელები ძირითადად ერთმანეთში ჩაჭდომის წესით არის ნაგები [იხ. მიქელაძე 1978: 50-78; გამყრელიძე 2016: 185-200].

კოლხეთის ხის ნაგებობების შესახებ საყურადღებო ფაქტებს შეიცავს ბერძნულ-ლათინური და არქეოლოგიური წყაროები. ისინი ძირითადად დაცულია ქსენოფონტის (ანაბასისი, V, 2; 6,7), ჰეკათეოს მილეთელის, ჰიპოკრატეს, ჰეროდოტეს, სტრაბონის, აპოლონიოს როდოსელის, დიოდორე სიცილიელის, პომპონიუს მელას, ვიტრუვიუსის, პლინიუსის თხზულებებში. ამ ავტორთა თხზულებებში საუბარია სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ ტრანსკავკასიის გამა-

გრებულ სამოსახლოებზე. კერძოდ, კოლხურ-მოსუნიკურ ძეღურ-ბათქაშიან, კომკურა ტიპის გამაგრებულ ნაგებობებზე. აქვე ცნობებია გამაგრებული სამოსახლოების აგებისას რელიეფის გამოყენებისა და ამ სამოსახლოთა ურთიერთმიმართების შესახებ. ქსენოფონტის მინიშნებით, სასიმაგრო ნაგებობები შედგებოდა თხრილისაგან, ძირითადი გზისაგან, რომელიც აკავშირებდა დასახლებას შიდა ციხე-კომკთან და სხვა შედარებით მომცრო კომკებთან. ყველაფერი ეს შემოსახლვრული იყო ძელებიანი მესრით, რომელშიც დატანებული იყო ძირითადი ჭიშკარი. ხელისუფალ-მეთაურის კომკი შემადგენულ ადგილას იყო აგებული და განსხვავდებოდა რიგითი მცხოვრების კომკისაგან [იხ. გამყრელიძე 2016: 185-200].

არქეოლოგიური კვლევის შედეგად ძვ.წ. VIII-IV ს-ების კოლხეთში დასტურდება გამაგრებული სამოსახლოების ჩამოყალიბებული სისტემის არსებობა. საკმაოდ მჭიდროდ ყოფილა დასახლებული როგორც დაბლობი, ასევე მთისწინეთი და ხეობები. დასახლებები განცალკევებულ-სოფლური ტიპისა იყო, გამკენებული ბუნებრივ ბორცვებზე ან ხელოვნურად გაკეთებულ მიწაყრილებზე. ისინი გარკვეულ სისტემას ქმნიდა და გარშემორტყმული იყო თავდაცვითი თხრილებით. მთავარ სამშენებლო მასალას ხის ძელები წარმოადგენდა, რაც კოლხეთში ტყეების სიმრავლემ განაპირობა. აქ, არქეოლოგიურად დადასტურებული ხის უძველესი ნაგებობები, შენობის აგების წესი კი ე.წ. ჯარგვალური იყო. ამგვარი ძეღური ნაგებობები დღესაც გვხვდება დასავლეთ საქართველოში [იხ. ადამია 1979: 15-19; გოგაძე და სხვ. 1982: 58-70; მიქელაძე 1978; ნიორაძე 1941: 21-27; ჩიქოვანი 1999:21-29]. ქსენოფონტისაგან განსხვავებით, ვიტრუვიუსი უფრო ზედმიწევნით აღწერს კომკურა-ძელებიანი ნაგებობების კონსტრუქციას (იხ. ვიტრუვიუსი, „ათი წიგნი არქიტექტურის შესახებ“ II, I, 4, 50).

ბუნებრივ ბორცვებზე აგებული ნაგებობის ერთ-ერთი საინტერესო მაგალითია ვანის მუნიციპ. სოფ. მთისძირში ადგიშვილების გორის ზედა ტერასაზე არქეოლოგიურად შესწავლილი ძეღურ-ბათქაშიანი ნაგებობა. ეს ნაგებობა ვანის ნაქალაქარიდან დასავლეთით, რვა კილომეტრზე მდებარეობს. ადგიშვილების გორის ნაგებობა ოთხკუთხაა და

ორი სათავსისაგან შედგება. სამხრეთ სათავსის ფართობია 26, 88 კვ.მ, ხოლო ჩრდილოეთის – 13,44 კვ.მ. ამ სათავსის დასავლეთ კუთხეში შემორჩენილია ძელებით მოგებული იატაკი, რომელზედაც ზედა სართულის გადახურვის ძელების ფრაგმენტები შეიმჩნევა. კედლის ფუნდამენტის შიდა ფართობი ამოვსებულია ქვებით, თიხამინით და გარდამოდ დაწყობილი ძელებით. ამგვარად, აქ იქმნებოდა ხის ძელებით შემოსაზღვრული კვადრატების კარკასი, რაც ცოკოლს მეტ სიმტკიცეს აძლევდა. ადგიშვილების გორის ნაგებობა ძვ.წ. IV საუკუნით თარიღდება. ეს ნაგებობა წარმოადგენს ცოკოლზე დადგმულ ძელოურ, თიხით შელესილ შენობას. აქ საქმე უნდა გვექონდეს ანტიკური ეპოქის ავტორების — ქსენოფონტეს, პომპონიუს მელას და დიონისიოს ჰალიკარნასელის თხზულებებში ნახსენებ კოლხეთის ხის ნაგებობების ნაირსახეობასთან. ძვ.წ. IV ს-ის მიწურულის, ერთი მხრივ, აზოს და, მეორე მხრივ, ფარნავაზ-ქუჯის მიერ ძალაუფლებისათვის ბრძოლით გამოწვეული საომარი მოქმედებების შედეგებით შეიძლება აიხსნას სოფ. მთისძირის ადგიშვილების გორის გამაგრებული სამოსახლოს დანგრევა [დანვრ. იხ. გამყრელიძე 1982].

კოლხეთში ხის ძელებიანი ნაგებობები არქეოლოგიურად მრავლად არის დადასტურებული სოფ. ანაკლიაში (დღისა-გუძუბა I, II), სოფ. რეკში ნაოხვამოსთან, სოფ. საქორქიოში სიმამრესთან, ქობულეთში ჩოლოქთან, სოფ. ნოსირში, ვანის ნაქალაქარზე, სოფ. ვარციხეში ვარდიგორასთან, ქუთაისში გაბაშვილის გორაზე; ქვის საძირკვლიანი სათავსოა გამოვლენილი ლეჩხუმში კოვრაშის ნამოსახლარზე [გაბიძაშვილი და სხვ. 2004:121-123]. ხოლო ასეთი ტიპის ნაგებობების ნაშთები, ხის ძელებისა და ბათქაშის სახით, დასავლეთ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გვხვდება. ეს არქეოლოგიური ძეგლები ქრონოლოგიურად განსხვავდება ერთმანეთისგან, მაგრამ მათში არქიტექტურული მემკვიდრეობა იგრძნობა. ძელოურ-ბათქაშიანი სამოსახლოები დამახასიათებელია კოლხეთისათვის, სადაც ბუნებრივ თუ ხელოვნურ ბორცვებზე განლაგებული ნამოსახლარებია დადასტურებული მრავალრიცხოვანი სამოსახლო ბორცვებით, რომლებსაც დღეს „გორას“, „ზურგას“ და „დღისაგუძუბას“ უწოდებ-

ენ. კოლხეთის დაბლობის ამ სამოსახლო ბორცვებისათვის (გორანამოსახლარებისათვის) დამახასიათებელია გარშემო თხრილი [ჯიბლაძე 2007]. არსებობს საყურადღებო მოსაზრება, რომ გორა // გორაები, გორანამოსახლარები კავშირშია სოციალურ ტერმინ — გვართან // საგვარეულოსთან და მოსახლეობა მასზე (გორანამოსახლარებზე) ბრინჯაო-ადრერკინის ხანაში სახლობდა. შემდგომ, აქედან დაბა-ქალაქები წარმოიქმნენ [იხ. ბერძენიშვილი 1964: 383-388], რაც საზოგადოების განვითარების უფრო მაღალ საფეხურს წარმოადგენდა.

კოლხეთის დაბლობზე, ჭაობიან ადგილებში ხის სახლების აგებისას თიხნარით მოზვინული, შემალღებული ფართობები, მცირე გორები იქმნებოდა. ნაგებობათა ნაირსახეობად უნდა მივიჩნიოთ სოფ. რეჩხის ბორცვოვან ზოლში გამოვლენილი 600 კვ.მ.-ის ნაგებობა. კოლხეთში თლილი ქვა, ალიზის აგური და კრამიტი მხოლოდ ძვ.წ. III ს-ში იკიდებს ფეხს. როგორც ჩანს, მანამდე ხე ძირითადი სამშენებლო მასალა ყოფილა. ხისგან აგებდნენ საცხოვრებელ სახლებს, კოშკებს, ზღუდე-მესრებს და გამაგრებულ სამოსახლოებს. კოლხეთში ხის მასალა უხვად იყო. სტრაბონი გადმოგვცემს: „...აქ იზრდება მრავალი ტყე“ (XI, II, 17). ამასვე აღნიშნავს ვიტრუვიუსი (II, I, 4): „კოლხები პონტოს მხარეში ტყის სიუხვის გამო...“ აშენებენ ხის ნაგებობებს. სენაკის მუნიციპ. სოფ. რეკაში, ნაოხვამუს ნამოსახლარზე, ნაგებობის თიხის მოდელი დადასტურდა, რომლის სიგრძეა 21,5 სმ, სიმაღლე 19 სმ. მოდელი დაზიანებულია და ოთხ ხიმინჯზე დგას. მოდელის კედლებზე ხის ძელებია გამოსახული. ნაოხვამუს ეს მოდელი, კოლხეთში ძვ. წ. I ათასწლეულში გავრცელებულ ბათქაშით შელესილ ხის ნაგებობათა ერთ-ერთ სახეობას გადმოგვცემს [იხ. ჯიბლაძე 2010: 117-124].

ახალმა არქეოლოგიურმა გათხრებმა ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ თხრილებით გარშემოვლებულ ხელოვნურ ბორცვებზე სამოსახლოს გამართვას კოლხეთის დაბლობზე დიდი ხნის ისტორია აქვს. დასახლების ამნაირი ტიპი კოლხეთში შემთხვევით არ განვითარებულა. ის აქ არსებული ბრტყელი რელიეფითა და ჭარბწყლიანობით იყო განპირობებული. ასეთ სიტუაციაში ცხოვრებისათვის ხელსაყრელი პირობებ-

ის შესანარჩუნებლად აუცილებელი ხდებოდა ხელოვნური შემაღლებების გაკეთება. თხრილის შექმნა ბორცვის გარშემო განპირობებული უნდა ყოფილიყო იმითაც, რომ ხელოვნური ბორცვისათვის მინა დიდი რაოდენობით იყო საჭირო; სრულიად ბუნებრივია, რომ მას ბორცვის მიმდებარე ადგილებიდან იღებდნენ. გარდა ამისა, თხრილს ჰქონდა თავდაცვითი მნიშვნელობა. ის მოსახლეობას იცავდა მტრისაგან, მტაცებელი ცხოველისა და წყლის სტიქიისაგან. როგორც ჩანს, ამ დროინდელი საზოგადოება მოხერხებულად იყენებდა გეოგრაფიულ პირობებს, ბუნებრივი ბორცვ-გორების ტერასებს და თვითონაც აქტიურად ზემოქმედებდა მასზე ხელოვნური, თხრილშემოვლებული ბორცვების შექმნით. ორივე ეს ტიპი თანაარსებობდა. არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით ამკარაა, რომ ამგვარი სამოსახლოების გამართვის წესი კოლხეთში ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაში იკიდებს ფეხს. დასახლების მოწყობა ხელოვნური ბორცვების მოზვივნით, სპეციფიკურ კოლხურ მოვლენად არის მიჩნეული. ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევარში კოლხეთისათვის, აგრეთვე, დამახასიათებელია კოლექტიური სამარხები, რომლებიც არქეოლოგიურად გაითხარა — ერგეტაში, ურეკში, დღვაბაში, ნიგვზიანში და სხვ. მათ ახასიათებთ — საკულტო რიტუალის ფართი; კრემაციული მოედნები; მოზრდილი ფართის კოლექტიური სამარხი ორმოები; დაკრძალვის მეორადი წესი. მაგ. ერგეტის ნეკროპოლის (II) №4 სამარხის სიგრძე 11 მ-მდეა, ხოლო სიგანე 6 მ-მდეა. მასში აღმოჩნდა თიხის, ხის, სპილენძის, ბრინჯაოს, რკინის, ოქროს, ვერცხლის სხვადასხვაგვარი დანიშნულების ინვენტარი: სამეურნეო და საბრძოლი იარაღი; სხვადასხვა სახის ხელსაწყოები; ნაირ-ნაირი სამკაული; სამოსის აქსესუარები და სხვ. [იხ. პაპუაშვილი 1998].

ანტიკურ ხანაში, როგორც ჩანს, ადგილობრივმა სამოსახლოებმა ცვლილებები განიცადა. ზოგიერთი სამოსახლო, რომლებსაც უფრო კარგი, მოხერხებული ფიზიკურ-გეოგრაფიული და ეკონომიკურ-კომუნიკაციური ადგილმდებარეობა ეკავა, დანინაურდა და გარკვეული რეგიონის ქალაქური ტიპის ცენტრად ჩამოყალიბდა. ამ ცენტრს ჰქონდა მასზე დამოკიდებული სასოფლო-სამეურ-

ნეო ტერიტორია. საფიქრებელია, რომ „ვანი“ საქალაქო ცენტრი იყო, ხოლო „მთისძირი“ მისდამი დაქვემდებარებულ სასოფლო ტერიტორიაში შედიოდა. საქალაქო ცენტრს გარშემო გარკვეული თავდაცვითი სისტემა ჰქონდა, რომელიც მის უსაფრთხოებას ემსახურებოდა. ამგვარი გამაგრებული სოფელი იყო ძველი „მთისძირიც.“ ასეთი გამაგრებული სოფლები, ალბათ, განლაგებული იყო ქალაქისკენ მიმავალი კომუნიკაციების ჩასაკეტად. „მთისძირი“, ერთი მხრივ, აკონტროლებდა მდ. რიონის ხეობის მარცხენა ნაპირზე მიმავალ გზას, ხოლო მეორე მხრივ, მდ. ყუმურის ხეობიდან მომავალ გზას კეტავდა. არქეოლოგიური მასალისა და ძველი წერილობითი წყაროების შეჯერების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ: ქართველური მოსახლეობით დასახლებულ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ძვ.წ. III საუკუნის წინა პერიოდში გავრცელებული იყო ბორცვსა და გორაზე გამართული, ძელურ-ბათქაშიანი, ძელებიანი მესრით შემოზღუდული, კომპლექსური კომპლექსები, ხისაგან ნაგები გამაგრებული სამოსახლო, რომელსაც მოსუინი ეწოდებოდა. სოციალურად, ადგილობრივი გორისნაირი გამაგრებული ბორცვ-გორები, ალბათ, ნათესაობრივი თემების საცხოვრისს წარმოადგენდა, რომელთა თავშიც ადგილობრივი ხელისუფალი, ბერძნული წერილობითი წყაროების მიხედვით, ბასილევსი იდგა. მაგალითად, ასეთ ადგილობრივ ხელისუფალს ეკუთვნოდა სოფ. მთისძირში აღმოჩენილი ნაგებობების თანადროული მდიდრული სამარხი [დან. იხ. გამყრელიძე, 1982: 69].

გვიანდელი ბრინჯაოს ეპოქიდან მოყოლებული და განსაკუთრებით ძვ.წ. VIII-IV სს-ებში დასავლეთ საქართველოს ბარ-დაბლობი და მთისწინა ფართობი, არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, მჭიდროდ დასახლებული ჩანს. შეიმჩნევა ე.წ. დემოგრაფიული აფეთქება [იხ. ლორთქიფანიძე 2002: 167]. არქეოლოგიური მასალების შესწავლა, მონიშვნა, აქ სამინათმოქმედო მეურნეობის განვითარების საკმაოდ მაღალ ნიშნულზე აწევას, რასაც უნდა უზრუნველყო ზედმეტი პროდუქტის წარმოება და აქედან გამომდინარე სასაქონლო ვაჭრობის განვითარება. ამ პერიოდში შეიმჩნევა აგრეთვე ე.წ. კოლხური კერამიკის არაჩვეულებრივი სიმრავლე და მრავალფეროვნება, რაც მონიშნავს მეთუნე-

ხელოსანთა პროფესიონალიზმს. ეს კერამიკა საყოველთაო მოხმარებისთვისაა განკუთვნილი და ამიტომ მისი ძირითადი კომპონენტები გარკვეულ სტანდარტიზაციას განიცდის. ის მთელი კოლხეთის, ტერიტორიაზე გავრცელებული და კოლხეთის ერთიანობის დამაჯერებელი არქეოლოგიური არგუმენტია [დანვრ. იხ. ლორთქიფანიძე 2002: 167]. ზემოთ ნახსენებმა გარემოებებმა და ძვ.წ. VIII ს-დან ბრინჯაოს უფრო მტკიცე ლითონით, რკინით, ჩანაცვლების დაწყებამ ძვ.წ. VI-IV სს-ში ხელი შეუწყო პოლიტიკური ერთეულის კოლხეთის სახელმწიფოს განვითარებას.

მდინარეების მტკვრის, ჭოროხის, ზემო ევფრატის და არაქსის სათავეების მიმდებარე ტერიტორიაზე ძვ.წ. XI-VIII სს-ში ქართველურ ტომთა გაერთიანების შედეგად პროტოსახელმწიფოებრიობა განვითარდა. აქვე, მეზობლად ასურეთის და ურარტუს მძლავრი, აგრესიული ქვეყნები მდებარეობდნენ. ძვ.წ. VIII ს-ის ურარტული წერილობითი წყაროები ქართველური მოსახლეობის ერთ-ერთ შტოზე კო(უ)ლხებზე მიგვანიშნებენ. მათ მდ. ჭოროხის აუზიდან კავკასიონის ქედამდე მოიპოვეს ჰეგემონობა და ძლიერი გაერთიანება შექმნეს. ძვ.წ. VIII-VII სს. კოლხეთი პროტოსახელმწიფოს ტიპის ქვეყანას წარმოადგენდა. მას მმართველობის გარკვეული სისტემა ჰქონდა, რომლის ბირთვიც დროთა განმავლობაში მდ. რიონის აუზში განლაგდა [შეად. მელიქიშვილი 1965: 78].

ქვემოთ, მაგალითად მოგვყავს, კოლხეთის ზოგიერთი გვიანბრინჯაო-ადრერკინა-ანტიკური პერიოდის სამოსახლოების მოკლე ჩამონათვალი:

ნამარნუს ხელოვნურად გამართული ნამოსახლართა სისტემა აბაშის მუნიციპალიტეტში შემავალ სოფ. კეთილარის ტერიტორიაზე, მდ. რიონის მარჯვენა ნაპირთან და მდ. ფიჩორის შუა წელზე მდებარეობს. ბორცვების მთელი კომპლექსი 13 ჰა ფართობს მოიცავს. ცენტრალურ ნამოსახლარ ბორცვს 2 ჰა ფართობი უკავია და სიმაღლე 5 მ-ა, ხოლო დიამეტრი 160 მ-მდეა. ცენტრალურ ბორცვს გარს უვლიდა 30 მეტრის სიგანის ხელოვნური თავდაცვითი თხრილი. ამ სამოსახლო ბორცვების ხის მრავალრიცხოვან ნაგებობებში დადასტურებული კულტურული ფენები გვიანბრინჯაოს ხანიდან მოყოლილი ადრეული რკინა-ანტიკური ხანის

ჩათვლით თარიღდება [იხ. მიკელაძე ი დრ. 1987: 40; გრიგოლია და სხვ, 1973: 34; პაპუაშვილი 1987: 52].

ანაკლია I-ის ნამოსახლარი ამავე სახელწოდების სოფლის ტერიტორიაზე, მდ. ენგურის მარცხენა სანაპიროზე, ზღვიდან 1 კმ დაშორებით მდებარეობს. ხელოვნური ნამოსახლარი ბორცვის სიმაღლე 5 მ, ხოლო დიამეტრი 80 მ-მდე. აქ ხის ნაგებობები და სხვა არტეფაქტები აღმოჩნდა; არის აგრეთვე მარცვლეულის ნაშთები. ნამოსახლარს ირგვლივ ხელოვნური თხრილი შემოუყვებოდა [იხ. Куфтин 1950: 239-256; ჯიბლაძე 2007: 20-21].

ანაკლია II-ის ნამოსახლარი ამავე სახელწოდების სოფლის განაპირას ადგილ ჭითანყაროში, მდ. ენგურის მარცხენა სანაპიროზე, ზღვიდან 2 კმ დაშორებით მდებარეობს. ხელოვნური ბორცვის სიმაღლე 5 მ, ხოლო დიამეტრი 50 მ-მდეა, ირგვლივ ხელოვნური თხრილი შემოუყვებოდა. აქვე, ხის ძეღური ნაგებობების ნაშთები გამოვლინდა [იხ. მუსხელიშვილი და სხვ. 2010; მიკელაძე, ბარამიძე 1976: 98].

ერგეტას ნამოსახლარი ზუგდიდის დასავლეთით 25 კმ-ზე, მდ. ენგურის მარცხენა სანაპიროზე, სოფ. ერგეტასთან (მამულიას ნამოსახლარი) მდებარეობს. ხელოვნური ბორცვის სიმაღლე 5 მ, ხოლო დმ - 70 მ-მდეა. ნამოსახლარს ირგვლივ ხელოვნური თხრილი შემოუყვება. ნამოსახლარზე ოთხი კულტურული ფენა დადასტურდა. აქ ფენებში ხის ძეღური ნაგებობები, ხორბლეულის ნაშთები და სხვა არტეფაქტები აღმოჩნდა. სოფ. ერგეტას მიდამოებში კიდევ რამდენიმე ხელოვნურად გამართული სამოსახლო ბორცვია მიკვლეული [იხ. პაპუაშვილი 2017: 38-44; პაპუაშვილი და სხვ. 2005: 51].

ნაოხვამუს ნამოსახლარი სენაკის მუნიციპალიტეტის სოფ. რეკას სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს. მისი სიმაღლე 4 მ, ხოლო დმ - 60 მ-მდეა. ის ხელოვნურად გამართულ ნამოსახლართა ტიპს განეკუთვნება. ნამოსახლარზე ხის ძეღური ნაგებობები გაითხარა. ბორცვს ირგვლივ ხელოვნური თხრილი შემოსდევდა. აქ კულტურულ ფენებში სხვადასხვა სახის კერამიკასთან ერთად ბრინჯაოს საკინძები, ბრინჯაოს და რკინის შუბისპირები და ისრისპირები აღმოჩნდა [Куфтин 1950: 168-238; ჯიბლაძე 2007: 22].

ნოსირი III-ის ნამოსახლარი ქ. სენაკის

მუნიციპალიტეტის, ამავე სახელწოდების სოფლის ჩრდილოეთ მხარეს, მდ. ტეხურის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს. ხელოვნური ნამოსახლარი ბორცვის სიმაღლე 3 მ, ხოლო ფართობი 2500 კვ.მ-მდეა. აქ ბრინჯაო-ადრერკინის ხანის ოთხი კულტურული ფენა გამოიყოფა. აქ ხის ძელებიანი, ჯარგვლისე-ბური შენობები გაითხარა. მეტალურგიულ წარმოებასთან დაკავშირებული ლითონის ჩამოსასხმელი ყალიბები და ციცხვები აღმოჩნდა. გამოვლინდა აგრეთვე ყურძნის ნიჰნები, ხორბლის სხვადასხვა სახეობა და ოსტეოლოგიური მასალა. ნოსირის ხელოვნური ნამოსახლარის ჩრდილოეთითაც, მდინარე ტეხურის მარცხენა სანაპიროზეც ბორცვ-ნამოსახლარების ნაშთები აღმოჩნდა. ასეთივე ნამოსახლარები დადასტურდა გეჯეთში, ამავე სახელწოდების სოფლის ტერიტორიაზე, მდ. ტეხურის ნაპირას. სოფ. ნოქალაქევის სოფლის მეურნეობის ტერიტორიაზეც და სოფ. ხორშის სამოსახლო ბორცვ „ლომურაზე“, რომელიც მდებარეობს სენაკის მუნიციპალიტეტის, ამავე სახელწოდების სოფლის მიდამოებში [იხ. გოგაძე 1982: 36-38, 51-58].

აბდათის ნამოსახლარი მარტვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარეობს, ამავე სახელწოდების სოფლის განაპირა მხარეს. სამოსახლო ბორცვის სიმაღლე 5 მ, ხოლო დმ - 80 მ-მდეა. ნამოსახლარს ირგვლივ 10 მ სიგანის ხელოვნური თხრილი შემოუყვებოდა [იხ. ფხაკაძე 1978: 138].

ნაჭვის ხელოვნური ბორცვის ნამოსახლარი მდებარეობს მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფ. მუხურჩის დასავლეთით 2 კმ-ზე. მისი სიმაღლე 5 მ, ხოლო დიამეტრი 40 მ-მდეა. აქ ხის ძელებიანი ნაგებობები გამოვლინდა [იხ. გოგაძე 1982: 29-59].

კეკელურის ნამოსახლარი ხელოვნური ბორცვი მდებარეობს მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფ. მუხურჩასთან, მდ. აბაშის ნაპირზე. მისი სიმაღლეა 4 მ, ხოლო ფართობი 1500 კვ.მ-მდეა. აქ გამოვლინდა ძელებიანი ნაგებობები [გოგაძე 1982: 29].

საელიაოს კურზიას ნამოსახლარი ხელოვნური ბორცვი, მარტვილის მუნიციპალიტეტში, მდ. აბაშის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს. ბორცვის სიმაღლე 7 მ, რომელსაც ირგვლივ ხელოვნური თხრილი შემოსაღვედა. ბორცვზე ძელებიანი ნაგებობები გამო-

ვლინდა [იხ. ჯიბლაძე 2007].

ლეცავას ნამოსახლარი ბორცვი, მარტვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სოფ. სალხინოს აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს. აქ, ხის ძელებიანი სამოსახლო გაითხარა [იხ. Микеладзе и др. 1980: 35].

ზურგას ხელოვნურად გამართული ნამოსახლარი ხობის მუნიციპალიტეტის სოფ. ჭალადიდში, ე.წ. საბაჟოს უბანთან მდებარეობს. ბორცვის სიმაღლე 5 მ-ია, ხოლო ფართობი 1900 კვ. მ-მდეა. ნამოსახლარზე გამოიყო სამი კულტურული ფენა. აქ გაითხარა ხის ძელებიანი ნაგებობები [იხ. მიქელაძე 1978: 21; ჯიბლაძე 2007; Микеладзе 1990: 32-34].

საგვიჩიოს სოფლის მიდამოებში (სენაკის მუნიციპალიტეტი), მდ. რიონის მარცხენა ნაპირის გასწვრივ სადაზვერვო თხრილებით შესწავლილ იქნა სამოსახლო ბორცვების მთელი წყება, რომლებზეც ხის ძელებიანი ნაგებობების ნაშთები აღმოჩნდა. ეს ნამოსახლარები ხელოვნური თხრილებით იყო გარშემოწერილი [იხ. ჯიბლაძე 2007].

ყულევის სოფლის მიდამოებში (ხობის მუნიციპალიტეტი), სანაპიროზე შესწავლილ იქნა ბორცვ-ნამოსახლარები, რომლებიც ხის ძელებიანი ნაგებობების ნაშთებს შეიცავენ [იხ. პაპუაშვილი და სხვ. 2014: 204].

წყემის №3 ხელოვნური ბორცვი (აბაშის მუნიციპალიტეტი) ამავე სახელწოდების სოფლის განაპირა მხარეს, მდ. აბაშის მარჯვენა სანაპიროზე მდებარეობს. მისი სიმაღლე 6 მ-ია და ირგვლივ ხელოვნური თხრილი შემოუყვებოდა. აქ, ხის ძელებიანი ნაგებობები აღმოჩნდა [მიქელაძე და სხვ., 1974: 33-35; ჯიბლაძე 2007].

კოდორი I-ის ხელოვნურად გამართული ნამოსახლარი ამავე სახელწოდების სოფლის ტერიტორიაზე (სოფ. ნაესაკოვოსთან — აბაშის მუნიციპ.), მდ. რიონის და მდ. ნოღელის შესართავთან მდებარეობს. ბორცვის სიმაღლე 3 მ, ხოლო დიამეტრი 60 მ-მდეა. ირგვლივ მას ხელოვნური თხრილი შემოუყვებოდა. აღმოჩნდა ხის ძელებიანი ნაგებობების ნაშთები [იხ. მიქელაძე და სხვ., 1972: 26]. აქვე მდებარეობს **კოდორი II** ხელოვნურად გამართული ნამოსახლარიც, სადაც ხის ძელებიანი ნაგებობების ნაშთები და იგივე ნაირი არქეოლოგიური მონაცემებია აღმოჩენილი [Микеладзе 1990: 33].

პალურის ჟირსუკის ორი გორანამოსახ-

ლარი (ნალენჯიხის მუნიციპ.) ამავე სახელწოდების სოფლის ტერიტორიაზე, მდ. ენგურის მარცხენა სანაპიროს ტერასაზე მდებარეობს. ამ ნამოსახლართან ახლოს სამაროვანიც მდებარეობს [გრიგოლია 1971: 29].

პატრიკეთის ხელოვნური ნამოსახლარი ბორცვი წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარეობს. ბორცვის სიმაღლე 7 მ, ხოლო დმ - 90 მ-მდეა. ნამოსახლარს ირგვლივ ხელოვნური თხრილი შემოსდევდა. ბორცვის გათხრისას საცხოვრებელი, ხის ძეღური ნაგებობები გამოვლინდა [იხ. Джапаридзе и др. 1979: 25].

დაბლაგომის ნამოსახლარი (სამტრედიის მუნიციპალიტეტი) ამავე სახელწოდების სოფლის ტერიტორიაზე მდებარეობს, ე.წ. ნაციხვარის კონცხის ფერდის ძირას, რიონის დაბლობიდან 200 მეტრის სიმაღლეზე. ბორცვის თხემზე მდებარე ნამოსახლარზე ხის ძეღებიან-ბათქაშებიანი ნაგებობების ნაშთები გაითხარა. აქ ე.წ. კოლხური ცულის ჩამოსასხმელი ყალიბი და შუბისპირები აღმოჩნდა [იხ. თოლორდავა 1977: 71].

მალაკისა და საყულიას ხელოვნური ნამოსახლარი ბორცვები წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარეობს. მათი სიმაღლე 7 მ, ხოლო დმ - 100 მ-მდეა. ბორცვების გათხრისას ხის ძეღური ნაგებობები გამოვლინდა [კალანდაძე და სხვ. 2004: 18].

შუხუთის ტერასული ნამოსახლარი ამავე სახელწოდების სოფლის თავზე, ე.წ. ნაციხვარის ჩრდილო-აღმოსავლეთით 150 მ-ზე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარეობს. გათხრისას ხის ძეღური ნაგებობების ნაშთები გამოვლინდა [სადრაძე და სხვ. 1996: 31].

არგვეთას ნამოსახლარი საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ამავე სახელწოდების სოფელთან, მდ. ლაშურას მარცხენა სანაპიროზე მდებარეობს (იხ. ჯიბლაძე 2007).

საირხის საბადურის გორაზე (I კულტურული ფენა) და მოდინახეში ხის ძეღებიანი ნამოსახლარის ნაშთები და მისი შესაბამისი მასალებია გამოვლენილი [იხ. მახარაძე, ლომთაძე, 1997: 21; ნადირაძე 1975: 21; 1990: 9].

ოჩამჩირის ნამოსახლარი მდ. ჯიხამურის მარცხენა ნაპირთან, მდინარის ზღვასთან

შეერთების ადგილას მდებარეობს. ისინი ხელოვნურ ბორცვთა ტიპს განეკუთვნებიან. ზღვის სანაპიროს გასწვრივ განლაგებული სამი ბორცვიდან დასავლეთისა იყო შესწავლილი. ამ ხელოვნური ბორცვის სიმაღლე 6 მ, ხოლო დიამეტრი 70 მ-მდეა. აქ ხის ძეღებიანი ნაგებობების ნაშთები გაითხარა. ბორცვ-ნამოსახლარს ირგვლივ ხელოვნური თხრილი შემოუყვებოდა [იხ. Куфтин 1950: 250-266; Соловьев 1939: 44-48].

მაჭარას ნამოსახლარი დაბალ ტერასაზე, ამავე სახელწოდების მდინარის მარჯვენა სანაპიროზე, ზღვიდან 300 მეტრზე მდებარეობს. აქ ხის ძეღებიანი ნაგებობების ნაშთები გაითხარა [იხ. Бжания 1966: 113-124].

სოხუმის მთის ნამოსახლარი მდებარეობს ამავე სახელწოდების მთის თხემზე. აქ ხის ძეღებიანი ნაგებობების ნაშთები გაითხარა. აქ, ფენებში კერამიკასთან ერთად გამოვლინდა მეტალურგიულ წარმოებასთან დაკავშირებული ნივთები [იხ. კალანდაძე 1953: 18-19].

კისტრიკის ნამოსახლარი გუდაუთასთან, ამავე სახელწოდების მდინარის მარჯვენა სანაპიროზე, ზღვისპირა ტერასაზე მდებარეობს. აქ, გათხრისას ხის ძეღური და ჯარგვალისნაირი ნაგებობების ნაშთები გამოვლინდა [იხ. Бжания и др. 1987: 43].

ტამიშის ნამოსახლართა კომპლექსი ქ. ოჩამჩირის ჩრდილო-დასავლეთით, ამავე სახელწოდების მდინარის მარჯვენა სანაპიროზე, ზღვიდან 300 მეტრის დაშორებით მდებარეობს. ეს არქეოლოგიური ძეგლი ხელოვნურა ბორცვთა ტიპს განეკუთვნება. გათხრისას ხის ძეღური ნაგებობების ნაშთები გამოვლინდა [იხ. Барамидзе и др. 1980: 113].

ფიჩორის ხელოვნურ ნამოსახლართა კომპლექსი ქ. გალის ჩრდილო-დასავლეთით 40კმ-ზე, მდ. ენგურის მარჯვენა სანაპიროდან 4 კმ-ზე, ზღვიდან 500 მ-ში მდებარეობს. ნამოსახლართა კომპლექსის საერთო ფართობი 12 ჰ-მდეა. კომპლექსის შუაში 5მ სიმაღლის ცენტრალური ბორცვია აღმართული. მთელ ამ კომპლექსს ირგვლივ 10 მ-ის სიგანის ხელოვნური თხრილი შემოსდევს. ცენტრალურ ბორცვზე ხის ძეღებიანი, ჯარგვლური ტიპის შენობების ნაშთები გაითხარა [იხ. Барамидзе и др. 1987: 43; ჯიბლაძე 2007:17-18].

ჯვარალეების ხელოვნურად გამართული

ნამოსახლართა კომპლექსი (ფართობი 73ა) მდებარეობს სოფ. ფიჩორის განაპირა მხარეს, ზღვიდან 3 კმ-ზე. ის 7 ბორცვისაგან შედგება, სადაც გამოირჩევა ცენტრალური ბორცვი (სიმაღლე 4 მ, დმ - 70 მ-მდე). ნასახლარ-ბორცვებს ირგვლივ 3 მ-ის სიგანის და 2 მ-ის სიღრმის ხელოვნური თხრილი შემოსდევდა [იხ. ბარამიძე და სხვ. 1990: 23].

რეფო-შეშელეთის ხელოვნურად გამართული ნამოსახლარი (სიმაღლე 9 მ, დმ - 120 მ-მდე) მდებარეობს გალის მუნიციპალიტეტში, ამავე სახელწოდების სოფლის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. ბორცვზე ხის ძეღური ნაგებობების ნაშთები დადასტურდა. ნასახლარს ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი მხრიდან ნაარხალი ეტყობა [იხ. Барамидзе и др. 1982: 67-68].

ნაკარღლის ხელოვნურად გამართული ნამოსახლარი (სიმაღლე 5 მ, დმ - 80 მ-მდე) ქ. გალის დასავლეთით 45 კმ-ზე, მდ. ენგურის მარჯვენა სანაპიროზე, სოფ. ფიჩორის სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს მდებარეობს. ბორცვს წრიულად შემოსდევდა ხელოვნური თხრილი. ბორცვზე ხის ძეღური ნაგებობების ნაშთები დადასტურდა [იხ. Барамидзе и др. 1987: 46-47].

ნიფურიას ხელოვნურად გამართული ნამოსახლარი ქ. გალის რაიონის სოფ. თავილონში, მდ. ენგურის შენაკადის ხაიას მარჯვენა სანაპიროზე მდებარეობს. ბორცვის სიმაღლე 7 მ-ია, ხოლო დმ - 100 მ-მდეა. აქ ხის ძეღური ნაგებობების ნაშთები დადასტურდა [იხ. ბარამიძე და სხვ. 1990: 23-27].

განმუხურის ხელოვნურად გამართული ნამოსახლართა კომპლექსი მდებარეობს ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მდ. ენგურის მარჯვენა სანაპიროზე, ზღვიდან 400 მ-ზე. ბორცვის სიმაღლე 3 მ, ხოლო დმ - 60 მ-მდეა. ბორცვზე ხის ძეღური ნაგებობების ნაშთები დადასტურდა [იხ. ბარამიძე და სხვ. 1990: 23-26].

ისპანის ნამოსახლარი ქ. ქობულეთის აეროდრომის ჩრდილო-დასავლეთით 2 კმ-ზე მდებარეობს. ნამოსახლარზე უნდა ყოფილიყო გავრცელებული ხის ჯარგვლური ტიპის ძეღური ნაგებობები [იხ. ინაიშვილი 1973: 15; ხახუტაიშვილი 1995: 39].

ნამჭედურის ხელოვნურად გამართული ნამოსახლარი ქობულეთთან მდ. ოჩხამურისა და ჩოლოქის შეერთებდან 1 კმ-ზე

ჩრდილოეთით, ზღვიდან 300 მ-ზე მდებარეობს. ბორცვის სიმაღლე 5 მ-ია, ხოლო საერთო ფართობი 2000 კვ. მ-მდეა. აქ ხის ძეღური ნაგებობათა ნაშთები გამოვლინდა. ნამოსახლარს ირგვლივ ხელოვნური თხრილი შემოსდევდა [იხ. Микеладзе, Хахутаишвили 1985: 11-22].

ჩოლოქისპირა ნამოსახლარი ქობულეთის რაიონში მდინარეების ჩოლოქისა და ოჩხამურის შესართავთან მდებარეობს. ის ხელოვნურად გამართულ ბორცვთა ტიპს განეკუთვნება. აქ, მეტალურგიულ წარმოებასთან დაკავშირებული სახელოსნოს ნაშთები გამოვლინდა. ნამოსახლარზე ხის ძეღური, ჯარგვლური ტიპის შენობები დაფიქსირდა [იხ. ჩავლეიშვილი 1991: 17-25; ჩავლეიშვილი 1987: 12].

ჰეროდოტეს (იხ. ისტორია IV, 37) მიხედვით შავი ზღვიდან სპარსეთის ყურემდე სულ ოთხი ხალხი სახლობს. ესენია ირანელები, მიდიელები, კოლხები და სასპერები. სახელი სპერი ძველი სამხრეთ საქართველოს ერთ-ერთი ისტორიული პროვინციის სახელში შემორჩა. საყურედღებოა, რომ ჰეროდოტე აღნიშნავს კოლხ და სასპერ მეომრებს ერთნაირი ჩაცმულობა და ბრძოლის მეთოდი ჰქონდათ: „... სასპერები ლაშქრობდნენ კოლხელებით“-ო (ჰეროდოტე, VII, 78, 79). ეს კი კიდევ ერთხელ მიუთითებს ამ მოდგმის ხალხთა (კოლხების და სასპერების) ერთიან წარმომავლობაზე. სასპერები ეს ის ქართველური მოდგმის ტომია, რომლებმაც შემდეგ საზოგადოების კონსოლიდაციის შედეგად, მდ. მტკვრის შუა წელზე ცენტრით მცხეთაში ქართლის სამეფო შექმნეს და რომლებსაც ძველი ბერძნულ-რომაული წერილობითი წყაროები იბერიის სამეფოს უწოდებენ.

ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში ურარტუელების და ნომადური ტომების აგრესიულმა მეზობლობამ კოლხეთის მთებით შემოსაზღვრულ რეგიონში მომხდურთან დასაპირისპირებლად საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების თავდაცვითი ორგანიზება და შეკვრა-კონსოლიდაცია გამოიწვია. მოცემულ საგარეო ფაქტორს შემდგომში, ძვ.წ. V საუკუნისათვის, კოლხეთის სახელმწიფოს განვითარების პროცესში საგრძნობი როლი უნდა შეესრულებინა. კოლხეთის სამეფოს განმტკიცებაში გამორჩეული, კონსტრუქციული ადგილი ეჭირა კულტურულ

ინოვაციებსაც. საგარეო ფაქტორად უნდა ჩაითვალოს ე.წ. ბერძნული კოლონიზაციის მიმდინარეობა კოლხეთის ზღვისპირეთში. საბერძნეთიდან გასული მოსახლეობის ახალშენებს შორის გაიმიჯნა სავაჭრო და აგრარული კოლონია-აპოიკიები [იხ. Vallet 1973: 53-72]. პირველი, კონსტრუქციული საგარეო ფაქტორია — ემპორიონები. მეორე (ხორიანი პოლისები) — დესტრუქციულია ადგილობრივი მოსახლეობისათვის, რადგან მას თან ახლავს ტერიტორიის დაკარგვა და ადგილობრივი მოსახლეობის განდევნა. ე.წ. ბერძნულ კოლონიზაციას, როგორც საგარეო ფაქტორს, კოლხეთისათვის დადებითი ძვრები მოჰყვა. კერძოდ, ადგილობრივი მოსახლეობა გაეცნო იმ ხანად მონინავე ბერძნულ სამეურნეო და კულტურულ მიღწევებს, რამაც მნიშვნელოვანი სტიმული მისცა კოლხურ საზოგადოებაში საქალაქო ცხოვრების დანინაურებას. სანაპიროზე განვითარდნენ ქალაქები — ფასისი, გიენოსი, დიოსკურია.

დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე პროტოსახელმწიფოს შემდგომ, ძვ.წ. V–IV სს.-ში კოლხეთის ძლიერი სამეფო განვითარდა. კოლხეთის სამეფოს კეთილდღეობის ეპოქა თვალნათლივთაა ასახული როგორც წერილობით წყაროებში, აგრეთვე მრავალრიცხოვან და მრავალფეროვან არქეოლოგიურ მონაცემებში [იხ. ლორთქიფანიძე 2002: 124-237; Braund 1994]. მოცემული ეპოქის კოლხეთის სამეფოს გული მდინარე ფასისის (რიონის) შუაწელზე იყო განლაგებული. ძველი ბერძენი ავტორები მის მთავარ ქალაქს ქ(კ)უთაიას უწოდებდნენ [იხ. ლორთქიფანიძე 2002: 157] კოლხეთში მრავალდარგოვანი ხელოსნური წარმოება იყო განვითარებული. აქ ლითონის დასამუშავებელი, კერამიკის გასაკეთებელი, ხის და ტყავის დასამუშავებელი, სხვადასხვაგვარი სამკაულების დასამზადებელი და სხვ. სახელოსნოები არსებობდა. კოლხეთის სამეფოს ეკონომიკური წინსვლის საყრდენს რკინის კარგად განვითარებული წარმოება წარმოადგენდა, რომელიც მინათმოქმედება-სამეურნეო საქმიანობას მრავალრიცხოვანი სანარმოო იარაღით ამარაგებდა. ამის მოწმობაა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად დადასტურებული რკინის სახნისები, თოხები, ცულები და სხვ. მინათმოქმედების მაღალი დონის მაჩვენებელია სხვადასხვა ჯიშის

მარცვლეულის აღმოჩენაც. სწრაფმბრუნავ სამეთუნეო ჩარხზეა დამზადებული მრავალფეროვანი კოლხური ჭურჭელი, რომელიც სამეფოს მთელ ტერიტორიაზე ფორმების და გაფორმების მიხედვით გარკვეულად სტანდარტულ-ერთსახოვანია. კოლხეთის სამეფოში ძირითად საამშენებლო მასალად ხე და თიხა გამოიყენებოდა, რაც გენეტიურად უკავშირდება წინამორბედი ეპოქის სამოსახლოებს. ძვ.წ. V–IV სს.-ში კოლხეთის სამეფოს ტერიტორიაზე იჭრებოდა თავისებური მონეტები — ე.წ. კოლხური თეთრის სხვადასხვა ნომინალები. არქეოლოგიური გათხრებით კოლხეთის სამეფოს უაღრესად თავისთავადი მხატვრული კულტურა წარმოჩინდა. მის ერთ-ერთ დანინაურებულ დარგს ოქრომჭედლობა წარმოადგენს. მაგ.: ვანში და საირხეში მიკვლეულია ოქრომჭედლობის თავისებური ნიმუშები — ყელსაბამები, დიადემები, საყურეები, სამაჯურები. ეს ნივთები ფრიად ორიგინალურია და მხოლოდ იმ დროინდელი კოლხეთისთვისაა დამახასიათებელი (ჭედვა, ტვიფრვა, რჩილვა, ფილიგრანი, ცვარა) [იხ. ლორთქიფანიძე 1971: 51-63].

წერილობით წყაროებში დაცული ცნობები [იხ. ქ.ც. 1955: 24], რომლის მიხედვითაც აზოს და შემდგომში ფარნავაზის დროს (ძვ.წ. III ს. დასაწყისი) კოლხეთის ნაწილი იბერიის სამეფოს ფარგლებშია მოქცეული, სანდოდ გამოიყურება. ამ დროისათვის კოლხეთის სამეფო დასუსტებულია. ის კარგავს ტერიტორიებს. ჯერ აღმოსავლეთ, ხოლო შემდეგ შიდა კოლხეთზეც ვრცელდება იბერიის გავლენა [მელიქიშვილი 1965: 90; ბრაგვაძე 1990: 137-150]. ამ გარემოებას მხარს უბამს დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური მონაცემები. ძვ.წ. IV ს.-ის ბოლოს კოლხეთის მატერიალურ კულტურაში, რომელიც ადრე ერთგვაროვანი იყო, შეინიშნება ცვლილებები. ძვ.წ. III ს.-ში ეს ცვლილებები კიდევ უფრო გაღრმავდა. შემდგომ, განსხვავება შეიმჩნევა შიდა და ზღვისპირა კოლხეთის მატერიალურ კულტურაში [იხ. ლორთქიფანიძე 1972: 40]. პირველად ეს აისახა დაკრძალვის ახალი წესის გაჩენაში (ქვევრსამარხები). ამგვარი სამარხები ძირითადად შიდა კოლხეთშია აღმოჩენილი — ნიგორზღვა, დაფნარი, დაბლაგომი, სოფ. მთისძირი, ფარცხანაყანევი, ქუთაისი, წყალტუბო, მალლაკი, ბანოჯა, ქვიტირი, გოდოვანი, ოდილაური, აჯამეთი, ჩხარი, ბანძა,

ძვერი, ციხესულორი, დიდვანი, ბზვანი, მუხიანი, ჭოგნარი, მესხეთი, უკანეთი, ბუკისციხე, ზენობანი, გოგორეთი, ზემოფარცხმა, თეკლათი, ისულა, ზანათი, ნოქალაქევი, ბატნაოხურო, ლანჩხუთი, ძირულა, საჯავახო, ბორი და სხვ. [იხ. თოლორდავა 1980: ტაბ.1]. კოლხეთში ქვევრში დაკრძალვის წესის გაჩენა არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, დაახლოებით ძვ.წ. IV ს. მინურულიდან არის სავარაუდო. ამგვარი სამარხებიდან მომდინარე არქეოლოგიური მასალა რამდენადმე განსხვავდება მის წინა პერიოდში არსებულისაგან და მიგვითითებს ცვლილებებზე [იხ. ლორთქიფანიძე 1972: 40]. ქვევრსამარხებში აღმოჩენილ სამკაულებში (მძივები, სამაჯურები, საკისრე და საყურე რგოლები) და კერამიკაში შეიმჩნევა ადგილობრივი და შემოტანილი ფორმა-გაფორმების სიმბიოზი. შიდა კოლხეთის მატერიალურ კულტურაში ცვლილება პირველად საირხის ლომინაურში [იხ. ნადირაძე 1975: 99], ითხვისში და ვანში [იხ. ლორთქიფანიძე 1977: 20] წითლად მოხატული ე.წ. იბერიული კერამიკის გაჩენით აღინიშნა. ამგვარი ჭურჭელი უცხოა ძვ.წ. III ს-მდე კოლხეთისათვის. ძვ.წ. III ს-დან შიდა კოლხეთის არქიტექტურაზე, იბერიის გავლენა აისახა, მაგალითად: მსგავსება შეიმჩნევა არმაზციხე, წინამური, ღართის კარი, ციხიაგორა, სამადლო, უფლისციხე და კოლხეთის — ვანი, საირხე, სამშენებლო წესებში (აღიზის აგური; ქვათლილების მშრალი წყობის ერთმანეთთან დაკავშირების წესი). სამადლოს, ვანისა და მცხეთის კრამიტების ნიმუშებშიც მსგავსება აღინიშნება. მსგავსებაა სამადლოს, სარკინეს და ვანის ნაქალაქარების ტერასული პრინციპით დაგეგმარებაში. სამადლოს ნამოსახლარის სამშენებლო ქვის პეტროგრაფიული შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ ასეთი ჯიშის ქვა (ეკლარის კირქვა) მხოლოდ დასავლეთ საქართველოში ქუთაისის მახლობლად მოიპოვება. კოლხეთის მატერიალურ კულტურაში გარდატეხის მიმანიშნებელია ისიც, რომ ძვ.წ. IV ს-ის ბოლოდან ე.წ. კოლხური თეთრი აღარ ჩანს ადგილობრივ სამონეტო მიმოქცევაში. ისინი ალექსანდრე მაკედონელის და ლისიმაქეს მონეტებმა და მინაბაძებმა ჩაანაცვლეს.

ძვ.წ. IV ს-ის მინურულის საომარი მოქმედებების შედეგადაა დანგრეული, მაგალითად, ვარციხის „გიორგობიანების გორის“,

ვანისა და სოფ. მთისძირის „ადეიშვილების გორის“ ნაგებობები. სოფ. ვარციხის „გიორგობიანების გორაზე“ აღმოჩენილი ნაგებობა დანგრეულ-გადამწვარია ძვ.წ. IV ს-ის მინურულს [ჯაფარიძე 1977: 43-50]. ამავე პერიოდშია გადამწვარი ვანის ნაქალაქარის ცენტრალური ტერასის თეთრი ქვით ნაგები შენობა და ზედა ტერასაზე გათხრილი ძეღურბათქაშიანი ნაგებობა. ძვ.წ. IV ს-ის მინურულისათვისაა დანგრეული სოფ. მთისძირის „ადეიშვილების გორის“ ძეღურ-ბათქაშიანი თავდაცვითი ნაგებობა (შენობის დანგრევის დრო რადიოაქტიური ნახშირბადის დაშლის მეთოდითაა განსაზღვრული) [იხ. გამყრელიძე 1982: 56-63, 93]. კოლხეთის ძვ.წ. IV ს-ის მინურულის და ძვ.წ. III ს-ის პირველი ნახევრის მატერიალურ კულტურაში ზემოთ აღნიშნული ცვლილებები შეიძლება, ერთი მხრივ, აზოს (აზონ) და, მეორე მხრივ, ფარნავაზ-ქუჯის მიერ ძალაუფლებისათვის ბრძოლით გამონვეული საომარი მოქმედებების შედეგებით აიხსნას. როგორც ცნობილია, იბერიის სამეფოს ჩამოყალიბების პროცესი სწორედ ძვ.წ. IV-III საუკუნეების მიჯნაზე მიმდინარეობს [მამულია 1979: 93-113]. ამ დროისათვის შიდა კოლხეთიც პოლიტიკურად იბერიის სამეფოს ფარგლებში ერთიანდება. საისტორიო გადმოცემა („მოქცევაი ქართლისაი“ და „ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“) ქართლის სამეფოს წარმოშობის და აზო-ფარნავაზის ურთიერთობის შესახებ ძირითადად სანდოა. არიან-ქართლიდან (მდინარე მტკვრის, ჭოროხის სათავეების და ვანის ტბის ახლომახლო ტერიტორია. ჰეროდოტე, III, 94) მოსულმა ალექსანდრე მაკედონელის მიერ აღზევებულმა აზომ ჯერ ქართლის გეოგრაფიულ-სტრატეგიული (მდ. მტკვრისა და მდ. არაგვის შესაყარი) ცენტრი „მცხეთა“ დაიმორჩილა, ხოლო შემდგომში ქართველური მოდგმის ხალხით დასახლებული სხვა მხარეებიც დაიქვემდებარა (მათ შორის ეგრისიც — resp. კოლხეთი) [იხ. ძვ. ქართული აგიოგრაფ... 1963: 81].

კოლხეთში ლეონტი მროველს ნახსენები აქვს ციხე-გოჯის (ნოქალაქევი), შორაპნისა და დიმნის ციხეები [ქ.ც. 1955: 24]. შორაპანი თანამედროვე დაბაა შორაპნის ციხესთან, ხოლო დიმნი სოფ. ზედა დიმის ნაცხართან არის გაიგივებული. იმხანად კოლხეთში

ცალკეული მხარე-ერთეულების გათიშულობა-დაპირისპირებამ იმძლავრა, ხოლო იბერიაში, პირიქით, მეტი საზოგადოებრივ-პოლიტიკური კონსოლიდაცია მოხდა და ცენტრალიზებულ ხელისუფლებიანი სამეფო განვითარდა. იბერიის სამეფომ ჩამოყალიბება-გაძლიერების პროცესში კოლხეთის ნაწილის ინკორპორაცია განახორციელა [იხ. გამყრელიძე 1985: 87-89]. ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა მანამდე, ვიდრე კოლხეთის ზღვისპირეთი მითრიდატე VI ევპატორის სამეფოს გავლენის ქვეშ არ მოექცა. კოლხეთის ზღვისპირეთში ძვ.წ. IV ს-ის მინურულიდან განვითარდა პოლისური ტიპის ქალაქები — დიოსკურია, გიენოსი, ფასისი, ქობულეთ-ფიჭვნარი, ხოლო შიდა კოლხეთი იბერიის სამეფოს პოლიტიკურ გავლენას დაექვემდებარა [დანვრ. იხ. გამყრელიძე 1985: 86-97]. იბერიის პოლიტიკური გავლენის ქვეშ იყვნენ კოლხეთის სტრაბონისეული სკეპტუხიები (იხ. სტრაბონი, XI, II, 18) — „საირხე“ [იხ. ნადირაძე 1990], „ქუთაისი“ [იხ. ლანჩავა 1975], „ნოქალაქევი“ [იხ. ზაქარაია 1981; ლომოური, 1981: 18-46], „ვანი“ [არქეოლოგიური მასალა იხ. კრებ. „ვანი“, 1972, 1976, 1977, 1979, 1981, 1982, 1983]. ამგვარი ტერიტორიული დანაწილება განვითარდა, პირველ რიგში, ფიზიკურ-გეოგრაფიული და ეკონომიკურ-კომუნიკაციური მდგომარეობის საფუძველზე. როგორც ჩანს, ზოგიერთი თემი უფრო დანაწილდა და ჩამოყალიბდა გარკვეულ საქალაქო ცენტრად. საყურადღებოა კოლხეთის შესახებ სტრაბონის „გეოგრაფიაში“ შემონახული ცნობა: *„თუ როგორ იყო სახელგანთქმული ძველად ეს ქვეყანა, ... ამის შემდეგ მემკვიდრეებმა სკეპტუხიებად დაჰყვეს ქვეყანა და ჰქონდათ ზომიერი ძალაუფლება“* (იხ. სტრაბონი, XI, II, 18). როგორც სტრაბონის გეოგრაფიის ამ ნაწყვეტიდან ჩანს და არქეოლოგიური მონაცემებიც ამას მოწმობენ, დაახლოებით ძვ.წ. V საუკუნისათვის კოლხეთში უკვე გაფორმებულია ფიზიკურ-გეოგრაფიულ და ეკონომიკურ-კომუნიკაციურ საფუძველზე წარმოქმნილი ტერიტორიული ერთეულები, რომელთა სათავეში ადგილობრივი დანაწილებული გვარის წარმომადგენლები იდგნენ. ამ ტერიტორიებიდან ზოგიერთი უფრო დანაწილდა და ჩამოყალიბდა გარკვეულ საქალაქო ცენტრად თავისი მიმდებარე ტერიტორიით. ასეთებია, მაგალ-

ითად, „ვანი“, „ქუთაისი“, „საირხე“ და სხვ. სტრაბონის გეოგრაფიის ნაწყვეტიდან ჩანს, რომ კოლხეთი სკეპტუხიებად დაანაწილეს, რაშიც უნდა იგულისხმებოდეს ქვეყნის დაყოფა გარკვეულ ტერიტორიულ-სამმართველო ერთეულებად. ეს დანაწილება, ალბათ, ხელისუფლებამ ჩაატარა, რათა, ერთი მხრივ, გაადვილდებოდა ადმინისტრაციულად ქვეყნის მართვა, ხოლო მეორე მხრივ, კიდევ მეტი პოლიტიკური ცენტრალიზაციისათვის მიეღწია [იხ. ინაძე 1961: 783-790; ლორთქიფანიძე 1977:15].

საფიქრებელია, რომ მათი წარმოქმნის პირველ ეტაპზე ისინი უფრო ტომობრივ-ტერიტორიული ერთეულებია, ხოლო თანდათან ერთ-ერთი ამ ერთეულის არისტოკრატიული გვარი წინაურდება და ახერხებს დანარჩენების დაქვემდებარებას. სწორედ ეს არისტოკრატიული გვარი შემდეგ სამეფოს უკეთ სამართავად და ხელისუფლების განსამტკიცებლად ადმინისტრაციულ რეფორმებს ატარებს. აქ, ალბათ, ისეთივე რეფორმები ტარდება, როგორც იბერიაში გაატარა მეფე ფარნავაზმა [იხ. ქ.ც. 1955: 24]. დროთა განმავლობაში კოლხეთში საგამგებლო ერთეულებს შორის მოხდა გარკვეული დიფერენცირება, რადგან აქაური რეგიონული გეოგრაფიულ-აგროკლიმატური პირობები არათანაბარია (მაგ., რიონის დაბლობის სკეპტუხიები უფრო მდიდარი და შეძლებული უნდა ყოფილიყო, ვიდრე მთიანი გურიის). ამან შემდგომში, დაახლოებით ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევარში, საგამგებლოებს შორის ურთიერთდაპირისპირება გამოიწვია, რაც საბოლოო ჯამში კოლხეთის სამეფოს დასუსტებით და იბერია-სთან მისი ინკორპორაციით დასრულდა.

ძვ.წ. I ს. დასაწყისიდან კოლხეთის ზღვისპირეთში პონტოს მეფე მითრიდატე VI ევპატორი გამოჩნდა [იხ. ისტორიოგრაფია — Reinach 1890; სანიკიძე 1956; გოზალიშვილი 1965; დუნდუა 1974: 146-159]. პონტოს სამეფოს თავისი პოლიტიკური და სტრატეგიული ინტერესები ჰქონდა. აქ იყო განლაგებული დიოსკურიის, გიენოსის, ფასისის, „ქობულეთ-ფიჭვნარის“ ქალაქები. ამ ქალაქების შემოერთებაში აისახა მითრიდატე ევპატორის ძირითადი მიზნის — მთელი შავიზღვისპირეთის გაერთიანების იდეის განხორციელება. ისეთი ძლიერი ხელისუფალის მმართველობაში შესვლა, როგორც მითრი-

დატე იყო, ვაჭრობა-ეკონომიკასა და თავდაცვაში სტაბილურობის განმტკიცებას მოასწავებდა. იმ სანაპირო ნაქალაქარებზე, რომლებიც დღესდღეობით მეტნაკლებადაა არქეოლოგიურად შესწავლილი — ეშერა, სოხუმი-დიოსკურია, ოჩამჩირე-გიენოსი — არ არის დადასტურებული ძვ.წ. II-IX-ის მიჯნის გადამწვარი ფენები ან რაიმე საბრძოლო მოქმედების კვალი [იხ. გამყრელიძე 1985: 97]. სტრაბონის (XI,II,17,18) ცნობებიდან სჩანს, რომ მითრიდატე დაინტერესებული იყო კოლხეთის სანაპიროთი, საიდანაც მას მისდიოდა მეტი წილი სანაოსნო საშუალებების გასამართავად, ხე-ტყე, სელი, კანაფი, ცვილი, ფისი — გემების ასაგებად. კოლხეთის სანაპირო ის სტრატეგიულ-კომუნიკაციური მხარე იყო, რომელიც აუცილებლად სჭირდებოდა პონტოს სამეფოს თავისი ჩრდილოშავიზღვისპირა ტერიტორიების ზედამხედველობისათვის. მითრიდატემ, დაიკავა რა დასავლეთ კოლხეთი, მის ადმინისტრაციულ ცენტრად აქცია ქალაქი დიოსკურია (იხ. სტრაბონი, XI,II,18).

კოლხეთში სიტუაცია პონტო-რომის პირველი ომის დასასრულისათვის შეიცვალა, როცა მითრიდატემ მარცხი განიცადა საბერძნეთში. იბერიის დამარცხების შემდეგ პომპეუსი გადავიდა კოლხეთში (იხ. პლუტარქე, „პომპეუსი“, 34). რომაელების გამორჩენის დროს შიდა კოლხეთი დანაწილებული იყო სკეპტუხიებად (იხ. დიონ კასიუსი, „რომის ისტორია“, XXXVII, 3). მათი ნაწილი იბერიის პოლიტიკურ გავლენას ემორჩილებოდა (მაგ., შორაპანი, რომელიც უბრძოლველად გაიარა პომპეუსმა), ხოლო ნაწილი კი, ეტყობა შედარებით დამოუკიდებელ პოლიტიკას ატარებდა (მაგ. „ვანის“ სკეპტუხია). სტრაბონის დედის ბიძას, მითრიდატე ევპატორის მოხელეს მოაფერნეს კი დასავლეთი კოლხეთი (resp. პონტოს კოლხეთი) ექვემდებარებოდა (სტრაბონი, XI,II,18). პომპეუსი მდ. ფასისის გაყოლებით ზღვამდე ჩადის (ქ. ფასისში). რომაელები მათდამი დაქვემდებარებულ ქვეყნებში კი არ ცვლიდნენ არსებულ სამმართველო აპარატის სტრუქტურას, არამედ მას თავიანთ სამსახურში აყენებდნენ. ისინი, კოლხეთშიც ასევე მოიქცნენ. შიდა კოლხეთის „სკეპტუხიებზე“ (მაგ., ოლთაკეს სკეპტუხიაზე) საფიქრებელია, რომ რომის ძალაუფლება ეფემერული იყო. ჯერ კიდევ ლუკულუსი

მითრიდატესთან ომის დროს აღნიშნავდა ამ მხარის სრულად დამორჩილების სიძნელეებს (იხ. პლუტარქე, ლუკულუსი, 14).

იბერიის სამეფოსთან კოლხეთის ნაწილის ინკორპორაციამ კოლხეთის სამეფოს პოლიტიკური სტატუსის შეცვლა გამოიწვია. კოლხეთისათვის უარყოფითი საგარეო ფაქტორი გამოდგა პონტოს სამეფოს ექსპანსია, რომელსაც ზღვისპირეთის ანექსია მოჰყვა. რომმა გარკვეული ზემოქმედება მოახდინა კოლხეთის განვითარების პროცესზე. ერთი მხრივ, ეს ზემოქმედება უარყოფითი გამოდგა — ქვეყნის დასავლეთი მხარე რომის პოლიტიკურ გავლენაში მოექცა, ხოლო ზოგიერთ რეგიონში კი რომაელთა ცბიერი პოლიტიკის შედეგად არასტაბილური მდგომარეობა შეიქმნა, რაც შემდგომში რომისადმი ნახევრად დაქვემდებარებული „სამთავროების“ განვითარებით დასრულდა (იხ. ფლავიუს არიანე, „მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო“, 11).

იბერიის (resp. ქართლის) სამეფოში ძირითადი სამეურნეო-სამინათლო მოქმედო ფართობები შიდა ქართლის ვაკეზე, მდ. მტკვრის ხეობაში, ტირიფონის და მუხრანის ნაყოფიერ ველებზე, ქვემო ქართლის ბარში და ალაზნის ველზე იყო განლაგებული. აქ ჰავა მშრალი კონტინენტურია. ამიტომ ინტენსიური მინათლო მოქმედებისათვის საჭირო იყო სარწყავი არხების გაყვანა. სტრაბონი, იბერიის შესახებ გადმოგვცემს: *„იბერია უმეტესად კარგად არის დასახლებული ქალაქებით და სოფლებით; იქ არის კრამიტის სახურავიანი სახლები, რომლებიც არქიტექტურულად მოწყობილია; ბაზრები და სხვა... ქვეყნის ნაწილი კავკასიონის მთებითაა გარშემორტყმული ... შუაში არის დაბლობი, მდინარეებით მორწყული; უდიდესი მათ შორის არის მტკვარი. ... ის მოედინება საძოვრებით მდიდარ ველზე, ერთვის სხვა მრავალ მდინარეს, რომელთა შორის არის ალაზანი, ... ესენი ... უერთდებიან კასპიის ზღვას“* (იხ. სტრაბონი, XI, III, 1,2). აქ საკმაო რაოდენობით მოიპოვება საშენი მასალა: ხე, თიხა, ქვა და მეტალურგიული ნედლეული — სპილენძი, რკინა, კალა. აქაური ნოყიერი ნიადაგი, მრავალფეროვანი რელიეფი, ჰიდრორესურსები, მადნეული, ფლორის და ფაუნის მრავალსახეობა საზოგადოების პროგრესის საფუძველს იძლეოდა. აქ დიდი ნაგებობების და

სარწყავი არხების აგება შესაბამისი შრომის იარაღებისა და მრავალრიცხოვან ადამიანთა კარგად ორგანიზებული შრომის გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა. ამ სამუშაოებს ხელმძღვანელობდნენ ცოდნა-გამოცდილების მქონე გამორჩეული პიროვნებები. სწორედ ეს ლიდერები ანხორციელებდნენ ამ მოსახლეობის დასახლებების დაცვას. ამრიგად, თავდაცვითი და საცხოვრებელი პრობლემების ერთობლივი ძალისხმევით გადანაცვების პრობლემაში ხდებოდა გარკვეული პოლიტიკური კონსოლიდაცია. სამუშაოების მასშტაბების და თავდაცვითი მზადყოფნის ზრდასთან ერთად იზრდება ლიდერების როლი საზოგადოებაში. დროთა განმავლობაში აქ პროტოსახელმწიფოებრივი საზოგადოებრივი წყობა განვითარდა. სოციუმის ამდაგვარი განვითარება, შესაძლოა ჯერკიდევ ე.წ. დიდი ყორღანების კულტურის დროს ჩაეყარა საფუძველი (დაახლ. ძვ. წ. II ათასწლეული). ამ გარემოებებმა შემდგომ ხელი შეუწყობილი პოლიტიკური ერთეულის იბერიის სამეფოს წარმოქმნას. არქეოლოგიური მონაცემები მოწმობენ, რომ გვიანბრინჯაო ადრერკინის ხანაში, ინტენსიურად იყო დასახლებული ძველი საქართველოს ცენტრალური ნაწილი. მოსახლეობა აქ ძირითადად ბორცვ-გორებზე ცხოვრობდა. მაგალითად, VIII-VI სს. ხოვლეს გორასაცხოვრისი იღებს დაბური დასახლების სახეს. ძვ.წ. VI-V სს. იზრდება ხოვლეგორას საფორტიფიკაციო მნიშვნელობა. მას შემოვლებული ჰქონდა საკმაოდ ღრმა თხრილი. ამ გორას გაბატონებული მდგომარეობა უჭირავს და ის აკონტროლებს ირგვლივ ტერიტორიას [დან. იხ. ხიდაშელი 2009: 24-28].

მდინარეების ზემო ევფრატის, ჭოროხის, მტკვრის და არაქსის სათავეების მიმდებარე ტერიტორიაზე ქართველურ ტომთა (კოლხები, სასპერები, მესხები და სხვ...) გაერთიანების შედეგად ძვ.წ. XI-VIII სს. -ში განვითარდა პროტოსახელმწიფოებრიობა, რომელიც ჯერკიდევ უძველეს ლურსმულ წარწერებში მოიხსენიება. კოლხებს და სასპერებს ჰეროდოტეც (იხ. ისტორია IV, 37) ახსენებს. იბერიის ძვ.წ. III - ახ.წ. III სს. ისტორიისათვის ძირითად წერილობით წყაროს წარმოადგენს „ქართლის ცხოვრების“ ნაწილი — „ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“, რომლის შემდგენელ-გადამწერია სწავლული ლეონტი მროველი.

ის წინამორბედთა მრავალფეროვანი, ქართული და უცხოური თხზულებებით სარგებლობდა. „ცხოვრება ქართველთა მეფეთაში...“ მოყვანილი ცნობების (პერსონაჟების, პუნქტების და სხვ.) უმეტესი ნაწილი, ახალი არქეოლოგიური გათხრების შედეგად, სადღეისოდ დოკუმენტურად დადასტურებულია. მაგ.: ციხე-ქალაქები — ნასტაკისი, სარკინე, ციხე-გოჯი, არმაზციხე (ბაგინეთი), შორაპანი, დიმნა [იხ. გამყრელიძე, მინდორაშვილი, ბრაგვაძე, კვაჭაძე და სხვ. 2013].

ისტორიული პერსონაჟები — არტაგი (resp. არტოკე), ფარსმან I, ფარსმან ქველი, მითრიდატე (ანუ მიჰრდატი), ამაზასპი. არქეოლოგიურად აღმოჩენილ ეპიგრაფიკულ ძეგლებში დასტურდება ისტორიულ პირთა სახელები: მეფე ფარსმანი ნახსენებია 75 წლით დათარიღებულ ე.წ. ვესპასიანეს წარწერაში, რომელიც მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეს არმაზციხესთან აღმოჩნდა. აქვე იხსენიება მეფე მითრიდატე. ის აგრეთვე იხსენიება ე.წ. №1 წარწერაში, რომელიც არმაზში აღმოჩნდა. მეფე მითრიდატე მოიხსენიება ქ. რომში აღმოჩენილ წარწერაშიც. მეფე ფარსმანი ფიგურირებს ქ. რომის ნავსადგურ ოსტიაში აღმოჩენილ წარწერაში. იგივე მეფე ნახსენებია მცხეთაში, არმაზში არქეოლოგიურად გათხრილ ე.წ. „არმაზის ბილინგვაზეც“. ამავე ბილინგვაზევე მოხსენიებულია „იბერთა დიდი მეფე ქსეფარნუგი“. „იბერთა დიდი მეფე ამაზასპე“ მოიხსენიება არმაზციხეში არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად გამოვლენილ წარწერაში. „ცხოვრება ქართველთა მეფეთაში...“ ნახსენებ ისტორიულ პირთა მოქმედებანი მრვალგზის აღინერება აგრეთვე ბერძნულ-ლათინურ წყაროებში. მაგ.: იბერიის მეფე არტაგს ძვ.წ. 65 წელს პომპეუსის იბერიაში ბრძოლების აღწერისას ახსენებს — აპიანე და დიონ კასიუსი. მეფე ფარსმანს — ტაციტუსი. მეფე ფარსმან II-ს იხსენიებს ფლავიუს არიანე; აელიოს სპარტიანე; იული კაპიტოლინი და სხვ. წერილობით წყაროებში ნახსენები იბერიის მეფეები ქართლის ხელმძღვანელ-ორგანიზატორები იყვნენ. მეფე ფარნავაზის მიერ გატარებულმა სამხედრო-ადმინისტრაციულმა რეფორმებმა საფუძველი დაუდო იბერიის სახელმწიფოს. შემდგომ ეს რეფორმები ფარნავაზიანთა დინასტიის სხვა მეფეებმა განავრცეს.

ძვ.წ. 334 წელს მცირე აზიაში ალექსანდრე

მაკედონელის ჯარი გამოჩნდა. მაკედონელების მხარდაჭერით სამხრეთ-დასავლეთ ტრანსკავკასიის ერთ-ერთი ქართველური გაერთიანების, *არიან ქართლის* მეთაურმა, აზონმა ილაშქრა და ციხე-ქალაქი სარკინე აიღო. იბერიაში მაკედონელთა მიერ აღზევებულია აზონმა ხელთ იგდო ძალაუფლება. ამის შემდეგ, აქ აზონის მიერ, მმართველობის პრობერძნულ-მაკედონურ (*resp. ავეროპული*) წესრიგი დამყარდა. იბერიის სამეფოს კონსოლიდაცია მტკივნეულად მიმდინარეობდა. ცალკეული მხარეების წარჩინებულ მეომართა გუნდები უცხო ძალის გამოყენებაში ხედავდნენ გამოსავალს, რათა უპირველესები გამხდარიყვნენ და ძალაუფლება ხელთ ეგდოთ. ამ ბრძოლებში ხან კიმერიელ-სკვითებს, ხან ირანელებს, ხანაც ბერძენ-მაკედონელებს იყენებდნენ. აზონს დაუპირისპირდა მცხეთელი წარჩინებული ფარნავაზი თავისი მომხრეებით (*აღმოსავლურ-პროირანული*). ამ დაპირისპირებას აზონის ხელისუფლების დამხობა მოჰყვა. აზონის და ფარნავაზის მომხრეთა შორის საბრძოლო მოქმედებებით გამონვეული ნგრევის მონაწილეა საქართველოს ტერიტორიაზე დადასტურებული ძვ.წ. IV ს. მინურულის გადამწვარი ნამოსახლარები, რომლებიც არქეოლოგების მიერ არის შესწავლილი [იხ. გამყრელიძე, მინდორაშვილი, ბრაგვაძე, კვაჭაძე და სხვ. 2013].

ძვ.წ. III ს-ის დასაწყისში ფარნავაზმა მოახერხა მთელი იბერიისა და კოლხეთის მნიშვნელოვანი ნაწილის გაერთიანება. მან საფუძველი ჩაუყარა ფარნავაზიანების სამეფო დინასტიას. წერილობითი წყაროები მას მიაწერს იბერიის სახელმწიფო-ადმინისტრაციული რეფორმების ჩატარებას. ფარნავაზის დროს კოლხეთის ნაწილი იბერიის სამეფოს ფარგლებშია მოქცეული. ფარნავაზიანთა ეპოქის იბერიის სახელმწიფოს პოლიტიკურ-სამხედრო ორგანიზაციის საკმაოდ კარგი სისტემა ჰქონდა. სახელმწიფო ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულებად იყო დაყოფილი. მათ ადგილობრივი სამხედრო-არისტოკრატიის წარმომადგენლები, ერისთავები, მართავდნენ, რომელთაც ბერძნული და არამეული წერილობითი წყაროები მოიხსენებს (იხ. სტრაბონი XI, II, 18). ერისთავის ინსიგნიებს წარმოადგენდა — კვერთხი-სკიპტრა, განსაკუთრებული საბეჭდავი-ბეჭედი, მდიდრული სარტყელი,

შეიარაღება და სხვ. ხსენებული ნივთები დოკუმენტურად დადასტურებულია საქართველოს არქეოლოგიურ მასალაში (იხ. მაგ. მცხეთის არქეოლოგიური აღმოჩენები). სამეფოს ჯარი (იხ. სტრაბონი, XI, III, 3; XI, IV, 5; აპიანე, მითრიდატიკა, 103; ქ.ც.; პლუტარქე, ლუკულუსი, 31) შეიარაღებული იყო — შუბებით, სატევრებით, საბრძოლო ცულებით, მშვილდ-ისრებით, ჯაჭვ-ჯავშნებით, მუზარადებით, ფარებით; საბრძოლო ეტლებით, ქვის ყუმბარების სატყორცნი მანქანებით. მათ, შეტევის და თავდაცვის, იმ დროისათვის მოწინავე, რკინის შეიარაღება ჰქონდათ [დანვრ. იხ. გამყრელიძე 2010]. იბერიის სამეფოს თავდაცვის სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი საფორტიფიკაციო ნაგებობებს ეკავა, რომლებიც სტრატეგიულად მოხერხებულ და საჭირო ადგილებზე იყო განლაგებული - მაგ.: მცხეთა, უფლისციხე, ურბნისი, სარკინე, ნასტაკისი, შორაპანი, დიმნა და სხვ. განსაკუთრებით სატახტო ქალაქი მცხეთა იყო დაცული. აქ მთავარ ციხესიმაგრესთან (არმაზციხე) ერთად სხვა, მძლავრი საფორტიფიკაციო სისტემა იყო აგებული [იხ. გამყრელიძე 2010; გამყრელიძე, მინდორაშვილი, ბრაგვაძე, კვაჭაძე და სხვ. 2013].

I ს. პირველ ნახევარში იბერიის სამეფო იმდენად გაძლიერდა, რომ გააფართოვა თავისი საზღვრები და მედგარი ბრძოლით აიღო მდ. არაქსთან მდებარე მნიშვნელოვანი ციხე-ქალაქი არტაქსატა. ამ დროისათვის იბერიამ დაიბრუნა სამხრეთ-დასავლეთით, მდ. ყოროხის, მდ. მტკვრის და მდ. არაქსის სათავეების ტერიტორიები. ფარსმან II ქველი უკვე შეუფარავად ებრძვის რომის იმპერიას და ცდილობს მის განდევნას ზღვისპირა კოლხეთიდან და სამხრეთ ტრანსკავკასიიდან. იბერია, თავისი ინტერესების დაცვისათვის, გაბედულად უპირისპირდება იმ დროისათვის სამხედრო თვალსაზრისით უძლიერეს სახელმწიფოებს, რომსა და პართიას. ხსენებული სახელმწიფოები, როგორც ჩანს, იბერიის სამეფოს ანგარიშგასაწევ ძლიერ ქვეყნად მიიჩნევდნენ. ამიტომ, იმპერატორ ანტონინუს პიუსის (ახ.წ. 138-161 წწ.) დროს იბერიას და რომს შორის ურთიერთობები გამოსწორდა. რომაელი ისტორიკოსი ელიუს სპარტიანი მოგვითხობს, რომ რომის იმპერატორი პატივს სცემდა იბერთა მეფე ფარსმან II-ს, რადგან მისი სამხედრო მხარდაჭერა

სჭირდებოდა სამხრეთ ტრანსკავკასიაში. ამის გამო, იბერთა მეფეს ურიცხვი ძვირფასი საჩუქარი (შესაძლოა, რომ სწორედ ეს ძვირფასი ნივთებია სადღისოდ, არქეოლოგიურად აღმოჩენილი მცხეთაში; იხ. მცხეთის არქ. გათხრების მასალები), საბრძოლო სპილო და ორმოცდაათკაციანი მებრძოლთა რაზმი უბოძა (იხ. ელიუს სპარტიანი). ახ.წ. 140 წელს ფარსმან II ამალით, დიპლომატიური მისიით, იმპერიის სატახტო ქალაქ რომში ჩავიდა. აქ მას ზეიმით შეხვდნენ და პატივისცემის ნიშნად ფარსმანის ქანდაკებაც კი აღმართეს (იხ. დიონ კასიოსი, რომის ისტორია, XX, 2). იბერიის სამეფომ, რომსა და პართიას შორის მოქნილი პოლიტიკის წარმოების და წარმატებული ომების შედეგად საზღვრები გაიფართოვა.

ძვ.წ. I ათასწლეულის მეორე ნახევრიდან, ძველ საქართველოში, მსხვილი ქალაქური ტიპის დასახლებებიდან ქალაქები განვითარდა. ეს ქალაქები, ძირითადად გზების პირას, ვაჭრობის კონცენტრაციის და სამხედრო-სტრატეგიულ ადგილებზე წარმოიქმნენ. მათ შესახებ ინფორმაცია წერილობით და არქეოლოგიურ წყაროებშია შემორჩენილი. ასეთებია: მცხეთა-არმაზციხე — ქ. მცხეთასთან, ნასტაკის-სამადლო — ქ. კასპის აღმოსავლეთით, ძალისა — სოფ. ძალისთან, სარკინე — ქ. მცხეთის დასავლეთით, უფლისციხე — ქ. გორის აღმოსავლეთით და სხვ. [იხ. გამყრელიძე, მინდორაშვილი, ბრავგაძე, კვაჭაძე და სხვ. 2013]. საქართველოში არქეოლოგიურად გამოვლენილ ძველ ქალაქთა ნაგებობანი შექმნილია იმდროინდელი მონინავე სამყაროსათვის დამახასიათებელი თეორიული და პრაქტიკული მიღწევების საფუძველზე. ქალაქის ყველაზე გამაგრებულ მონაკვეთს აკროპოლისი წარმოადგენდა აქ სახელისუფლო არისტოკრატის რეზიდენცია და მთავარი ტაძარი იყო განლაგებული. ქალაქს მძლავრი თავდაცვითი კედლები ერტყა, რომელშიაც კოშკები იყო ჩაშენებული. გალავანს ხშირად თავდაცვითი თხრილი შემოუყვებოდა. კედლები ოთხკუთხა თლილი ქვებით და ალიზით ანუ გამოუმწვარი აგურით იგებოდა. ქვის, თლილ, ოთხკუთხა კვადრებს თიხის ხსნარით და ლითონის სამაგრებით ამაგრებდნენ. შენობების გადასახურად ბრტყელ და ღარიან კრამიტს ხმარობდნენ. ბუნებრივია, რომ ქალაქების საზოგადოებრი-

ვი, ადმინისტრაციული, სამეურნეო, წყალ-სადენის (წყარო, ჭა), საკულტო, და თავდაცვითი ნაგებობების შექმნა შესაბამისი შრომის იარაღებისა და მრავალრიცხოვან ადამიანთა კარგად ორგანიზებული შრომის გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა. ამ საშუალებს ხელმძღვანელობდნენ სათანადო ცოდნა-გამოცდილების მქონე პიროვნებები. ერთ-ერთი პიროვნების, მცხეთის მთავარი არქიტექტორ-მშენებლის სახელი — *ავრელი აქოლისი*, ცნობილი გახდა მცხეთაში აღმოჩენილი საფლავის ქვის წარწერიდან.

ქალაქები ხელოსნობის და ვაჭრობის მსხვილ ცენტრებს წარმოადგენდნენ. ისინი ირგვლივ მდებარე სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიებს ფლობდნენ, საიდანაც სურსათით მარაგდებოდნენ. იბერიის სამეფოს დედაქალაქი მცხეთა იყო, რომელიც ქალაქური ტიპის დაბების აგლომერაციას წარმოადგენდა. ის მდ. მტკვრის და მდ. არაგვის შესაყართან მდებარეობდა. მცხეთის ძირითადი ქალაქური დასახლებებია: არმაზციხე-მთაქართლი, კაციტავანა, არმაზისხევი, ღართისკარ-წინამურ-ზედაზნის სასიმაგრო ხაზი და მათ შორის ტერიტორია. მცხეთის არმაზციხე, დედაციხე აკონტროლებს მდ. მტკვრისა და მდ. არაგვის ხერთვისს და გზათა შესაყარს. აქ იბერიის მეფეთა რეზიდენცია მდებარეობდა. არმაზციხის ერთ მხარეს მდინარე მტკვარი საზღვრავს, ხოლო დანარჩენს პარალელური ხევები. ხევების კიდეს ოთკუთხა კოშკებიანი სასიმაგრო ხაზი დაუყვებოდა. თლილი ქვის ნაგებობანი აქ, ძვ.წ. III ს. ბოლოდან იქმნებოდა; გამოყენებულია ალიზის აგურებიც. თავდაცვითი კედლის შიგნით განლაგებული იყო სასახლეები, ტაძრები, აბანო და სხვ. არქეოლოგების მიერ აქ აღმოჩენილია დიდი რაოდენობით კაპიტელები, სვეტები, სვეტისბაზები, კრამიტი და სხვა არქიტექტურული დეტალები.

ბერძნულ სამყაროსთან სავაჭრო-ეკონომიკურმა ურთიერთობამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ძველი საქართველოს ეკონომიკურ-კულტურულ წინსვლაში. არსებითად ეს ნიშნავდა მის ინტეგრაციას ხმელთაშუაზღვისპირეთ-სამხრეთ ევროპის ეკონომიკურ სისტემაში. ალბათ, ამანაც, ძველი საქართველოს ორიენტაცია იმ თავითვე ევროპული ცივილიზაციის მიმართულებით განსაზღვრა. მდინარე რიონ-ყვირილა (ფასისი) და მდინ-

არე მტკვარი თავისი ფიზიკურ-გეოგრაფიული მდებარეობით მოხერხებული სავაჭრო გზა იყო. ცნობები მისი სატრანზიტო მაგისტრალად გამოყენების შესახებ სტრაბონისა და პლინიუსის ნაწერებშია შემონახული (იხ. სტრაბონი, XI, VII, 3 ; პლინიუს სეკუნდუსი, VI, 52). სწორედ ამ გზის გაყოლებაზე მდებარეობს კლასიკური ხანის და ადრეული შუა საუკუნეების ნამოსახლარები, რომელთა არქეოლოგიური კვლევის დროსაც აღმოჩნდა შემოტანილი უცხოური ნაწარმი.

ქართველური მოდგმა უძველესი დროიდან სახლობს დღევანდელი საქართველოს მიწაზე. ქართველები, ქართველური ეთნოსი განვითარების თავდაპირველ საფეხურზე განსახლებული იყო სამი მდინარის — მტკვრის, რიონის და ჭოროხის აუზებში. ეს კი ზოგადად, ვანის ტბიდან შავზღვამდე და კავკასიონის ქედის ჩათვლით ტერიტორიას მოიცავს. ამ ტერიტორიაზე სახლობდა ძველი ქართველური მოდგმის ხალხი, რომელთა სხვადასხვა გაერთიანებებს საისტორიო წერილობითი წყაროები (იხ. ჰეროდოტე, ქსენოფონტი, სტრაბონი, არიანე, ლეონტი მროველი და სხვ.) სხვადასხვაგვარად მოიხსენიებენ. კერძოდ — კოლხები, იბერები, ხალიბები, მოსუნიკები, სასპერები, მაკრონები, ჰენიოხები, მოსხები, ტაოხები, აფსილეები, ტიბარენები, სანიგები; შემდგომ, ჭანები, ლაზები, სვანები, ეგრნო, ქართნი და ა.შ. [იხ. საქართველო და ქართველების აღმნიშვნელი...1993].

პროტოსახელმწიფოებრიობა უფრო მტკვრის, ჭოროხის მდინარეთა ზემო წელის აუზებში ჩაისახა და შემდგომ მყარი სახელმწიფოებრიობა მდ. რიონის აუზში განვითარდა და მდ. მტკვრის შუა წელიც მოიცვა. ძვ.წ. IIIს-დან კი პირიქით, კოლხეთი, გაძლიერებული და კონსოლიდირებული იბერიის სამეფოს ფარგლებში მოექცა. კოლხეთ-ლაზიკისა და იბერიის ადგილსა და საფუძველზე განვითარდა ერთიანი სახელმწიფო — საქართველო.

ლიტერატურა:

ადამია 1979: ადამია ა. კოლხური წნული სახლები, ჟურ. *ძველის მეგობარი*, №49, თბ.
აფაქიძე 2002: აფაქიძე ჯ. გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის კოლხური კულტურის ქრონოლოგია, ისტ. მეცნ. დოქტ. ხარისხის მოსაპოვებლად

— ავტორეფერატი, თბ.
ბარამიძე და სხვ. 1990 : ბარამიძე მ., ჯიბლაძე ლ., ჩიგოშვილი თ., არქეოლოგიური კვლევა-ძიება აფხაზეთის ასსრ სამშენებლო მოედნებზე, ჟურ. *ძველის მეგობარი*, №1, თბ., გვ. 23-26.
ბერძენიშვილი 1964: ბერძენიშვილი ნ. საქართველოს ისტორიის საკითხები, I ტ., თბ.
ბერძენიშვილი 1969: ბერძენიშვილი მ. ქალაქ ფაზისის ისტორიისათვის, თბ.
ბრაგვაძე 1990: ბრაგვაძე ზ. კოლხეთის აღმოსავლეთი რეგიონების (ყვირილისხეობის) ქართიზაციის საკითხისათვის, საქ. მეცნ. აკად. მაცნე, №4, გვ.137-150.
ბერაძე 1981: ბერაძე თ. ზღვაოსნობა ძველ საქართველოში, თბ.
გაბიძაშვილი და სხვ. 2004: გაბიძაშვილი გ., სახაროვა ლ., სულავა ნ; სულხანიშვილი დ., ლეჩხუმის არქეოლოგიური ექსპედიციის კვლევა-ძიების შედეგები, საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1989-1992 წწ., თბ. გვ.121-123.
გაგოშიძე 2003: გაგოშიძე იულ. კოლხური კულტურა (კოლხეთი, იბერია), კრებ. ქართველური მემკვიდრეობა, VII, თბ., გვ. 90-101.
გაგუა 1988: გაგუა გ. კოლხეთის აგროკლიმატური რესურსების გამოყენება, თბ.
გამყრელიძე 1982: გამყრელიძე გ. ცენტრალური კოლხეთის ძველი ნამოსახლარები, თბ.
გამყრელიძე 1985ა: გამყრელიძე გ. ანტიკური ხანა თუ იბერიულ-კოლხური ხანა, არქეოლოგიური კვლევის ცენტრის კრებ. საქართველოს არქეოლოგიის საკითხები, III, თბ., გვ.123-129.
გამყრელიძე 1985: გამყრელიძე გ. აზო-ფარნავაზის დროინდელი კოლხეთის ისტორიისათვის, საქ. მეცნ. აკად. მაცნე (ისტ... სერია), თბ., №3, გვ.86-97.
გამყრელიძე 1989: გამყრელიძე გ. მითრიდატე ევპატორი და კოლხეთ-იბერიის ისტორიის ზოგიერთი საკითხი, საქ. მეცნ. აკად. მაცნე №2, გვ. 59-69.
გამყრელიძე 1993: გამყრელიძე გ. ისტორიულ-ტოპოარქეოლოგიური ძიებანი, თბ.
გამყრელიძე 2003: გამყრელიძე გ. ქალაქ ფასისის ადგილმდებარეობის და დეფინიციის საკითხისათვის, საქ. მეც. აკად. არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჟურ. იბერია-კოლხეთი, №1, თბ., გვ.170-189.
გამყრელიძე 2010: გამყრელიძე გ. ომი და შეიარაღება იბერია-კოლხეთში, თბ.
გამყრელიძე და სხვ. 2013: გამყრელიძე გ., მინდორაშვილი დ., ბრაგვაძე ზ., კვაჭაძე მ. და სხვ. ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი, თბ.
გამყრელიძე 2016: გამყრელიძე გ. ხის კოლხური არქიტექტურა და მისი სოციალური არსის შესახებ, კრებ. «გურია», VI, თბ. გვ. 185-200.
გვალია 1991: გვალია ტ. გეოგრაფიული ფაქტორისა და ქართული კულტურის ურთიერთმიმართების ზოგიერთი საკითხი, თბ., გვ. 52-127.
გობეჯიშვილი გ. 1970: გობეჯიშვილი გ. გვიანი ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანა საქართველოში. სინ. ტ. I. თბ., 243-311.
გობეჯიშვილი ნ. 2014: გობეჯიშვილი ნ. სამარხთა კონსტრუქცია და დაკრძალვის წესი კოლხური და ყობა-

- ნური კულტურების მიხედვით, თბ.
- გოგაძე და სხვ. 1982:** გოგაძე ე., ქორიძე ე., დარისპა-ნაშვილი მ., ნოსირ-მუხურჩის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები, სსმაე VII, თბ. 58-70.
- გოზალიშვილი 1965:** გოზალიშვილი გ. მითრიდატე პონტოელი, თბ.
- გრიგოლია 1971:** გრიგოლია გ., დასავლეთ საქართველოს საძიებო-არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები, კრებ. არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1969 წ., თბ.
- გრიგოლია და სხვ. 1973:** გრიგოლია გ., ფხაკაძე გ., ბარამიძე მ. დასავლეთ საქართველოს საძიებო-არქეოლოგიური ექსპედიციის 1966 წ. მუშაობის შედეგები, მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, V ტ., თბ., გვ. 17-38.
- გეორგიკა 1936:** გეორგიკა, III (ბერძნულ-ქართული ტექსტი გამოსცა ნ. ყაუხჩიშვილმა), თბ.
- გეორგიკა 1965:** გეორგიკა, II (ბერძნულ-ქართული ტექსტი გამოსცა ნ. ყაუხჩიშვილმა), თბ.
- გორდეზიანი 2000:** გორდეზიანი რ. რჩეული ნაშრომები, თბ.
- გუგუშვილი 1954:** გუგუშვილი პ. მარცვლეული მეურნეობა საქართველოში, თბ.
- დიონ კასიოსი 1966:** დიონ კასიოსი, ცნობები საქ. შესახებ (გამოსცა ნ. ლომოური), თბ.
- დუნდუა გ. 1974:** დუნდუა გ. იჭრებოდა თუ არა მონეტა ვანში?, საქ. მეცნ. აკად. აცნე (ისტ... სერია), თბ., №2, გვ. 146-159.
- დუნდუა და სხვ. 1977:** დუნდუა გ., ლორთქიფანიძე გ. მონეტები ვანიდან, ვანი III, გვ. 119-152.
- დუნდუა თ. 1993:** დუნდუა თ. კოლხეთი, იბერია..., ნუ-მიზმატიკის მიხედვით, თბ.
- ენგელსი 1953:** ენგელსი ფ., ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა, თბ.
- ვაშაკიძე 1991:** ვაშაკიძე ვ. ელინისტური ხანის ქართლის სოციალური ისტორიიდან, თბ.
- ვახუშტი ბატონიშვილი 1973:** ვახუშტი ბატონიშვილი, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 53.
- ზაქარაია პ. 1981:** ზაქარაია პ. ნოქალაქევი 1973-77 წლებში ჩატარებული სამუშაოების საერთო ანგარიში, კრებ. ნოქალაქევი-არქეოპოლისი, თბ., გვ. 77-119.
- თოლორდავა 1980:** თოლორდავა ვ., დაკრძალვა ელინისტური ხანის საქართველოში, თბ.
- ინაიშვილი 1973:** ინაიშვილი ა., მასალები ისპანის ძველი სამოსახლოდან, საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1972 წელს, თბ., გვ. 15.
- ინანიშვილი 2018:** ინანიშვილი გ. ქართული მეტალურგიის სათავეებთან, თბ.
- ინაძე 1961:** ინაძე მ. კოლხეთის სამეფოს სკეპტუხიათა საკითხისათვის, საქ. მეცნ. აკად. მოამბე, XXVI ტ., №6, თბ., გვ. 783-790.
- ინაძე 1982:** ინაძე მ. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაცია, თბ.
- ინაძე 1986:** ინაძე მ. სატაძრო ცენტრები ძველ კოლხეთში, საქ. მეცნ. აკად. მაცნე (ისტ... სერია), №4, თბ., გვ. 32-53.
- ინაძე 1994:** ინაძე მ. ძველი კოლხეთის საზოგადოება, თბ.
- ინაძე 2009:** ინაძე მ. ძველი კოლხეთის ისტორიის საკითხები, თბ., გვ. 31-50.
- კაკაბაძე 1924:** კაკაბაძე სარ. ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხისათვის, კრებ. საისტორიო მოამბე, №1, თბ.
- კალანდაძე და სხვ. 2004:** კალანდაძე კ., ბუბეიშვილი თ., იოსელიანი ნ., ქიჯია მ., კალანდაძე ნ., ნყალტუბოს ექსპედიცია. საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1989-1992 წწ., თბ. გვ. 18.
- კახიძე 1971:** კახიძე ამ. საქართველოს ზღვისპირეთის ანტიკური ქალაქები, თბ.
- კახიძე 1975:** კახიძე ამ. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ანტიკური ძეგლები (ფიჭვნარის ბერძნული სამაროვანი), ბათუმი.
- კალანდაძე 1953:** კალანდაძე აღ. სოხუმის მთის არქეოლოგიური ძეგლები, სოხუმი.
- კვირკველია 1976:** კვირკველია გ. უცხოელი მეცნიერები უძველესი ქართველი ტომების მელითონეობის შესახებ, თბ.
- კორძახია 1961:** კორძახია მ. საქართველოსჰავა, თბ.
- ლამბერტი 1938:** ლამბერტი არქანჯელო, სამეგრელოს აღწერა, თბ.
- ლანჩავა 1975:** ლანჩავა ომ. ქუთაისის ძველი ისტორიისათვის, თბ.
- ლიჩელი 1991:** ლიჩელი ვ. ძველი ვანი, სამეურნეო უბანი, თბ.
- ლომოური 1955:** ლომოური ნ. კლავდიოს პტოლემეაიოსის ცნობები საქართველოს შესახებ, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 32, თბ.
- ლომოური 1981:** ლომოური ნ. ნოქალაქევი, კრებ. ნოქალაქევი-არქეოპოლისი, I, თბ., გვ. 18.
- ლორთქიფანიძე ოთ. 1957:** ლორთქიფანიძე ოთ. ანტიკურ ხანაში ინდოეთიდან შავი ზღვისკენ მომავალი გზის შესახებ, საქ. მეცნ. აკად. მოამბე, XIX, №3, თბ., გვ. 377-384.
- ლორთქიფანიძე ოთ. 1966:** ლორთქიფანიძე ოთ. ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, თბ.
- ლორთქიფანიძე ოთ. 1971:** ლორთქიფანიძე ოთ. მასალები ძვ. წ. V ს. კოლხეთის მხატვრული კულტურის ისტ.-თვის, თბილისის უნივერსიტეტის შრომები, №1 (138), გვ. 51-63.
- ლორთქიფანიძე ოთ. 1972:** ლორთქიფანიძე ოთ. ვანის ნაქალაქარი, ვანი I, თბ., გვ. 7-42.
- ლორთქიფანიძე ოთ. 1977:** ლორთქიფანიძე ოთ. ვანის ნაქალაქარი (გათხრები. ისტორია. პრობლემები), კრებ. ვანი, III ტ., თბ., გვ. 13-27. 54.
- ლორთქიფანიძე ოთ. 2002:** ლორთქიფანიძე ოთ. ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან, თბ. გვ. 124-183.
- მაისაია, შანშიაშვილი, რუსიშვილი 2005:** მაისაია ი., შანშიაშვილი თ., რუსიშვილი ნ., კოლხეთის აგრარული კულტურა, თბ.
- მამულია 1979:** მამულია გ. კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბება ძველ ქართლში, თბ.
- მახარაძე 1991:** მახარაძე გ., „საბადურის“ გორის სტრატეგრაფია და საირხის ნაქალაქარის ისტორიის ძირითადი ეტაპები, თბ.

- მახარაძე 1997:** მახარაძე გ., ლომთაძე გ., კოლხური კულტურის გავრცელება ყვირილის ხეობაში, საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ნარკვევები, II, თბ., გვ.21-29.
- მახარაძე 2000:** მახარაძე გ. საირხის ნაქალაქარის ისტორიის მნიშვნელოვანი ეტაპი, არქეოლოგიური ჟურნალი, I, თბ., გვ.43-66.
- მელიქიშვილი 1955:** მელიქიშვილი გ. საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხისათვის, საქ. მეცნ. აკად. გამომც. თბ.
- მელიქიშვილი 1965:** მელიქიშვილი გ. საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბ.
- მელიქიშვილი 1970:** მელიქიშვილი გ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის უძველესი გაერთიანებები, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.1., თბ. გვ.
- მიქელაძე და სხვ. 1972:** მიქელაძე თ., ბარამიძე მ., კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის საველე კვლევა-ძიება 1971 წელს. საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1971 წელს, თბ., 33-35.
- მიქელაძე და სხვ. 1974:** მიქელაძე თ., ფხაკაძე გ., ბარამიძე მ., ლორთქიფანიძე გ., მუსხელიშვილი დ., ხახუტაიშვილი დ., კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის კვლევა-ძიების შედეგები. საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1973 წ., თბ., გვ. 33-35.
- მიქელაძე 1974:** მიქელაძე თ. ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან. თბ.
- მიქელაძე 1978:** მიქელაძე თ. არქეოლოგიური კვლევა-ძიება რიონის ქვემო წელზე. კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები, I, თბ.
- მუსხელიშვილი 1977:** მუსხელიშვილი დ. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I, თბ., გვ. 32-62.
- მუსხელიშვილი და სხვ. 2010:** მუსხელიშვილი დ., ჯიბლაძე ლ., პაპუაშვილი რ., პაპუაშვილი ნ. ანაკლია II, თბ.
- ნადირაძე 1975:** ნადირაძე ჯ. ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, თბ.
- ნადირაძე 1990:** ნადირაძე ჯ. საირხე, საქართველოს უძველესი ქალაქი, თბ.
- ნიორაძე 1941:** ნიორაძე გ., არქეოლოგიური გათხრები კოლხიდაში, ენიშკის მოამბე, X, თბ.
- პაპუაშვილი 1987:** პაპუაშვილი რ., არქეოლოგიური გათხრები და დაზვერვები კოლხეთის დაბლობზე (1983-1986), ძეგლის მეგობარი, №4, თბ., გვ. 52-54.
- პაპუაშვილი 1998:** პაპუაშვილი რ. კოლხური კოლექტიური სამარხების შედარებითი ქრონოლოგია იარაღის მიხედვით, თბ.
- პაპუაშვილი და სხვ. 2005:** პაპუაშვილი რ., პაპუაშვილი ნ., კოლხეთის ძველი ნამოსახლარები. ერგეტა, თბ. გვ. 51-56.
- პაპუაშვილი და სხვ. 2014:** პაპუაშვილი რ., პაპუაშვილი იოს. შავიზღვის პალეორეჟიმი და მისი გავლენა კოლხეთის დაბლობის დასახლებებზე (ძვ.წ. III-I ათასწლეული), თბ.
- პაპუაშვილი 2017:** პაპუაშვილი რ. ზუგდიდის არქეოლოგიისათვის, თბ.
- პლუტარქე 1957:** პლუტარქე, პარალელური ბიოგრაფიები (თარგმნა აკ. ურუშაძემ), თბ.
- რამიშვილი 1974:** რამიშვილი ალ., კოლხეთის მატერი-ალური კულტურის ისტორიიდან, ბათუმი.
- რამიშვილი 2003:** რამიშვილი ალ., გრავირებულ კოლხურ ცულებიანი სამარხი სოფ. ნაცარგორიდან, აკც-ს ჟურ. ძიებანი, №12, თბ., გვ.41-48.
- რუხაძე 1960:** რუხაძე ჯ. ლომის კულტურა დასავლეთ საქართველოში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XI, თბ., გვ. 75-91.
- სადრაძე და სხვ. 2018:** სადრაძე ვ., ხოხობაშვილი თ., ლლიღვაშვილი ე. შიდა ქართლის გვიანბრინჯაორკინის ფართო ათვისების ხანის ნამოსახლარების კულტურა, თბ.
- სადრაძე და სხვ. 1996:** სადრაძე ვ., ძნელაძე მ., დავლიანიძე რ., მურვანიძე ბ., ჭანიშვილი თ., მგელაძე ნ., არქეოლოგიური კვლევა-ძიება გურიაში, 1991-94 წწ., კრებ. გურია I, თბ., გვ. 31-44.
- სანიკიძე 1956:** სანიკიძე ლ. პონტოს სამეფო, თბ.
- საქართველო და ქართველების ... 1993:** საქართველო და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია (რედ. გ. პაიჭაძე), თბ.
- სინ 1970:** საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I ტ., თბ.
- სულგულაძე 1951:** სულგულაძე ივ. სახელმწიფოს წარმოშობა საქართველოში, თბ.
- ურუშაძე 1964:** ურუშაძე აკ. ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, თბ.
- ფანცხავა 1988:** ფანცხავა ლ. კოლხური კულტურის მხატვრული ხელოსნობის ძეგლები, თბ.
- ფიცხელაური 2013:** ფიცხელაური კ. სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიის ეთნოკულტურული სისტემა ბრინჯაო-რკინის ხანაში, თბ.
- ფლავიუს არიანე 1961:** ფლავიუს არიანე, მოგზაურობა შავიზღვის გარშემო (ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა ნ. კეჭალმაძემ), თბ.
- ფხაკაძე 1978:** ფხაკაძე გ. მასალები აბედათის დიხაკუძუბადან, მსკა, VI, თბ., გვ. 138-140.
- ქავთარაძე 2006:** ქავთარაძე გ. საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარების საკითხები (ადრეული ხანიდან), - კავკასიოლოგიური სერია, II, თბ., გვ. 3-45.
- ქ.ც. 1955:** ქართლის ცხოვრება (გამოსცა ს. ყაუხჩიშვილმა), I ტ., თბ.
- ქართული სახელმწიფოებრიობის სათავეებთან 2001:** კრებ. თბ.
- ქორიძე 1958:** ქორიძე დ. თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, II, თბ.
- ქორიძე 1965:** ქორიძე დ. კოლხური კულტურის ისტორიისათვის, თბ.
- ყაუხჩიშვილი 1957:** ყაუხჩიშვილი თ. სტრაბონის გეოგრაფია, თბ., 55.
- ყაუხჩიშვილი 1959:** ყაუხჩიშვილი თ. აპიანე, თბ.
- ყაუხჩიშვილი 1965:** ყაუხჩიშვილი თ. შიპოკრატეს ცნობები საქართველოს შესახებ, თბ.
- ყაუხჩიშვილი 1967:** ყაუხჩიშვილი თ. ბერძენი მწერლების ცნობები..., თბ.
- ყაუხჩიშვილი 1969:** ყაუხჩიშვილი თ. ჰერაკლიდე და

- მისი ცნობები საქართველოს შესახებ, კრებ. აღ-
მოსავლური ფილოლოგია, I, თბ., გვ. 186-190.
- ყაუხჩიშვილი 1987:** ყაუხჩიშვილი თ. ვანის ახლად აღ-
მოჩენილი ბერძნული წარწერა, კრებ. ქართული
წყაროთმცოდნეობა, VII, თბ., გვ. 131-143.
- ყაუხჩიშვილი 2000:** ყაუხჩიშვილი თ. საქართველოს
ბერძნული წარწერების კორპუსი, I, II, III, თბ.
- ყორანაშვილი 1975:** ყორანაშვილი გ. გეოგრაფიული
გარემო საზ. განვითარებაში, თბ.
- ყორანაშვილი 1994:** ყორანაშვილი გ. საქართველოს
ისტორიის საკითხები (ნაწ. I), თბ.
- ყორანაშვილი 2000:** ყორანაშვილი გ. საქართველოში
სახელმწიფოს წარმოშობის საკითხი, თბ.
- ჩავლეიშვილი 1987:** ჩავლეიშვილი ირ. არქეოლოგიური
გათხრები ფიჭვნარის უძველეს ნამოსახლარზე 1983
წ., სდსძ, XVI, თბ.
- ჩავლეიშვილი 1991:** ჩავლეიშვილი ირ., კოლხური ბრინ-
ჯაოს სანარმოო კერა ჩოლოქ-ოჩხამურის ხერთვის-
ში, სდსძ, XIX, თბ.
- ჩავლეიშვილი 1999:** ჩავლეიშვილი ირ., გვიანბრინჯაო-
ადრერკინის ხანის ნამოსახლარები სამხრეთ-დასავ-
ლეთ საქართველოდან, ავტორეფერატი ისტ. მეცნ.
კანდ. სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ.
- ჩიქოვანი 1999:** ჩიქოვანი თ., ჯარგვლური სამშენებლო
ტიპის კავკასიური არეალი, აკც-ს ძიებანი, №3, თბ.,
გვ. 21-25.
- ძვ. ქართული აგიოგრაფიული... 1963:** ძველი ქარ-
თული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I
ნიგნი, თბ.
- ძველაია 1973:** ძველაია მ. კოლხეთის დაბლობი, თბ.
- ძიძიგური 1994:** ძიძიგური ლ. ძველი კოლხეთის
სამეურნეო კულტურა, თბ.
- ნერეთელი გ. 1943:** ნერეთელი გ. არმაზის ბილინგვა,
ენიკის მოამბე, №13, თბ., გვ. 1-83.
- ჭყონია 1981:** ჭყონია ან. ვანის ნაქალაქარის ოქროს
სამკაულეები, კრებ. ვანი VI, თბ.
- ხახუტაიშვილი 1995:** ხახუტაიშვილი დ., ქობულეთის
ქვეყანა, თბ.
- ხახუტაიშვილი ნ. 1986:** ხახუტაიშვილი ნ., სამხრეთ-
დასავლეთ საქართველო ადრერკინის ხანაში, სდსძ,
XV, თბ.
- ხიდაშელი 2009:** ხიდაშელი მ. გვიანბრინჯაო-ადრერკი-
ნის ხანის გორასაცხოვრისები, ისტორიისა და ეთ-
ნოლოგიის ინსტიტუტის შრომები, IX, თბ. გვ. 24-28.
- ჯავახიშვილი 1960:** ჯავახიშვილი ივ. ქართველი ერის
ისტორია, I ტ.
- ჯანაშია 1952:** ჯანაშია ს. შრომები, II ტ., თბ.
- ჯანაშია 1952ა:** ჯანაშია ს. ქართული სახელმწიფოე-
ბრიობის გენეზისის ისტორიიდან, შრომები, ტ. II,
თბ., გვ. 19-20.
- ჯანაშია 1959:** ჯანაშია ს. შრომები, III ტ., თბ.
- ჯაფარიძე ოთ. 1950:** ჯაფარიძე ოთ. კოლხური ცული.
სსმმ. XVI. თბ., გვ. 35-89.
- ჯაფარიძე ოთ. 2012:** ჯაფარიძე ოთ. საქართველოს არ-
ქეოლოგიის ძირითადი საკითხები (სტატიები, წერ-
ილები), თსუ-ს გამომც., თბ., გვ. 248-284.
- ჯაფარიძე 1977:** ჯაფარიძე ვ. ძველი ვარდციხე — ვარ-
დიგორა, ჟურ. *ძველის მგობარი*, № 46, გვ. 43-50.
- ჯიბლაძე 2007:** ჯიბლაძე ლ. კოლხეთის დაბლობის ძვ.წ.
- III- I ათასწლეულების ნამოსახლარები, თბ.
- ჯიბლაძე 1997:** ჯიბლაძე ლ., კოლხეთის დაბლობის
ბრინჯაოს ხანის ნამოსახლართა სტრატეგრაფია,
ქრონოლოგია და პერიოდიზაცია (ფიჩორის ნა-
მოსახლარის ცენტრალური ბორცვის მიხედვით),
თბ.
- ჯიბლაძე 2010:** ჯიბლაძე ლ. სახლის თიხის მოდელი
ნაოხვამუდან და ძველკოლხურ ნაგებობათა სის-
ტემა, ჟურ. *იბერია-კოლხეთი*, №6, თბ., გვ. 117-124.
- Бокль 1906:** Бокль Генри Т. История цивилизации в Ан-
глии, СПб.
- Барамидзе и др. 1980:** Барамидзе М., Пхакадзе Г., Квирк-
велия Г., Чигოшвили Т., Орджоникидзе А., Гунба Л.,
Археологические исследования в Абхазии. сб. ПАИ в
1977 г. Тб., с. 113-124.
- Барамидзе и др. 1987:** Барамидзе М., Чигошвили Т., Пха-
кадзе Г., Джибладзе Л., Махарадзе З., Шеразадишвили
Б., Датунашвили Т., Работы археологических экспеди-
ции Абхазии. сб. ПАИ в 1984-1985 гг., Тб., 45-50.
- Барамидзе и др. 1982:** Барамидзе М., Пхакадзе Г., Бжания
В., Шамба Г., Чигошвили Т., Квициния В., Хубутия Г.,
Отчет археологических экспедиции Абхазии. сб. ПАИ
в 1979, Тб., 67-69.
- Бжания 1966:** Бжания В., Мачарское поселение энеолита и
бронзы в Абхазии, СА №1, Мос., с. 113-124.
- Бжания и др. 1987:** Бжания В., Габелия А., Амиров Ш.,
Раскопки поселения Кистрик. АО Абхазии в 1983 г. Тб.
14.
- Васильев 1981:** Васильев Л. Протогосударство – Чифдом
как политическая структура, жур. Народы Азии и Аф-
рики, №6., Мос. сс. 157-175.
- Витрувий 1936:** Витрувий, Десять книг об архитектуре
(перевод Ф.А. Петровского), Мос.
- Деген-Ковалевский 1935:** Деген-Ковалевский Б., К исто-
рии железного производства Закавказья, ИГАИМК,
#120, Мос.-Лен., 230-311.
- Джавахишвили 1905:** Джавахишвили И. Государственный
строй древней Грузии и древней Армении, СПб.
- Джапаридзе и др. 1979:** Джапаридзе В., Берадзе Т., Джи-
кия Л., Об археологических разведках и раскопах в
зоне строительства Вардцхской ГЭС. сб. ПАИ в 1976
г., Тб., с. 25.
- Еллинек 1903:** Еллинек Георг, Общее учение о государ-
стве, СПб.
- Козенкова 1989:** Козенкова В. Кобанская культура (Запад-
ный вариант), Археология. . . , Свод археологических
источников. Вып. 2- 5., Мос.
- Куфтин 1949:** Куфтин Б. Материалы к археологии Колхи-
ды, I., Тб.
- Куфтин 1950:** Куфтин Б. Материалы к археологии Колхи-
ды, II., Тб.
- Латышев 1904:** Латышев В. Известия древних писателей о
Скифии и Кавказе. - Записки классического отделения
императорского русского археологического общества,
т. II, вып. I, С.-Петербург.
- Меликишвили 1960:** Меликишвили Г. Урартские клиноо-
бразные надписи. Мос.
- Мечников 2013:** Мечников Л. Цивилизация и великие
исторические реки, Мос.


- Микеладзе и др. 1976:** Микеладзе Т., Барамидзе М., Инашвили А., Хахутаишвили Д., Мухелишвили Д., Исследования Колхидской археологической экспедиции. сб. ПАИ в 1974 г., Тб., 31-35.
- Микеладзе и др. 1980:** Микеладзе Т., Мухелишвили Д., Хахутаишвили Д., Итоги полевых исследований Колхидской археологической экспедиции. сб. ПАИ в 1977 г., Тб., с.21-25.
- Микеладзе, Хахутаишвили 1985:** Микеладзе Т., Хахутаишвили Д., Древне Колхидское поселение Намчедури, Тб.
- Микеладзе и др. 1987:** Микеладзе Т., Папуашвили Р., Чубинишвили Н., О работах Колхидской археологической экспедиции. сб. ПАИ в 1984-1985 гг., Тб., 31-35.
- Микеладзе, 1990:** Микеладзе Т., К археологии Колхиды (эпоха средней и поздней бронзы-раннего железа), Тб.
- Панцхава, Сулава, Папуашвили 2003:** Панцхава Л., Сулава Н., Папуашвили Р., Колхидская, кобанская или колхидско-кобанская? сб. Кавказоведение, #4, 102-117.
- Поздняков 1995:** Поздняков Э. Государство/ природа и происхождение. кн. Философия государства и права, Мос. сс. 23-89.
- Ратцель 1897:** Ратцель Ф. Политическая география, СПб.
- Соловьев 1939:** Соловьев Л. Энеолитические селище у Очамчирского порта в Абхазии. Материалы по истории Абхазии. Сб первый, вып. IV, Сухуми.
- Техов 1985:** Техов Б. Глийский могильник (комплексы второй половины VII в. до н.э.), III, Тб.
- Хахутаишвили 1987:** Хахутаишвили Д. Производства железа в Древней Колхиде, Тб.
- Andinelli 1961:** Bandinelli R. Archeologia e culture, Milan
- Braund 1994:** Braund D. Georgia in Antiquity (A History of Colchis and Transcaucasian Iberia, 550 BC-562 AD), Clarendon Press, Oxford.
- Carneiro 1970:** Carneiro R.L., A Theory of the Origin of the State, - jour. Science, v. 169.
- Ciceronis 1911:** Ciceronis M Tullii, De imperio en Pompeisive pro LegaManile, oratioadQuirites (ed. A. Gofman), Part I, S.-Peterburg.
- Claessen, Skalnik 1978:** Claessen H. J. M., Skalnik P. Beginning and End of the Early State, - The Early State. New Babylon, Studies in the Social Sciences 32. Mouton Publishers, The Hague, Paris, New York.
- Huntington 1925:** Huntington E. Civilization and climate. Oxford University Press.
- Huntington 1945:** Huntington E. Mainsprings of Civilization, New York.
- Jankins 1959:** Jankins A. Recent Acquisitions of Greck Coins by the British Museum, The Numismatic chronicle, London, pp. 32-37.
- Lordkipanidze 2001:** Lordkipanidze Ot. The Golden Fleece: myth, euhemeristic explanation and archaeology, Oxford Journal of Archaeology, 20, Oxford, pp. 2-37.
- Markhem 1942:** Markhem S. Climate and energy of Nations. Oxford University Press.
- Muhsin Mahd 1957:** Muhsin Mahd, IbnKhaldun's philosophy of history, London.
- Reinach 1890:** Reinach Th. Mitridate Eupator, roi de Pont, Paris.
- Reinhold 2007:** Reinhold S. Die Spätbronze und früheisenzeitim Kaukasus: MaterielleKultur, Chronologie und überregionaleBeziehungen.
- Service 1975:** Service Elman R. Origins of the State and Civilization (The Process of Cultural Evolution), W.W.Norton & Company, INC, New York.
- The loeb classical library 1957:** The loeb classical library, London.
- Vallet 1973:** Vallet G. La Colonisation Grecque en occident, XIII "Mejdunarodni kongress istoricheskix nauk", I vol, III part, M., pp. 53-72.
- Wittfogel 1957:** Wittfogel K. Oriental despotism (A comparative study of total power) Yale University Press, New Haven.

ილუსტრაციების აღწერილობა:

- I** - გვიანბრინჯაო-ადრერკინის პერიოდის არქეოლოგიური ძეგლების რუკა.
- II – III** - "კოლხური ბრინჯაოს კულტურის" ძირითადი არტეფაქტების ზოგადი ტაბულები.
- IV** - გვიანბრინჯაო-ადრერკინის პერიოდის არქეოლოგიური ძეგლების რუკა არქეოლოგ ლ. ჯიბლაძის მიხედვით.
- V – 1)** კოლხეთის დაბლობის სამოსახლოების რეკონსტრუქცია არქიტექტორ გ. ლეჟავას მიხედვით. **2)** მთაგორიანი კოლხეთის სამოსახლოები.

I

G. Gamkrelidze







გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის არქეოლოგიური ძეგლები:

1. ნამარნუ; 2. ძიგური; 3. ნოსირი; 4. წყეში; 5. სირიაჩქონის ოხოჯე; 6. ნანდეკე;
7. საგვიჩიო; 8. ნაღმიპიჯი; 9. ჭალადიდი (ზურგა, საბაეო, ჩხარი); 10. ჭოლა I, II;
11. ოჩხომური; 12. ბეთლები; 13. ეკი; 14. ხორში-ლომურა; 15. გურიფული;
16. ნაოხეამუ (რეკა); 17. ქვალონის დიხა-გუძუბა; 18. გეჯეთი; 19. ნოქო; 20. საკირე;
21. სენაკთან; 22. ბატნაოხურე; 23. ყულევი I; 24. ყულევი II; 25. ფიჩორისპირა ბორცვები; 26. ცივა; 27. ურეკი; 28. ანკლია; 29. ერგეტა; 30. ჭოპოლა; 31. მუხურჩა;
32. ნიგვიანი; 33. სიმბარე (სოფ. საქორქიო); 34. ზურგა (სოფ. ჭალადიდი); 35. ყულევი;
36. ნამარნუ; 37. საგვიჩიო.


II

G. Gamkrelidze




III


G. Gamkrelidze



IV

კოლხეთის ბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარების არქეოლოგიური რუკა ლ. ჯიბლაძის მიხედვით





1

კოლხეთის დაბლობის სამოსახლოები
(გ.ლეჟავას მიხედვით)



2

მთიანი კოლხეთის სამოსახლო

ზემო იმერეთის შუა საუკუნეების ციხეები - ნარსულის რეკონსტრუქცია

ზემო იმერეთში არქეოლოგიურად რამდენიმე ციხეა შესწავლილი. თუმცა, მათი არქეოლოგიური კვლევა უკავშირდებოდა არა თვით ამ ციხეების სამშენებლო დონეებისა და არქიტექტურული ნიუანსების დადგენის მცდელობას, არამედ იმ ბორცვებისა და შემალლებული ადგილების არქეოლოგიური ვითარების გარკვევას, რომლებზედაც ეს ციხეებია აშენებული. თითქმის ყველა ციხის ფერდობის//ფერდობების სტრატეგრაფიამ დაახლოებით ერთნაირი სურათი მოგვცა. დადგინდა, რომ ადგილები, სადაც შუა საუკუნეებში ციხე-სიმაგრეები შენდებოდა, გაცილებით ადრეა ათვისებული და თითოეულ მათგანს აქვს მინიმუმ ორიათასწლოვანი ისტორია. ამ ვითარებას პირველად ჯ.ნადირაძემ მიაქცია ყურადღება და გამოთქვა მოსაზრება, რომ შუა საუკუნეების ციხეები არ იგებოდა უკაცრიელ ადგილებზე [ნადირაძე 1990: 136].

ჩემი მხრიდან დავამატებ, რომ ამ ადგილების შედარებითმა ანალიზმა აჩვენა, რომ საუკუნეების მანძილზე არსებობდა ჩამოყალიბებული კანონზომიერება, რომელიც არ დარღვეულა ჩვენთვის ცნობილი არც ერთი ციხის შემთხვევაში. კანონზომიერება კი მდგომარეობს შემდეგში - შუა საუკუნეების ციხის ასაგებად ადგილის შერჩევა არ ხდება შემთხვევით და მხოლოდ ვისიმე (ამ შემთხვევაში ხელისუფლის თუ ცალკეული ფეოდალის) ნების საფუძველზე, არამედ ეს წესი ემორჩილება საერთო პრინციპს. ამ საერთო წესის ამოსავალს განსაზღვრავს რამდენიმე გარემოება. კერძოდ, ციხე უნდა აიგოს ძნელად მისადგომ ადგილას, უნდა აკონტროლებდეს რაც შეიძლება დიდ არეალს, უნდა აკონტროლებდეს სავაჭრო გზებს და ჰკეტავდეს ხეობას, უღელტეხილს ან სტრატეგიულ მაგისტრალს. რა თქმა უნდა, არაფერი გასაკვირი და მით უმეტეს სიახლე ამ ნათქვამში არ არის, რადგან შუა საუკუნეების საქართველოს უკლებლივ ყველა ციხე სწორედ ამ სტრატეგიული ნიშან-თვისებების გათვალისწინებით არის აშენებული. მაშ, რაში მდგომარეობს სიახლე? საქმე ისაა, რომ

ზემო იმერეთის ციხეების მაგალითზე შეიძლება ვიმსჯელოთ დასახლების ტრადიციების უწყვეტობისა და პერმანენტულობის შესახებ. ნ.ბერძენიშვილი აღნიშნავდა, რომ თავდაპირველი დასახლებები წარმოადგენდა გორაებს, რომლებზეც მოგვიანებით ციხეები აიგო და შემდეგ უფრო ფართო დასახლებებიც გაჩნდა [ბერძენიშვილი 1990: 234]. თუმცა, შუა საუკუნეებში ციხე ყოველთვის არ მოიცავდა დასახლებულ ტერიტორიას და ამის მკაფიო დასტური სწორედ ზემო იმერეთის ციხეებია, სადაც ჯერ-ჯერობით განვითარებული ან გვიანი შუა საუკუნეების ციხეებთან, ან მის სიახლოვეს სინქრონული დასახლების აღმოჩენის არც ერთი შემთხვევა არ დადასტურებულა¹. რა თქმა უნდა, აქ მხედველობაში არ არის მისაღები შუა საუკუნეების არქეოლოგიური მასალის გამოვლენა შიდა ციხეების ტერიტორიაზე, რადგან ეს მასალა საკუთრივ ციხეებს უკავშირდება და არა სხვა რომელიმე დასახლებას.

ზემო იმერეთის ციხეებიდან ყველაზე ადრეული არქეოლოგიური ფენები დაფიქსირებულია მოდინახეზე და წარმოდგენილია მტკვარ-არაქსის კულტურის ფინალური ეტაპის ნამოსახლარით. ნამოსახლარი მოიცავს საკმაოდ ვრცელ ტერტორიას, დაახლოებით 700 მ². [ნადირაძე 1975: 4-16]. შემდგომი ეტაპი მოიცავს ადრე და შუა ბრინჯაოს ეპოქების მიჯნას. ამ პერიოდში ინტერესს იწვევს ბედენური კულტურისთვის დამახასიათებელი შავპრიალა კერამიკის აღმოჩენის ფაქტი [ლომთაძე 1997: 3-10]. ამ დროიდან მოყოლებული მთელი შუა ბრინჯაოს ხანის განმავლობაში მოდინახე გვევლინება ვრცელ სამაროვნად, სადაც მიკვლეულია შუა ბრინჯაოს ხანის მინურულის (ძვ.წ. XVI—XV სს-ის) სამარხები [ლომთაძე 2000: 5-17]. ცალკე აღნიშვნის ღირსია ის რეალობა, რომ ბრინჯაოს სამაროვნის შემდეგ სწორედ მოდინახე

1 ამ მხრივ ერთად-ერთი გამონაკლისია სვერის ციხის სამხრეთ ფერდობზე 2017 წ. გამოვლენილი გვიანდელი შუა საუკუნეების ფენა, თუმცა, ჯერ კიდევ გასარკვევია, ფენა in situ-ა წარმოქმნილი, თუ შიდა ციხიდან ჩარეცხვის შედეგად.

იყო შუა ბრინჯაოს ხანის მეორე სამაროვანი, რომელიც გაითხარა დასავლეთ საქართველოში და თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ამ ეპოქის სხვა სამარხეული კომპლექსები დასავლეთ საქართველოში ამ დროისთვის მიკვლეული არ არის, მოდინახეს აღმოჩენების მნიშვნელობა ფასდაუდებელია (ძვ.წ. II ათასწლეულის ისტორიისა და კულტურის შესწავლის თვალსაზრისით [ლომთაძე 2002: 5-15]. შუა ბრინჯაოს ეპოქის სამარხების გარდა მოდინახეზე წარმოდგენილია შუადან გვიან ბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი ეტაპისა (ძვ.წ. XIV ს-ის) და გვიან ბრინჯაოს ხანის (ძვ.წ. XIII-XI სს-ის) სამარხებიც [ლომთაძე 2004: 48-72]. ბრინჯაოს ხანის ტრადიციები გრძელდება მომდევნო ეპოქაშიც, რომელიც მოდინახეზე წარმოდგენილია გვიან ბრინჯაო—ადრე რკინის ხანის ნამოსახლარისა [ნადირაძე 1975: 20] და ძვ.წ. VII-VI სს-ის სამაროვნის სახით [მახარაძე, ლომთაძე 2000: 34-42]. აქ კარგად ჩანს რკინის ფართო თავისების პერიოდისთვის დამახასიათებელი ტენდენციები და ის თავისებურებები, რაც ხსენებულმა ეპოქამ მოიტანა საქართველოში. აღნიშნული ეტაპი გამოირჩევა კოლხური კულტურის მომძლავრებით, რაც კარგად არის ასახული არქეოლოგიურ მონაპოვარში, სადაც გვხვდება კოლხური კულტურისთვის დამახასიათებელი ზოომორფული და კანელურებიანი კერამიკა, ყურმილიანი დოქები, პირმოყრილი ჯამები, კოლხური სასმისები და სხვ. კლასიკური ხანა, ძვ.წ. V—IV საუკუნეები, მოდინახეზე წარმოდგენილია სამაროვნის სახით [მახარაძე, წერეთელი 2000: 60-72]. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მოდინახე იყო ერთ-ერთი პირველი არქეოლოგიური ძეგლი დასავლეთ საქართველოში, სადაც გამოვლინდა ატიკური იმპორტი [ნადირაძე 1975: 11]. მოდინახეს დასახლების შემდგომი აღმავლობის პერიოდი ემთხვევა ანტიკური და შუა საუკუნეების ეპოქების მიჯნას. აქ შესწავლილია გვიან ანტიკურ-ადრეული შუა საუკუნეების 80 სამარხი. სამარხები მოიცავს ოთხ ქრონოლოგიურ მოიცავს ჯგუფს: IV საუკუნის პირველი ნახევარი; IV საუკუნის მეორე ნახევარი—V საუკუნის მინჯა; V-VI საუკუნეები და VII საუკუნე [კაპანაძე 2006: 62-78]. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მოდინახეს გვიან ანტიკური ხანის სამარხებს გამორჩეული ადგილი უკავია ხსენებულ

ლი პერიოდის არქეოლოგიურ კომპლექსთა შორის. არმაზისხევის, სამთავროს, კლდეეთის, ურბნისისა და ერწოს შემდეგ სწორედ მოდინახეზე აღმოჩნდა ამ ეპოქის მდიდრული სამარხები, რომლებიც უხვად შეიცავს ოქრომჭედლობის, ტორევიტიკის, იარაღის, კერამიკის მაღალმხატვრულ ნიმუშებს. ასევე გვხვდება მუსიკალური ინსტრუმენტები, გვიან რომაული ხანის ოქროს მონეტები და ტანსაცმლის აქსესუარების მრავალფეროვანი ასორტიმენტი. მოდინახეს გვიან ანტიკური ხანის სამაროვანი ჯერ-ჯერობით ერთადერთი არქეოლოგიური ობიექტია, სადაც გამოვლენილია IV ს-ის დიადემა, კონსანტინე პირველისა და კონსტანციუს მეორის სოლიდები და ოქროთი შემკული სატევარი. სამარხთა საერთო ანალიზი გვაფიქრებინებს, რომ მასში დაკრძალული უნდა ყოფილიყვნენ საზოგადოების მნიშვნელოვანი ფენის, სამხედრო არისტოკრატის წარმომადგენლები, რომელთა უპირველეს ფუნქციას წარმოადგენდა ყვირილის ხეობის ზემო წელზე გამავალი სავაჭრო-სატრანზიტო მაგისტრალების დაცვა და უსაფრთხოება. მოდინახეს მნიშვნელობა ასევე საკმაოდ დიდია ადრე ქრისტიანული კულტურის გენეზისის კვლევის თვალსაზრისით. ადრეული შუა საუკუნეების სამარხებში აღმოჩენილია სხვადასხვა არტეფაქტები, რომლებიც ქრისტიანობის შემოსვლა-დამკვიდრებას უკავშირდება (საკიდეები ჯვრების გამოსახულებით, საკერებელი ტოლფერდა ჯვარი). VII ს-ის შუა ხანებისთვის მოდინახეზე სამარხები ქრება და ეს ვითარება დაკავშირებული უნდა ყოფილიყო არაბების შემოსევებთან [კაპანაძე 2006: 100]. თუმცა, ადრეული შუა საუკუნეების მიწურულს მოდინახეს სამხრეთ ფერდობზე დასახლება კვლავ აგრძელებს არსებობას [კაპანაძე 2014: 112]. ამრიგად, მოდინახეს სამხრეთ ფერდობზე წარმოდგენილია შემდეგი ეპოქების არქეოლოგიური ძეგლები:

1. ძვ.წ. III—II ათასწლეულების მიჯნის სამაროვანი
2. შუა ბრინჯაოს ხანის სამაროვანი
3. გვიანი ბრინჯაოს ხანის სამაროვანი
4. ადრე რკინის ხანის სამაროვანი
5. ადრეანტიკურ-ელინისტური ხანის სამაროვანი
6. გვიან ანტიკური ხანის სამაროვანი
7. ადრე შუა საუკუნეების ხანის სამარო-

ვანი

8. ადრე ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარი

9. გვიან ბრინჯაო-ადრე რკინის ხანის ნამოსახლარი

10. ადრე შუა საუკუნეების ნამოსახლარი

როგორც ვხედავთ, XVIII ს.-ში მოდინახეს ციხე შენდება სწორედ იმ ადგილას, რომელსაც აქვს საკმაოდ მდიდარი წარსული და თითქმის სამიათასწლოვანი ისტორია.

ზემო იმერეთის მნიშვნელოვანი საფორტიფიკაციო ნაგებობაა სვერის ციხე, რომელიც მდებარეობს ჭიათურის მუნიციპალიტეტში, ჭიათურის სამხრეთ-აღმოსავლეთით 15 კმ-ზე, სვერისხევის მარცხენა ნაპირზე. ციხე კირქვის მასივზეა აშენებული და აგებული უნდა იყოს VII-VIII საუკუნეებში. ვახუშტი ბაგრატიონის გადმოცემით, ციხის აგება მურვან-ყრუს საქართველოში ლაშქრობების პერიოდს უკავშირდება: "თქმულ არს ჟამსა ყრუსასა დადგა არგვეთს ციხე სუერი" [ქართლის ცხოვრება 1975: 361]. ციხე ასევე მოიხსენიება თურქ-სელჩუკთა საქართველოში 1068 წლის შემოსევების დროს. ამ მოვლენის შესახებ „მატიანე ქართლისა“ გადმოგვცემს. სელჩუკებმა არგვეთში შეაღწიეს და „არბიეს იგი ვიდრე სუერის ციხემდე“ [ქართლის ცხოვრება 1955: 309]. XX საუკუნის 70-იან წლებში აკად. შ.ამირანაშვილის სახ. ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ციხის სამხრეთ ფერდობზე ჩაატარა მცირე მასშტაბის სადაზვერვო სამუშაოები და გამოავლინა ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის არქეოლოგიური ფენები. ამ მონაპოვრს საკუთარ მონოგრაფიაში მოკრძალებული ადგილი დაუთმო ჯ.ნადირაძემ [ნადირაძე 1990: 129-130]. 2017-2018 წლებში ციხის სამხრეთ და აღმოსავლეთ ფერდობებზე ჩატარდა არქეოლოგიური გათხრები, რის შედეგადაც დადგინდა აღნიშნული ტერიტორიის ისტორიის ცალკეული ეტაპები და გაირკვა, რომ ციხის აგებამდე ეს მიდამოები ინტენსიურად ყოფილა დასახლებული ძვ.წ. VIII საუკუნიდან [ბრაგვაძე 2018: 87-92]. კვლევის ამ ეტაპზე გამოყოფილია რამდენიმე ეტაპი, რომელიც წარმოდგენილია შემდეგი არქეოლოგიური კომპლექსებით: ძვ.წ. VIII-VII საუკუნეების ნამოსახლარი, ძვ.წ. VI-V საუკუნეების ნამოსახლარი, III-IV საუკუნეების ნამოსახლარი, IV საუკუნის სამარხები, V-VI

საუკუნეების ნამოსახლარი [ბრაგვაძე 2019: 122-126]. როგორც ვხედავთ, სვერის ციხის აგებასაც წინ უძღოდა დასახლების რამდენიმე საუკუნოვანი ტრადიცია.

წინსოფლის ციხე ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ წინსოფელში მდებარეობს და აქ ჯ.ნადირაძის ხელმძღვანელობით არქეოლოგიური გათხრები მიმდინარეობდა გასული საუკუნის 70-იან წლებში. ციხის სამხრეთ ფერდობზე მიკვლეულია ძვ.წ. VIII-VII საუკუნეების ნამოსახლარი [მახარაძე, ბერიკაშვილი 2002: 29-47], IV-V საუკუნეების სამაროვანი² და VI-VII საუკუნეების ნამოსახლარი [კაპანაძე 2008: 43-48]. წინსოფლის აგების კონკრეტული თარიღის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება, მაგრამ ზოგადი ისტორიული კონტექსტის გათვალისწინებით იგი გვიან შუა საუკუნეებში უნდა იყოს აშენებული ტრადიციულად ისტორიულ ადგილზე.

ამავე კანონზომიერებას ექვემდებარება ზემო იმერეთის კიდევ ერთი ციხე, რომელიც მდებარეობს საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ იცქისში. არქეოლოგიური გათხრები აქ ორ ეტაპად ჩატარდა; გასული საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს ჯ.ნადირაძის, ხოლო 2004 წელს გ. მახარაძის ხელმძღვანელობით. გაირკვა, რომ იმ გორაზე, სადაც აგებულია ციხე, ფიქსირდება ძვ.წ. VIII-VII საუკუნეების [მახარაძე, გაგოშიძე, ლომთაძე, ბერიკაშვილი, კაპანაძე 2006: 28-42] და ადრეული შუა საუკუნეების არქეოლოგიური ფენები [Kapanaдзе 2013: 224-234] და II-III საუკუნეების სამარხები [ჩიგოგიძე 1997: 75-78]. იცქისის ადრეული შუა საუკუნეების ნამოსახლარი VI-VII საუკუნეებს მიეკუთვნება, ამ ეპოქის ტიპური არქეოლოგიური მასალის გვერდით ამ ფენაში აღმოჩენილია უნიკალური ნივთი, თიხის საბეჭდავი წმინდა მხედრის გამოსახულებით [კაპანაძე 2012: 53-54].

ზემო იმერეთის ციხეების გარდა ანალოგიური სურათი დაფიქსირდა თერჯოლის მუნიციპალიტეტის ჩხარის ოქონის გორაზეც. ოქონის ციხე დღეს გეგმის დონეზეა შემორჩენილი, მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ ისიც განვითარებული შუა საუკუნეების ნაგებობაა³.

2 მასალა დაცულია ხელოვნების მუზეუმის არქეოლოგიურ ფონდში. იხ. ხ.სონღულაშვილი, წინსოფლის სამაროვანი (ხელნაწერი გადაცემულია დასაბეჭდად „არქეოლოგიური მაცნე“ №3)

3 1996 წელს ციხის აღმოსავლეთ ფერდობზე,

არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილია ძვ.წ. VIII-VII საუკუნეების არქეოლოგიური მასალა,⁴ II-III საუკუნეების სამაროვანი [ბრაგვაძე 1997] და ადრეული შუა საუკუნეების ნამოსახლარი.

როგორც მიმოხილული ციხეების სტრატოგრაფიული მონაცემებიდან ირკვევა, ყველა მათგანზე ფიქსირდება გაცილებით ადრეული პერიოდების არქეოლოგიური ფენები. თუმცა, ყველა მათგანს არ ახასიათებს ერთნაირი არქეოლოგიური კონტექსტი. ზოგ არქეოლოგიურ ობიექტზე ცხოვრება გაცილებით ადრე იწყება (მაგ. მოდინახე), ხოლო ზოგზე - შედარებით გვიან. მიუხედავად ამისა, ყველა ჩვენს მიერ შესწავლილ ციხის ბორცვს აერთიანებს საერთო ნიშანი. ყველა მათგანზე ფიქსირდება ძვ.წ. VIII-VII საუკუნეების ფენები, ადრეული შუა საუკუნეების ნამოსახლარი და გვიანი ანტიკური ხანის სამაროვანი. არქეოლოგიური მონაცემებით კარგად დასტურდება, რომ სწორედ ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებში ხდება ამ ბორცვების ათვისება კოლხური კულტურის ჯგუფების მიერ, ხოლო გვიან ანტიკურ ხანასა და ადრეულ შუა საუკუნეებში ეს ტერიტორიები აღმოსავლეთ საქართველოს (იბერია-ქართლის) გავლენის ზონაა. არ გამოვრიცხავ ანალოგიური ვითარება დადასტურდეს დასავლეთ საქართველოს სხვა ციხე-ბორცვების მაგალითზეც⁵.

უშუალოდ ციხის კედელთან გამოვლინდა ადრეული შუა საუკუნეების არქეოლოგიური მასალა, რომელიც დაცულია ჩხარის მინათმოქმედებისა და ხელოსნობის მუზეუმში. კედელს ჩაჭრილი ჰქონდა აღნიშნული ფენა.

4 ინახება ჩხარის მინათმოქმედებისა და ხელოსნობის მუზეუმში.

5 აღნიშნული ციხეების გარდა ზემო იმერეთში კიდევ რამდენიმე ციხეა ზედაპირულად თუ თხრილებით დაზვერილი (თოდაძის ციხე, ნიგოზეთი, ნავარძეთი, ხრეთი) და მათზეც თითქმის იდენტური სიტუაცია ფიქსირდება (ჯ. ნადირაძე, საირხე საქართველოს უძველესი ქალაქი. თბ.1990. იხ. თავი "საირხის ნაქალაქარის სინქრონული ძეგლები ყვირილის ხეობაში". აგრეთვე იხ. ზემო იმერეთის შუა საუკუნეების ციხეების განლაგების სქემა)

ლიტერატურა:

- ბერძენიშვილი 1990:** ბერძენიშვილი ნ. საქართველოს ისტორიის საკითხები. თბ.
- ბრაგვაძე 2019:** ბრაგვაძე ზ. 2018 წელს სვერის ციხეზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების ანგარიში. 2018 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების მოკლე ანგარიშების კრებული. თბ.
- ბრაგვაძე 2018:** ბრაგვაძე ზ. 2017 წელს სვერის ციხეზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების ანგარიში. 2017 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების მოკლე ანგარიშების კრებული. თბ.
- ბრაგვაძე 1997:** ბრაგვაძე ზ. ჩხარის სამაროვანი. თბ.
- კაპანაძე 2014:** კაპანაძე ნ. მოდინახეს შუა საუკუნეების ნამოსახლარი. არქეოლოგიური მაცნე I. თბ.
- კაპანაძე 2012:** კაპანაძე ნ. საბუქდავი წმინდა მხედრის გამოსახულებით იცქისიდან. ჰეროლდი №1. თბ.
- კაპანაძე 2008:** კაპანაძე ნ. წინსოფლის (ჯიეთის) ნამოსახლარი, ჟურ. იბერია-კოლხეთი. №4.
- კაპანაძე 2006:** კაპანაძე ნ. საჩხერის ადრეული შუა საუკუნეების სამაროვანი. არქეოლოგიური ჟურნალი IV. თბ.
- ლომთაძე 1997:** ლომთაძე გ. ახლად აღმოჩენილი სამარხი მოდინახედან. აკად. შ.ამირანაშვილის სახ. საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის „ნარკვევები“, III. თბ.
- ლომთაძე 2000:** ლომთაძე გ. მოდინახეს შუა ბრინჯაოს ხანის სამარხები. არქეოლოგიური ჟურნალი I. თბ.
- ლომთაძე 2002:** ლომთაძე გ. მოდინახეს შუა ბრინჯაოს ხანის სამარხები II. არქეოლოგიური ჟურნალი II. თბ.
- ლომთაძე 2004:** ლომთაძე გ. მოდინახეს გვიანი ბრინჯაოს ხანის სამარხები. არქეოლოგიური ჟურნალი III. თბ.
- მახარაძე, გაგოშიძე, ლომთაძე, ბერიკაშვილი, კაპანაძე 2005:** მახარაძე გ. გაგოშიძე გ. ლომთაძე გ. ბერიკაშვილი დ. კაპანაძე ნ. არქეოლოგიური გათხრები იცქისის ციხეზე. აკად. შ. ამირანაშვილის სახ. საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის „ნარკვევები“ X. თბ.
- მახარაძე, ბერიკაშვილი 2004:** მახარაძე გ. ბერიკაშვილი დ. აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს კულტურათა შეხვედრა ზემო იმერეთის ტერიტორიაზე. არქეოლოგიური ჟურნალი III. თბ.
- მახარაძე, ლომთაძე 2000:** მახარაძე გ. ლომთაძე გ. მოდინახეს წინარეანტიკური ხანის სამაროვანი. არქეოლოგიური ჟურნალი I. თბ.
- მახარაძე, ნერეთელი 2000:** მახარაძე გ. ნერეთელი მ. მოდინახეს ანტიკური ხანის სამარხები. არქეოლოგიური ჟურნალი I. თბ.

ნადირაძე 1990: ნადირაძე ჯ. საირხე საქართველოს უძველესი ქალაქი. თბ.


ნადირაძე 1975: ნადირაძე ჯ. ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები. თბ.

ქართლის ცხოვრება 1975: ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. თბ.

ქართლის ცხოვრება 1955: მათიანე ქართლისა. ქართლის ცხოვრება I. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. თბ.

ჩიგოგიძე 1997: ჩიგოგიძე ქ. იცქისის სამარხები. შ. ამირანაშვილის სახ. საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის „ნარკვევები“, III. თბ.

Kapanadze 2013: Kapanadze N. Itskisi Fortress. უურ. იბერია-კოლხეთი №9. თბ.



არქეოლოგიური არტიფაქტები და ეთნოგრაფიული რეალიები (ქირურგიული ინსტრუმენტების ისტორიისათვის საქართველოში)

ქირურგიული მკურნალობა კაცობრიობის უძველესი ისტორიიდან – ქვის ხანიდან არის ცნობილი. ჩრდილოეთ ერაყში, შანიდარის გამოქვაბულში 60-30 ათასი წლის წინანდელი ნეანდერტალელის ჩონჩხი აღმოჩნდა, რომელსაც მარცხენა ხელი ამპუტირებული ჰქონდა. ძვლის მომრგვალებული ფორმა ამ დასკვნის საშუალებას იძლეოდა [Низовский 2002:23-24]. საფრანგეთში, სოფ. ენსისხანთან, ქვის ხანის სამარხში 50 წლის მამაკაცის თავის ქალას ორი სწორი, მომრგვალებული ნახვრეტი ხელოვნურ ხასიათზე და ქირურგიულ ჩარევაზე მეტყველებდა. ტრეპანირებული თავის ქალები ცნობილია კავკასიაშიც ბრინჯაოს ხანაში – აზერბაიჯანისა და სომხეთის ტერიტორიაზე.

ეს მცირე ექსკურსი უძველეს ქირურგიულ მკურნალობაზე იმისთვის დაგვჭირდა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ტომებისთვისაც არ იყო უცნობი მკურნალობის ეს მეთოდი, რაზედაც რამდენიმე ტრეპანირებული თავის ქალა და ძვლოვანი მასალა მეტყველებს. ქირურგიული მკურნალობა სხვადასხვა მეთოდით სრულდებოდა: გაჭრა, გახეხვა, გაბურღვა... ბუნებრივია, ამ მანიპულაციებს შესაბამისი ინსტრუმენტი – იარაღი სჭირდებოდა. ჩვენი მიზანია არქეოლოგიურ მასალიდან შეძლებისდაგვარად წარმოვადგინოთ ის იარაღები, რომლებიც საჭირო იყო ან გამოდგებოდა ქირურგიული მკურნალობის დროს. თუმცა გარკვეული სიძნელები გვხვდება, რაც თავიდანვე უნდა აღინიშნოს. კერძოდ, ქირურგიული მკურნალობისთვის განკუთვნილი სპეციალური იარაღი ამ პერიოდში არ ჩანს. მათი გამოყოფა სამეურნეო, საბრძოლო და საყოფაცხოვრებო ხასიათის არტიფაქტებიდან რთულია და მხოლოდ ვარაუდების გამოთქმა შეიძლება. სამარხეული კომპლექსებიც არ იძლევა იმის საშუალებას, რომ დავაფიქსიროთ ის ნივთები, რომლებიც მხოლოდ სამკურნალოდ გამოიყენებოდა. ერთი რამ კი ცხადია, ქირურგიული მკურნალობისთვის გამოსადეგი იარაღი ძირითადად მამაკაცების სამარხებში ჩანს.

სამეცნიერო ლიტერატურაში ქართული მედიცინის ისტორიის მკვლევრები (მ. სააკაშვილი, ა. გელაშვილი, მ. შენგელია, რ. შენგელია და სხვ.) არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალის გამოყენებით ქირურგიული მკურნალობის შესახებ საინტერესო ინფორმაციას გვანვდიან. მაგრამ პირველად, საქართველოში არქეოლოგიური მასალის პალეოანთროპოლოგიური და სამედიცინო კუთხით კვლევა და მასთან დაკავშირებული სამედიცინო-ქირურგიული იარაღების შესწავლა ექიმ-დასტაქრისა და მეცნიერის პავლე ფირფილაშვილის სახელთანაა დაკავშირებული. სამარხეული ძვლოვანი მასალის რენტგენოპალეოპათოლოგიური კვლევის შედეგად, პ. ფირფილაშვილმა ტრეპანირებული თავის ქალები და ნამკურნალები „...რთული კომბინირებული ხასიათის დაზიანებები.. გამოავლინა“ [ფირფილაშვილი 1989: 29]. პ. ფირფილაშვილი, როგორც სპეციალისტი-ექიმი პროფესიონალურად უდგება და გამოჰყოფს არქეოლოგიურ მასალიდან იმ არტიფაქტებს, რომლებიც შესაძლებელი იყო გამოეყენებინათ ქირურგიული ჩარევის დროს. ამიტომ მისი ნაშრომები ერთგვარი გზამკვლევი იქნება ქირურგიული ინსტრუმენტების შესახებ ჩვენ მიერ წარმოდგენილი ინფორმაციისთვის, გავიხსენოთ პ. ფირფილაშვილის მიერ გამოვლენილი ტრეპანაციისა და ძვლოვანი დაზიანების შემთხვევები არქეოლოგიური მასალის მიხედვით.

სამთავროს სამაროვნის 1939 წელს გათხრილ ძვ.წ. X-IX სს. №96 და ძვ.წ. VII-VI სს. №35 სამარხების მიცვალებულების თავის ქალას რენტგენოლოგიური გამოკვლევების შედეგად და „... სხვა დაავადებებთან დიფერენციალური დიაგნოზის გზით...“ დადგინდა, რომ ჩატარებელია რთული ქირურგიული ოპერაცია – ტრეპანაცია [ფირფილაშვილი 1956: 4-11]. ტრეპანაციის შემთხვევა გარდა სამთავროსა, დადასტურდა აგრეთვე სოფ. სიონში, ადგილ „ფარეხებზე“ გვიანბრინჯაოს ხანის №7 სამარხში დაკრძალული 25-30 წლის ქალის თავის ქალაზე [მენაბდე, კილურაძე 1981: 67; ფირფილაშვილი 1989: 43],

ნარეკვავის სამაროვნის ძვ.წ. XI-IX სს. №14 სამარხში, შულავერში, ბორჯომში და სხვ. [ფირფილაშვილი 1989: 128-129]. გარდა ამისა, ძვლოვან მასალში გამოვლენილია ტრამვული დაზიანებები და მათზე ჩატარებული მკურნალობის შედეგები.

აღსანიშნავია, რომ ტრეპანაციის ხალხური ტრადიცია, მე-20 საუკუნის მეორე ნახევრამდე შემოინახა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ერთ-ერთმა კუთხემ – ხევსურეთმა. ამ ოპერაციისთვის ხევსური დასტაქარი იყენებდა მცირე ზომის დანას, დახურული ტრამვის დროს კანის გასაჭრელად და თვითნაკეთ ინსტრუმენტებს: ბორწკალს (პინცეტს) - იარიდან ჩამსხვრეული ძვლებისა და უცხო ნაწილაკების ამოსაღებად; ხვენს - თავმოკაუჭებულ რკინის ინსტრუმენტს, დაზიანებული ძვლების კიდეების დასაბლაგველად; შპატელის მსგავს ხის იარაღს – ხმალიკას, ბუნებრივი ინგრედიენტებიდან დამზადებული მალამოს ჭრილობაში შესატანად [მინდაძე 1981:24-31].

მსგავსი ინსტრუმენტები ჩანს ბრინჯაოსა და მომდევნო ხანის არქეოლოგიურ მასალაში. როგორც პ. ფირფილაშვილი აღნიშნავს, იმდროინდელ სამეურნეო თუ საბრძოლო იარაღებიდან გვხვდება ისეთი ნივთებიც, რომლებიც აუცილებლად იქნებოდა ოპერაციებთან დაკავშირებული. ასეთებია: დანა, პინცეტი, ლანცეტი, სამართებელი, ნემსი და სხვ.

ბუნებრივია, რომ სხვადასხვა სახის ჭრილობის დასამუშავებლად ერთ-ერთ აუცილებელ ქირურგიულ იარაღს – დანა წარმოადგენდა. დანა, არქეოლოგიული მასალის მიხედვით, საომარი თუ ყოფითი დანიშნულების ნივთი იყო. იგი ძირითადად გვხვდება მამაკაცის სამარხებში. დანები სხვადასხვა ფორმის, პროპორციების და ზომისაა. დიდი ზომის (სიგრძე დაახლ. 34 სმ და მეტი) რკინის დანები ოდნავ მოხრილი ზურგით, ცალპირლესული, ე.წ. მახაირა, ძირითადად, შეიარაღების ატრიბუტი იყო. თუმცა ანტიკური ტექსტების მიხედვით, ხშირად, ქირურგიული სკალპელის მნიშვნელობითაც მოიხსენიება [გამყრელიძე და სხვ. 2018: 84]. ასეთი მახაირები საქართველოს ძვ.წ. IV-III სს. ძეგლებზე ჩანს: აბულ-აბას №4, ითხვისის №2, ეშერას მეომარ-ქურუმისა და ტახტიძირის №8 სამარხებში [გამყრელიძე და სხვ. 2018: 85].

გვიანბრინჯაოს ხანაში საქართველოს ძეგლებზე ბრინჯაოს დანები არ დასტურდება. სამაგიეროდ ვხვდებით ე.წ. სამართებლის მსგავს ბრინჯაოს რამდენიმე ნივთს, რომელიც დანის მაგივრობას გასწევდა. ამ სამართებლებისთვის დამახასიათებელია თხელი, ენისებური ორპირლესული ბასრი პირი, გრძელი და წანვეტებული სახელური (ტაბ. I, 1,3,4). ამგვარი იარაღი აღმოჩნდა წეროვნის სამაროვნის ძვ.წ. XIV-XII სს-ით დათარიღებულ №49 სამარხში, სადაც მასთან ერთად მხოლოდ წკირისმაგვარი ნივთი დადასტურდა. გამთხრელის ვარაუდით, ამ საგნების მფლობელი დალაქისა და ქირურგის ფუნქციას ასრულებდა [Садрадзе 1991: 32, ტაბ. XXIX,4]. ქრონოლოგიურად დაშორებული, მაგრამ მსგავსი სამართებელი (შუაში მკრთალი ქედით) და ამგვარი ნივთის ჩამოსახსმელი ყალიბი (ტაბ. I, 1. 2) აღმოჩნდა ჩოლოქისპირა (დასავლეთი საქართველო) ნამოსახლარის IV კულტურულ ფენაში, რომელიც ძვ.წ. III-II ათასწლეულებით თარიღდება [ჯიბლაძე 2005: 96-97, სურ. 5, 17,18]. ასეთივე სამართებლები (ქედის გარეშე) ცნობილია ამავე ხანის ძეგლებზე: ეშერის IV დოლმენიდან, ჩრდილო კავკასიის ნოვოსვობოდნაიას დოლმენიდან [Куптин 1949, ტაბ. XXXII,5, სურ. 65,4]; ზემო სვანეთიდან (ბოგრეშის სამარხი), წნორის I ყორღანიდან [ჯიბლაძე 2005: 96-97], მდ, ფარსთან დეგუაგსკო-დახოვსკის (დასავლეთი კავკასია) დოლმენიდან [Марковин 1978: 258-259, სურ. 129,5,6] და სხვ. საქართველოს ტერიტორიაზე გვიანბრინჯაოს გვიანდელ ეტაპზე ძვ.წ. XII-X სს-ის თლიას სამაროვნის სამარხებში კვლავ ჩანს ბრინჯაოს ასეთივე სამართებლები (ტაბ. I,4) – 5 ცალი და ბ. ტეხოვი მათ სამედიცინო იარაღებად მიიჩნევს [Техов 1977: 119, სურ.93].

დაახლოებით ამ ფორმის ნივთი, რომელთა გვერდები სწორი აქვთ, ხოლო ბოლო ნაკვეთილი, უფრო წააგავს ე.წ. სამედიცინო შპატელებს (ტაბ. I, 5,6), რომლებიც ქრონოლოგიურად დაშორებულ ორ ძეგლზე აღმოჩნდა: სოფ. მელაანის ძვ.წ. VIII-VII დათარიღებულ საკულტო ტაძრად (?) მიჩნეულ ნაგებობაში, უამრავ შესანიშნავ ნივთთა შორის – 3 ცალი [ფიცხელაური 1965: 86, ტაბ. XIX,1] და ძვ.წ. I – ახ.წ. I სს-ის დედოფლის გორის სასახლის მე-11 ოთახში – 2 ცალი [Gagoshidze 2008: 153, ტაბ.58, კატ. №№47.48].

საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზე ამ ტიპის სამართებლების თუ შპატელების ერთეული სახით გამოჩენა, შესაძლოა, მათ სპეციფიკურ დანიშნულებაზე მიგვანიშნებდეს. გვიანბრინჯაოს ხანისგან განსხვავებით, რკინის ფართო ათვისების შემდეგ, რკინის დანები ჩნდება. რკინის დანის ყველაზე ადრეული და იშვიათი ცალეები ჩანს სამთავროს სამაროვნის №№51, 211 სამარხებში, რომლებსაც ძვ.წ. XI-X სს-ით ათარიღებენ [აბრამიშვილი 1957: 140, ტაბ. I, 148-151]. დაახლოებით ამ ხანისაა სამთავროს ტრეპანირებული თავის ქალებიც. უნდა აღინიშნოს რკინის დანის (სიგრძე 16 სმ) აღმოჩენის უიშვიათესი შემთხვევა წეროვნის ძვ.წ. XIV-XIII საუკუნის №49 სამარხში. საინტერესოა, რომ ამავე სამაროვნის №27 სამარხში მიცვალებულის ტრეპანირებული თავის ქალაც დადასტურდა [Садрაძე 1991: 32, ტაბ. XXIX,4].

ანტიკურ ხანის სამარხებში დანების რიცხვი საგრძობლად იზრდება და ძვ.წ. VII-VI სს-დან დანა უკვე დიდი რაოდენობით ჩანს სამაროვნებზე. საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზე მოპოვებული ყველა დანა რკინისაგანაა დამზადებული. დანები ბასრი უნდა ყოფილიყო, რადგან აუცილებელი და მოსახერხებელი იყო ქირურგიული მანიპულაციების დროს. ვინაიდან დანა ყოფითი ფუნქციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნივთი იყო, სამედიცინო თვალსაზრისით მათ ზუსტ დანიშნულებაზე საუბარი ძნელია, მაგრამ სავარაუდოდ, შესაძლებელი. მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ ანტიკური სამედიცინო ინსტრუმენტების რამდენიმე კომპლექსს, რომლებიც ცნობილია დასავლეთ ევროპის სხვადასხვა ქალაქის (პომპეი, ბადენი, ბინგენი და სხვ.) ძეგლებიდან [Финогенова 1967: 147-148] და მათ სავარაუდო პარალელებს მოვიძიებთ საქართველოს არქეოლოგიურ რეალობაში.

დანები (ტაბ. I, 7-13) ორი ტიპისაა: სწორი და მოხრილი. ქირურგიული ოპერაციისათვის ძირითადად საშუალო ან მომცრო დანებს იყენებდნენ. დანებს წაგრძელებულ ან მოკლე სახელურზე ხშირად მანჭვლებით დამაგრებული ძვლის ან ხის ტარი ჰქონდათ. როგორც ფიქრობენ, ჭრილობაზე მაღამოს წასასმელად ან ჭრილობის გასაფართოებლად დანის სახელურსაც იყენებდნენ. ასეთი დანა სწორი უნდა ყოფილიყო. მოხრილი დანით კი, რთულ

ოპერაციებს აკეთებდნენ [Финогенова 1967: 150]. ძვლისტარიანი დანები შემორჩენილია: ბეშთაშენის ძვ.წ. VII-V სს. №63 სამარხში [მენაბდე, დავლიანიძე 1968: ტაბ. XVI, 563], ღრმახევისთავის ძვ.წ. V-IV სს. №60 [ღრმახევისთავი 1980: 142, ნახ. 131, 280], სიონის ძვ.წ. VII-VI სს. №1 [მენაბდე, კილურაძე 1981: 78, ნახ. 25, 5], და სხვ. სამარხებიდან. ხისტარიანი (ნაშთი) დანა შემორჩენილია სიონის ძვ.წ. VII-VI სს. №7 სამარხში [მენაბდე, კილურაძე 1981: 93, ნახ. 34,3], წითელი შუქურას ძვ.წ. VI-V სს. №21 სანარხში [Трапш 1969: 131, ტაბ. VII, 5] და სხვ.

ცალკე უნდა გამოიყოს სკალპელის ტიპის დანისპირები (სიგრძე 8-12 სმ), რომლებიც წააგავს პომპეიში ნაპოვნ ქირურგიულ დანას [Финогенова 1967: სურ. I,1]. ამ დანების პირი წვერისაკენ ვიწროვდება და წვეტიანი ხდება. ზურგი ოდნავ მორკალული აქვთ (ტაბ. . I, 11-13). მსგავსი დანები გავრცელებულია სხვადასხვა პერიოდის სამაროვნებზე: ბეშთაშენის ძვ.წ. VII-VI სს. №22 და 54 [მენაბდე, დავლიანიძე 1968: 125მ138, ტაბ. XII,400, XV,527], სამთავროს ძვ.წ. VI ს. №1 (1939,) [კალანდაძე 1982: 108, სურ. 600], ვარსიმანკარის ძვ.წ. V-IV სს. №7 [წითლანაძე 1983: ტაბ. XVIII,6], კამარახევის ძვ.წ. IV-III სს. №23 [ჯღარკავა 1982: 147, სურ. 995] და სხვ. სამარხებში. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ხშირად ამგვარი დანა, პინცეტთან ერთად, ჩანს სამთავროს ძვ.წ. XI-VI სს-ის №№17,31,38 (1939,) და სხვ.[კალანდაძე 1982: 104,108,110], ნარეკვავის ძვ.წ. VII ს. №32 [დავლიანიძე, სადრაძე 1993: V,3], ვარსიმანკარის ძვ.წ. V-IV სს. №3 [წითლანაძე 1983: 54, ტაბ. XIX,1] და სხვ. სამარხებში.

თანამედროვე ე.წ. ლანცეტისებური 3 ნივთი (ტაბ. II,15) აღმოჩნდა ქრონოლოგიურად მეტად დაშორებულ ორ სამაროვანზე: ძვ.წ. XV-XIV სს-ის საფარ-ხარაბას სამაროვნის №8 სამარხში – 2 ცალი [წარიმანიშვილი 2006: 95, ტაბ. XVII,2,3] და ერთიც – ძვ.წ. IV-III სს-ის ეცოს სამაროვნის №87 სამარხში [მატბერაშვილი 2005: 64, ტაბ. XXIX,14]. ორივე შემთხვევაში გამთხრელები მათ სამედიცინო იარაღად მიიჩნევენ.

პ. ფირფილაშვილის დაკვირვებით, „დანების ტიპებიდან ზოგიერთი ფორმით, სიდიდით საყოფაცხოვრებო დანას წააგავს. ზოგი კი მისგან შესამჩნევად გამოირჩევა... ზოგი

ლანცეტს მოგვაგონებს, ზოგი ნამგალს თუ სანამყენე დანას, ზოგიც სამართებელს... სხვადასხვა ტიპის დანები...ბასრია და საექიმო თვალსაზრისითაც მოსახერხებელი“ [ფირფილაშვილი 1989: 54].

დანა, როგორც ქირურგიული ინსტრუმენტი, მოიხსენიება შუასაუკუნეების ქართულ სამედიცინო ხელნაწერებში. მაგალითად, “ყმა” (პატარა) დანას იყენებდნენ თვალის სხვადასხვა სახის დაზიანებისთვის. XIII საუკუნის ხელნაწერის მიხედვით, ქუთუთოების ერთმანეთზე დაკვრის დროს “...ყმა დანით ტყავნი ერთმანეთისგან გახსნან” [წიგნი ...1936: 10]. ჩვენი ყურადღება მიიპყრო წეროვანში ძვ.წ. XIV-XIII სს. №49 სამარხში აღმოჩენილმა ორპირლესულმა, ბასრპირიანმა სამართებელმა. გამთხრელის აზრით, ეს სამართებელი მსგავსია თლიას ძვ.წ. XII-X სს. სამაროვანის სამარხებში აღმოჩენილი ბრინჯაოს იარაღების, რომელთაც ბ. ტეხოვი ქირურგიულ ინსტრუმენტებად მიიჩნევს. ზემოხსენებულის საფუძველზე, როგორც ავლნოშნეთ, ვ. სადრაძე გამოთქვამს ვარაუდს, რომ წეროვანის სამართებლის მფლობელი დალაქისა და ქირურგის ფუნქციას ასრულებდა [Садрაძე 1991:32]. თლიაში აღმოჩენილ ქირურგიულ ინსტრუმენტებს ბ. ტეხოვი სამართლებლად არ მიიჩნევს და დანა-ნიჩაბს უწოდებს, რომელიც წამლის დასამზადებლად, აგრეთვე, მცირე ქირურგიული მანიპულაციებისათვის (სისხლის გამოშვება, ჩირქოვანი მუწუკის გამორწყვა) გამოიყენებოდა და ეკუთვნოდა ექიმბაშ ქალს [Техов 1977: 119, სურ. 93], რადგან ეს იარაღი ქალის სამარხებში დადასტურდა. ამ სამარხებს ბ. ტეხოვი ექიმბაშ ქალთა სამარხებს უწოდებს. გაუგებრობას იწვევს ერთი გარემოება, დანა-ნიჩაბად წოდებული ინსტრუმენტი ძალიან ჰგავს სამართებელს და თვით ბ. ტეხოვის განსაზღვრებით, იგი ქირურგიული დანიშნულებისაც იყო. მაგრამ, ძველ მედიცინაში, ქალი-ქირურგები არ ჩანან და ისინი სისხლის გამოშვების პრაქტიკასაც არ ეწევიან. ბ. ტეხოვის მიერ სახელდებული ექიმბაშ ქალის სამარხები ეტყობა, გამონაკლისის წარმოადგენს და ამ გამონაკლისის არსებობას გარკვეული ახსნა სჭირდება.

დალაქის პროფესიის არსებობა ძველ ცივილიზაციებში ეჭვს არ იწვევს. შორს რომ არ წავიდეთ, ამას ხამურაბის კანონებიც

(ძვ.წ. XVIII ს.) ადასტურებს, სადაც აღნიშნულია “... უკეთუ დალაქი მონის პატრონის გარეშე მონას ნიშანს (იგულისხმება წვერი. თ.ჭ., ნ.მ.) მოჰპარსავს.. ხელის მტევანი უნდა მოჰკვეთონ.” [ხამურაბის ...1988: 41]. ცნობილია, რომ შუა საუკუნეებში დალაქი მცირე ქირურგიულ მანიპულაციებს (კბილის ამოღება, სისხლის გამოშვება) ატარებდა. დალაქები საქართველოშიც ეწეოდნენ ასეთ პრაქტიკას. იოანე ბატონოშვილის ცნობით, “... იყო დალაქების უფროსი. ესენი განასწავლიდნენ შეგირდებს კარგად. მისცემდნენ რიგსა სამართებელსა, ნემტარს და სხვათა სადალაქოსა სახმართა ნივთებთა” [ბატონიშვილი 1957:58]. მედიცინის ისტორიკოსების აზრით, დალაქი კბილის ამოღების ხელოვნებას ძველ აღმოსავლეთშიც ფლობდა [ჩონტენაუ 1938:33, წიგნიდან შიგერისტ 1951: 435]. სისხლის გამოშვების პრაქტიკა ცნობილი იყო ძველი ცივილიზაციებისათვის [ჩარტერ 2012: 1]. არ არის გამორიცხული, რომ წეროვანის №49 სამარხის სამართებელი და სადგისისმაგვარი წკირი სისხლის გამოსაშვებად იხმარებოდა და ამ მანიპულაციას დალაქი ატარებდა. “სადალაქო და სახმართა” ნივთებად იოანე ბატონიშვილი მოიხსენიებს სამართებელსა და ნემტარს. ნემტარი/ნესტარი სისხლძარღვის გასახსნელი რკინის იარაღია. ნესტარის სინონმად ზოგჯერ შაშარიც მოიხსენიება და აღინიშნება, რომ იგი წვერნამახვილებული იარაღია. XVI საუკუნის სამედიცინო ხელნაწერში ვკითხულობთ: “... თუ ესე სენი (სათულრა – ფილტვის დაავადება (ნ.მ., თ.ჭ.) კაცსა წაეკიდების, ასრე სისხლს წაუხდენს და გაუსქელებს რომე, კაცმან შაშარი ჰკრას, აღარ გამოეღინოს და რომეცა გამოეღინოს ისიცა სქელი და შავი იქნების” [იადიგარ დაუდი 1985: 345]. ეთნოგრაფიული მონაცემებით, სისხლის გამოშვების პრაქტიკას მე-20 საუკუნის დასაწყისშიც ეწეოდნენ. არის ცნობა, რომ თბილისის დალაქთა ამქარი დალაქებს ზოგჯერ ექიმობის ატესტატსაც აძლევდა [მინდაძე 2013: 262].

საქართველოს არქეოლოგიურ მასალაში ხშირად გვხვდება ინსტრუმენტები, რომლებიც მხოლოდ ყოფითი მოხმარებისთვის უნდა ყოფილიყო გამოყენებული. ასეთია მაგალითად ნემსები და მახათები. პ. ფირფილაშვილის დაკვირვებით, ძვლოვან მასალაზე ჩანს, გაურთულებლად შეხორცე-

ბული ქრილობების კვალი, რაც, მისი აზრით, დიდი მოცულობის ქრილობების გაკერვაზე მეტყველებს. იგი შესაძლებლად მიიჩნევს ამ მიზნით ყოფითი ხასიათის იარაღის – ნემსის გამოყენებას [ფირფილაშვილი 1989: 49].

ნემსები და მახათები (ტაბ. II, 14) ყუნ-ნის მიხედვით ორგვარია: თავჩახვეული და თავგაბრტყელებული (ზოგჯერ რომბისებური), თავზე ნახვრეტით. დამზადებულია, ძირითადად, ბრინჯაოსაგან. ზომები: 15-9 სმ. ძვ.წ. XIV XIII სს-დან ჩანს სამთავროს სამაროვნის სამარხებში: №№179 (1940, N), 288 (1947, N), 10 (1939, N) და სხვ. [კალანდაძე 1980: 69,71,91; სურ. 419,252,930]. თრელის სამაროვანზე კი ძვ. წ. XIII ს-დან დასტურდება [თბილისი 1978: 143]. საერთოდ, ნემსები თუ მახათები იშვიათად გვხვდება სამაროვნებზე. გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს ნარეკვავის ძვ.წ. VIII-VI საუკუნეების სამარხები [ნიკოლაიშვილი, გავაშელი 2007: 43,78,101,122 და სხვ.]. დასავლეთ ევროპის ანტიკური ხანის ქირურგიულ ინსტრუმენტებს [Финогенова 1967: 160, სურ. 6. 20-23] ზუსტი პარალელები ეძებნება საქართველოს არქეოლოგიურ მასალიდან მოპოვებულ ნემსებსა და მახათებთან.

შუასაუკუნეების ქართულ სამედიცინო ხელნაწერებში, რომლებშიც ქირურგიულ მკურნალობაზე მცირე ცნობებია, იშვიათად, მაგრამ მაინც, გვხვდება ქირურგიული ნემსის გამოყენების ფაქტები. XI საუკუნის ხელნაწერში აღნიშნულია “თუ გაკვეთილი ერთი მტკაველი იყო ანუ უფრო, ფოლადი ნემსით უნდა შეკეროს აბრეშუმითა” [ქანანელი 1940: 390-391]. გახურებული ნემსი გამოიყენებოდა ინფიცირების საწინააღმდეგო დაზანებული არის “დასადაღავად” [ქანანელი 1940: 208].

ქრილობის გაკერვის პრაქტიკა საქართველოს მოსახლეობის ტრადიციულ ყოფაშიც არის დადასტურებული. ლეჩხუმში, დასტაქარი სვანიძეები მუცლის ქრილობას, სათანადო დამუშავების შემდეგ, ნემსით კერავდნენ [ბურდული 2010: 32]. ხევსურეთში ნემსს სხვა ნიზნითაც იყენებდნენ — დასტაქარი გამჭოლი ქრილობის მკურნალობის დროს, ერთად შეკრულ რამდენიმე ძუას ნემსის ყუნში გაუყრიდა და ძუას “წყლულის წამალს” წაუსვამდა, ნემსს ქრილობაში გაატარებდა და ამ გზით ქრილობაში წამ-

ლიან ძუასაც შეიტანდა. დროთა განმავლობაში, თითო თითო ძუას ამოაცლიდა და უკანასკნელ ძუას მაშინ ამოიღებდა, როდესაც ქრილობა შეხორცებული იყო. ამ ორიგინალურ სამკურნალო საშუალებას “უსმარი” ეწოდებოდა [მინდაძე 2913: 79].

სამედიცინო ინსტრუმენტების ერთ-ერთ აუცილებელ ნივთად პინცეტი ითვლება (ტაბ. II, 16). პინცეტების სამედიცინო დანიშნულება იყო: ქრილობიდან თუ ქსოვილიდან სხვადასხვა ნივთების ამოღება, ქრილობის გასუფთავება და სხვ. დანიშნულების მიხედვით პინცეტს სხვადასხვა ზომა და მოლუნული სამუშაო ბოლოები ჰქონდა. პინცეტი გვხვდება როგორც სამარხებში, ასევე ნამოსახლარებზე და განძებში. პირველად, ბრინჯაოს პინცეტი დადასტურდა ბორნიღელეს (ქვემო ქართლი) ძვ.წ. XV-XIV საუკუნეების №85 სამარხში. საქართველოს ამ ხანის სხვა ძეგლებზე პინცეტი არ ჩანს. ძვ.წ. XIII-XII საუკუნეებიდან კი გვხვდება თითქმის ყველა მომდევნო ხანაში - ძვ.წ. IV-III სს-მდე. რკინის პინცეტი პირველად სამთავროს ძვ.წ. IX საუკუნის №208 სამარხში აღმოჩნდა. საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზე პინცეტის ორი ძირითადი და რამდენიმე ლოკალური ტიპი დადასტურდა [ჭანიშვილი 2016: 68-79]. ერთადერთი იმპორტული პინცეტი აღმოჩნდა დედოფლის გორის (ქარელის მუნიციპალიტეტი) ძვ.წ. I-ახ.წ. I სს-ის სასახლეში [Gagoshidze 2008: 153, ტაბ.58, კატ.№49]. ამ პინცეტის პარალელი ჩანს დასავლეთ ევროპის ანტიკურ სამედიცინო კომპლექსში და სავარაუდოდ, იგი თვალის ქირურგიული დამუშავებისთვის გამოიყენებოდა [Финогенова 1967: 152, სურ. 4.,33]. პ. ფირფილაშვილის მიხედვით, შუა საუკუნეებში საქართველოს სამედიცინო პრაქტიკაში ორი სახის პინცეტი გამოიყენებოდა: დიდიმარნუხი, პატარა – ჩქიფი. “ასეთი დაყოფა პრაქტიკული თვალსაზრისით იყო ნაკარნახევი, კერძოდ, ისინი, ალბათ, იხმარებოდა სხვადასხვა მიდამოსა და ორგანოზე ოპერაციის წარმოების დროს... უცხო სხეულების ამოსაღებად” [ფირფილაშვილი 1989: 52-53]. “უსწორო კარაბადინში” აღნიშნულია: “თვალშიგან თუ თმა გამოუვიდეს... ისი თმა ჩქიფითა გამოუსწუადონ” [ქანანელი 1940: 208].

სამარხები, სადაც პინცეტი აღმოჩნდა გამოირჩევა ნივთების მრავალფეროვნებითა და მრავალრიცხოვნებით. ამასთანავე,

თითქმის ყველა სამარხში გვხვდება იარაღი. ასევე, ამ სამარხებში მიცვალებულები დაკრძალულია მარჯვენა გვერდზე. ყოველივე ეს ადასტურებს იმ მოსაზრებას (ბ.კუფტინი, ბ.ტეხოვი და სხვ.), რომ პინცეტიანი, ისევე როგორც დანებიანი სამარხები, ძირითადად მამაკაცებს ეკუთვნოდა. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ პინცეტი მხოლოდ მამაკაცების სამარხებში გვხვდება და პინცეტის ერთ-ერთი ფუნქცია – სამედიცინო დანიშნულება (სამედიცინო ინსტრუმენტი) იყო, ძველად მედიცინაში “...დასტაქრის და დალაქის პროფესიას ტრადიციულად მამაკაცი ფლობდა” [მინდაძე 2018: 259]. ბუნებრივია, დასტაქრის უნარით ერთეულები გამოირჩეოდნენ. ამიტომაც ერთეულია სამროვნებზე პინცეტიანი სამარხებიც.

სამკურნალო საქმიანობის სქესის მიხედვით დანაწილებას, არქეოლოგიური მასალის გარდა, წერილობითი წყაროები და ეთნოგრაფიული მონაცემები ადასტურებს. საქართველოში, ტრადიციულად ქალები ბუნებრივი ინგრედიენტებით დამზადებული წამლებით და მაგიური საშუალებებით მკურნალობდნენ. მამაკაცები კი ძირითადად, დასტაქრები იყვნენ. არქანჯელო ლამბერტის მიხედვით, სამეგრელოში ქალები აკეთებენ წამლებს როგორც დასალევად, ისე გარეგან დასადებლად. „ბლომად ხმარობენ ბალახებს“ [ლამბერტი, 1981: 91]. ხოლო იოანე ბატონიშვილის ცნობით, “მკურნალნი უფრორე იყვნენ მდებრთ ნათესავნი და აქიმობდნენ ბალახითა და ხის ნაყოფებითა” [ბატონიშვილი, 1991: 231].

საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზე გვხვდება ისეთი ყოფითი თუ სამეურნეო დანიშნულების ნივთებიც (მაკრატელი, სტრიგალი, ილარი, კაუჭი და სხვ.), რომლებიც ქირურგიული ჩარევის დროს, ალბათ საჭირო ხდებოდა. მაგრამ, ჩვენ ჯერჯერობით, მხოლოდ ამ, ზემოთ მოწოდებულ არტეფაქტებზე შევჩერდებით.

ზემომოყვანილი მასალა გვაძლევს საფუძველს დავასკვნთ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ქართველურ ტომებს გააჩნდათ ქირურგიული ინსტრუმენტები, რომლებსაც იყენებდნენ როგორც საკმაოდ რთული ოპერაციების (თავის ქალას ტრეპანაცია და სხვ.), ისე მცირე ქირურგიული მანიპულაციებისათვის (სისხლის გამოსაშ-

ვებად). ბრინჯაოს ხანისა და მომდევნო არქეოლოგიური ეპოქების განათხარ მასალაში ნანახი ქირურგიული იარაღის მსგავსი ინსტრუმენტები, ქართული სამედიცინო ხელნაწერებისა და ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით, ანალოგს ჰპოვებენ შუასაუკუნეების ქართულ პროფესიულ მედიცინასა და საქართველოს მოსახლეობის ტრადიციულ სამედიცინო კულტურაში. იგივე მონაცემები ადასტურებენ, რომ ქირურგიულ მკურნალობას ძირითადად მამაკაცები ეწეოდნენ, ქალები კი მეტწილად წამლებით მკურნალობით შემოიფარგლებოდნენ.

ლიტერატურა:

- აბრამიშვილი 1957:** აბრამიშვილი რ. სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი გვიანბრინჯაოს ხანისა და რკინის ფართო ათვისების ხანის ძეგლების დათარიღებისათვის. სსმმ, ტ. XIX-A და XXI-B, გვ. 116-140.
- ბაგრატიონი 1985:** ბაგრატიონი დავით, იადიგარ დაუდი. თბილისი.
- ბატონიშვილი 1957:** ბატონიშვილი იოანე, სჯულდება. თბ., 1957.
- ბატონიშვილი 1990:** ბატონიშვილი იოანე, ხუმარსწავლა. კალმასობა. თბ.
- ბურდული 2010:** ბურდული მ. ტრადიციული ქართული სამედიცინო კულტურა, ახალციხე.
- გამყრელიძე, შატბერაშვილი, ფირცხალავა, ჩარკვიანი 2018:** გამყრელიძე გ., შატბერაშვილი ვ., ფირცხალავა მ., ჩარკვიანი მ. იარაღ-საჭურველი ძვ.წ. V – ახ.წ. IV სს-ის საქართველოში. თბ.
- დავლიანიძე, სადრაძე 1993:** დავლიანიძე რ., სადრაძე ვ. ნარეკვავის ნამოსახლარი და სამაროვანი. თბ.
- კალანდაძე 1982:** კალანდაძე ალ. სამთავროს წინანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები, მცხეთა, VI, გვ. 7-138. თბ.
- კობაიძე 1978:** კობაიძე ლ. რკინის კალოს სამაროვანი. თბ.
- ლამბერტი 1981:** ლამბერტი არქანჯელო. სამეგრელოს აღწერა. თბ.
- მენაბდე, დავლიანიძე 1968:** მენაბდე მ., დავლიანიძე ც. თრიალეთის სამაროვნები. თბ.
- მენაბდე, კილურაძე 1981:** მენაბდე მ., კილურაძე თ. სიონის არქეოლოგიური ძეგლები, თბ.
- მინდაძე 2013:** მინდაძე ნ. ქართველი ხალხის ტრადიციული სამედიცინო კულტურა. თბ.
- მინდაძე 1981:** მინდაძე ნ. ქართული ხალხური მედიცინა (აღმოსავლეთ საქართველოს მდიელთა ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით) თბ.
- ნარიმანიშვილი 2006:** ნარიმანიშვილი გ. საფარხარაბას სამაროვანი. ძიებანი, №17-18, თბ. გვ.92-126
- ნიკოლაიშვილი, გავაშელი 2007:** ნიკოლაიშვილი ვ., გავაშელი ედ. ნარეკვავის არქეოლოგიური ძეგლები. თბ.

სახოკია 1978: სახოკია თ. ქართული ხატოვან კილო-
თქმანი თბ.

ფირფილაშვილი 1956: ფირფილაშვილი პ. პალეო-
ანთროპოლოგიური მასალები ძველ საქართველოში
დაავადება-დაზიანებათა და სამკურნალო
მანიპულაციების შესწავლისათვის. თბილისი.

ფირფილაშვილი 1989: ფირფილაშვილი პ. ნარკვევები
ძველი ქართული მედიცინის ისტორიიდან. თბილისი.

ფიცხელაური 1965: ფიცხელაური კ. იორ-ალაზნის
აუზის ტერიტორიაზე მოსახლე ტომთა უძველესი
კულტურა. თბ.

ქანანელი 1940: უსწორო კარაბადინი. თბ.

შატბერაშვილი 2005: შატბერაშვილი ვ. ქვემო
ქართლი ძვ.წ. IV-III საუკუნეებში (არქეოლოგიური
მონაცემების მიხედვით) ისტორიის მეცნიერებათა
კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი
დისერტაცია. თბ.

წითლანაძე 1983: წითლანაძე ლ. ვარსიმიანკარის
სამაროვანი. ჟინვალი, I. თბ., გვ. 52-78.

ღრმახვევისთავის არქეოლოგიური ძეგლები 1983. თბ.

ჭანიშვილი 2016: ჭანიშვილი თ. პინცეტი საქართველოს
არქეოლოგიური არტეფაქტებიდან. ჟურ. იბერია-
კოლხეთი, №12, გვ. 68-79.

ხამურაბის კანონები, 1988: ხამურაბის კანონები,
თარგმნა ზ. კიკნაძემ, 1988, თბ.

ჯიბლაძე 2005: ჯიბლაძე ლ. კოლხეთის დაბლობის ძვ.წ.
III-II ათასწლეულის ნამოსახლარები. თბ.

ჯღარკავა 1982: ჯღარკავა თ. კამარახევის სამაროვანი.
მცხეთა, VI. თბ. გვ. 139-190.

Carter 2012: Carter C. The Decline of Therapeutic
Bloodletting and the Collapse of Traditional Medicine.
London.

Contenau 1938: Contenau G. La Medicine en Assyrie et
Babylonie, Paris.

Gagoshidze 2008: Gagoshidze I. Metal Implements. Iberia
and Roma. The Excavation of the Palas at Dedoflis Gora
and the Roman Influence in the Cavcasion Kingdom of
Iberia. Edited by A. Furtvangler, I, Gagoshidze, H. Lohr,
N. Ludvig. Beier@Beran.

Куфтин 1949: Куфтин Б. Материалы к археологии
Колхиды. I. Тбилиси.

Марковин 1978: Марковин В. Дольмены Западного
Кавказа. М.

Низовский 2002: Низовский А. Сто великих археологи-
ческих открытий. Мос.

Садрадзе 1991: Садрадзе В. Мцхета в XV-XIII вв. до на-
шей эры. Тб.

Техов 1977: Техов Б. Центральный Кавказ в XVI-X вв. до
н.э. М.


Трапш 1969: Трапш М. Труды, 2. Сухуми.

Финогенова 1967: Финогенова С. Античные медицин-
ские инструменты. Сов. археология, №1, М. с. 141 -
153.



ილუსტრაციების აღწერილობა:

ტაბ. I – 1,2. სამართებელი და ყალიბი ჩოლო-
ქის ნამოსახლარიდან; 3,4. სამართებლები
ნეროვნის და თლიას სამაროვნებიდან;
5,6. ე.წ. შპატელები მელაანიდან და დე-
დოფლის გორის სასახლიდან; 7-13. დანები
ბეშთაშენის, ღრმახვევისთავის, წითელი
შუქურას, სამთავროს, ვარსიმიანტკარის
და კამარახევის სამაროვნებიდან.

ტაბ. II – 14. ნემსები და მახათები სამთავროსა
და ნარეკვავის სამაროვნებიდან; 15. ლან-
ცეტის ტიპის ნივთი საფარ-ხარებას სა-
მაროვნებიდან; 16. პინცეტები ბორნილელეს,
თლიას სამაროვნებიდან და დედოფლის
გორის სასახლიდან.



II



სვეტებიანი კრატერი წითელფიგურული ნახატით

„ტექნიკისა და მშენიერების სრულყოფილი კავშირი“ — ასე უნოდებს ჯოზეფ ნოუბლი ატიკურ მოხატულ კერამიკას, რომელიც მართლაც რომ დახვეწილია თავისი ფორმებით და ამ ფორმებში გამოვყოფ კრატერს, რადგან მინდა წარმოგიდგინოთ ხელოვნების მუზეუმის დასავლეთ ევროპის ფონდში დაცული ერთი ექსპონატი — სვეტებიანი კრატერი წითელფიგურული ნახატით, რომელიც მუზეუმში 1946 წელს ერმიტაჟის კოლექციიდან მოხვდა (ხსმ/დე კ 181).

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ყველა კულტურის, ყველა ეპოქის და თითქმის ყველა არქეოლოგიურ ძეგლზე კერამიკა არქეოლოგიური მასალის წამყვან ჯგუფს ქმნის და ძირითად ელემენტს წარმოადგენს. კლასიკური ხანის ბერძნული მოხატული კერამიკა სრულიად განსხვავდება ბევრი სხვა ხალხის თიხის ნაწარმისაგან, რადგან ეს არ არის მხოლოდ გეომეტრიული ან მცენარეული მოტივებით გაფორმებული პროდუქცია, ეს არის ადამიანის გამოსახულებით მოხატული ჭურჭელი. და კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ამ ფიგურების საშუალებით მოთხრობილი სცენები, რადგან ბერძნულ ვაზებზე ასახული სიუჟეტები საკმაოდ დიდი ინფორმაციის შემცველი არიან, საინტერესო მასალას გვანვდიან და წარმოდგენას გვიქმნიან მათზე არეკლილი ძველ ბერძენთა ცხოვრების შესახებ. ბერძნული თიხის ჭურჭელი მოხატულია სხვადასხვა სიუჟეტებით: როგორც მითოლოგიური, ასევე ყოფითი, სასიყვარულო, ბრძოლის, შეჯიბრების, გართობის, წარმოება - ხელოსნობის და კულტმსახურების.

ცოტა ხნის წინ, როდესაც კალიქსისებური კრატერის წითელფიგურული ნახატის შესწავლით ვიყავი დაკავებული, რომელიც ასევე დასავლეთ ევროპის ფონდში ინახება, მუზეუმის საცავებში წავაწყდი წითელფიგურულ სვეტებიან კრატერს. სამწუხაროდ მას არ მოყვება არქეოლოგიური კონტექსტი, უცნობია მისი აღმოჩენის ადგილიც.

კრატერი, ეს დიდი ზომის ჭურჭელი, გამოიყენება წყლისა და ღვინის ერთმანეთში ასარევად. გვხვდება მისი ოთხი ფორმა: სვეტ-

ებიანი, ვოლუტებიანი, კალიქსისებრი და ზარისებრი [Sparkes, Tallcot 1970: 54-63].

ჩვენი ნიმუში სვეტებიანი კრატერია. ეს ფორმა ძვ.წ. VII საუკუნეში შეიქმნა და განსაკუთრებით პოპულარული გახდა ძვ.წ. VI საუკუნის მეორე მეოთხედში, თუმცა შემდეგაც აგრძელებს არსებობას [Sparkes, Tallcot 1970: 54-63].

რაც შეეხება წითელფიგურულ ნახატს, რაც ბერძნული კერამიკის დახვეწილ ფორმებზე არანაკლებ შთამბეჭდავია, ანტიკური ხანიდან მოყოლებული დღემდე საოცარ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე და მიუხედავად მისი დიდი რაოდენობისა და ორსაუკუნოვანი შესწავლის ისტორიისა, ისევ და ისევ ინვესტ მკვლევართა ინტერესს. მაგრამ ეს ორი, ფორმა და ნახატი, საუკუნეების მანძილზე ერთად თუ ცალ-ცალკე ცვლილებებს განიცდის, კარგავს პირვანდელ ეფექტს და აღარ არის ისეთი მიმზიდველი. ასე კარგავს სინატიფეს წითელფიგურული ნახატი და ძვ.წ. IV საუკუნის II ნახევარში წითელფიგურულმა ნახატმა და საერთოდ ვაზათმხატვრობამ მკვლევართა ინტერესიც დაკარგა, რაც არის არა მხოლოდ დაუდევრად და უხეშად გამოყვანილი ფიგურებით გამოწვეული, არამედ ნახატის მასობრივი წარმოებითაც [Cook 1972: 185].

როგორც დასაწყისში ვახსენე, მოხატული კერამიკა ძველი ბერძენების ცხოვრების ანარეკლია. ერთ-ერთი გავრცელებული სცენა, რომელიც გვხვდება კლასიკურ და გვიანწითელფიგურულ ნახატზე — „მეომარი ტოვებს სახლს“, განსაკუთრებით პოპულარულია ძვ.წ. V ს.-ში. ძალიან ხშირად ხდება დედის, მამის და ცოლის იდენტიფიკაცია [Boardman 1989: 220]. ამ სცენაში ერთ-ერთი მთავარი დეტალია სვეტი, რომელიც სახლის პარმალის მიმანიშნებელია, და ასევე მთავარი საგანია ფიალა, რომელიც სავსეა და ის განვდილი აქვთ მეომრისკენ, რომელიც ესესაა ოჯახს დატოვებს. ესაა ლიბაცია, სითხით მსხვერპლშენიერვის პროცესი [Boardman 1989: 220].

მსგავსი სცენა გვხვდება ნიობიდების მხატვრის ვოლუტებიან კრატერზე [Boardman

1989: 17], მის მიერვე მოხატულ ამფორაზე [Boardman 1989: 20], აქილევსის მხატვრის სტამნოსზე [Boardman 1989: 66], ასევე კლეოფონის მხატვრის სტამნოსზე [Boardman 1989: 91], ჰექტორის მხატვრის ამფორაზე [Boardman 1989: 76] და კიდევ მრავალზე, რომელთა თარიღიც მეტნაკლებად განსაზღვრულია.

თუ თვალს გავადევნებთ ამ სიუჟეტთან ჭურჭელს, შევამჩნევთ, რომ ადრეული კლასიკური ხანის მხატვრებთან ეს სიუჟეტი მრავალფიგურიანია. მაგალითად, ნიობიდების მხატვრის კრატერზე და ამფორაზე [Boardman 1989: 17]. ხოლო კლასიკური ხანის მხატვრებთან ეს სცენა სამი ფიგურითაა ასახული. მაგალითად, სამფიგურიანია ეს სცენა აქილევსის მხატვრის კრატერზე. სამ ფიგურამდეა დაყვანილი ეს სცენა ჰექტორის მხატვრის მიერ მოხატულ ამფორაზე, კლეოფონის მხატვრის ამფორაზე და მისივე პელიკაზე [Boardman 1989: 76].

მახსენდება „მეომართან გამოთხოვების“ ორფიგურიანი კომპოზიცია ც ნითელფიგურულ სკიფოსზე [Mertens 2012: 160-162], რომელიც სამხრეთ იტალიაში, კამპანაშია აღმოჩენილი. ის ძვ.წ. IV საუკუნის მესამე მეოთხედით თარიღდება. შეიძლება ითქვას, რომ დროის განმავლობაში მცირდება ფიგურების რაოდენობა ამ თემატიკის (და არა მარტო ამ თემატიკის) გამოსახატავად. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ამავდროულად არ გვხვდება იგივე სიუჟეტი, სამი ფიგურით ასახული. მაგალითად, ასევე სვეტებიანი კრატერი ნითელფიგურული ნახატი სამხრეთ იტალიიდან, რომელიც სიზიფეს მხატვარს მიეკუთვნება, ამ სცენას ჯერ კიდევ სამი ფიგურით გვანვდის, თუმც ისიც ძვ.წ. IV საუკუნით თარიღდება [Trendal 1990: 53].

ვფიქრობ, რომ ჩვენს კრატერზეც ამ თემატიკასთან გვაქვს საქმე – „მეომართან გამომშვიდობება“, სადაც სიუჟეტი ორფიგურიანი კომპოზიციამდეა დაყვანილი.

A მხარის მარჯვენა ფიგურა თითქოს კლდეზე ჩამოძვდარი ქალია და მარჯვენა ფიალიან ხელს მეომრისკენ იწვდის. მარცხენაში კი დაირა უჭირავს. ქალის სამკაული თეთრი ზედნადები საღებავითაა გამოკვეთილი და თეთრი ზედნადები საღებავი ამშვენებს სალიბაციო ფიალასაც. მარცხენა ფიგურა კი მეომარია ფართა და შუბით.

ხოლო B მხარეს გვხვდება ნახატი, რომელ-

იც არაერთხელ განვიხილეთ მუზეუმის საცავების ნითელფიგურულ ჭურჭელზე, კერძოდ პელიკასა და კრატერზე და ვანის სკიფოსებზე [ყიფიანი 2016: 120-123; ყიფიანი 2017: 126-128; ყიფიანი 2009: 80-84]. ნახატი, რომელიც ძალიან პოპულარულია სხვადასხვა დანიშნულების ჭურჭელზე, პალესტრის სამყაროს უკავშირდება. გვხვდება კრატერებსა და ოინოხოებზე მრავალფიგურიანი კომპოზიციის სახით. ხოლო აქ კომპოზიცია შეზღუდულია ორ ფიგურამდე. რაც, როგორც წესი, მანიშნებელია, რომ შექმნილია ტექნიკის უკანსვლის პერიოდში. გამოსახული ორი შეფუთული ფიგურიდან მარჯვენას ხელში სტრიგილოსი უჭირავს (ამით ვვარაუდობთ რომ ის ათლეტია), მარცხენა ფიგურას კი ჯოხი (და ამიტომ მას პედოტრიპად განვსაზღვრავთ).

როგორც რობერტ კუკი ამბობდა ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევარით დათარიღებულ ვაზებზე გამოსახულ მსგავს სცენებზე, ყოველი მომდევნო ნახატი კიდევ უფრო დაუდევრადაა გამოყვანილი, ვიდრე წინა [Cook 1972: 185]. ამის საილუსტრაციოდ და შესადარებლად მარტო ჩვენი კოლექციის ექსპონატებიც კმარა [ყიფიანი 2016: 120-123; ყიფიანი 2017: 126-128]. შესადარებლად გავიხსენოთ პელიკა და კრატერი იგივე „ერმიტაჟის კოლექციიდან“ და იგივე პალესტრის თემით. ამკარაა, რომ დღევანდელ კრატერზე ბევრად გარკვეულადაა ნახატი მოცემული, ვიდრე ამ ორ ჭურჭელზე და ვფიქრობ, რომ მისი თარიღი მხოლოდ ნახატის მიხედვით არ უნდა განისაზღვროს, რადგან თარიღისთვის ყურადღებამისაქცევია ჭურჭლის ფორმაც.

მოხატული კერამიკის ფორმებში არაფერია მისტიკური და საიდუმლოებით მოცული; ზოგიერთ მათგანს შეიძლება ჰქონდეს სარიტუალო ხასიათის ფუნქცია და ეს გამოიხატება ფორმაზე და ნახატზე, მაგრამ ჭურჭელს ძირითადად ყოველდღიური გამოყენებისთვის მარტივი და მოხერხებული ფორმები ეძლევა.

როგორც დასაწყისში ვთქვით, კერამიკულმა ფორმებმა მრავალი ცვლილება განიცადა. სვეტებიანი კრატერის უძველესი ნიმუში, როგორც უკვე ავლნიშნეთ, ძვ.წ. VII საუკუნით თარიღდება და განსაკუთრებულად გავრცელებულია ძვ.წ. VI ს-ის მეორე მეოთხედში. ატიკურ ნითელფიგურულ კერამიკაში სვეტებიანი კრატერი თანადროულად

გვხვდება ნითელფიგურული ტექნიკის მხატვრების პირველ თაობასთან. ის თითქმის აღარ გვხვდება ძვ.წ. IV საუკუნის ადრეულ წლებში, მაგრამ აგრძელებს არსებობას აპულიაში, ცოტა სახეცვლილი ფორმით: დანვრილებული ტანით და მაღალი ყელით [Cook 1972: 228].

მოგვხსენებთ, რომ ბერძნულ ქალაქებს სიცილიისა და სამხრეთ იტალიის სანაპიროებზე დაახლოებით სამასი წლის მანძილზე რეგულარულად შემოქონდათ თავიანთი საუკეთესო მხატვლი კერამიკა ჯერ კორინთოდან, შემდეგ კი ათენიდან. მაგრამ ძვ.წ. V ს.-ის ბოლოსკენ რამდენიმე ხელოსანი, სავარაუდოდ კარგად დახელოვნებული ემიგრანტი ათენიდან, იწყებს სამხრეთ იტალიასა და სიცილიაში ნითელფიგურული ჭურჭლის წარმოებას. ეს პროდუქცია ცნობილია სამხრეთ იტალიურის სახელით [Cook 1972: 190-195].

თუ გადავავლებთ თვალს სამხრეთ იტალიურ ნახატსაც, რომელიც ასევე ბერძნული სცენების გამეორებაა, მსგავსებას აღმოვაჩინებ ჩვენს კრატერთან. მაგალითად კლდე, რომელზეც ჩამომჯდარია ქალი, სამხრეთ იტალიურისთვის დამახასიათებელი ფორმებითაა გადმოცემული [Trendal 1990: 142. სურ. 173]. მსგავსი კლდე გვხვდება აპულიურ ბევრ ვაზაზე, განსაკუთრებულად ახლოსაა ჩვენს კრატერთან ერთი ნიმუში, ნითელფიგურული პელიკა, რომელზეც ორფიგურიანი კომპოზიციისა და მარჯვენა ფიგურა კლდეზე ჩამომჯდარი ქალია [Trendal 1990: 142. სურ. 173]. სამხრეთ იტალიურს მოგვაგონებს ასევე მეომრის სამოსიც. კიდევ უფრო ახლო პარალელი, ოღონდ არა მთლიანი სცენის, არამედ მხოლოდ მარჯვენა, ქალის ფიგურის, ესაა მოსკოვში, პუშკინის სახელობის სახვითი ხელოვნების მუზეუმში დაცული ნითელფიგურული პელიკა, რომელიც ძვ.წ. IV ს.-ის მესამე მეოთხედით თარიღდება და აპულიურია [Сидорова, Тугушева, Забелина 1985: 118-119, Кат. 60]. აქვე მივაქციოთ ყურადღება აპულიური ვაზების მხარესაც, სადაც ბერძნულიდანაა ნასესხები პალესტრის თემატიკაც – შეფუთული ჭაბუკები სტრიგილოსით [Trendal 1990: 142, სურ. 176].

ვფიქრობ, რომ დროა ჩვენი კრატერი სამხრეთ იტალიურად გამოვაცხადოთ და ყველაზე ახლო პარალელებით ძვ.წ. IV ს.-ის მესამე მეოთხედით დავათარილოთ. ვიმედოვნებ, რომ მომავალში მხატვრის ხელის

ამოცნობასაც შევძლებ.

ლიტერატურა:

- ყიფიანი 2016:** ყიფიანი ნ. არიმასპი პელიკაზე. ჟურ. იბერია-კოლხეთი, №12, თბ., გვ. 120-123.
- ყიფიანი 2009:** ყიფიანი ნ. ნითელფიგურული სკიფოსები ვანის ნაქალაქარიდან. ჟურ. იბერია-კოლხეთი, № 5, თბ., გვ. 80-84.
- ყიფიანი 2017:** ყიფიანი ნ. დიონისურსიუჟეტიანი ნითელფიგურული კრატერი. იბერია-კოლხეთი, №13, თბ., გვ.126-128.
- Сидорова, Тугушева, Забелина, 1985:** Сидорова Н., Тугушева О., Забелина В. Античная расписная керамика. М.
- Boardman 1989:** Boardman J. Athenian Red-Figure Vases. The Classical Period. London.
- Cook 1972:** Cook R.M. Greek Painted Pottery. Second Edition. London.
- Mertens 2012:** Mertens J. R. How to read Greek vases. New York.
- Sparkes, Tallcot 1970:** Sparkes A. Tallcot L. The Athenian agora. Black and plain pottery. Volume XII. Part 1. New Jersey. p. 54-63.
- Trendall 1990:** Trendall A.D. Rotfigurig vasen aus Unteritalien und Sizilien. Mainz am Rhein: von Zabern.

ილუსტრაციების აღწერილობა:

ნითელფიგურული კრატერი საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის დასავლეთ ევროპის ფონდის კოლექციიდან.

1. A და B მხარე.



B



A

I

ცხენოსნის გამოსახულება გემაზე ჟინვალის სამაროვნისა

ვუძღვნი მამის – რამინ რამიშვილის ნათელ ხსოვნას.

1983 წელს ჟინვალის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (ექსპედიციის ხელმძღვანელი რ. რამიშვილი) ჟინვალის სამაროვნის № 552 ორმოსამარხში სხვა ნივთებთან ერთად (ბეჭედი, საყურეები, მშვილდსაკინძები, მძივები) აღმოჩნდა ბრინჯაოს ბეჭედი მონითალო სარდიონის გემა-ინტალიოთი. სამარხში ორი მიცვალებული იყო - მამაკაცი და მანდილოსანი. ბეჭედი ეკეთა არათითზე მამაკაცს, რომელიც ესვენა გამოტილი, ქრისტიანული წესით, მკერდზე გულხელდაკრეფილი. სამარხი დათარიღებულია ახ. წ. IV ს-ით [ჩიხლაძე 2015: 109-156, ტაბ. X]. ბეჭედი გემითურთ შეისწავლა მარგ. ლორთქიფანიძემ, ისინი ერთმანეთის თანადროულად მიიჩნია და ახ. წ. IV ს-ით დაათარიღა [ლორთქიფანიძე 1990: გვ. 188]. აღნიშნული სამკაული ამჟამად ინახება ეროვნული მუზეუმის ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის გლიპტიკის ფონდში (საინვ. № 1854). ვინაიდან მკვლევარს გემაზე გამოსახული მხედრის არც იდენტიფიკაცია მოუხდენია და არც მის წარმომავლობაზე უსაუბრია, გადავწყვიტეთ უფრო ღრმად და დეტალურად შეგვესწავლა იგი, ასევე შევეხებით დათარიღების საკითხსაც.

ბეჭდის რკალი მრგვალგანივკვეთიანი რგოლია, რომლის ბოლოები ოვალურ ბუდეზეა მირჩილული (ტაბ. I-1). ბუდის კიდეები ამჟამად შემომტვრეულია და მისგან მხოლოდ ბრტყელი, ოვალური ძირია შემორჩენილი (ტაბ. I-2). ინტალიო ოვალურია, პირი ოდნავ ამობურცული აქვს, ხოლო ზურგი - უფრო მეტად (ტაბ. I-4). პირზე, გემის ვერტიკალურად, ამოკვეთილია მხედარი (ტაბ. I-2). კაციცა და ცხენიც პროფილშია გადმოცემული. მხედარი გამართულად და მყარად ზის ცხენზე, აცვია მოკლე მოსასხამი, რომლის სამნაკვთა, სხივისებურად გაშლილი ბოლო მხედრის უკან ჰაერში ფრიალებს. მარჯვენა ხელში სადავე უჭირავს. თავზე თავსაბურავი

ხურავს, ამ ადგილას გემა ატკეცილია, თუმცა ჩანს, რომ საბურავი სახეზეც აქვს შემოხვეული. სახის ნაკვთები, ინტალიოს დაზიანების გამო, არ ჩანს. ცხენი ძალიან მოხდენილი და პროპორციულია. ტორსი (მკერდი, მუცელი, გავა და თავი) მოცულობითი პლასტიკური ფორმებით, საკმაოდ რეალისტურადაა გადმოცემული, თუმცა, ტორსთან შედარებით წვრილი და თხელი უკანა კიდურები შედარებით დაბალ რელიეფშია შესრულებული და რამდენადმე სქემატურია. მკვეთრად არის დამუშავებული ცხოველის ქოჩორი და დაბალი, პარალელური, რელიეფური სხივებით გაფორმებული ფაფარი. ცხენს მაღალი კისერი და გრძელი ფეხები აქვს. ფეხის სახსრები მკვეთრადაა პროფილირებული, მკაფიოდ არის მოდელირებული წინა, ზეანეული ფეხი და გრძელი, გამონასკვეული კუდის ზედა, მომრგვალებული და შემსხვილებული ნაწილი, რომელიც ასევე რელიეფური სხივებითაა დაზოლილი. კუდის ქვედა ნაწილი მკრთალი ხაზით ეშვება ნიადაგის ზოლამდე. ცხენი დგას, მარცხენა წინა ფეხი აღმართული აქვს, ხოლო მარჯვენა - არ ჩანს, ისე, როგორც არ ჩანს მხედრის ფეხი, რადგან გემა ამ ადგილასაც ატკეცილია. კომპოზიცია შესრულებულია შერეული სტილით, სადაც გამოსახულების ზედა ნაწილი (ცხენის ტორსი, მხედარი, ცხენის ზეანეული ფეხი და ცხენის კუდის ზედა ნაწილი) რეალისტურად და მკაფიოდაა მოდელირებული, ხოლო ქვედა ნახევარი (ცხენის უკანა ფეხები და კუდის ქვედა ნაწილი) შედარებით სქემატურია და მკრთალი. ინტალიო ამოტეხილია ცხენის გავასთანაც. კვეთა ღრმა არ არის, მაგრამ ანაბეჭდზე გამოსახულება საკმაოდ მკაფიოდ ჩანს (ტაბ. I-3). ზომები: ინტალიოს სიგრძე – 15 მმ, სიგანე – 10 მმ, ბეჭდის დმ – 21 მმ, რკალის დმ – 5 მმ.

მხედრის გამოსახულებიანი გემა-ინტალიოების ერთი (I) ჯგუფი ცნობილია ურბნისის სამაროვნის №№ 189, 165, 129, 164 სამარხ-

ებიდან. მათ ზედაპირზე ჟინვალური მხედრის მსგავსი გამოსახულებებია ამოკვეთილი. აღნიშნული ოთხი გემა ამჟამად ინახება ეროვნული მუზეუმის ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის გლიპტიკის ფონდში (საინვ. №№ 1040, 1010, 1074, 1009). ეს გემა-ინტალიოები ბეჭდის თვლებად იყო გამოყენებული (ტაბ. I-5,6; 7,8; 9,10; 11,12). ისინი მინისაა, ოვალური და ყველა მათგანის ბრტყელ ზედაპირზე, გემის ვერტიკალურად, გამოსახულია ფეხალმართულ ცხენზე მჯდომი მხედარი პროფილში, რომელსაც ყაბალახისებური თავსაბურავი ხურავს, ხოლო წამოსასხამის ბოლო ჰაერშია გაფრიალებული. მხედრის გამოსახულებები როგორც ტიპოლოგიურად, ისე კომპოზიციურად და შესრულების სტილით ერთგვაროვანია - ოთხივე მხედარი პროფილშია გადმოცემული ღვთაებრიობის აღმნიშვნელი ატრიბუტიკის გარეშე და, რამდენადაც ეს შესაძლებელია ძალიან პატარა სასურათე არეზე, რეალისტურადაა შესრულებული, ამასთან ზომიერადაა შეზავებული სტილიზებული ელემენტები (მაგ. ცხენის ფეხები, კუდი და სხვ.). მხედართა გამოსახულებები მხოლოდ მცირე დეტალებით განსხვავდებიან ერთმანეთისგან (შემორჩენილია №№ 1009 და 1010 ბეჭდების რკინის ფრაგმენტები და № 1074 ბრინჯაოს ბეჭედი სრულად). გემები შეისწავლა ქ. ჯავახიშვილმა [ჯავახიშვილი 1975: 76-78, 107-111] და ისინი ქალაქ ტრაპეზუნტის ადგილობრივ ღვთაებებად მიიჩნია, ხოლო გემები ტრაპიზუნდული წარმოშობის ინტალიოებად და ახ. ნ. I-II სს-ით დაათარილა [ჯავახიშვილი 1975: 76-78, 107-111].

ცნობილია ბეჭდის თვლებად გამოყენებული ოვალური გემა-ინტალიოების სხვა, ოდნავ გვიანდელი ჯგუფი (II). მათ ზედაპირზე ამოკვეთილია ზემოგანხილულთა იკონოგრაფიულად ძალზე მსგავსი მხედარი, რომელიც ასევე პროფილშია გადმოცემული, ფეხალმართულ ცხენზე ზის და მისი მოკლე წამოსასხამის ბოლო ჰაერშია გაფრიალებული, თუმცა, კომპოზიცია გემის პორიზონტალურად იშლება, უფრო რთულია და თვალსაჩინოდ განსხვავებული. მხედარს ახურავს სხივებიანი ფრიგიული ქუდი, მის წინ დგას ცეცხლდანთებული ბომონი, რომლის წინაშე ცხენს წინა ფეხი აქვს აღმართული. მხედრის უკან სიცოცხლის ხეა, რომლის ძირში გველია

შემოხვეული. განსხვავებულია მასალაც - გემები სარდონისაა, ხოლო გამოსახულება ამოჭრილია ინტალიოს არა ბრტყელ, არამედ ოდნავ ამობურცულ ზედაპირზე. ამგვარი გემები ექვსი ცალია ცნობილი, მათგან ოთხი - საქართველოშია აღმოჩენილი: **პირველი - ურბნისის** (ტაბ II-1) სამაროვნის № 1 სამარხში (ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გლიპტიკის ფონდში, საინვ. № 1107) [ჭილაშვილი 1964: 61, 82, 83, ტაბ. XXVI-2; ჯავახიშვილი 1972: 82, № 135], დათარიღებულია ახ. ნ. III ს-ით [ლორთქიფანიძე 1969: 145; ჯავახიშვილი 1975: 77-78]; **მეორე - სამთავროს** სამაროვნის (ტაბ. II-2) № 600 ქვის სამარხში აღმოჩენილ ვერცხლის ბეჭედშია ჩასმული (ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გლიპტიკის ფონდში, საინვ. № 587) [ლორთქიფანიძე 1954: 34-35, ტაბ. III-29], დათარიღებულია ახ. ნ. III-IV სს-ით [ლორთქიფანიძე 1969: 145, ტაბ. X-137]; **მესამე** - კარსნისხევის № 27 სამარხშია აღმოჩენილი და რკინის ბეჭედში ზის (ტაბ. II-3), დათარიღებულია ახ. ნ. II ს-ის ბოლოთი და III ს-ის დასაწყისით [ნიკოლაიშვილი 1993: 72, 86, ტაბ. XCV-5]; **მეოთხე - ქუთაისის** (ტაბ. II-4-ანაბეჭდი) მახლობლადაა ნაპოვნი (ინახება მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში) [Кибальчич Т. В. 1910: 49, ტაბ. VIII-267], დათარიღებულია III ს-ის დასაწყისით [ლორთქიფანიძე 1969: 144, ტაბ. X-136]; **მეხუთე** - უცნობი წარმოშობისაა (ტაბ. II-5), ეკუთვნოდა კოლექციონერ როზენს, რომელსაც ადვილი შესაძლებელია გემა კონსტანტინოპოლში ეყიდა, რადგან თავისი კოლექციის უდიდესი ნაწილი მას სწორედ იქ შეუძენია. გემა ამჟამად ბერლინის მუზეუმში ინახება [Furtwangler A. 1896: 9, 132, ტაბ. 25 - № 2935]. **მექვსე** გემა ინახება ბონის ანტიკური ხელოვნების მუზეუმში (ტაბ. II-6) და იქ მიუღერის კერძო კოლექციიდან არის შესული, თარიღდება ახ. ნ. II საუკუნის ბოლოთი და III ს-ის პირველი ნახევრით [Zweirlein-Diehl 2003: 88-89, ტაბ. 82]. დანარჩენი გემებისაგან განსხვავებით, კარსნისხევურ, ბერლინისა და ბონის მუზეუმების გემებზე მხედრის ზევით თავისუფალ არეზე დამატებით გამოსახულია ვარსკვლავი და ნამგალა მთვარე. II ჯგუფის გამოსახულებები მსგავსი კვეთის მანერითა და სტილითაა შესრულებული, დეტალებიც ანალოგიურადაა დამუშავებული, რის გამოც ისინი ერთი სახელოსნოს პროდუქციადაა

მიჩნეული. აქედან გამომდინარე, ბერლინის მუზეუმში დაცული გემის ნარმომავლობაც ლ. ჭილაშვილმა საქართველოს ტერიტორიიდან ივარაუდა [ჭილაშვილი 1964: 82]. აღსანიშნავია, რომ ასეთი გემები, საქართველოს გარდა, არსად არ არის არქეოლოგიური გზით აღმოჩენილი, რაც კიდევ უფრო გვიმყარებს იმ მოსაზრებას, რომ ბერლინისა და ბონის მუზეუმებში გემები, შესაძლოა, საქართველოდან მოხვედრილიყო.

რაც შეეხება ჟინვალურ გემას, კომპოზიცია გამოსახულია ოვალური გემის ვერტიკალურად, ისე როგორც I ჯგუფის ყველა (ოთხივე) ინტალიოზე, თუმცა, იგი II ჯგუფის გემების მსგავსად სარდიონისა და კომპოზიციაც გემის ოდნავ ამოზურცულ პირზეა ამოკვეთილი. ცხენის ზემოთ შემსხვილებული და ბოლოში გრძელი კუდიტ, ასევე, მხედრის დისპროპორციულად ჩამოგრძელებული ფეხებითა და სამსხივა მოსასხამით, ჟინვალელი მხედარი უფრო II ჯგუფის გამოსახულებებს ემსგავსება. ჟინვალურ გემაზე გამოსახულება მთლიანად ავსებს სასურათე სიბრტყეს და აქ მხედრის უკან სიცოცხლის ხის არსებობა შეუძლებელია. ცხენის ფეხს ქვემოთ ინტალიო ამოტეხილია, ამდენად, შესაძლოა გვეფიქრა ამ ადგილას საკურთხევლის არსებობა, რაც დასაშვებად არ მიგვაჩნია ადგილის სიმცირის გამო და ასევე იმიტომაც, რომ II ჯგუფის ყველა გემაზე საკურთხეველი ცხენის ფეხის გასწვრივ ან ზემოთაა მოცემული და არა ქვემოთ, რაც გვაფიქრებინებს, რომ ჟინვალურ გემაზე არც საკურთხეველია გამოსახული. მაშასადამე, ჟინვალელი მხედარი ღვთაებრიობის აღმნიშვნელი ატრიბუტების გარეშეა და კომპოზიციურად უფრო არქაული - I ჯგუფის ურბნულ ცხენოსნებს ემსგავსება. თუ როგორი თავსაბურავი ახურავს ჟინვალელ მხედარს, გარკვევა ჭირს, რადგან სწორედ ამ ადგილას გემა ამოტეხილია, მაგრამ თავსაბურავის შემორჩენილი ნაწილით და პირსახვევით, რომელიც სახეზე აქვს შემოხვეული მხედარს, იგი II ჯგუფის ურბნულ გემაზე სიცოცხლის ხესა და საკურთხეველს შორის გამოსახულ ცხენოსანს ემსგავსება (შეად. ტაბ. I-2 და ტაბ. II-1), ამდენად, ვფიქრობთ, რომ ჟინვალელ მხედარსაც შესაძლოა ფრიგიული თავსაბურავი ეხუროს, მაგრამ არა გასხივოსნებული, რადგან მაშინ კეფის არედან გამომავალი სხივი აუცილ-

ვად გამოჩნდებოდა, რაც II ჯგუფის ყველა გამოსახულებაზე დასტურდება. ამრიგად, მხედარი ჟინვალურ გემაზე მსგავსებას ავლენს ორივე ჯგუფის გამოსახულებებთან და გამოდის, რომ მასზე გამოსახულია მხედრის კიდევ ერთი, განსხვავებული იკონოგრაფიული ვარიანტი, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ კომპოზიციურად იგი უფრო I ჯგუფის გამოსახულებებს უახლოვდება. მაშასადამე, ჩამოსხმის წესით დამზადებული მინის ინტალიოებისა, გემის ვერტიკალურად გამოსახული მხედრები ღვთაებრიობის ატრიბუტიკის გარეშე, გარდა ურბნისისა, დასტურდება ქართლის სამეფოს მეორე პუნქტში - ჟინვალში აღმოჩენილ სარდიონის გემაზეც. რაც შეეხება მეორე ჯგუფის გემა-ინტალიოებს, რომლებზეც გასხივისნებული ფრიგიულქუდიანი მხედრები სიცოცხლის ხესა და ცეცხლდანთებულ საკურთხეველს შორის არიან მოთავსებულები, მათი გავრცელების არეალი გაცილებით ფართოვდება და მოიცავს როგორც აღმოსავლეთ საქართველოს - ქართლს (მცხეთა, კარსნისხევი, ურბნისი), ისე დასავლეთ საქართველოსაც (ქუთაისი).

მნიშვნელოვანია, რომ II ჯგუფში გაერთიანებული კომპოზიციების მსგავსი გამოსახულებები დასტურდება ახ.წ. II-III სს-ის ტრაპეზუნტის სპილენძის საქალაქო მონეტების ზურგზე (ტაბ. II-7), რომლებიც ბიჭვინთაშია აღმოჩენილი. ტრაპეზუნტული მონეტების ნარმომავლობის, დამზადების ადგილის, დათარიღებისა და მხედარ-ღვთაებათა იდენტიფიკაციის საკითხების ირგვლივ მრავალი მოსაზრებაა გამოთქმული: ფ. კუმონის მოსაზრებით, ტრაპიზონტულ მონეტებზე გამოსახული ცხენოსანი სინკრეტული ღვთაებაა, რომელმაც გააერთიანა მზის ღვთაება მითრასა და კაპადოკიური მთვარის ღვთაება მენი [Максимова 1956: 404, სქ. 3]. მ. მაქსიმოვას მოსაზრებით კი, ამ მონეტებზე აღბეჭდილი მხედარი მითრასა, რადგან ტრაპეზუნტის მონეტებზე გამოსახულ მხედარს აქვს მხოლოდ მითრას ატრიბუტები და არ გააჩნია კაპადოკიური ღვთაება მენის ისეთი აუცილებელი ნიშანი, როგორიცაა ნამგალა მთვარე [Максимова 1956: 399, 404, სქ. 3], მისივე აზრით, მითრა ტრაპეზუნტის მთავარი ღვთაებაა, რომელიც არაბერძნული ნარმოშობისაა და მცირეაზიულ სხვა ბერძნულ ქალაქებში არსად არ ჩანს გავრცე-

ებული [Максимова 1956: 399-402, 404 ტაბ. II-15], ხოლო ტრაპეზუნტის ღვთაებათა პანთეონში მისი გამარჯვება მცირეაზიის სხვა ბერძნულ ქალაქებისაგან განსხვავებულმა ეთნიკურმა საფუძველმა განაპირობა: ტრაპეზუნტის მოსახლეობის ბირთვს, როგორც ვარაუდობენ, კოლხური მოსახლეობა შეადგენდა [Максимова 1956: 402; Меликишвили 1959: 378; დუნდუა 1968: 18-19]. მონეტები საფუძვლიანად შეისწავლა გ. დუნდუამ, იგი შეეხო მხედრის გამოსახულებიან ორივე ჯგუფის გემებსაც (ჟინვალურის გარდა) და მრავალი მნიშვნელოვანი დასკვნა გააკეთა [დუნდუა 1975; 1978; 2006]. დუნდუამ გაიზიარა ფ. კუმონის მოსაზრება ღვთაების სინკრეტულობის შესახებ, რომელმაც გააერთიანა მითრასა და კაპადოკიური მთვარის ღვთაება – მენის ფუნქციები, რადგან მითრა ძალზე იშვიათად გამოსახებოდა ცხენზე ამხედრებული, ხოლო ცხენოსანი მენის გამოსახულებები ფართოდ იყო გავრცელებული. გ. დუნდუა თვლის, რომ ბერლინის მუზეუმში დაცულ და კარსნისხევურ გემებზე მხედრის ზევით გამოსახული ვარსკვლავი და ნამგალა მთვარე ტრაპეზუნტულ მონეტებზე მთვარის სხვა ატრიბუტით - მტაცებელი ფრინველით არის ჩანაცვლებული [დუნდუა 1968: 29-30]. მკვლევარი აღნიშნავს, რომ ტრაპეზუნტის მთავარ ღვთაება მითრას გამოსახულებიან სპილენძის საქალაქო მონეტებს პარალელი არ მოეძებნება სხვა ქალაქებისა და სამეფოების ნუმისმატიკაში, ასევე, ცხენოსანი მითრა მხოლოდ და მხოლოდ საქართველოში აღმოჩენილ სინქრონულ გემებზეა ამოჭრილი და ტრაპეზუნტის მონეტებზე, ისე როგორც საქართველოში აღმოჩენილ გემებზე (ორივე ჯგუფისაზე), გამოსახულია ერთიდაიგივე მხედარი-ღვთაება, რომელიც არ არის მითრა პურიტანული გაგებით, არამედ სინკრეტული ღვთაებაა - მზის, მთვარისა, და ვარსკვლავთ ღვთაებათა ფუნქციების გამაერთიანებელი, მათი უნიფიცირებული სახე და მას ე.წ. მითრას უწოდებს. მკვლევარი აღნიშნავს, რომ ეს ე.წ. მითრა უშუალო წინამორბედი ნმ. გიორგის კულტისა ქართველურ სამყაროში [დუნდუა გ. 1977: 343-344]. ზემოაღნიშნულის საფუძველზე მკვლევარი ვარაუდობს ამ ღვთაების ქართველურ ნიადგზე წარმოშობას და ტრაპეზუნტის ე.წ. მითრას გამოსახულებიან სპილენძის საქალაქო

მონეტებს ქართულ ნუმისმატიკურ ძეგლთა რკალში ათავსებს. გ. დუნდუა მონეტებსა და შესაბამისად ორივე ჯგუფის გემებზე მოცემულ გამოსახულებებს შინაარსობრივად მჭიდროდ უკავშირებს უძველეს ქართველურ რწმენა-წარმოდგენებს [დუნდუა 1975: 338-334; დუნდუა 2006: 106-108]. იგი არ გამორიცხავს გემების ადგილობრივი წარმოშობის შესაძლებლობასაც [დუნდუა 2006: 107]. ჟინვალური გემის მართებულად დათარიღებისათვის საინტერესოა, რომ ტრაპეზუნტულ მონეტებზე თავდაპირველად ე.წ. მითრას ბიუსტია გამოსახული სხივებიანი ფრიგიული ქუდით, შემდეგ მას ემატება ცხენის თავის გამოსახულება და მხოლოდ ახ. წ. II საუკუნის დასასრულიდან ჩანს იგი ფეხალმართულ ცხენზე ამხედრებული [დუნდუა 1975: 334; დუნდუა 2006: 105].

მიუხედავად კომპოზიციური განსხვავებისა, ორივე ჯგუფის გემებზე გამოსახული მხედარი-ღვთაებები იკონოგრაფიულად ძალიან მსგავსები არიან, რის გამოც ი. გაგოშიძემაც ისინი იდენტურ ღვთაებებად მიიჩნია, მისივე მოსაზრებით, ორივე ჯგუფის გემებზე გამოსახულ მხედარში შეიძლება ქართველთა უმაღლესი ღვთაების გამოსახულება დავინახოთ, თუმცა, შესაძლებელია მითრაიზმის გავლენაც შეინიშნებოდეს, რადგან წარმართული ქართული პანთეონის მეთაური, რომელმაც მზის ღვთაების ფუნქციებიც შეიერთა, ადვილად შეიძლებოდა დაახლოვებოდა მითრას [გაგოშიძე 1964: 42-43]. მარგ. ლორთქიფანიძე II ჯგუფის გემებს (ქუთაისურს, ურბნულსა და მცხეთურს) მცირეაზიური ძეგლების გავლენით შექმნილ ადგილობრივად დამზადებულ ჭრილა ქვების ჯგუფში ათავსებს, ხოლო მხედარს მითრად მიიჩნევს [ლორთქიფანიძე 1969: 144-145]. ქ. ჯავახიშვილს II ჯგუფის სარდიონის ოთხ გემაზე გამოსახული მხედრები ტრაპეზუნტის მთავარი ღვთაება ჰგონია, ხოლო გემები - ტრაპეზუნტში შექმნილ ახ.წ. III ს-ის გლიპტიკურ ძეგლებად მიაჩნია; I ჯგუფის მინის ინტალიოებზე გამოსახულ მხედარში კი ხედავს II ჯგუფის სარდიონის გემებზე და ტრაპეზუნტის III ს. მონეტებზე გამოსახულ მხედრის წინამორბედს და ვარაუდობს, რომ ურბნულ მინის ინტალიოებზე გამოსახული მხედარი ქალაქ ტრაპეზუნტის ადგილობრივი ღვთაებაა, რომელსაც სხვა ღვთაე-

ბებთან სინკრეტიზაცია ჯერ არ განუცდია [ჯავახიშვილი 1975: 111]. საინტერესოა, რომ პანტიკაპეონში აღმოჩენილ და ახ.წ. სანყისი საუკუნეებით დათარიღებულ ერთ გემაზე გამოსახულია მხედარი გასხივოსნებული ფრიგიული ქუდით, რომელსაც ო. ნევროვი მიიჩნევს მითრად ან მითრასა და კაპადოკიური მენის ფუნქციათა გამაერთიანებელ მთვარის აღმოსავლურ ღვთაებად, რომელსაც ქ. ტრაპეზუნტში ეთაყვანებოდნენ და გემას მცირეაზიური წარმომავლობის ნაკეთობად მიიჩნევს [Неверов 1983: 121].

როგორც აღვნიშნეთ, მხედრის გამოსახულებიანი გემა-ინტალიოების წარმომავლობის, დამზადების ადგილის, დათარიღებისა თუ მხედარ-ღვთაებათა იდენტიფიკაციის საკითხების ირგვლივ მრავალი მოსაზრებაა გამოთქმული, თუმცა, მკვლევართა უმეტესობა თანხმდება, რომ აღნიშნული მხედრების გამოსახულება მაშინდელ სამყაროში მითრაიზმის გავრცელებასთანაა დაკავშირებული [ლორთქიფანიძე 1969: 144-145; ლორთქიფანიძე 1954: 34-35; გაგოშიძე 1964: 43; დუნდუა 1968; დუნდუა 1975; დუნდუა 1977; დუნდუა 2006; ჯავახიშვილი 1972; ჯავახიშვილი 1975]. აქედან გამომდინარე ვფიქრობთ, რომ ყინვალურ გემაზე გამოსახული მხედარიც ამავე კონტექსტშია განსახილველი.

როგორც ცნობილია, მითრა უძველესი ინდო-ირანული ღვთაებაა. მისი კულტი გავრცელებულია მცირე აზიაში ჯერ კიდევ აქემენიდების ბატონობამდე, რასაც ადასტურებს ბოლაზკოიში აღმოჩენილი, ძვ.წ. XV ს-ის სახელმწიფო არქივის ტექსტები, სადაც ხეთელი მეფეები სხვა ღმერთებთან ერთად, მითრას ენით, ღვთაება მიტრასილსაც იმონებენ [მაკალათია 1927: 181]. მითრას კულტი მეტად გაძლიერდა აქემენიდების დროს, როცა იგი აპურა-მაზდას დაუქვემდებარდა და მისი მეორე პირი გახდა. ეს მზის, სინათლის, სიკეთისა და ბოროტებასთან მებრძოლი, ჩაგრულთა მოსარჩლე და კეთილმოწმუნეთა მფარველი, სიკეთისა და რაც მთავარია, მხედართმფარველი ღვთაება შაჰების მფარველიცაა, რომლებიც მას ცხენს წირავენ [მაკალათია 1927: 182]. ძვ.წ. II-I სს. მითრაიზმი უკვე ფართოდაა გავრცელებულია მცირე აზიაში, განსაკუთრებით პონტოსა და კაპადოკიაში, სადაც მითრას კულტისა და ადგილობრივ ღვთაებათა ერთგვარი შერწყმა

მოხდა [მაკალათია 1938: 7]. მითრიდატე პონტოელს რომის იმპერიასთან ბრძოლაში რომ გაემარჯვა, ზოგიერთი მკვლევარის ვარაუდით, მითრაიზმი შესაძლოა ქცეულიყო იმ რელიგიად, რომელიც ამ ტერიტორიაზე ქრისტიანობის ადგილს დაიკავებდა [კეკელიძე 1965: 342-353]. მცირე აზიაში, კერძოდ ფრიგიაში, მითრა მჭიდროდ უკავშირდება მისგან არსობრივად სრულიად განსხვავებულ ისეთ მცირეაზიურ - ფრიგიელ გმირ-ღვთაებას, როგორიცაა ატისი, ამიტომ, ანატოლიურ ძეგლებზე, მითრას ჩაცმულობა, როგორც წესი, ფრიგიულია. მითრას ატისთან აახლოვებდა ის, რომ ორივე სავარგულების, მდელოების, საძოვრების, საქონლისა და მცენარეთა გამრავლების მფარველი იყო [Сапрыкин 2009], ასევე, მზის, სინათლისა და ცეცხლის ეს უნივერსალური ღვთაება ერთადერთია, რომელსაც მიწიერი და მონამეობრივი ცხოვრება არ გაუვლია, მას არ გააჩნდა კვდომადი და განახლებადი ადამიანი-ღვთაების თვისება, რაც მან სწორედ ატისისგან ისესხა და რაც ასე სჭირდებოდა მას, ვითარცა მისტერიალურ-მესიანისტური რელიგიის მთავარ ღვთაებას. მითრა და ატისი თავისი ანდროგენული ფუნქციითაც ავლენენ ერთმანეთთან სიახლოვეს. საქართველოს ხელოვნების მუზეუმში დაცულია ხარზე გადამჯდარი ადამიანის ქანდაკება, რომლის აღმოჩენის ადგილი უცნობია და რომელიც ნ. ყიფიანმა მითრა-ატისად მიიჩნია და ძვ.წ. I ს-ის პირველი ნახევრით დაათარიღა. მანვე აღნიშნა, რომ ამ ნივთზე მითრა-ატისის სინკრეტიზაცია წინ უნდა უსწრებდეს ჩრდილო შავიზღვისპირეთის მითრა-ატისებს [ყიფიანი 2002: 87, სურ. 1, 2], რომლებიც ახ.წ. I ს-ით არიან დათარიღებულები [Жобилина 1978: სურ. 34]. საინტერესოა, რომ რომაულ მითრაიზმში მითრა ატისის მსგავსად 25 დეკემბერს არის დაბადებული, რითაც ორივე ღვთაება ქრისტეს ემსგავსება.

როგორც ვარაუდობენ, ელინიზირებული მითრას კულტი ჩამოყალიბდა კომაგენის ოლქში ძვ.წ. II ს-ში. აღსანიშნავია ძვ.წ. I ს-ის ბარელიეფი კომაგენადან (ტაბ. III-1), რომელზეც სელევკიდი მეფე ანტიოქ I წარმოდგენილია უკვე ძალზე სინკრეტულ ღვთაება მითრა-ჰელიოს-აპოლონ-ჰერმესთან ერთად. ღვთაებას ახურავს გასხივოსნებული ფრიგიული ქუდი [Sencov 2009]. ახ.წ. I საუკუნიდან მითრაიზმი ვრცელდება რომში, ზოგი მკვლე-

ვარის მოსაზრებით, კაპადოკიაზე გავლით [Grousset 1979] და თანდათანობით მეტად პოპულარული ხდება, სადაც ის ჯერ დაბალი ფენების რელიგიაა, ხოლო ახ.წ. II ს-ის მეორე ნახევარში მას მფარველად ევლინება რომის იმპერატორ სეპტიმიუს სევერუსის ცოლი - დედოფალი იულია დომნა, ახ.წ. III ს-ში კი, ე.წ. „ჯარისკაცი იმპერატორი“ ავრელიანე (270-275 წწ.) მითრას მარსის ველზე უგებს ტაძარს მომსახურე ქურუმების მთელი კოლეგიით [რამიშვილი 2010: 146]. მითრა, სხვა აღმოსავლურ ღვთაებებთან ერთად, მნიშვნელოვან როლს თამაშობს რომის ტრადიციულ წარმართულ იდეოლოგიაში და ახ.წ. III ს-ში, ავრელიანეს რეფორმის შემდეგ, ლათინიზირებული მითრაიზმი სხვა ორიენტალურ კულტებთან ერთად ძალზე ინტენსიურად და ყოველმხრივ ამზადებს ნიადაგს რომის იმპერიისთვის ახალ, ამჯერად ერთადერთ და უნივერსალური იდეოლოგიისათვის – ქრისტიანობისათვის. მითრაიზმი ფართოდ იყო გავრცელებული პართული და მოგვიანებით სასანური ირანის კულტურაში, ვითარცა მეფის სიცოცხლეშივე გაღმერთების კოსმიური და სოციალური წესრიგის გარანტი, რაც ძალზე მიმზიდველია რომაელი იმპერატორებისთვისაც და ახ.წ. II-III სს-ში რომის იმპერატორების სიცოცხლეშივე გაღმერთების პროცესი, მითრაზე გათვლით, რომში ამკარად შეინიშნება.

რომაულ ბარელიეფებზე გამოსახულია მითრას ცხოვრების ამსახველი სცენები [www.tertullian.org/rpearse/mithras/], სადაც ძირითადი კომპოზიციანა ტაუროქტონია (ტაბ. III-2). მითრა გაუსხივოსნებელი ფრიგიული თავსაბურავით გამოისახება, ახალგაზრდა, უწვერული ჭაბუკის სახით, იგი ხანჯლით კლავს ხარს, რათა მისი სისხლით სავარგულები გააპოხიეროს, ხოლო ხარის კუდიდან ამოზრდილი ფოთლოვანი მცენარე მითრას ნაყოფიერების ფუნქციას უსვამს ხაზს [Roberts 2009: 24]. მისი თანმდევი ღვთაებები არიან ტყუპები – კაუტოსი და კაუტოპატოსი - ე.წ. „მცირე მითრები“, რომლებიც ასევე ფრიგიული ქუდებითა და ხელში ანთებული ჩირაღდნებით გამოისახებიან, ვითარცა აისისა და დაისის განსახიერებანი. მითრას თანმდევი და წმინდა ცხოველები არიან ტახი, ძაღლი, მამალი, ყორანი, გველი, მორიელი [Georgiev 2016: 13]. შემდეგ მითრა

რომში ძალიან მჭიდროდ უკავშირდება მზის ღვთაება სოლს. რომაულ ბარელიეფებზე გამოსახულია მითრას ცხოვრების ამსახველი სცენები (ტაბ. III-1), სადაც იგი იზადება კლდის გამოქვაბულიდან ხანჯლითა და ჩირაღდნით ხელში, ჯერ ებრძვის მზეს - სოლს, შემდეგ ურიგდება, პურობს, ბოლოს ერთვის მას და წარმოგვიდგება, როგორც „DEUS SOL INVICTUS MITHRA“ - „ღვთაება უძლეველი მზე მითრა“, გამოისახება გასხივოსნებულ-თავიანი მზეჭაბუკის სახით, რომელიც ცხენებშებმულ ეტლზე ზის და ქვეყნიერებას უვლის [Roberts 2009: 24-25]. ეს სიუჟეტი კარგადაა ასახული რომაულ მონეტებზეც, მაგ. რომის იმპერატორ პრობუსის ახ.წ. III ს-ის მონეტა, რომლის რევერსზე გამოსახულია გასხივოსნებულ გვირგვინიანი მითრა-სოლი, რომელიც კვადრიგას მიაჭენებს, ხოლო ავერსზე იმპერატორი პრობუსი ზუსტად ღვთაებისნაირი გვირგვინითაა გადმოცემული (ტაბ. III-3). მსგავსი სიუჟეტი დადასტურებულია ურბნისის სამაროვანზე აღმოჩენილ სარდიონის გემაზე, რომელიც რომაულ გემადაა მიჩნეული და დათარიღებულია ახ.წ. I-II სს-ით [ჯავახიშვილი 1975: 10-11], თუმცა, ამ შემთხვევაში მხედარს თავზე ყაბალახისებური თავსაბურავი ახურავს (ტაბ. III-4), მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ ცხენების ფეხები, ფაფარი და ყურები სხივებივით არის მოდელირებული, ვფიქრობთ, რომ აქაც მითრა ან მასთან დაკავშირებული ღვთაება უნდა იყოს გამოსახული. რომის იმპერიაში მითრა ცხენზე ამხედრებულიც გამოისახება, მაგ. მარმარილოს ბარელიეფზე ვენიდან [Мифы Народов Мира 1988: 309]. თანმდევი ცხოველებია ლომი და გველი (ტაბ. III-5). რომში მითრაიზმი წარმართული რელიგიის ერთ-ერთი უძლიერესი მოძღვრება ხდება, რომელიც „მსოფლიო ბატონობაზე“ აცხადებს პრეტენზიას და რომლის იკონოგრაფიული პერიოდი ვრცელდება ახ.წ. I ს-იდან IV ს-ის ჩათვლით, ხოლო მისი გავრცელების არეალი მოიცავს ცენტრალურ სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპას, რაინსა და დუნაის, ცენტრალურ იტალიასა და რომს [აბაკელია 2011: 47] და რომ არა რომის იმპერატორ კონსტანტინე დიდის არჩევანი ქრისტიანობის სასარგებლოდ, რენანის მოსაზრებით, კაცობრიობა მითრას ინამებდა [მაკალათია 1927: 179].

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, მითრიაზმი მისტერიული რელიგიაა, ეს კი „საიდუმლო კულტების არსებობაზე მიანიშნებს, რაც გულისხმობს ძვ.წ. VII ს-იდან ახ.წ. IV ს-ის ჩათვლით პერიოდს“ [აბაკელია 2011: 47]. როგორც ცნობილია, მსოფლიოში არ არსებობს მითრიაზე სინკრეტული ღვთაება და როგორც მას უწოდებენ ამ „ღვთაება ვერცხლისწყალმა“ და მისმა საიდუმლო კულტმა მოახდინა ირანული მემკვიდრეობის კომბინირება ბერძნულ-რომაულ სინკრეტიზმთან. მითრას კულტის გავრცელების არეალი მთლიანობაში ევფრატის სათავეებიდან დიდი ბრიტანეთის ჩათვლით მოიაზრება. ცნობილია, რომ არსებობდა მითრას კულტის მრავალი ლოკალური ვარიანტი. ერთ-ერთი სომხური ლეგენდის თანახმად, მითრა (ეჭვრა) კავკასიურ ტრადიციაში სწორედ მხედარი ღვთაებაა, ყორნის თანხლებით [MacMullen 1987: 24].

მითრიაზმი სწრაფად გავრცელდა ყველა იმ ქვეყანაში, სადაც ფართოდ იყო აღიარებული ცხენისა და მნათობთა თაყვანისცემა, ამიტომ ბუნებრივია, ცხენისა და მხედრის კულტის ისეთი მძლავრი ტრადიციის მქონე ქვეყანაში, როგორც საქართველოა, მან ფართო გამოძახილი ჰპოვა [მაკალათია 1927]. საქართველოში მზის ცხოველის - ცხენის კულტის არსებობასა და მის პროპაგანდას ხელი შეუწყო ჯერ ფარნავაზ მეფის რეფორმებმა, როდესაც აღიარებული იქნა არმაზის ღვთაების უზენაესობა, რაც მზისა და მისი სიმბოლოების თაყვანისცემაში გამოიხატებოდა [რამიშვილი 2007: 38], ხოლო შემდეგ ძვ.წ. II ს-ის დასწყისში მოღვაწე ცეცხლთაყვანისმცემელმა მეფე ფარნაჯომმა, რომელმაც მრავალი ტაძარი ააგო და მცხეთაში არმაზის მოპირდაპირე მთაზე მითრა-ზადენის ქანდაკება აღმართა [ვანაძე 2002: 115-125]. მზის კულტის ერთგვარმა აღორძინებამ და მისი სიმბოლოს - ცხენის თაყვანისცემის გაძლიერებამ, მოგვიანებით, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ხელი შეუწყო მითრას კულტის ფართო გავრცელებას. დასავლეთ საქართველოში დადასტურებულია „ჯეგე-მისარონის“ ან „ჯეგე-მოისარის“ რიტუალი, რომელშიც შესაძლებელია მითრას თაყვანისცემის მიკვლევა და ეს უნდა ყოფილიყო „მითრას რომაული მისტერიებიდან შემორჩენილი ფრაგმენტები, რომ-

ლებიც გაჟღერებული იყვნენ სპარსული რწმენა-წარმოდგენებით“ [აბაკელია 2011: 59]. ქართულ წარმართულ კალენდარში ღვთაება მითრას დღესასწაულისადმი მიძღვნილი თვის („თთუეი მიჰრაკანისა“) არსებობა მიუთითებს, რომ იგი ჩვენში ოფიციალურ კულტად იყო აღიარებული. ამასვე უნდა ადასტურებდეს აგრეთვე, მაგ. სამეგრელოში, სოფ. საჩინოში აღმოჩენილი მითრას ბრინჯაოს ქანდაკების აღმოჩენის ფაქტიც [მაკალათია 1926: 193].

როგორც ცნობილია, საქართველოში გარდა იმისა, რომ ცხენი მზის კულტთან იყო დაკავშირებული, იგი მძლავრად ჩანს ჩართული დაკრძალვის რიტუალშიც. ცხენზე ამხედრებული ღვთაებების გამოსახვა კი ემთხვევა მათ ანტროპომორფიზაციის პროცესს, როდესაც ღვთაება ცხენი გადაიქცევა შესაბამისი ადამიანი ღვთაების ატრიბუტად, მის ინკარნაციად, მისდამი დაქვემდებარებულ წმინდა ცხოველად [რამიშვილი 2007: 38]. კავკასიაში და საერთოდ, ქართულენოვან სამყაროში, ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულსა და I ათასწლეულის დასაწყისში, როცა ბრინჯაოს ინდუსტრიამ თავისი განვითარების მწვერვალს მიაღწია, ხმარებაში შემოვიდა რკინა, რომელმაც თანდათანობით პოზიცია გაიმყარა და გადატრიალება მოახდინა ეკონომიკაში, სოციალურსა თუ კულტურულ ყოფაში, განსაკუთრებით კი სამხედრო საქმეში, სადაც საბრძოლო ეტლების გვერდით უფრო და უფრო პოპულარული ხდება კავალერია. ცხენზე ამხედრებული მეომრებისათვის რკინის იარაღის ახალი სახეობები მზადდებოდა. ცხენის მეშვეობით მხედარი საზოგადოების მეტად მნიშვნელოვან და გავლენიან ძალად იქცა, ხოლო ცხენი თაყვანისცემის მძლავრი ობიექტი გახდა. ინდოევროპულ, მახლობელი აღმოსავლეთის საზოგადოებაში და კავკასიაშიც ცხენი ღვთიურ ცხოველად უძველესი დროიდან იყო აღიარებული. ამ ხალხების რელიგიაში იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. მიუხედავად ამისა, კავკასიაში ცხენისა და მხედრის გრაფიკული ან სკულპტურული გამოსახულებები შედარებით გვიან ვრცელდება, ხოლო ამგვარ გამოსახულებათა სიმრავლე სწორედ რკინის ფართო ათვისებისა და ე.წ. „კავკასიური ცხოველური სტილის“ აყვავების ხანას ემთხვევა [რამიშვილი 2007: 24]. კავკასიაში

ცხენისა და მხედრის გამოსახულებათა საყურადღებო ნიმუშები ყველაზე მკვეთრად თავს იჩენს კოლხურ-ყოხანური კულტურის ფარგლებში როგორც გრაფიკული, ისე მრგვალი ქანდაკების სახით. აღსანიშნავია, სერჟენ-იურთაში აღმოჩენილი მხედრის მცირე ქანდაკება, რომელიც ვენის მუზეუმშია დაცული და ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი საუკუნეებითაა დათარიღებული [Ковалевская 1977: 62-63]. ეს არის ბრინჯაოს საკინძი, რომლის თავი შენობის ორფერდა სახურავია. მასზე მდგარი ცხენოსანი ღვთაებაა, რომელიც ღვთაებრივ ცხენზეა ამხედრებული, ხოლო ორფერდა სახურავი კი, ღვთის სახლის ანუ ტაძრის განსახიერება უნდა იყოს. ცხენი საქართველოსა და კავკასიაში განიხილებოდა როგორც ნაყოფიერების (გამრავლების) ღვთაებათა წრის წარმომადგენელი, მზესთან და ნადირობასთან დაკავშირებული ცხოველი, რაზეც მიუთითებს ის სოლარული ატრიბუტები, რომლებიც ახლავს ბრინჯაოს სარტყლებსა თუ ცულებზე (ძვ. წ. VIII-VII სს.) გრაფიკულად გამოსახულ ცხენებსა თუ მხედრიანი ცხენების ფიგურებს [ხიდაშელი 1982; ფანცხავა 1988]. ამ მოსაზრების არქეოლოგიური მაგალითია თრელის სამაროვანზე მოპოვებული ძვ.წ. XIII ს-ის ცხენის ფალიკური ფიგურა (ტაბ. IV-1), რომელზეც ნაყოფიერების ფალიკური ღვთაებაა ამხედრებული [თბილისი I, 1978: ტაბ. VII]; აღსანიშნავია აგრეთვე, ძვ.წ. VIII-VII სს-ის ცხენოსნის მცირე ბრინჯაოს ქანდაკება მუხურჩიდან [გოგაძე 1977: 60-68, ტაბ. VII], ყაზბეგის განძიდან (ძვ.წ. Vს.) [ნითლანაძე 1976: 61, ტაბ. XIII], საინტერესოა აგრეთვე, ახალგორის განძში დაცული ოქროს სასაფეთქლეები, რომლებზეც მშვიდ პოზაში მდგომი ცხენები წყვილადაა გამოსახული. ისინი პარადულობით, მონუმენტურობითა და რეალისტურად მოდელირებული ფიგურებით გამოირჩევიან. აღნიშნული სამკაული თავისი ხასიათითა და შესრულების სტილით მჭიდროდაა დაკავშირებული აქემენიდური ხელოვნების ძეგლებთან [Смирнов 1934: 223-229, ტაბ. III-26].

ქართულ გლიპტიკურ მასალაში შუბოსანი მხედრის გამოსახულებები უკვე ჩამოყალიბებული ჩანს და დასტურდება ადრეელინისტური ხანის, ვანის № 9, ე.წ. „წარჩინებული მეომრის“ სამარხში აღმოჩენილი ოქროს ბეჭდის მრგვალ ფარაკზე მოცემული გამოსახ-

ულებით (ტაბ. IV-3). ბეჭედი უფლებრივი საბეჭდავია და მიუხედავად ანტიკური ბერძნული გლიპტიკის ტრადიციების ზოგადი გავლენისა, ადგილობრივი, კოლხური გლიპტიკის ნაწარმადაა მიჩნეული და ძვ.წ. V-IV სს-ითაა დათარიღებული [ლორთქიფანიძე 1975: 93-96], ხოლო სიუჟეტი კოლხეთში გავრცელებულ კულტებს უკავშირდება [ლორთქიფანიძე 1975: 111]. ვანელი მხედარი კონუსური თავსაბურავით (შესაძლოა, მუზარადიც იყოს) რქოსან ცხენზე ზის, კაციც და ცხენიც პროფილშია. მხედარს მარჯვენა ხელში მოქნეული შუბი უჭირავს, ხოლო მარცხენა ხელის თითები ფრინველის კლანჭისებურადაა გადმოცემული, რაც ცხენისა და მხედრის ფრინველთან მჭიდრო კავშირზე უნდა მეტყველებდეს. აღნიშნულ ფაქტს, ჩვენი მოსაზრებით, კარგად ხსნის აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ კი ყანჩაეთში აღმოჩენილი და ძვ.წ. IV-III სს. დათარიღებული ვერცხლის ორი საბეჭდავი-ბეჭედის მრგვალ ფარაკებზე მოცემული მსგავსი გამოსახულებები. ერთის ფარაკზე გამოსახულია რქოსან და ფეხალმართულ ცხენზე მჯდომი შუბოსანი (ტაბ IV-4), (შესაძლოა ყაბალახისებურ თავსაბურავიანი), რომელიც მეორისაზე ჩანაცვლებულია ცხენის ზურგზე მჯდომი ფრინველით (ტაბ. IV-5). ორივე ბეჭდის ფარაკზე მზის სიმბოლური გამოსახულებაა დატანილი. ბეჭდები, ვანური ბეჭდისგან განსხვავებით, ბერძნულ-სპარსული გლიპტიკის ერთ-ერთი ჯგუფის, კერძოდ, ბერძნულ-აღმოსავლური გლიპტიკური ნიმუშების სტილით შესრულებულ ადგილობრივ ნაწარმადაა მიჩნეული [გაგოშიძე ი. 2009: 14-17, ტაბ. I-II]. ი. გაგოშიძის მოსაზრებით, ფანტასტიკური რქიანი ცხენის სახით მზის ღვთაებაა წარმოდგენილი, რომელსაც ხშირად ფრინველი ახლავს. „თუ ცხენი მზის ცხოველად ითვლებოდა საქართველოში, ფრინველი მთვარისა უნდა ყოფილიყო“ [გაგოშიძე 1964: 36-37]. აქედან გამომდინარე ვფიქრობთ, რომ ვანის № 9 სამარხის ოქროს ბეჭედზეც ის მხედარი-ღვთაებაა აღბეჭდილი, რომელიც ყანჩაეთის საბეჭდავ-ბეჭედზე გამოსახული მხედრის პროტოტიპი უნდა იყოს და რომელიც მჭიდროდ უკავშირდებოდა მზისა და მთვარის კულტს. მსგავსი გამოსახულებებით (ფეხალმართული რქოსანი ცხენებით, მხედრებით, სიცოცხლის ხით, ნამგალა მთვართა და მნათობე-

ბით) შემკულია აგრეთვე ძვ.წ-ის IV-III სს-ის რკალგახსნილი საბეჭდავი-ბეჭდების ფარაკები ქვიანადან, საძეგურიდან, ალგეთიდან, კუშჩიდან [ლორთქიფანიძე 1969: 43], ტახტიძირიდან [გაგოშიძე 2009: ტაბ. I], ბატნაოხორუდან [ლორთქიფანიძე 1975: 76-79, ტაბ. VII-19] და სხვ. მიუხედავად იმისა, რომ ვანსა და ოდნავ მოგვიანებით აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს პუნქტებში აღმოჩენილი ბეჭდები განსხვავებულ გლიპტიკურ სკოლებს ეკუთვნის, მათ აერთიანებთ ცხენისა და მხედრის საერთო კულტის არსებობა [რამიშვილი 2007: 24-25], რომლის ფესვები კოლხურ და საერთოდ კავკასიურ კულტურაშია საძიებელი და რაც ასე კარგად და ფართოდ აისახა ძვ.წ. VIII-VII სს-ის კავკასიური გრაფიკული სტილით შესრულებულ კოლხური მხატვრული ბრინჯაოს ძეგლებზე და ცენტრალურ-სამხრეთკავკასიური ბრინჯაოს სარტყლების დეკორში, სადაც ცხენისა და მხედრის გამოსახულებები ფრინველების თანხლებითა და მნათობთა გარემოცვაშია გამოსახული [ფანცხავა 1988; ხიდაშელი 1982].

საინტერესოა, რომ ზოგი მკვლევარის აზრით, ძვ.წ. IV-III სს-ის ყანჩაეთის ბეჭედზე უკვე მითრა-მხედარია გამოსახული, ამ ღვთაებისათვის დამახასიათებელი იკონოგრაფიითა და სიმბოლოებით [დუნდუა 1977: 343-363; ვანაძე 2007: 124-125]. მსგავს ვარაუდს გამოთქვამს ვ. ლიჩელი, როცა აწყურში, ძვ.წ. IV-III სს. დათარიღებულ 04-5 სამარხში აღმოჩენილ ბრინჯაოს მხედრის მცირე ქანდაკებას ადგილობრივად დამზადებულ მითრა-მხედრის გამოსახულებად მიიჩნევს, „რაც სრულიად ლოგიკურია, რადგან მითრა ხომ სწორედ მხედარია მის გერმანულ, თრაკიულ, რომაულ და ტრაპეზუნტულ ვერსიებში“, დასძენს მკვლევარი [ლიჩელი 2011: 37, ტაბ. I]. როგორც ცნობილია, მითრას კულტი თრაკიასა და დუნაისპირეთში, ისე როგორც რომის იმპერიის სხვა რეგიონებში, ანტიკური ეპოქის ბოლოს ერწყმის ადგილობრივი მხედრის კულტს, რასაც ადასტურებს ე.წ. თრაკო-მითრისტული რელიეფები, რომლებზეც ძალიან რთული და სინკრეტული მხედარი-ღვთაებებია გამოსახული [Щеглов 1969: 137, 150, 177]. საფიქრებელია, რომ ტრაპიზუნტული და თრაკიული მხედრები იკონოგრაფიულად იმ საერთო წყაროთი იკვებებოდნენ,

რომელიც პერგამონში ჩამოყალიბდა ძვ.წ. IV-III სს-ში [ლიჩელი 2011: 37] და შემდეგ გავრცელდა როგორც კონტინენტურ საბერძნეთში (თესალონიკი), ისე თრაკიაში და ტრაპეზუნტში. ჩვენი მოსაზრებით, სწორედ მხედრის ამ იკონოგრაფიულ პროგრამაში იკავებს ადგილს მითრა. როგორც ცნობილია, პერგამონს, კოლხეთსა და ბოსფორის სამეფოს შორის ურთიერთობა სწორედ პონტოს სამეფოს გავლით ხორციელდებოდა [მათიაშვილი 2011: 78]. დადასტურებულია, რომ ისეთი ფრიგიელი ღვთაებები, როგორებიცაა ატისი, პარისი, პერსევსი, მენი, საბაზიოსი ერწყმის მითრას [მშვილდაძე 2005: 105]. სინკრეტული ღვთაების ძალზე საინტერესო მაგალითია ახ.წ. II ს-ის ქანდაკება, რომელიც ფეხადმართულ ფრთოსან ცხენზე მჯდომ ფრიგიულ-თრაკიულ ღვთაება მითრა-საბაზიოსს გამოსახავს და რომელიც გარკვეულ მსგავსებას ავლენს ჩვენს გემებზე გამოსახულ მხედრებთან (ტაბ. IV-9).

შუბოსანი მხედრისა და ცხენის გამოსახულებები გვხვდება აგრეთვე ლურჯი მინის მრავალნახნაგებზე (ტაბ. IV-6), რომლებიც ადგილობრივად, იბერიაში მზადდებოდა ძვ.წ. II-I საუკუნეებიდან ვიდრე ახ. წ. II საუკუნემდე და ისინი განიხილება, როგორც „ბერძნულ-სპარსული“ გლიპტიკის ძეგლების მოგვიანო, დამოუკიდებელი ჯგუფი, რომელიც ძალიან ახლოს დგას მცირეაზიული საბეჭდავების ერთ-ერთ ჯგუფთან და რომელიც ე.წ. ბერძნის ჯგუფის სახელითაა ცნობილი [ჯავახიშვილი 2002: 74-76, ტაბ. I-2-14; გაგოშიძე 2009: 16]. ძალზე საყურადღებოა, რომ შუბოსანი მხედრისა და ცხენის სტილიზებული გამოსახულებები მოცემულია ბრინჯაოს, საკმაოდ მოზრდილ საბეჭდავებზე, რომელიც ნარმოადგენს სწორკუთხა ან სამკუთხა, საკმაოდ სქელ ფირფიტას მომრგვალებული კუთხეებითა და ზურგზე მირჩილული მასიური სახელურით. თავსაბურღიანი მხედარი, რომელსაც მარჯვენა ხელში მოქნეული შუბი უპყრია, ხოლო მარცხენა კი ცხენის კისერზე უდევს, გამოსახულია სამთავისში შემთხვევით აღმოჩენილ ამგვარ მართკუთხა ბრინჯაოს საბეჭდავზე, ცხენის წინ ქვეითია, რომელსაც აღვირი უჭირავს. ფაფარაყრილი ცხენი, რომელსაც მარჯვენა წინა ფეხი აუწევია გამოსახულია, ასევე ბრინჯაოს სამკუთხა საბეჭდავზე, იგი შემთხვევითაა მოპოვებული

ნალვლში, ცხენის წინ, ფეხებს შორის ჩანს მნათობი. საბექდავები ძვ.წ. III-I საუკუნეებით არის დათარიღებული და მიჩნეულია ადგილობრივ ნაწარმად [ჯავახიშვილი 1997: 221-229, ტაბ. I-5; ტაბ II-8]. ერთი ასეთი ბრინჯაოს მართკუთხა საბექდავი კასპის რაიონში, სოფ. ერთანმინდაშიცაა შემთხვევით აღმოჩენილი (ტაბ. IV-7), პირზე შუბოსანი მხედარია გამოსახული სქემატურად (ინახება გლიპტიკის ფონდში, საინვ. № 1704). ასევე, საინტერესოა, აწყურში აღმოჩენილი ბრინჯაოს სახელურიანი საბექდავი ცხენისა და ნახევარმთვარის გამოსახულებით [ლიჩელი 2011: ტაბ. I]. ადგილობრივადაა დამზადებული აგრეთვე მცხეთაში აღმოჩენილი ძვლის მართკუთხა საბექდავი მხედრის გამოსახულებით, რომელიც ფორმითა და გამოსახულების შესრულების სტილით ზემოგანხილული ბრინჯაოს სწორკუთხა საბექდავის მსგავსია [ჯავახიშვილი 1997: 228, ტაბ. I-5]. ასევე ძალიან საინტერესოა, ჟინვალის სამაროვანზე აღმოჩენილი ძვლის პირამიდული საბექდავი, რომლის ქვედა, მართკუთხა ნახნაგზე გამოსახულია ფეხაღმართული ცხენი სხივისებური ფაფარით (ტაბ. IV-8), ნივთი ადგილობრივი ნახელავია და დათარიღებულია ძვ.წ. I - ახ.წ. I სს-ით [ლორთქიფანიძე 2003: 103-107]. მოხმობილი მაგალითების საფუძველზე ვფიქრობთ, რომ, როგორც ჩანს, ძვ.წ. V-IV სს-იდან მოყოლებული საქართველოში ადგილობრივად მზადდებოდა ცხენებითა თუ მხედრების გამოსახულებებით შემკული სხვადასხვა ფორმის საბექდავები და საბექდავი-ბექდები, რომელთა ფარაკებსა თუ თვლებზე ამოჭრილი გამოსახულებები (მხედრები) რომაულ ხანაშიც აგრძელებენ არსებობას და ისინი უნდა მოთავსდნენ ადგილობრივ კულტურულ წრეში, რომელმაც ერთდროულად განიცადა როგორც კოლხური, ისე მცირეაზიური – ბერძნული და სპარსული ხელოვნების გავლენა [ლორთქიფანიძე 1975: 112; გაგოშიძე 2009: 16].

ქართული გლიპტიკური ძეგლებისათვის საერთოდ ყაბალახისებური თავსაბურავი უცხო არ არის. მხედველობაში გვაქვს კლდეეთში აღმოჩენილი აგრაფი, ეს არის ვარსკვლავისებურად დაკბილულ და გრანატებით მოთვალულ ოქროს ჩარჩოში ჩასმული სარდიონის გემა-ინტალიო, რომელზეც ამოჭრილია წარჩინებული წვეროსანი მამაკა-

ცის პორტრეტული ბიუსტი პროფილში (ტაბ. VIII/1). მამაკაცს შუბლზე შემოვლებული აქვს ვიწრო და სადა დიადემა. როგორც გ. ლომთათიძე სამართლიანად აღნიშნავს, მამაკაცს ახურავს ქსოვილის, დასავლურ-ქართული ყაიდის, ღრმანაკეცებიანი ყაბალახისებური თავსაბურავი, რომლის ქვემოდან, კეფაზე ჩამოშვებულია თასმა. მხარზე მოხვეული დანაოჭებული მოსასხამიც შეკრულია მსგავსი თასმით, რომელიც ყელზეა შემოხვეული, ნიკაპთან ამოდის და მხართან მომცრო ფუნჯით ბოლოვდება (ეს დეტალიც ყაბალახს მოგვაგონებს). გ. ლომთათიძის მოსაზრებით, აგრაფი გემითურთ ადგილობრივი ნახელავია და კლდეეთის მრავალრიცხოვან მონაპოვართან ერთად გემაზე გამოსახულ ადგილობრივ წარჩინებულს ეკუთვნის და მას ახ.წ. II-III სს-ით ათარიღებს [ლომთათიძე 1957: 28-30, ტაბ. I-3]. მ. ლორთქიფანიძე ფიქრობს, რომ გემაზე მართლაც ადგილობრივი წარჩინებული პირია გამოსახული, მაგრამ ინტალიოს ძვ.წ. უკანასკნელი საუკუნეების ნახელავად მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ გემა ადგილობრივადაა დამზადებული უცხო ოსტატის მიერ და იგი მეორედ გამოიყენეს ახ.წ. II-III სს-ში [ლორთქიფანიძე 1954: 48-49, ტაბ. VIII]. გემა შეისწავლა დ. პლანტცოსმა, მან კლდეეთის გემაზე გამოსახული მამაკაცი შეადარა ელინისტური ხანის სამ პორტრეტულ გემას, რომელზეც გამოსახულ მამაკაცებს ფესკისებური, მაღალი თავსაბურავები ახურავთ [Plantzos 1997: 199-200, სურ. 2, 3, 5]. მიუხედავად განსხვავებული თავსაბურავებისა, მკვლევარმა მაინც შენიშნა ოთხივე პორტრეტის ერთგვაროვნება და მსგავსი იკონოგრაფია, რომელიც გამოსახულ პიროვნებათა აღმოსავლურ წარმომავლობაზე მეტყველებს - ოთხივე გემა მომდინარეობს აღმოსავლური ქვეყნებიდან: თურქეთი, კონსტანტინოპოლი, ეგვიპტის სანაპირო და საქართველო [Plantzos 1997: 200]. ამავე დროს, განსხვავებული თავსაბურავი და სამოსის დეტალები დ. პლანტცოსს ავარაუდებინებს, რომ კლდეეთის გემა, დანარჩენებისგან განსხვავებით, დამზადებულია ადგილობრივად, იქ, სადაც ის აღმოჩნდა, რადგან ოსტატს უნდა აესახა ის სამოსი და თავსაბურავი, რომელსაც ადგილობრივი დიდებული ატარებდა [Plantzos 1997: 199]. ყაბალახისებური თავსაბურავები გვხვდება აგრეთვე ფარსის მმართველთა

– „ფრატაკარების“ სახელით მოჭრილ მონეტებზე, რომელთაგან უადრესი ეკუთვნის ძვ. წ. III ს-ის შუახანებში ან ოციან წლებში მოღვაწე ფარსის მმართველს ბაგადატ I-ს [Plantzos 1997: 201, სურ. 6]. საყურადღებოა, რომ კლდეეთის გემაზე გამოსახული მამაკაცის თავსაბურავი ყველაზე მეტად სწორედ მონეტაზე გამოსახულ ბაგადატის ყაბალახისებურ თავსაბურავს ემსგავსება, იმ განსხვავებით, რომ ბაგადატის თავსაბურავს აქვს ჩამოშვებული, ბოლოში გაფართოებული ბოლოები, როგორც I ჯგუფის პირველ ქვეჯგუფში გაერთიანებულ ურბნულ გემებზე გამოსახულ მხედრებსაც აღენიშნებათ. აღსანიშნავია ისიც, რომ ოთხი პორტრეტიდან კლდეეთის მამაკაცის მსგავსი დიადემა მხოლოდ ბაგადატს ამკობს. ამდენად, როგორც ქ. ჯავახიშვილი ვარაუდობს, კლდეეთის ინტალიო ბაგადატის თანადროულია და ძვ.წ. III ს. შუა ან ოციანი წლებით უნდა დათარიღდეს [ჯავახიშვილი 2015: 17]. მაშასადამე, იმ დროს, როცა ქართული სახელმწიფო უკვე ჩამოყალიბებულია და საერისთაოებადაა დაყოფილი, ადგილობრივი წარჩინებულები აღმოსავლელი მმართველების დარად იმოსებიან, ცხადია, ადგილობრივი ტრადიციებისა და კლიმატური პირობების გათვალისწინებით და ის ფაქტი, რომ კლდეეთელი წარჩინებულები დიადემითაა შემკული, გვავარაუდებინებს, რომ კლდეეთში აღმოჩენილ გემაზე, შესაძლოა, „მარგვეთის ქვეყნის“ ძვ.წ-ის III ს-ის შუა ხანებში მოღვაწე ძალზე სიმპატიური, დახვეწილი გარეგნობისა და სანდომიანი გამომეტყველების ერისმთავარი იყოს გამოსახული. როგორც ცნობილია, ახ.წ.-ის II-III სს-ში ქართლის სამეფომ განსაკუთრებულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ძლიერებას მიაღწია, ხელოსნობის სხვადასხვა დარგს შორის გამოიკვეთა ოქრომჭედლობის განსაკუთრებული როლი, რაც სხვა მრავალფეროვან ფორმებსა და შემკულობასთან ერთად გულსხმობდა ქრილა ქვების ჩასმას ძვირფასი ლითონისგან დამზადებულ მოთვალულ ჩარჩოებში, რაც ელინისტური და განსაკუთრებით რომაული ეპოქების საიუველირო ხელოვნების მთავარი სტილური ნიშანია [ლორთქიფანიძე 2015: 321], ამდენად, კლდეეთის გემაც ახ.წ. II-III სს-ში, საფიქრებელია წარჩინებულის შთამომავლებმა, მეორედ ჩასვეს მოთვალულ ჩარჩოში, რომელშიც

დიდი ზომის გამო ვერ ჩაეგია და ამიტომ კიდები შემოუმტვრევიათ და თან ისე უხეშად, რომ მამაკაცის თავსაბურავის ზედა ნაწილი აღარ შემორჩა [ჯავახიშვილი 2015: 18], სავარაუდოდ, თავსაბურავს წოპიც უნდა ჰქონოდა [ლომთათიძე 1957: 29]. ყაბალახისებური თავსაბურავი ახურავს აგრეთვე მამაკაცს, რომელიც ტახტიძირში აღმოჩენილი და ადგილობრივად დამზადებული ბეჭდის (ძვ.წ. IV-III სს.) ფარაკზეა ამოკვეთილი (ტაბ. VIII/2). მამაკაცს აღმოსავლური, წელში გამოყვანილი კაბა მოსავს და ხელში ჯოხი უჭირავს. გადაჭრით რაიმეს მტკიცება გავიჭირდება, მაგრამ ჯოხი მითრას ატრიბუტადაა მიჩნეული [მაკალათია 1927: 189-190].

ახალი წელთაღრიცხვის საწყისი საუკუნეებიდან სახვით ხელოვნებაში, და მათ შორის გლიპტიკაში აღინიშნება გარკვეული სიახლე, რომელიც ცხენისა და მხედრის კულტის ახალი ძალით აღორძინებაში გამოიხატა, რასაც, გარდა ტრადიციულისა, ახალი გარე ფაქტორებიც ასაზრდოვებდა, იგულისხმება მახლობელი აღმოსავლეთისა და ხმელთაშუა ზღვის აუზში მითრას კულტის ფართო გავრცელება, რამაც სამხრეთ კავკასიაშიც საკმაოდ მძლავრად შემოაღწია. ცხენისა და მხედრის გამოსახულებათა მომრავლება, ვფიქრობთ, ამ მოვლენით უნდა აიხსნას, რადგან მითრასიტულ რელიგიაში ცხენისა და მხედრის კულტმა განვითარების უმაღლეს საფეხურს სწორედ ახ.წ. პირველ საუკუნეებში მიაღწია [რამიშვილი 2010: 193-194].

მხედარი, რომელიც ფეხალმართულ ცხენზე ზის (სიცოცხლის ხისა და საკურთხევლის გარეშე) და ჟინვალელი მხედრის მსგავსად გაუსხვიოსნებელი ფრიგიული ქუდი ახურავს, გამოსახულია გონიოს განძის შემადგენლობაში აღმოჩენილ ოქროს ბალთაზე (№7). ბალთა მოთვალული და დაცვარული სწორკუთხა ფირფიტაა, რომლის ზედა ნაწილი ფრინველის თითო გამოსახულებით შემკული ორი სამკუთხედითაა დაგვირგვინებული, ხოლო ქვედა ნაწილზე შებმულია წნულ ძენკვზე დამაგრებული ბრტყელი და მრგვალი ფირფიტები. ბალთის ცენტრალური ნაწილი შემკულია ცვარათი ჩარჩოშემოვლებული მხედრის გამოსახულებით (ტაბ. IV-10). ცხენის გავაზე ცვარათივე გამოყვანილია ვარდული [ლორთქიფანიძე 1980: 13-20; კახიძე 2015: 78-102]. მსგავსი შემკულობის ბალთები აღ-

მოჩენილია ახ.წ. II საუკუნით დათარიღებულ კლდეეთის სამაროვანზე [ლომთათიძე 1957: 103-104], არმაზისხევში [აფაქიძე ... 1955: 22, ტაბ. 1 – XXXIII], ქ. სოჭის მახლობლად, დაბა ლოოს მდიდრულ სამარხში [Иванова, Голубев 1961: 284-292, სურ. 7-2; სურ. 8-2]. ზოგადი ტიპოლოგიური, მხატვრულ-სტილური და სიმბოლური ნიშნებით, მიუხედავად ზოგი დეტალის განსხვავებისა, სრულიად აშკარაა, რომ ისინი ერთგვაროვანია და განეკუთვნება სამკაულთა იმ რიგს, რომელიც ახ. წ-ის სანყის საუკუნეებში ფართოდაა გავრცელებული. ძალიან მნიშვნელოვანია ამ ტიპის ბალთების სიმრავლე კლდეეთის სამაროვანზე, რომელიც ახ.წ. II ს-ის შუა ხანებსა, ან მის მეორე ნახევარს განეკუთვნება [ლომთათიძე 1957: გვ. 169-174]. აღსანიშნავია, რომ აქ განხილული ბალთებისა და მათ შორის მხედრის გამოსახულებიანი №7 ბალთის შემკულობა, როგორც მხატვრულ-სტილურად, ისე გამოსახულებათა სიმბოლიკით გენეტიკურად მჭიდროდ არის დაკავშირებული ძველი კოლხური ოქრომჭედლობის ტრადიციებთან [ლორთქიფანიძე 1980: 22], მხედველობაში გვაქვს მხედრის გამოსახულება ადრეანტიკური ხანის კოლხურ ოქრომჭედლობაში, მაგ. ვანის ნაქალაქარის № 6 სამარხში აღმოჩენილი ფიგურულსაკიდებიანი საყურეები ოთხთვალა ეტლზე მდგარ მხედართა (ტაბ. IV-11) გამოსახულებით [ჭყონია 1977: 96-99], რომლებიც ძველ სამყაროში ფართოდ გავრცელებული „დიდი დედისა“ და მისი მხედრების შესახებ მითოლოგიურ წარმოდგენებს უკავშირდება. აღსანიშნავია, რომ გონიოს №7 ბალთაზე ცხენის გავაზე მზის სიმბოლო – ვარდულია გამოსახული, ხოლო ვანის ზემოხსენებული საყურეების ცხენის გავაზე – სვასტიკა, რომელიც აგრეთვე მზის სიმბოლოდაა მიჩნეული [ლორთქიფანიძე 1980: 23, სქ. 54-56]. მხედარი ფრიგიული თავსაბურავით უცხო არ არის კიდევ უფრო ადრეული კოლხური ბრინჯაოს მხატვრული მელითონეობისთვის, მხედველობაში გვაქვს ლეჩხუმში, ცაგერას განძში აღმოჩენილი მხედრის ქანდაკება, სადაც კაციცა და ცხენიც პროფილში არიან წარმოდგენილები (ტაბ. III-4), მხედარს ფეხები მკვეთრად აქვს მოხრილი და ცხენზე მჭიდროდ მიბჯენილი, მარცხენა ხელში სადავე უჭირავს, მარჯვენა მოტეხილია, მხარზე, ზურგის მხრიდან გადაკ-

იდებული აქვს ლახტისთავი (ძვ.წ. VIII-VII სს.). ცაგერას მხედარი ნატურალისტურადაა შესრულებული, რომელთანაც ზომიერადაა შერწყმული სტილიზაციისა და სქემატურობის ნიშნები. [სახაროვა 1976: 8, 36-38, ტაბ. VII-1]. ასევე საყურადღებოა, სოფ. სულორში ნაპოვნი კოლხური ცული, რომლის ყუა შემკულია ფრიგიულის მსგავსი მუზარადიანი მხედრების წყვილი ქანდაკებით, რომელიც ღვთაება „დიდი დედის“ მხედრებადაა მიჩნეული [ლორთქიფანიძე 2002: 131, სურ. 121]. აღსანიშნავია, აგრეთვე გუდაუთაში აღმოჩენილი ცულის თავზე დაყენებული ცხენის ქანდაკებები, რომლებიც კოლხურ-ყობანური ხელოვნებისათვის დამახასიათებელ სტილშია შესრულებული. სკულპტურულ გამოსახულებიანი ცულები ძვ.წ. VII ს-ითაა დათარიღებული [ფანცხავა 1988: 65].

მამაკაცის თავი გაუსხივოსნებელი ფრიგიული ქუდით გამოსახულია მცხეთაში შემთხვევით აღმოჩენილ იასპის გემა-ინტალიოზე, რომელიც ოქროს ბეჭედშია ჩასმული (ტაბ. V-1). იგი პერსევსად არის მიჩნეული. გემა დათარიღებულია ახ.წ. III ს-ით [ლორთქიფანიძე 1961: 33, სურ. 16]. მამაკაცის თავი უსხივებო ფრიგიული ქუდით გამოსახულია ასევე ჟინვალის სამაროვანზე აღმოჩენილ სარდიონის თვალზე, რომელიც ვერცხლის ბეჭედში ზის, მიჩნეულია ატისად (ტაბ. V-2, 3), სამარხი დათარიღებულია ახ.წ. IV ს. [ჩიხლაძე 2015: 149]. ჩვენი მოსაზრებით, არ უნდა იყოს გამორიცხული, რომ მამაკაცის გამოსახულებები მცხეთურსა და ჟინვალურ გემებზე მითრია იყოს, განსაკუთრებით ჟინვალურზე, რადგან გარდა იმისა, რომ მამაკაცს ფრიგიული ქუდი ხურავს და სახის მკვეთრად აღმოსავლური ნაკვეთები აქვს, მის თავზე მოკლე სხივების მწკრივიც შეინიშნება.

საინტერესოა, მცხეთაში, ციხისძირში, ურეკში, თავილონსა და სხვ. აღმოჩენილი ახ.წ. II ს-ის სარიტუალო ჭურჭლის ვერცხლის ყურები. მსგავსი ჭურჭელი რომაულ სამყაროში ახ. წ. I ს-იდან იყო გავრცელებული [Мачабели 1976: 56-59, სქ. 91, ტაბ. 14]. მცხეთურზე ძალიან მაღალმხატვრულად და დახვეწილად, დაბალ რელიეფში შესრულებულია ჯოხზე ან შუბზე დაყრდნობილი შიშველი მამაკაცი გაუსხივოსნებელი ფრიგიული ქუდითა და მოოქროვილი წამოსახამით (ტაბ. V-4). მის ორივე მხარეს გამოსახულია მზის

მოოქროვილი როზეტი, მარჯვენა მხარეს ტახის მოოქროვილი თავი, ხოლო მაცხნივ კი მოოქროვილი ქურა, ყურის ორივე ბოლოში გამოსახულია ყორნის თავი, მოოქროვილი ყურით, თვალთა და ნესტოთი. ნივთი ახ.ნ. II ს-ით არის დათარიღებული [Мачабели 1976: 57, სქ. 93]. ციხისძირულ ჭურჭლის ყურზე ამოკვეთილია მამაკაცი ფრიგიული ქუდითა და აღმოსავლური სამოსით, რომელსაც ხელში ჩირაღდანი უჭირავს და შესაძლოა ატისი იყოს (ტაბ. V-5), დათარიღებულია ახ.ნ. II ს-ის შუა ხანებით [Мачабели 1976: 58, სქ. 94]. ნ. ხომტარია მცხეთურსა და ციხისძირულ ჭურჭელზე გამოსახულ პირს ერთსა და იმავე ადგილობრივ ღვთაებად მიიჩნევს [ხომტარია 1962: 25]. მცხეთური ჭურჭელი მიჩნეულია მცირე აზიის რომელიმე მსხვილ ცენტრში დამზადებულად, ციხისძირულიც ასევე აღმოსავლური წარმოშობისა უნდა იყოს, ხოლო გამოსახულებები ელინისტური და კლასიკური მოტივების ნაზავია, რაც იმ ეპოქისთვის იყო დამახასიათებელი [Мачабели 1976: 59]. ს.მაკალათიას მოსაზრებით, რასაც ჩვენც ვიზიარებთ, მცხეთურ ჭურჭლის ყურზე გამოსახულია ღვთაება მითრა, რადგან იგი ტიპური დადოფორის პოზაშია და ამავე დროს, მითრას ატრიბუტებითა და ქუდითაა გამოსახული, ხოლო ამგვარი სარიტუალო ყურიანი ჭურჭელი ხშირად ჩანს მითრას რომაულ ბარელიეფებზე [მაკალათია 1927: 189-190, ტაბ. VIII]. ჩვენი მოსაზრებით, ციხისძირულ ჭურჭლის ყურზეც მითრა ან მითრასთან დაკავშირებული რომელიმე პერსონაჟი უნდა იყოს გამოსახული.

საინტერესოა, რომ მცხეთური ჭურჭლის ყურზე გამოსახული მითრა, ქურასთან დგას. ცნობილია, რომ ღვთაება მითრა, რომელიც „მსოფლიო ბატონობისკენ“ ისწრაფოდა, შეერწყა მრავალ ანტიკურ ღვთაებას, მითრა მარადიული ცეცხლის მოტივით იგივედება ჰეფესტოსთანაც [Мифы Народов Мира, II, 2000: 156]. რომაულ გნოსტიკურ გამოსახულებებზე ფრთოსანი მითრა ლომის თავითა და ადამიანის ტანითა [<https://en.wikipedia.org/wiki/Mithraism>], მას გველი შემოხვევია (ტაბ. V-6), ეს არის მითრას სახით წარმოდგენილი უნიფიცირებული ღვთაება, რომელიც, ატრიბუტების მიხედვით, აერთიანებდა ზევსს, აპოლონს, ჰერმესს, ჰეფესტოსსა და თვით ქრისტეს. საინტერესოა, რომ კვარცხ-

ლბეკზე გამოსახულია ურო, რაც მითრასა და ჰეფესტოსის ფუნქციების გადაჯვარედინებაზე მეტყველებს. საფიქრებელია, რომ მსგავსი პროცესი მიმდინარეობდა საქართველოშიც, რასაც ურბნულ № 1010 გემაზე გამოსახული, ხელში უროსმპყრობელი მხედრის გამოსახულება ადასტურებს (ტაბ. I-7, 8). მითრა იზიარებს ადგილობრივი მჭედელი ღვთაების ფუნქციებს. ამასთანავე, მითრა, როგორც მეომარი ღვთაება და მძლეობის სიმბოლო, მეტად დაახლოვებული უნდა ყოფილიყო გმირი-მეფე-მონადირე მხედრის მოტივთანაც [Гвоздиков 2010]. ამას ადასტურებს ქართული ხალხური ეპოსი, რომელშიც კეთილ დევ-გმირსა და ბოროტ ძალებს შორის დაუსრულებელი ბრძოლებია ნაჩვენები. ამგვარი ეპიკური ხასიათის თქმულებას წარმოადგენს „ამირანიანის“ ეპოსი, რომლის მთავარი გმირის – ამირანის სახელის წარმოშობა ივ.ჯავახიშვილმა მითრას დაუკავშირა და დაუშვა შესაძლებლობა, რომ თავდაპირველად გმირს „ამიჰრანი“ ან „ამითრანი“ ერქვა [ჯავახიშვილი 1951: 159]. აღსანიშნავია, რომ თვით ქართველი მეფეების სახელებიც მითრას სახელიდანაა წარმოშობი: მაგ. მიჰრდატი ფარსმან მეფის შვილი, მიჰრანი ან მირიანი, ქართლის პირველი ქრისტიანი მეფე, მიჰრანი ქართლის პიტიახში და სხვ. [მაკალათია 1927: 191]. ქართული ამირანი შინაარსობრივად – საგმირო თავგადასავლითაც ემსგავსება მითრას. ირანული და ქართული მითების ამგვარი მსგავსება, ს.მაკალათიას მოსაზრებით, ერთიდაიგივე ღვთაების კულტის არსებობით უნდა აიხსნას [მაკალათია 1927: 191]. ქართულ მითოლოგიაში ამირანი ნადირობის ქალღმერთის დალისა და მონადირის - გოლიათი, უძლიერესი დევ-გმირი შვილია. უფრო გვიანდელ ვარიანტში ამირანის მამაც და თითონაც შესანიშნავი მჭედელები არიან. ამირანმა ხმლის ჭედვა იცის და ხალხს სამჭედლო საქმესაც ასწავლის. ამირანი ღვთაებრივი წარმოშობის გმირია, მხრებზე მზე და მთვარე აქვს გამოსახული და სხეულის ზოგი ნაწილი ოქროსი აქვს. ამირანი ებრძვის ბოროტ ძალებს – დევებს, თავის ძმობილ ბადრისა და უსუჰთან ერთად, ამარცხებს ვეშაპს, რომელსაც მზე გადაუყლაპავს და ათავისუფლებს მზეს. იტაცებს და ათავისუფლებს ყამარს, რომელიც ციური ცეცხლის განსახიერებაა, ამარცხებს

რა ყამარის მამას - ამინდის, ჭეჭა-ქუხილისა და ღრუბლების ღვთაებას [Мифы Народов Мира, I, 2000: 69].

სამჭედლო საქმე რომ საქართველოში ოდითგანვე ფართოდ იყო გავრცელებული, ამის უამრავი დამადასტურებელი მასალა არსებობს. როგორც ცნობილია რკინის ჭედვა, ანუ ცხელი წესით კვერვა, დაიწყო II ათასწლეულის შუა ხანებში ხალიბთა ქვეყანაში, რომელიც ურარტუს ჩრდ. დასავლეთით საზღვრებთან მდებარეობდა და აქედან გავრცელდა მთელ ძველ სამყაროში. საყურადღებოა, რომ ხალიბ-ხალდების მეღითონეთა ერთმა ნაწილმა დიდხანს გაუძლო ისტორიის ავბედითობას და არსებობა განაგრძო შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროსა და ევფრატ-ჭოროხის სათავეების მიდამოში. ხალდები იგივე ჭანები, ეთნიკურად ქართველი ხალხის შემადგენელი ნაწილია და დღემდე ცხოვრობენ ისტორიული საქართველოს სამხრეთ პროვინციებში. ისინი განთქმული ხელოსნები იყვნენ და მათ რიგი ქართულ-ხალხური ხუროთმოძღვრულ ნაგებობათა მშენებლობა და მათი მხატვრული შემოკობა მიეწერებათ, აგრეთვე, „კვერით ხურობის“ დიდი ცოდნა. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ რკინის წარმოების ნაშთები ტერიტორიულად დაკავშირებულია საკულტო ადგილებთან, ხოლო რკინის დამუშავების ზოგიერთი პროცესი – გარკვეულ რწმენა-წარმოდგენებთან. მჭედლებს „რკინის კაცები“ ერქვათ [რეხვიაშვილი 1964: 53]. ურბნელი უროსმპყრობელი მხედარი-ღვთაება მჭედელია და როგორც ჩანს, მითრა საქართველოშიც მჭიდროდ ერწყმის ადგილობრივ მჭედელ-გმირ-ღვთაების კულტს.

მითრა, ჩვენი მოსაზრებით, ფუნქციურად დაახლოვებული ჩანს ბუნების ნაყოფიერებისა და გამრავლების ქართულ ასტრალურ ქალღვთაება ბარბალ-ბორბალთანაც [ბარდაველიძე 1941: 43-63], როგორც მზისა და ნაყოფიერების ღვთაება, ორივეს ფრინველი მამალია და ორივეს თვალის ჩინს შესთხოვენ და მოხარულ კვერცხებს წირავენ. როგორც ჩანს, მითრა საქართველოში ადგილობრივ მზისა და ცეცხლთან დაკავშირებულ ღვთაებებს, მათ შორის ქალღვთაებებსაც გადაეჯაჭვა.

საინტერესოდ გვეჩვენება არაგვისპირის № 13 სამარხში აღმოჩენილ ვერცხლის ორ

სურაზე გამოსახული წარჩინებული მოისარი მონადირე-მხედრის ცხენდაცხენ ნადირობის სცენები [რამიშვილი 1975: 10], სადაც იბერიელი დიდებული ერთ სურაზე წარმოდგენილ კომპოზიციაში ირმებზე, ხოლო მეორეზე – ტახებზე ნადირობს (ტაბ. V-8). მოცემული სიუჟეტები კომპოზიციურად და იკონოგრაფიულადაც დურა-ევროპოსის ახ.წ-ის II ს-ით დათარიღებულ ფრესკაზე გამოსახულ ნადირობის სცენას ემსგავსება (ტაბ. V-7), სადაც მოისარი მითრა — მხედარი-მონადირე ასევე ირმებსა და ტახებზე ნადირობს [Фрай 1972]. აღსანიშნავია, რომ არაგვისპირული სურები სწორედ მათზე მოცემული კომპოზიციების თავისებურებათა გამო სასანურ ტორევტიკასთან გენეტიკურად ვერ დაკავშირდა, რის გამოც სურები ადგილობრივ ნაწარმად ჩაითვალა და დათარიღდა ახ.წ. III ს-ის 50-იანი წლებით [რამიშვილი 1999: 72]. მხედარ-მონადირეთა გამოსახულებები საქართველოს ტერიტორიაზე გაცილებით ადრე იყო ცნობილი. ამ მხრივ ძალზე საყურადღებო მასალებია მოპოვებული სამადლოს გორაზე, სადაც ძვ.წ. IV-III სს-ით დათარიღებულ ფენაში აღმოჩნდა ქვიშაქვაზე შესრულებული ცხენოსანი მონადირე, რომელიც მისდევს მუფლონს [გაგოშიძე 1979: 65]. გაჭენებული ცხენით ნადირობის სცენები ფართოდ იყო ცნობილი და გავრცელებული აქემენიდურ ხელოვნებაში, განსაკუთრებით ჭურჭლებსა და ბეჭდის თვლებზე. სამადლოს ნადირობის სცენა აქემენიდური ხელოვნების ტრადიციების გავლენით შექმნილ ნაწარმოებად განიხილება. აღსანიშნავია, რომ იმავე სამადლოს გორაზე აღმოჩენილია დიდრონი სარიტუალო ქვევრები, მათზე წითელი საღებავით შესრულებული ნადირობის სცენები (შუბოსანი მონადირე-მხედარი შუბს ტყორცნის დაჭრილ ირემს) ლოკალურ მოვლენადაა მიჩნეული [გაგოშიძე 1979: 88], რადგან ანალოგი არ გააჩნიათ არც ამიერკავკასიაში და არც სხვაგან. მაშასადამე, მიუხედავად აქემენიდური და პართული ხელოვნების ზოგადად მძლავრი გავლენისა, ელინისტური ხანის საქართველოში, როგორც ჩანს, ხელოვნების მრავალი დარგი ვითარდებოდა საკუთარი, საკმაოდ ორიგინალური გზით [რამიშვილი 1999: 74]. გამორიცხული არ უნდა იყოს, რომ აქემენიდური ირანი და ამიერკავკასია ნადირობის სცენების დინამიკური მანერით

გადმოცემისას იკვებებოდნენ მახლობელი აღმოსავლური ცენტრებიდანაც, კერძოდ, სირიიდან, სადაც ეს სიუჟეტი ფართოდ იყო გავრცელებული, განსაკუთრებით გვიანასურულ ხანაში [კერამი 1972: 236]. მაგრამ ნადირობის სცენების სირიულ ან აქემენიდურ-პართულ პროტოტიპებს აღმოსავლეთ საქართველოში ბრმად კი არ იმეორებდნენ, არამედ შემოქმედებითად, თავისი ადგილობრივი პირველწყაროს მძლავრი ზეგავლენით, რის გამოც არაგვისპირის სურებზე გამოსახული ნადირობის სცენები ატარებენ მაგ. დურა-ვეროპოსის ფრესკასთან შედარებით, დამოუკიდებელ ნიშნებს, თუმცა, აქ სახეზეა ადგილობრივი და აღმოსავლურ (სირიულ-პართული) ტრადიციების ურთიერთმერწყმისა და ურთიერთზეგავლენის შედეგი, სადაც აღმოსავლეთიდან შემოსული რომაული მითრანიზმის საქართველოში გავრცელებას არცთუ ბოლო ადგილი ეჭირა.

ფეხალმართულ ცხენზე მჯდომი მხედარი გამოსახულია მონეტებზე იმ ტერიტორიებიდან, სადაც აღმოჩენილი ძეგლები ელინისტურ-ირანული სინკრეტიზმით გამოირჩევა. მაგ. ახ.ნ. I-II სს. ქუშანური მონეტები [Grib 1993: 110], რომელთა რევერსზე გამოსახულია ფეხალმართულ ცხენზე მჯდომი მეფე-მხედრების ინვესტიტურის სცენა – ნიკე ადგამს გვირგვინს თავზე. აღნიშნულ მონეტებზე გამოსახული სიუჟეტი კომპოზიციურ სიახლოვეს ავლენენ ჩვენ გემებზე მოცემულ მხედართა გამოსახულებებთან, თუმცა შინაარსობრივად და მთელი რიგი დეტალებით განსხვავდებიან მათგან, მაგ. ფართო შარვლით, რაც ირანელი (პართელი) მხედრებისათვისაა დამახასიათებელი [Фрай 1972], ხოლო ჩვენ გემებზე მათ შემოტყეცილი შარვლები მოსავთ.

ჟინვალელი ცხენოსნის ზუსტი ანალოგიები არსად გვეგულება, თუმცა, იგი თვალსაჩინო სიახლოვეს ავლენს რომაული ხელოვნების ძეგლებთან. აღსანიშნავია, მარკუს ავრელიუსის ჩვენამდე მოღწეული ერთადერთი ცხენოსანი ქანდაკება (ახ.ნ. II ს.), რომელიც კომპოზიციურად ჩვენი მხედრების მსგავსია. მარკუს ავრელიუსი ფეხალმართულ ცხენზე ზის (ტაბ. VII-1). აღნიშნული ქანდაკება გადარჩა, რადგან ქრისტიანებს იგი კონსტანტინე დიდი ეგონათ. იმპერატორი თავშიშველია, მოსავს მოკლე ტუნიკა და პატრიციების

ჩექმები. ცხენის აღმართული ფეხის ქვეშ ბარბაროსი იყო გართხმული, რომელიც ახლა დაკარგულია. ახსნა ნათელია – როგორც მარკუს ავრელიუსი ფლობდა ცხენს, ისე რომის იმპერია იმორჩილებდა ბარბაროსებს ანუ ამ შემთხვევაში ფეხალმართულ ცხენზე ამხედრება გამარჯვების სიმბოლოდ გვევლინება. იმპერატორებისა და მხედართმთავრების გამოსახვის ასეთი წესი რომაულ სამყაროში მეტად პოპულარული იყო და უკვე ახ. ნ. I ს-იდან მოყოლებული დასტურდება რომაელი (მათ შორის ქრისტიანი) იმპერატორების სახელით მოჭრილ მონეტებზე [Depeyrot 1987: 40, 49, 72, 83]. ფეხალმართულ ცხენზე მსხდომი ღვთაება-მხედრების გამოსახულებები დასტურდება რომაულ გლიპტიკურ ძეგლებზეც, მაგ. მიუნჰენის ანტიკური ხელოვნების მუზეუმში დაცულ გრანატის გემაზე (ჰ. ჰანსმანის კოლექცია) გამოსახულია პირისპირ მდგომი ორი მხედარი პროფილში, რომლებიც ფეხალმართულ ცხენებზე სხედან (ტაბ. VII-3). თავზე ხურავთ დაბალნოპიანი და სალტიანი ქუდები, ხოლო მოსახამის ბოლო ზურგსუკან უფრიალებთ. ცალ ხელში ორ-ორი შუბი უპყრიათ, მეორეთი – სადავე. ისინი არიან ტყუპი დიოსკურები – პოლიდევეკესი და კასტოროსი. ისინი მიაჩნდათ რომაული მხედრობისა და ფლოტის მთავარ მფარველ ღმერთებად, ასევე მფარველობდნენ საიქიოს კარიბჭესაც. ვარსკვლავები მათ ზემოთ მოწმობენ ტყუპი-ღვთაებების ასტრალურ ხასიათს. გემა ახ. ნ. I ს-ის დასაწყისით თარიღდება [Weib 2010: 73, №51]. ერთი რომაული სარდიონის გემის ოდნავ ამობურცულ პირზე კი გამოსახულია ცეცხლდანთებული ბომონის წინ მდგარი შუბოსანი მხედარი (ტაბ. VII-4), რომელიც ფეხალმართულ ცხენზე ზის, გემა ახ. ნ. II ს-ით თარიღდება [Brandt 1972: ტაბ. 260- 2770; ტაბ. 217-2410]. გარდა იმისა, რომ გემა სარდიონისაა და კომპოზიცია ამობურცულ ზედაპირზეა ამოკვეთილი, კომპოზიციურად ჩვენ ცხენოსან გამოსახულებებს ემსგავსება, მათ შორის ჟინვალურსაც. მხედრის გაფრიალებული მოსახამით კი, რომაელი ცხენოსანი ორივე ჯგუფის გამოსახულებების მსგავსია [Zwierlein 1973: 158, ტაბ. 86- 515; Walters 1926: ტაბ. XXVIII-2402]. ცნობილია რომაული სარდიონის გემა კიოლნიდან (მიულერის კოლექცია), რომლის ამობურცულ პირზე მხედარია გამოსახული პროფილში და კომპოზ-

იციურად საკმაო მსგავსებას ავლენს ჟინვალელ მხედართან, თუმცა, განსხვავებით მისი ფრიგიული ქუდი გასხვივოსნებულია, არც გაფრიალებული მოსასხამი მოსავს და გამოსახულებაც გაცილებით სქემატურია (ტაბ. VII-2), დათარიღებულია ახ. წ. III ს-ით [Zwilerlein-Diehl 2007: 450-№ 718]. აღსანიშნავია, რომ ახ.წ. II ს. რომაულ გემებზე დასტურდება ფეხალმართული ცხენების გამოსახულებები პროფილში მხედრების გარეშე (VI-6), რომლებსაც პირში პალმის რტო (გამარჯვების სიმბოლო) უჭირავთ [Brandt ...1972: ტაბ. 217-2410; Walters 1926: ტაბ. XXVIII-2402]. ურბნისის სამაროვნის № 172 სამარხშიც აღმოჩენილია ბრინჯაოს ბეჭედი სარდიონის ოვალური თვალით, რომლის პირზე გამოსახულია ტორანეული ცხენი პროფილში (ტაბ. VI-7). მას პირში გამარჯვების სიმბოლო - პალმის ტოტი უჭირავს. გემა რომაულია და ბეჭედი გემითურთ ახ. წ. II ს-ის დასაწყისით თარიღდება [ჯავახიშვილი 1975: 8]. ურბნული ცხენის გამოსახულება ჟინვალურ და დანარჩენ გემებზე გამოსახული ტორანეული ცხენების მსგავსადაა მოდელირებული, თუმცა, ცხენის გამოსახულება ურბნულ გემაზე უფრო პლასტიკური და დახვეწილია.

საქართველოში მითრას კულტის გავრცელებაზე, მზისა და ცხენის ადგილობრივ კულტთან მის შერწყმაზე მეტყველებს გვიანრომაული ხანის, ახ.წ. II-III სს-ით დათარიღებული არქეოლოგიური მასალების კიდევ ერთი, ადგილობრივი ჯგუფი — ვერცხლის თასები, ფსკერზე ბომონის წინაშე მდგომი ცხენის გამოსახულებით. ამგვარი თასი (ტაბ. VI-3), გარდა არმაზისხევისა, ბორისა და ზღუდერისა, ჟინვალის მახლობლად, არაგვისპირის სამაროვანზეცაა აღმოჩენილი [რამიშვილი 1975: 7-15]. ცხოველის მიერ ფეხის აღმართვა უძველესი, რიტუალური ხასიათის პოზაა და აღნიშნავს თაყვანისცემას, პატივისცემას და კომპოზიციებში უმეტეს შემთხვევაში დაკავშირებულია საკურთხეველთან ან სიცოცხლის ხესთან, მაგრამ ხშირად ეს პოზა გამოისახება დამოუკიდებლადაც, ამ შემთხვევაში აღმართული ფეხი ნიშნავს მფარველობას, დალოცვას [მაჩაბელი 1976: 86]. საინტერესოა, რომ ფეხალმართული „ფანტასტიკური ცხოველი“ დასტურდება კოლხური ცულების დეკორშიც [რამიშვილი 2011: ტაბ. IV-2, 3], ამ შემთხ-

ვევაში შესაძლოა ეს ფესტი იყოს ცხოველის ღვთაებრიობის აღმნიშვნელი (მე ვარ ღვთაება). ფეხალმართული „ფანტასტიკური გრიფონის“ ქანდაკება დასტურდება აგრეთვე ზღუდერშიც [ბრაუნდი ... 2009: 58-60, 93-95], იგი მითრანიზმთან კავშირში განიხილება, ისე როგორც იქვე აღმოჩენილი გირჩიანი საცეცხლური თუ საკურთხეველი [დუნდუა ... 2006: 105-108].

ცხენი, რომელიც საკურთხეველთან დგას გამოსახულია ტროაში ძვ.წ. II ს-ში მოჭრილი მონეტის რევერსზე (ტაბ. VI-5), ხოლო ავერსზე ამორძალი კიშია გამოსახული [Grose 1929: 94, ტაბ. 272-15, 16]. ცნობილია, რომ ამაზონები არიან მითური მეზრძოლი ქალები, რომლებიც, ცხოვრობდნენ აზოვისა და პონტოს ზღვების სანპიროებზე ან მცირე აზიაში. ისინი შესანიშნავი ცხენოსნები და ცხენოსანთა მფარველები არიან. საქართველოში აღმოჩენილი ვერცხლის თასების ფსკერზეც ცხენები საკურთხეველის წინ დგანან (ტაბ. VI-3), თუმცა, საკურთხეველის ფორმები განსხვავებულია და თუ ტროულ მონეტაზე და რომაულ გემაზე (ტაბ. VII-4) იგი ყურიანი ლარნაკის ფორმისაა, იბერიულ ვერცხლის თასებზე უკვე მართკუთხა სვეტის ფორმის საფეხურებიანი საკურთხეველია [<https://en.wikipedia.org/wiki/Mithraism>]. მითრას მსგავსი საკურთხეველები ფართოდ არის გავრცელებული რომში (ტაბ. VII-5). აღნიშნული ფორმის საკურთხეველებია გამოსახული II ჯგუფის ყველა გემაზე. ასევე დასტურდება საქართველოში აღმოჩენილ და ახ. წ. III ს-ით დათარიღებულ გემა-ინტალიოებზეც დამოუკიდებელი კომპოზიციის სახით. მაგ. ჟინვალში აღმოჩენილ ვერცხლის ბეჭედში (ტაბ VII-6) ჩასმულ სარდიონის ინტალიოზე [რამიშვილი 1983: 85, ტაბ. XXXIII – 4] და ალაიანში აღმოჩენილ ოქროს ბეჭედში (ტაბ. VII-7) მოთავსებულ სარდერის ინტალიოზე [მირიანაშვილი 1983: 92, ტაბ. 157 - 1].

ჟინვალელი მხედარი (ასევე დანარჩენი მხედრებიც) ამავე დროს სიახლოვეს ავლენს ადგილობრივ, თანადროულ ძეგლებთან, რისი ნათელი დადასტურებაა ახ.წ. საწყისი საუკუნეებით დათარიღებული (I-III სს.) იბერიული ჭვირული აბზინდები, რომლებზეც გამოსახულია სტილიზებული ფეხალმართული ფანტასტიკური ცხენებისა [ხიდაშელი 1978: ტაბ. XIII-158,159,160] და მხედრების (ტაბ. VI-1) გა-

მოსახულებები პროფილში ფრინველებთან და სოლარულ ნიშნებთან ერთად. ჟინვალელი და დანარჩენი მხედრების, განსაკუთრებით კი I ჯგუფში გაერთიანებული ცხენოსნების მსგავსი (ცხენზე ჯდომის მანერით, უტრირებული, „ყოვლისშემძლე ხელების“ ცხენის კისერსა და გავაზე განლაგებით) ბრინჯაოს მხედრები (ტაბ VI-2) აღმოჩენილია კლდეეთის სამაროვანზე (ახ.წ. II ს.) [ლომთათიძე 1957: 73-76, სურ. 12], ასევე პანკისის ხეობაში. შედარებით ნაკლები სიახლოვე შეინიშნება სოლარული ნიშნებით შემკული ვერცხლის სრულად დარახტული უმხედრო ცხენების ფიგურებთან (ტაბ. VI-4) არაგვის ხეობიდან (ნეძიხისა და ბადრიანების სამაროვნები), ცხენისა და მხედრების ზემოჩამოთვლილ გამოსახულებებს შესაბნევის - ფიბულის ფუნქცია აქვთ და ახ.წ. III-IV საუკუნეებით თარიღდებიან [რამიშვილი 2007: ტაბ. XXII-2, 4, ტაბ. XVII, XVIII].

ამრიგად, ზემოაღნიშნული ფაქტების გათვალისწინებით ვფიქრობთ, რომ ჟინვალელი მხედარი სინკრეტული ღვთაება – ე.წ. მითრას, რომელიც ერთი მხრივ, დაკავშირებულია მძლავრ ადგილობრივ ტრადიციებთან, ხოლო მეორე მხრივ - ახალ კულტურულ ტენდეციებთან, რომელიც ახ.წ. სანყის საუკუნეებში მითრაიზმის გავრცელებასთან დაკავშირებით დამკვიდრდა მთელ მაშინდელ სამყაროში და მათ შორის საქართველოში მცირეაზიური, რომაული, ტრაპეზუნტულ-კაპადოკიური თუ ირანული კულტურულ-რელიგიური გამოცდილების საფუძველზე. მიმდინარეობდა გარდაუვალი სინთეზი, რომელიც დასავლურსა და აღმოსავლურ სამყაროს შესაყარზე მდებარე საქართველოსთვის უცხო არ იყო მისი არსებობის არც ერთ ეტაპზე.

ვითვალისწინებთ რა პირველი ჯგუფისა (ახ.წ. I-II სს.) და მეორე ჯგუფის (ახ.წ. III-IV სს.) გემების, ასევე ტრაპეზუნტული მონეტებისა (ახ.წ. II-III სს.) და მსგავსი სინქრონული არტეფაქტების თარიღებს, ვფიქრობთ, რომ ჟინვალური გემა ახ.წ. II ს-ის მეორე ნახევრით ან მიწურულით დავათარილოთ და დანარჩენ მხედრისგამოსახულებიან გემებთან ერთად მივიჩნიოთ ადგილობრივ გლიპტიკურ ნაწარმად. რაც შეეხება ბეჭედს, ის ახ.წ. IV საუკუნის უნდა იყოს, რადგან ფორმის მიხედვით ერთ-ერთი გავრცელებული ტიპ-

ია ახ.წ. IV საუკუნეში [Henkel 1913: 274, 276, 281]. როგორც ჩანს, საქმე გვაქვს გემის მეორად გამოყენებასთან, რაც არც თუ იშვიათია გლიპტიკაში. ჩვენ მოსაზრებას გვიმყარებს ის ფაქტიც, რომ ჟინვალურ ბეჭედში გემა პირით (გამოსახულებით) ქვემოთ და ზურგით ზემოთ ყოფილა ჩასმული (ტაბ. I-4), ანუ ბეჭედი სადა თვლიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა. აღმოჩენისთანავე თვალბუდე დაიშალა და გაირკვა, რომ მხედრის გამოსახულება ბუდის ფსკერზე, მნახველისათვის უხილავი იყო. როგორც ჩანს, დაკრძალული ქრისტიანისთვის თვალზე გამოსახული ე.წ. მითრა-მხედარი მიუღებელი ღვთაება აღმოჩნდა, რისთვისაც იგი თვალბუდის ფსკერზე მოათავსა. შესაძლოა გვეფიქრა, რომ მხედრის ხანგრძლივი ისტორია აქ დასრულდა, მაგრამ როგორც ცნობილია, მსგავსი გამოსახულება საფუძვლად დაედო წმინდა მხედრის მახლობელი აღმოსავლეთისათვის კარგად ნაცნობ იკონოგრაფიას, რომელიც მოგვიანებით წმ. გიორგის გამოსახულებად მოგვევლინა.

ლიტერატურა:

აბაკელია 2011: აბაკელია ნ. მისტერიული რელიგიების კვალი ქართულ მითორიტულურ სისტემაში – ახლოაღმოსავლური კრებული XIV, გვ. 47-61. თბ.

აფხაზავა 1988: აფხაზავა ნ. ქვემო ალვეი ადრეულ შუა საუკუნეებში, ქსნის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, I, თბ.

ბარდაველიძე 1941: ბარდაველიძე ვ. ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარბარ-ბაბარ). თბ.

ბრაუნდი, ჯავახიშვილი, ნემსაძე 2009: ბრაუნდი დ., ჯავახიშვილი ქ., ნემსაძე გ. საგანძური ზღუდერიდან, ელიტარული სამარხები კავკასიის იბერიიდან რომაულ ხანაში ახ.წ. 200-250. თბ.

გაგოშიძე 1964: გაგოშიძე ი. ადრეანტიკური ძეგლები ქსნის ხეობიდან. თბ.

გაგოშიძე 2009: გაგოშიძე ი. საქართველო და „ბერძულ-სპარსული“ გემები. ჟურ. *იბერია-კოლხეთი*, საქართველოს კლასიკური და ადრემედიევური პერიოდის არქეოლოგიურ-ისტორიული კვლევანი (რედ. გ. გამყრელიძე), გვ. 14-19. თბ.

გოგაძე, ფანცხავა, დარისპანაშვილი 1977: გოგაძე ელ., ფანცხავა ლ., დარისპანაშვილი მ. ნოსირ-მუხურჩის ექსპედიციის სამუშაოები 1974-1975 წლებში, სსმაე, ტ. V. თბ.

დუნდუა 1968: დუნდუა გ. რას მოგვითხრობენ ძველებური მონეტები. თბ.

დუნდუა 1975: დუნდუა გ. სამონეტო მიმოქცევა და სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობანი ბიჭვინტაში ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით ძვ.წ. II-ახ. წ. IV სს. *დიდი პიტიუნტი*, I. თბ.

დუნდუა 1977: დუნდუა გ. ერთხელ კიდევ ტრაპეზუნტის მონეტების შესახებ, დიდი პიტიუნტი, II. თბ.

დუნდუა გ., დუნდუა თ. 2006: დუნდუა გ., დუნდუა თ. ქართული ნუმიზმატიკა, ნაწილი I. თბ.

ვანაძე 2007: ვანაძე ვ. იბერიის სამეფოს წარმართული ღვთაებები, თბ.

თბილისი I, 1978: კრებული თბილისი I, თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, ტ. I. თბ.

კახიძე, შალიკაძე, ფარტენაძე 2015: კახიძე ა., შალიკაძე თ., ფარტენაძე თ. ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის საგანძური. თბ.

კეკელიძე 1965: კეკელიძე კ. ქრისტიანიზმი და მითრაიზმი – ეტიუდები, II, გვ. 342-353. თბ.

კერამი 1972: კერამი კ. ღმერთები, აკლდამები და მეცნიერები. თბ.

ლომთათიძე 1957: ლომთათიძე გ. კლდეეთის სამაროვანი. თბ.

ლორთქიფანიძე 1954: ლორთქიფანიძე მ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები, I, სამთავროს სამაროვანში მოპოვებული გემების კატალოგი. თბ.

ლორთქიფანიძე 1961: ლორთქიფანიძე მ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები, III, საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული გლიპტიკური ძეგლების კატალოგი (რედ. შ. ამირანაშვილი). თბ.

ლორთქიფანიძე 1969: ლორთქიფანიძე მ. ძველი საქართველოს გლიპტიკური ძეგლების კორპუსი, I.

თბ.

ლორთქიფანიძე 1975: ლორთქიფანიძე მ. კოლხეთის ძვ.წ. V-III სს. საბეჭდავი-ბეჭდები. თბ.

ლორთქიფანიძე 1990: ლორთქიფანიძე მ. ჟინვალის გვიანანტიკური ხანის გლიპტიკური ძეგლები. ხელნაწერი (ინახება ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის გლიპტიკის კაბინეტში).

ლორთქიფანიძე 2002: ლორთქიფანიძე თ. ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან. თბ.

ლორთქიფანიძე, მიქელაძე, სახუტაიშვილი 1980: ლორთქიფანიძე თ., მიქელაძე თ., სახუტაიშვილი დ. გონიოს განძი. თბ.

მაკალათია 1927: მაკალათია ს. ღვთაება მითრას კულტი საქართველოში, სსმმ, ტომი III, (ალ. ჯანელიძე რედ.), გვ. 181-194.

მაკალათია 1938: მაკალათია ს. ჯეგე-მისარონის კულტი ძველ საქართველოში. თბ.

ნიკოლაიშვილი 1993: ნიკოლაიშვილი ვ. კარსნისხევის მეთუნე-ხელოსანთა დასახლება. თბ.

მირიანაშვილი 1983: მირიანაშვილი ნ. შიდა ქართლის მატერიალური კულტურის ისტორიიდან. ნასტაკისის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები, II. თბ.

მშვილდაძე 2005: მშვილდაძე მ. რომი და აღმოსავლური რელიგიები ახ. წ. I-III სს. თბ.

რამიშვილი 1975: რამიშვილი რ. ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები არაგვის ხეობაში, ძმ, № 39. თბ.

რამიშვილი 1983: რამიშვილი რ. ახალი ჟინვალის სამაროვანი და ნამოსახლარი 1971-1973 წწ. განათხარის მიხედვით, ჟინვალი I (არქეოლოგიური კვლევა-ძიება არაგვის ხეობაში). თბ.

რამიშვილი 2010: რამიშვილი რ. სულიერი კულტურის ისტორიის ზოგიერთი საკითხი საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად აღიარების კვირაძალზე, ჟურ. *იბერია-კოლხეთი*, № 6. თბ.

რამიშვილი 1999: რამიშვილი ქ. ნადირობის სცენები არაგვისპირის ვერცხლის სურებზე – ძიებანი, №3, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჟურნალი (რედ. თ. ლორთქიფანიძე), გვ. 71-75. თბ.

რამიშვილი 2007: რამიშვილი ქ. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მცირე პლასტიკის ძეგლები. თბ.

რამიშვილი 2010: რამიშვილი ქ. ირმის, ჯიხვისა და ცხენის გამოსახულებიანი ფიბულები, ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში, №19, (გ. კვირკველია რედ.), გვ. 190-204. თბ.

რამიშვილი 2011: რამიშვილი ქ. „ფანტასტიკური ცხოველის“ გამოსახულებები კოლხური კულტურის მხატვრული ხელოსნობის ძეგლებზე, ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში, №20, გვ.255-271. თბ.

სახაროვა 1976: სახაროვა ლ. ბრინჯაოს განძები ლეჩხუმიდან. თბ.

ფანცხავა 1988: ფანცხავა ლ. კოლხური ბრინჯაოს მხატვრულად დამუშავების ისტორიისათვის. თბ.

ყიფიანი 2002: ყიფიანი ნ. მითრა-ატისის ტერაკოტული გამოსახულება საქართველოს ხელოვნების მუზეუმიდან – არქეოლოგიური ჟურნალი II (რედ. ზ. ბრაგვაძე), გვ. 87-90. თბ.

- ჩიხლაძე 2015:** ჩიხლაძე ვ. წინაქრისტიანული ხანის ფინვალის სამაროვანი. თბ.
- წითლანაძე 1976:** წითლანაძე ლ. ყაზბეგის განძი. თბ.
- ჭილაშვილი 1964:** ჭილაშვილი ლ. ნაქალაქარი ურბნისი. თბ.
- ჭყონია 1977:** ჭყონია ა. ადრეანტიკური ხანის ოქროს საყურეები ვანის ნაქალაქარიდან, ვანი III. თბ.
- ჯავახიშვილი 1951:** ჯავახიშვილი ივ. ქართველი ერის ისტორია, I. თბ.
- ჯავახიშვილი 1972:** ჯავახიშვილი ქ. ურბნისის ნაქალაქარის გლიპტიკური ძეგლები. თბ.
- ჯავახიშვილი 1975:** ჯავახიშვილი ქ. ურბნისის ნაქალაქარის გლიპტიკური ძეგლები, ისტ. მეცნ. კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომი. თბ.
- ჯავახიშვილი 1997:** ჯავახიშვილი ქ. ბრინჯაოს საბეჭდავების ერთი ჯგუფი, სსმმ, XII-, (რედ. ლ. ჭილაშვილი), გვ. 221-234. თბ.
- ჯავახიშვილი 2002:** ჯავახიშვილი ქ. ლურჯი მინის მრავალნახნაგები, ძიებანი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჟურნალი, №9, გვ. 71-80. თბ.
- ჯავახიშვილი 2009:** ჯავახიშვილი ქ. საქართველოში აღმოჩენილი აქემენიდური საბეჭდავები, იბერია-კოლხეთი, საქართველოს კლასიკური და ადრემედიევური პერიოდის არქეოლოგიური-ისტორიული კვლევანი, (გ. გამყრელიძე რედ.), გვ. 85-93. თბ.
- ჯავახიშვილი 2015:** ჯავახიშვილი ქ. საქართველოს გლიპტიკური ძეგლები, ჟურ. იბერია-კოლხეთი, № 11, (რედ. გ. გამყრელიძე), გვ. 5-36. თბ.
- ხიდაშელი 1978:** ხიდაშელი მ. ბრინჯაოს მხატვრული დამუშავების ისტორიისათვის ანტიკურ საქართველოში. თბ.
- ხიდაშელი 1982:** ხიდაშელი მ. ცენტრალური ამიერკავკასიის გრაფიკული ხელოვნება ადრეულ რკინის ხანაში. თბ.
- ხოშტარია 1962:** ხოშტარია ნ. ციხისძირი ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში. თბ.
- Гвоздиков 2010:** Гвоздиков Д. Проблема «взгляда носителя» в Мистериях Митры. <http://www.roman-glorie.com/gvozdikov-mitra>.
- Иванова, Голубев 1961:** Иванова М., Голубев П. Находки в Лоо, «Советская археология», №3, Москва.
- Кибальчич 1910:** Кибальчич Т. Южно-русские геммы. Берлин.
- Ковалевская 1977:** Ковалевская В. Конь и Всадник. Москва.
- Максимова 1956:** Максимова М. Античные Города Юго-Восточного Причерноморья. Москва-Ленинград.
- Мачабели 1976:** Мачабели К. Позднеантичная торевтика Грузии. Тбилиси.
- Меликишвили 1959:** Меликишвили Г. К истории древней Грузии. Тбилиси.
- Мифы Народов Мира 1988:** Мифы Народов Мира II, Москва.
- Мифы Народов Мира 2000:** Мифы Народов Мира I, Москва.
- Мифы Народов Мира 2000:** Мифы Народов Мира II, Москва.
- Неверов 1983:** Неверов О. Геммы Античного Мира. Москва.
- Сапрыкин 2009:** Сапрыкин С. Религия и культуры Понта эллинистического и римского времени. Мос.-Тула. <http://historylib.org/historybooks/S-YU--Saprykin-Religiya-i-kulty-Ponta--ellinisticheskogo-i-rimskogo-vremeni>.
- Смирнов 1934:** Смирнов Я. Ахалгоринский Клад. Тифлиси.
- Фрай 1972:** Фрай Р. Наследие Ирана. Мос.
- Щеглов 1969:** Щеглов А. Древние Фракийцы в Северном Причерноморье. Фракийские Посвятительные рельефы из Херсонеса Таврического. Москва.
- Brandt, Krug, Wendula, Schmidt 1972:** Brandt E., Krug A., Wendula G., Schmidt E. Antike Gemmen In Deutschen Sammlungen. Band I. Munchen.
- Depeyrot 1987:** Depeyrot G. LE BAS-EMPIRE ROMAN economie et numismatique. Paris.
- Furtwangler 1896:** Furtwangler A. Beschreibung der Geschnittenen Steine im antiquarium. Berlin.
- Grousset 1979:** Grousset R. L. L' Empire du Levant. Paris.
- Henkel 1913:** Henkel F. Die romischen Fingerringe der Rheinland. Berlin.
- Georgiev 2016:** Georgiev P. THE MYSTERIES OF MITHRA OR THE MYSTERIES OF SABAZIOS. Sofia.
- Grose 1929:** Grose S. W. Cataloge of The Mc'clean collection of Greek Coins, vol III. Asia Minor, Farther Asia, Egipt, Africa. London.
- MacMullen 1987:** MacMullen R. Le paganism dans L'Empire romain, les chemines de l'histoire. Traduit de L'american par L. Spiquel, A. Roussel. Presses Universitaires de France. Paris.
- Roberts 2009:** Roberts P. The Ancient Romans. Teir Lives and Teir World. London.
- Walters 1926:** Walters H. Catalogue of The Engraved Gems And Cameos Greek Etruskan And Roman In The British Muzeum. London.
- Weib 2010:** Weib C. Gotter der antiken Welt – Zaubrer in eldem Stein, Antike Gemmen Die Stiftung.
- Zwierlein 1973:** Zwierlein E. Diehl Die Antiken Gemmen des Kunst Histirisches Museums, Band I. Munchen.
- Zwierlein-Diehl 2003:** Zwierlein-Diehl E. Siegel und Abdruck. Antike Gemmen in Bonn . Bonn.
- Zwierlein-Diehl 2007:** Zwierlein-Diehl E. Antike Gemmen und ihr Nachleben. Berlin, New-York. www.tertullian.org/rpearce/mithras/ <https://en.wikipedia.org/wiki/Mithraism> <https://www.google.ge/search?q=mithras+rider>

ტაბულაჰის აღწერილობა:

ტაბ. I -1. ბრინჯაოს ბეჭდის ნაშთი ფინვალის სამაროვნის № 552 სამარხიდან; **2.** სარდონის გემა მხედრის გამოსახულებით ფინვალის სამაროვნის № 552 სამარხიდან; **3.** ანაბეჭდი მხედრის გამოსახულებით; **4.** მხედრის გამოსახულებიანი გემა ზურგის მხრიდან; **5.** მინის გემა ურბნისიდან (№

1040) მხედრის გამოსახულებით; **6.** № 1040 გემის ანაბეჭდი; **7.** მინის გემა ურბნისიდან (№ 1010) მხედრის გამოსახულებით; **8.** № 1010 გემის ანაბეჭდი; **9.** მინის გემა ურბნისიდან (№ 1074) მხედრის გამოსახულებით; **10.** № 1074 გემის ანაბეჭდი; **11.** მინის გემა ურბნისიდან (№ 1009) მხედრის გამოსახულებით; **12.** № 1009 გემის ანაბეჭდი.

ტაბ. II - სარდიონოს გემები მხედრის გამოსახულებით: **1.** ურბნისიდან (№ 1107). **2.** სამთავროდან (№ 587). **3.** კარსნისხევის № 27 სამარხიდან; **4.** ქუთაისიდან (ანაბეჭდი). **5.** ბერლინის მუზეუმიდან. **6.** ბონის მუზეუმიდან. **7.** ტრაპიზუნდული მონეტა ზურგზე მხედრის გამოსახულებით.

ტაბ. III - **1.** ბარელიეფი კომაგენადან სინკრეტული მითრას გამოსახულებით. **2.** ბარელიეფი ტაუროქტონისა და მითრას ცხოვრების ამსახველი სცენებით. **3.** იმპერატორ პრობუსის მონეტა. **4.** გემა ურბნისიდან **5.** მარმარილოს ბარელიეფი ვენიდან

ტაბ. IV - **1.** მხედრის ფიგურა თრელიდან. **2.** მხედრის ფიგურა ლეჩხუმიდან. **3.** ოქროს ბეჭედი მხედრის გამოსახულებით ვანის № 9 სამარხიდან. **4.** ვერცხლის ბეჭედი მხედრის გამოსახულებით ყანჩაეთიდან. **5.** ვერცხლის ბეჭედი ცხენის გამოსახულებით ყანჩაეთიდან. **6.** ლურჯი მინის მრავალნახნაგა ნადირობის სცენით. **7.** ბრინჯაოს მართკუხა საბეჭდავი მხედრის გამოსახულებით ერთანმინიდიდან. **8.** ძვლის საბეჭდავი ცხენის გამოსახულებით ჟინვალიდან. **9.** ფრიგიულ-თრაკიული ღვთაება მითრა-საბაზიოსის ბრინჯაოს ქანდაკება. **10.** ოქროს ბალთა მხედრის გამოსახულებით გონიოს განძიდან. **11.** ოქროს საყურე მხედრების გამოსახულებით ვანის ნაქალაქარის № 6 სამარხიდან.

ტაბ. V - **1.** ოქროს ბეჭედი იასპის თვალზე პერსევის თავის გამოსახულებით მცხეთიდან. **2.** სარდიონის თვალი მითრას თავის გამოსახულებით ჟინვალიდან. **3.** მითრას თავის გამოსახულების ანაბეჭდი. **4.** ვერცხლის ჭურჭლის ყური მითრას გამოსახულებით მცხეთიდან. **5.** ვერცხლის ჭურჭლის ყური მითრას გამოსახულებით ციხისძირიდან. **6.** ფრთოსანი მითრას გნოსტიკური გამოსახულება. **7.** მითრას ნადირობის სცენა დურა-ევროპოსიდან. **8.** ტახზე ნადირობის სცენა ვერცხლის სურაზე არაგვისპირიდან.

ტაბ. VI - **1.** ბრინჯაოს ჭვირული აბზინდა მხედრის გამოსახულებით. **2.** ბრინჯაოს შეს-

აბნევი მხედრის გამოსახულებით. **3.** ვერცხლის თასი ბომონის წინაშე ფეხალმართული ცხენის გამოსახულებით არაგვისპირიდან. **4.** ვერცხლის შესაბნევები ცხენების გამოსახულებებით ნეძიხიდან. **5.** მონეტა ტროადან ცხენის გამოსახულებით. **6.** რომაული გემის ანაბეჭდი ცხენის გამოსახულებით. **7.** ბეჭედი გემაზე ცხენის გამოსახულებით ურბნისიდან.

ტაბ. VII - **1.** მარკუს ავრელიუსის ცხენოსანი ქანდაკება. **2.** სარდიონის გემაზე გამოსახული მხედარი კიოლნიდან. **3.** გრანატის გემაზე გამოსახული მხედრები მიუნჰენის ანტიკური ხელოვნების მუზეუმიდან. **4.** სარდიონის გემაზე გამოსახული შუბოსანი მხედარი. **5.** მითრას საკურთხეველი რომიდან. **6.** ვერცხლის ბეჭედი გემაზე საკურთხეველის გამოსახულებით ჟინვალიდან. **7.** ოქროს ბეჭედი გემაზე საკურთხეველის გამოსახულებით ალაიანიდან.

ტაბ. VIII - **1.** მამაკაცის პორტრეტი ყაბალახისებურ თავსაბურავით კლდეეთიდან. **2.** მამაკაცის ფიგურა ყაბალახისებურ თავსაბურავით ვერცხლის ბეჭდის ფარაკზე ტახტიძირიდან.

I



სურ. 1 Fig.



სურ. 2 Fig.



სურ. 3 Fig.



სურ. 4 Fig.



სურ. 5 Fig.



სურ. 6 Fig.



სურ. 7 Fig.



სურ. 8 Fig.



სურ. 9 Fig.



სურ. 10 Fig.



სურ. 11 Fig.



სურ. 12 Fig.

II



სურ. 1 Fig.



სურ. 2 Fig.



სურ. 3 Fig.



სურ. 4 Fig.



სურ. 5 Fig.



სურ. 6 Fig.



სურ. 7 Fig.

III



სურ. 1 Fig.



სურ. 2 Fig.



სურ. 3 Fig.



სურ. 4 Fig.



სურ. 5 Fig.

IV



სურ. 1 Fig.



სურ. 2 Fig.



სურ. 3 Fig.



სურ. 4 Fig.



სურ. 5 Fig.



სურ. 6 Fig.



სურ. 7 Fig.



სურ. 8 Fig.



სურ. 9 Fig.



სურ. 10 Fig.



სურ. 11 Fig.

V



სურ. 1 Fig.



სურ. 2 Fig.



სურ. 3 Fig.



სურ. 4 Fig.



სურ. 5 Fig



სურ. 6 Fig.



სურ. 7 Fig.




სურ. 8 Fig

VI



სურ. 1 Fig.



სურ. 2 Fig.



სურ. 3 Fig.



სურ. 4 Fig.



სურ. 5 Fig.



სურ. 6 Fig.



სურ. 7 Fig.

VII



სურ. 1 Fig.



სურ. 2 Fig.



სურ. 3 Fig.



სურ. 4 Fig.



სურ. 5 Fig.



სურ. 6 Fig.



სურ. 7 Fig.

VIII



სურ. 1 Fig.



სურ. 2 Fig.

კოლხეთის ტერიტორიაზე გამომვლინილი ძვ.წ. V-ახ.წ. VI სს-ის ბანძები (მასალა კოლხეთის არქეოლოგიური რუკისათვის)

განძი მეტად მნიშვნელოვან და მრავალრიცხოვან არქეოლოგიურ ნყაროს წარმოადგენს და ზოგადად ხასიათდება მიწაში ჩაფლული ან გადამალული, მეტ-ნაკლებად ღირებული არტეფაქტების ერთობლიობით. განძების შესწავლის საქმეში სირთულეს წარმოადგენს ის გარემოება, რომ მათი დიდი ნაწილი შემთხვევით არის აღმოჩენილი და ჭირს იმის განსაზღვრა, რასთან გვაქვს საქმე - განძთან თუ დანგრეულ სამარხთან. ხშირად შემთხვევით აღმოჩენილი არქეოლოგიური ინვენტარის მნიშვნელოვანი ნაწილი აღმოჩენლების მიერაა დატაცებული და მასალა სრულად არ არის წარმოდგენილი. ამავდროს, ზოგიერთ შემთხვევაში „განძად“ სამეცნიერო ლიტერატურაში წოდებულია მსგავსი ხასიათის არტეფაქტების ერთობლიობა, რომელთა აღმოჩენის ადგილი და ვითარება ზუსტად არ არის ფიქსირებული და რთულდება იმის დადგენა არის ის ნამდვილად განძი, თუ ახალ დროს მოსახლეობის მიერ შეგროვებული „კოლექცია“. ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი პრობლემა, რომელიც განძების შესწავლასთანაა დაკავშირებული, არის იმის გამიჯვნა, თუ რას წარმოადგენს მასალაზე დაკვირვება - ალწერა, დაჯგუფება, დათარიღება, და რას ინტერპრეტაცია - ფუნქციის განსაზღვრა, გადანახულია საშიშროების გამო, თავმოყრილია საკრალური დანიშნულებით და სხვ. [Балоннов 1991: 315].

ისტორიული კოლხეთის ტერიტორიაზე სადღეისოდ გამოვლენილია ძვ.წ. V-ახ.წ. VI სს-ით დათარიღებული 50-ზე მეტი განძი - სამონეტო და ძვირფასი ნივთებისაგან შემდგარი განძები. ისინი ცალ-ცალკე არიან შესწავლილნი და პუბლიცირებულნი. მხოლოდ სამონეტო განძებია თავმოყრილი გ. დუნდუა და ირ. ჯალალანიას ნაშრომში [დუნდუა, ჯალალანია, 2009].

ჩვენი ნაშრომის მიზანია შეძლებისდაგვარად ჩამოვაყალიბოთ ის ნიშნები, რომლის მიხედვითაც მოვახდენთ განძების იდენტიფიკაციას, შეგროვებული მასალის დაჯგუფებას არსებული არტეფაქტების მიხედვით და მათი ქრონოლოგიური თანამიმდევრობის

და გავრცელების არეალის განვსაზღვრავს. ანუ კვლევა-ძიების ამ ეტაპზე ძირითადად მოვახდენთ განძების აღწერას და არა მათი ფუნქციის ანუ წარმოქმნის მიზეზების განსაზღვრას.

ყველაზე უფრო სანდოდ, განძების იდენტიფიკაცია შესაძლებელია უშუალოდ არქეოლოგიური გათხრების დროს გამოვლენილი ობიექტებით, როგორც სამონეტო, ასევე ძვირფასი ნივთებისა. ესენია: გონიოს, ვანის და ბიჭვინთის ნაქალაქარებზე აღმოჩენილი განძები [ახვლედიანი, 2010:11-12; Akhvlediani, etc. 2016:183, Fig. 1; დუნდუა, ჯალალანია, 2009:23, 26-29; ვარშალომიძე, 2000:81-86]. განძების ჯეროვნად იდენტიფიკაცია შესაძლებელია იმ შემთხვევაშიც, თუ შემორჩენილია კონტეინერი (ჭურჭელი, ქისა და სხვ.), რომელშიც ისინი იყო მოთავსებული, ასეთებია: ქობულეთის (ფიჭვნარის) განძი II, ჩომეთის განძი, ზემო ჩიბათის განძი I, ერგეტას განძი I, ზუგდიდის განძი, ახალი აბასთუმნის განძი, ახალსოფლის განძი, ჯალირას განძი, ნორიოს განძი, გუმისთავის (ყუმისთავის) განძი, დღნორისის განძი, ხონის განძი, ზარათის განძი, ღურზულის განძი, ეკის განძი, გონიოს განძი I, ქუთაისის განძი (ჭურჭელი), გონიოს განძი II, ვანის განძი I, ბიჭვინთის განძი I (ქისა). განძის იდენტიფიკაცია შესაძლებელია მაშინაც, როდესაც კონტეინერი არ არის შემორჩენილი, ხოლო ერთმანეთზე მიკრული მონეტები იმეორებს იმ ფორმას, რომელშიც გადანახულნი იყვნენ, ასეთია სულორის განძი. განძის და არა სამარხის სასარგებლოდ მეტყველებს ის გარემოებაც, თუ ძვირფასი ნივთების აღმოჩენის ადგილას ჩატარებული საველე სამუშაოების შედეგად სამარხის კვალი არ იკვეთება. ასეთი ვითარება დაფიქსირდა ხაიშის განძის შესწავლის შემთხვევაში და პირიქით, ურეკის განძთან დაკავშირებით. განძის იდენტიფიკაცია მოხდა „თაგილონის განძის“ შემთხვევაში, რომელიც მიიჩნეოდა სამარხად [Амиранашвили 1935]. ჩვენი დაკვირვებით, იგი განძს უნდა წარმოადგენდეს, ვინაიდან ვანის განძის (რომელიც არქეოლოგიური გათხრების დროს არის გამოვლენილი

და ნამდვილად განძს უნდა წარმოადგენდეს) შემადგენლობაში არსებულ ბრინჯაოს ნივთების დიდ ნაწილზე, ისევე, როგორც თავილონის განძში შემავალი ოქროს ნივთების დიდ ნაწილზე შემორჩენილია რკინის ჟანგის კვალი. ვანის ბრინჯაოს ნივთებზე ის გადასულია ამავე განძში გადამალული რკინის ნივთებიდან (თიმატერიონები, კერია, შუბისპირები, ისრისპირები), რომლებთანაც უშუალო კონტაქტია დაფიქსირებული. თავილონის განძის შემთხვევაში კი ოქროს ნივთებზე რკინის ჟანგის კვალი იმ რკინის ჯავშნიდან უნდა გადასულიყო, რომელიც სხვა ნივთებთან ერთად შემორჩა. სწორედ ეს ფაქტი მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ თავილონის აღმოჩენა განძი უნდა ყოფილიყო და არა სამარხი, ვინაიდან ჩვენთვის ცნობილ არც ერთ სამარხში ოქროს ნივთები ასეთი დიდი რაოდენობით რკინის ჟანგის კვალს არ ატარებს, რადგან მათი ერთმანეთთან შემხებლობა იშვიათია. რაც შეეხება განძებს – ამ შემთხვევაში, სხვადასხვა ლითონისაგან დამზადებული ნივთები მჭიდროდაა მოთავსებული ერთმანეთთან და რკინის ჟანგის გადაცემა სავსებით დასაშვებია.

სამეცნიერო ლიტერატურაში „განძის“ სახელწოდებით შესული - „ფოთის“, „დაბლაგომის“, „გუმისთის“, „ლეჩხუმის“, „მურის ციხის“, „ფახულანის“ – განძებად იდენტიფიკაცია საეჭვოა. როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, აღმოჩენის ზუსტი ადგილისა და ვითარების შესახებ მონაცემთა სიმწირის გამო, ისინი უფრო ახალ დროში შეგროვებულ კოლექციებს წარმოადგენს. ასევე ძნელია განვსაზღვროთ ციხისძირის კოპლექსი განძს წარმოადგენს თუ სამარხს. რაც შეეხება „ბორის“, „სარგვემის“, „ურეკის“ ე.წ. განძებს, აღმოჩენის კონტექსტის გათვალისწინებით, სამარხებიდან მომდინარე ინვენტარია.

1. სამონეტო განძები:

ძველი კოლხეთის ტერიტორიაზე დაფიქსირებული სამონეტო განძები შეიძლება გავაერთიანოთ შემდეგ ჯგუფებად – **1.** კოლხური თეთრის, **2.** ძვ.წ. IV ს-ის უკანასკნელი მეოთხედის ოქროს (მაკედონური და პანტიკაპური) მონეტების, **3.** პონტოური სპილენძის მონეტების, **4.** რომაული და ბიზანტიური (სპილენძის, ვერცხლისა და ოქროს) მონეტების.

1. კოლხური თეთრის შემცველი გან-

ძები:

კოლხური თეთრის შემცველი განძები თავისი შემადგენლობის მიხედვით რამდენიმე სახისაა: მხოლოდ კოლხური თეთრის შემცველი (რაც უმრავლესობას წარმოადგენს); კოლხურ თეთრთან ერთად უცხოური მონეტების არსებობა (ქობულეთის განძი I, სულორის განძი); კოლხურ თეთრთან ერთად უცხოური მონეტებისა და სამკაულის არსებობა (ქობულეთის განძი II); კოლხურ თეთრთან ერთად მხოლოდ სამკაულის არსებობა (ჩომეთის განძი, ანაკლიის განძი).

ბათუმის განძი – 1903 წელს ქ. ბათუმის მიდამოებში შემთხვევით აღმოჩნდა კოლხური ნახევარდრაქმები ერთმანეთზე შეწებებული – 40 ც. [დუნდუა, ჯალალანია 2009:21; Зограф, 1945:56-57; Пахомов, 1926:36], (იხ. რუკაზე № 1).

ქობულეთის (ფიჭვნარის) განძი I – 1948 წელს ფიჭვნარის (ქობულეთის მუნიციპ.) ტერიტორიაზე, ზღვიდან 200-300 მ-ის დაშორებით, შემთხვევით აღმოჩნდა მონეტები. დღეისათვის შემორჩენილია 159 ც., აქედან კოლხური ნახევარდრაქმა - 57 ც. და სინოპური დრაქმა (მათი ემისია ექცევა ძვ.წ. 360-345 წწ-ში) - 102 ც. [დუნდუა, 1997:81; დუნდუა, ჯალალანია 2009:155-156; Голенко, 1957:290-298; Голенко, 1961:42-52; Дундуа, 1987:35; Dundua, 2004:160; Dundua G., Dundua T., 1999:109], (იხ. რუკაზე № 2).

ქობულეთის (ფიჭვნარის) განძი II – 1952 წელს ფიჭვნარის (ქობულეთის მუნიციპ.) ტერიტორიაზე, შემთხვევით აღმოჩნდა ბრინჯაოს ჭურჭელში გადანახული კოლხური ნახევარდრაქმები – 291 ც., ქიზიკური სტატერი (ძვ.წ. 550-475 წწ.) – 1 ც. და ელექტრუმის სხივანა საყურე – 3 ც. [დუნდუა, ჯალალანია 2009:156; Голенко, Капанадзе, 1966:34-35; Дундуа, 1987:170; Пахомов, 1959:7], (იხ. რუკაზე № 3).

ქობულეთის განძი III - 1949 წელს ქ. ქობულეთის მახლობლად შემთხვევით აღმოჩნდა კოლხური ნახევარდრაქმები, შემორჩენილია 25 ც. სამზე დატანილია ბერძნული ასოები - MO/EO? [დუნდუა, ჯალალანია 2009:166; Дундуа, 1987:170; Пахомов, 1954:7], (იხ. რუკაზე № 4).

ზემო ჩიბათის განძი I – 1938 წელს სოფ. ზემო ჩიბათში (ლანჩხუთის მუნიციპ.) შემთხვევით აღმოჩნდა, თიხის ჭურჭელში მოთავს-

ებული კოლხური ნახევარდრაქმები, შემორჩენილია 3 ც. [დუნდუა, ჯალალანია 2009:74; Пахомов, 1954:9], (იხ. რუკაზე № 5).

ზემო ჩიბათის განძი II – 1956 წელს სოფ. ზემო ჩიბათში (ლანჩხუთის მუნიციპ.) შემთხვევით აღმოჩნდა კოლხური ნახევარდრაქმები, შემორჩენილია 8 ც. [დუნდუა, ჯალალანია 2009:74; Пахомов, 1949:9], (იხ. რუკაზე № 6).

ნიგოეთის განძი - 1914 წელს სოფ. ნიგოეთში (ლანჩხუთის მუნიციპ.) შემთხვევით აღმოჩნდა კოლხური ნახევარდრაქმები, შემორჩენილია - 15 ც. [დუნდუა, ჯალალანია 2009:118], (იხ. რუკაზე № 7).

ჯუმათის განძი - 1910 წელს სოფ. ჯუმათში (ოზურგეთის მუნიციპ.) შემთხვევით აღმოჩნდა კოლხური ნახევარდრაქმები, შემორჩენილია - 40 ც., ზურგზე გამოსახულია ორი ბერძნული ასო (ΣΟ?) [დუნდუა, ჯალალანია 2009:188; Зограф, 1945:56-57; Пахомов, 1926:37], (იხ. რუკაზე № 8).

ჩომეთის განძი – 1928 წელს სოფ. ჩომეთში (ჩოხატაურის მუნიციპ.) შემთხვევით აღმოჩნდა თიხის ქოთანში მოთავსებული კოლხური ნახევარდრაქმები - 380 ც. და ვერცხლის სამაჯური, დაბოლოებებზე ცხვირის თავებით შემკული. ერთ მონეტაზე გამოსახულია ბერძნული ასო “Α” [დუნდუა, ჯალალანია 2009:174; Пахомов, 1959:7; Голенко, Капанадзе, 1966:35], (იხ. რუკაზე № 9).

ფოთის განძი – 1910 წელს ფოთიდან თბილისში ჩამოუტანიათ კოლხური თეთრის (დიდრაქმები და ნახევარდრაქმები - ძვ.წ. VI-V სს.) მონეტები, რომლებიც გაიფანტა [დუნდუა, ჯალალანია 2009:157; Pochitonov, 1959:68; Дундуа, 1987:170; Пахомов, 1926:37; Зограф, 1945:56-57], (იხ. რუკაზე № 10).

ზუგდიდის განძი – 1934 წელს ქ. ზუგდიდში შემთხვევით აღმოჩნდა თიხის ქოთანში გადანახული კოლხური თეთრის მონეტები – შემორჩა 77 ც. აქედან 2 ც. დიდრაქმა, დანარჩენი ტრიობოლები [Пахомов, 1940:5], (იხ. რუკაზე № 11).

ერგეტას განძი I – 1926 წელს სოფ. ერგეტაში (ზუგდიდის მუნიციპ.), შემთხვევით აღმოჩნდა ქოთანში შენახული კოლხური ნახევარდრაქმები. მონეტების ნაწილი გაიფანტა [დუნდუა, ჯალალანია 2009:62; Дундуа, 1987:29-30; Зограф, 1945:58-59; Пахомов, 1940:5], (იხ. რუკაზე № 12).

ერგეტას განძი II – 1954 წელს სოფ. ერგ-

ეტაში (ზუგდიდის მუნიციპ.) შემთხვევით აღმოჩნდა კოლხური ნახევარდრაქმები - 20 ც. [დუნდუა, ჯალალანია 2009:62], (იხ. რუკაზე № 13).

ერგეტას განძი III – სოფ. ერგეტაში (ზუგდიდის მუნიციპ.) შემთხვევით აღმოჩნდა კოლხური ნახევარდრაქმები, შემორჩენილია – 79 ც. გადარჩენილი მონეტების რევერსზე გამოსახულია - ΜΟ/ΣΟ? [დუნდუა, ჯალალანია 2009:63; Дундуа, 1987:29-30], (იხ. რუკაზე № 14).

ანაკლიის განძი – 1930 წელს სოფ. ანაკლიაში (ზუგდიდის მუნიციპ.) შემთხვევით აღმოჩნდა კოლხური ნახევარდრაქმები - 61 ც. და საყურე [დუნდუა, ჯალალანია 2009:9-10; Зограф, 1945:58-59; Пахомов, 1949a:8], (იხ. რუკაზე № 15).

ახალი აბასთუმნის განძი – XX ს-ის 30-იან წლებში სოფ. ახალ აბასთუმანში (ზუგდიდის მუნიციპ.) შემთხვევით აღმოჩნდა ორ კოჭობში მოთავსებული კოლხური ნახევარდრაქმები, რომლებიც ანეპიგრაფიულია [დუნდუა, ჯალალანია 2009:18; Зограф, 1945:60-61; Пахомов, 1940:5-6], (იხ. რუკაზე № 16).

ახალსოფლის განძი – 1913 წელს სოფ. ახალსოფელში (ზუგდიდის მუნიციპ.), მდ. ჯუმის ნაპირას, გზის გაყვანის დროს შემთხვევით აღმოჩნდა თიხის ქოთანში მოთავსებული 55 ც. კოლხური თეთრი (5 დიდრაქმა და 50 ნახევარდრაქმა) [დუნდუა, ჯალალანია 2009:19; მაკალათია, 1947:425-428; Дундуа, 1987:11-12; Зограф, 1945:58-59; Пахомов, 1938:8], (იხ. რუკაზე № 17).

რუხის განძი – XX ს-ის 30-იან წლებში სოფ. რუხში (ზუგდიდის მუნიციპ.) შემთხვევით აღმოჩნდა კოლხური ნახევარდრაქმები, შემორჩენილია 100 ც. [დუნდუა, ჯალალანია 2009:136; Зограф, 1945:60-61; Пахомов, 1940:5], (იხ. რუკაზე № 18).

ჭითაწყაროს განძი - 1936 წელს სოფ. ჭითაწყაროში (ზუგდიდის მუნიციპ.) შემთხვევით აღმოჩნდა კოლხური ნახევარდრაქმები, შემორჩენილია 65 ც. [დუნდუა, ჯალალანია 2009:180; Зограф, 1945:60-61; Пахомов, 1940:6], (იხ. რუკაზე № 19).

ჯალირას განძი - XX ს-ის 30-იან წლებში სოფ. ჯალირაში (ნალენჯიხის მუნიციპ.) შემთხვევით აღმოჩნდა ქვის ქოთანში მოთავსებული კოლხური ნახევარდრაქმები (200 ც.), შემორჩენილია - 100 ც. [დუნდუა, ჯალალ-

ანია 2009:188; Зорғаф, 1945:58-59; Пахомов, 1940:6], (იხ. რუკაზე № 20).

ბარლების განძი – 1982 წელს სოფ. ბარლებში (გალის მუნიციპ.) შემთხვევით აღმოჩნდა კოლხური ნახევარდრაქმები – 387 ც. 160 მონეტაზე ამოკვეთილი იყო ბერძნული ასოები – MO/ΣO(?); ერთზე – A; ერთზე კი – Φ [ლორთქიფანიძე გ., გერაძე, 2007:33], (იხ. რუკაზე № 21).

ნაბაკევის განძი – 1967 წელს სოფ. ნაბაკევი (გალის მუნიციპ.) შემთხვევით აღმოჩნდა კოლხური ნახევარდრაქმები – 430 ც. [დუნდუა, ჯალალანია 2009:118; Воронов, 1969:69; Шамна, 1987:10], (იხ. რუკაზე № 22).

საბერიოს განძი – სოფ. საბერიოში (გალის მუნიციპ.) შემთხვევით აღმოჩნდა კოლხური ნახევარდრაქმები – 44 ც. [დუნდუა, ჯალალანია 2009:137; Шамна, 1987:10], (იხ. რუკაზე № 23).

ნორიოს განძი – 1929 წელს სოფ. ნორიოში (აბაშის მუნიციპ.) შემთხვევით აღმოჩნდა თიხის ქოთანში გადანახული კოლხური ნახევარდრაქმები, შემორჩენილია 15 ც. [დუნდუა, ჯალალანია 2009:120; Зорғаф, 1945:58-59; Пахомов, 1949:8-9], (იხ. რუკაზე № 24).

კუხის განძი – 1974 წელს სოფ. კუხში (ხონის მუნიციპ.) აღმოჩნდა კოლხური ნახევარდრაქმები – 300 ც. [დუნდუა, ჯალალანია 2009:97], (იხ. რუკაზე № 25).

ნახუხევის განძი – 1966 წელს სოფ. ნახუხევი (ხონის მუნიციპ.) აღმოჩნდა კოლხური ნახევარდრაქმები – 47 ც. [დუნდუა, ჯალალანია 2009:97], (იხ. რუკაზე № 26).

სანულუკიძეოს განძი – 1972 წელს სოფ. სანულუკიძეოში (ხონის მუნიციპ.) აღმოჩნდა კოლხური ნახევარდრაქმები – 180 ც. [დუნდუა, ჯალალანია 2009:141], (იხ. რუკაზე № 27).

ხონის განძი – 1928 წელს ქ. ხონში აღმოჩნდა კოლხური ნახევარდრაქმების ორი განძი. პირველი მოთავსებული იყო თიხის ქოთანში – 200 ც. [დუნდუა, ჯალალანია 2009:181; Пахомов, 1938:7], (იხ. რუკაზე № 28).

დაბლაგომის განძი – 1928 წელს სოფ. დაბლაგომში (სამტრედიის მუნიციპ.) შემთხვევით აღმოჩნდა ვერცხლის ჭურჭელში (ფიალაზე) კოლხური ნახევარდრაქმები – 110 ც. ერთ მონეტაზე ტილოს, ანუ ქისის კვალით [დუნდუა, ჯალალანია, 2009:44; Голенко, Капанадзе, 1966:35; Куфтин, 1950:1; Пахомов, 1940:6]. ბ. კუფტინის აზრით, ეს ფიალა და

მონეტები სამარხეული ინვენტარი შეიძლება ყოფილიყო [Куфтин, 1950:1], (იხ. რუკაზე № 29).

სულორის განძი – 1990 წელს სოფ. სულორში (ვანის მუნიციპ.) შემთხვევით აღმოჩნდა კოლხური ნახევარდრაქმები – დაახლოებით 700 ც., დარიოს I-ის (ძვ.წ. 521-486 წწ.) სიკლოსი – 1 ც., ლიდიური კრეზოიდი (ძვ.წ. 560-546 წწ.) – 1 ც., კარიული მონეტა (ძვ.წ. VI ს.) – 1 ც. [დუნდუა, 1997:82-83; დუნდუა, 2003:41-42; ლორთქიფანიძე ოთ., 2002:206-207; Lebanidze, 1999:155-158], (იხ. რუკაზე № 30).

გუმისთავის (ყუმისთავი, გუბისწყალი?) განძი – 1918 წელს სოფ. გუმისთავში (?) (წყალტუბოს მუნიციპ.) შემთხვევით აღმოჩნდა თიხის ქოთანში მოთავსებული კოლხური ნახევარდრაქმები – 83 ც. ევ. პახომოვს აჩვენეს 13 ც., მათგან 10-ზე ამოკვეთილი იყო – MO/ΣO? მონეტები გაიფანტა [დუნდუა, ჯალალანია 2009:43; Зорғаф, 1945:58-59; Пахомов, 1938:7], (იხ. რუკაზე № 31).

დღნორისის განძი – 1957 წელს სოფ. დღნორისში (წყალტუბოს მუნიციპ.) შემთხვევით აღმოჩნდა მინის ჭურჭელში მოთავსებული კოლხური ნახევარდრაქმები – 5 ც. [დუნდუა, ჯალალანია 2009:60], (იხ. რუკაზე № 32).

ზარათის განძი – 1928 წელს სოფ. ზარათში (წყალტუბოს მუნიციპ.) შემთხვევით აღმოჩნდა თიხის ქოთანში შენახული კოლხური ნახევარდრაქმები – 170 ც. [დუნდუა, ჯალალანია 2009:71; Зорғаф, 1945:58-59; Пахомов, 1940:6], (იხ. რუკაზე № 33).

ლერხუმის განძი – 1918 წელს ლერხუმში (ზუსტი ადგილი თუ ადგილები უცნობია) აღმოჩენილია კოლხური ნახევარდრაქმები – 309 ც. ერთზე გამოსახულია ასო O [დუნდუა, ჯალალანია 2009:101], (იხ. რუკაზე № 34).

მურის ციხის განძი – 1908 წელს მურის ციხის მიდამოებში (ცაგერის მუნიციპ.) შემთხვევით აღმოჩნდა კოლხური ნახევარდრაქმები, შემორჩენილია 120 ც. [დუნდუა, ჯალალანია 2009:173; Зорғаф, 1945:56-57; Пахомов, 1949a:8], (იხ. რუკაზე № 35).

ზვარგულას განძი – სოფ. ზვარგულაში (ცაგერის მუნიციპ.) შემთხვევით აღმოჩნდა კოლხური ნახევარდრაქმები, შემორჩენილია 3 ც. [დუნდუა, ჯალალანია 2009:75; Пахомов, 1949:8], (იხ. რუკაზე № 36).

ბარდუბნის განძი – XIX ს-ის ბოლოს სოფ. ბარდუბანში (თერჯოლის მუნიციპ.) აღმოჩნდა კოლხური ნახევარდრაქმები, შემორჩენილია 35 ც. [დუნდუა, ჯალალანია 2009:23], (იხ. რუკაზე № 37).

სადღეისოდ, ისტორიული კოლხეთის ტერიტორიაზე გამოვლენილი კოლხური თეთრის შემცველი 30-ზე მეტი განძი, დანარჩენ განძებთან შედარებით ყველაზე მრავალრიცხოვანია. კვლევის ამ ეტაპზე ეს მონეტები, ზოგადად ძვ.წ. VI ს-ის ბოლო - III სს-ით თარიღდება [დუნდუა, ჯალალანია 2009:94-95 და სხვ.], მაგრამ ქრონოლოგიურად არ არის დაჯგუფებული, განსაკუთრებით ტრიობოლები, თუმცა ამის მცდელობა იყო [Голенко, Капанадзе 1966].

2.ძვ.წ. IV ს-ის უკანასკნელი მეოთხედის ოქროს (მაკედონური და პანტიკაპური) მონეტების განძები:

ზემო მარხის განძი – 1913 წელს სოფ. ზემო მარხში (მესტიის მუნიციპ.) შემთხვევით აღმოჩნდა 60-ზე მეტი ოქროს მონეტა სხვა ნივთებთან ერთად. შემორჩენილია ორი მონეტა - ერთი ეკუთვნის ალექსანდრე მაკედონელს (ძვ.წ. 336-323წწ.), მეორე - ლისიმაქეს (ძვ.წ. 306-282წწ.) [დუნდუა, 1997:84; დუნდუა, ჯალალანია 2009:74; Пахомов, 1940:7-8], (იხ. რუკაზე № 38).

“ზემო სვანეთის განძი” – 1908 წელს მდ. ნეკრასა და ენგურის შესართავთან ხის (ურთხმელის) ფულუროში გადამალულ თიხის ქოთანში შემთხვევით ნაპოვნი ოქროს მონეტები – 100 ც. შემორჩენილი ერთი ცალი წარმოადგენს ალექსანდრე მაკედონელის (ძვ.წ. 336-323 წწ.) სტატერს [დუნდუა, 1997:83-84; დუნდუა, ჯალალანია 2009:74; Дундуа, 1987:45; Пахомов, 1949a:9]. ჩვენი აზრით, ამ განძის ხის ფულუროში გადამალვა (როგორც გადმოცემითაა ცნობილი) დაახლ. 2200 წლის წინ არ უნდა მომხდარიყო, ვინაიდან ხე, რომელსაც ამოდენა ფულურო ჰქონდა ამდენ ხანს ვერ იცოცხლებდა (იხ. რუკაზე № 39).

მულახის განძი – XX საუკუნის დასაწყისში სოფ. მულახში (მესტიის მუნიციპ.) შემთხვევით აღმოჩნდა პანტიკაპეონის სტატერები – 30-32 ც. (ძვ.წ. IV ს-ის უკანასკნელი მეოთხედი). ისინი გაიფანტა ევროპის სხვადასხვა მუზეუმებსა და კერძო კოლექციებში, ერთი მონეტა დაცულია მესტიის მუზეუმში [დუნდუა, 1997:84-85; დუნდუა, ჯალალა-

ნია 2009:116; ჩართოლანი, 1976:28; Дундуа, 1987:53; Зограф, 1935:187; Пахомов, 1940:15-16; Regling, 1931:38], (იხ. რუკაზე № 40).

ამ ჯგუფის განძები (3 განძი) მხოლოდ მესტიის მუნიციპალიტეტშია დაფიქსირებული.

3.პონტოს მონეტების განძები:

სოხუმის განძი – 1890-იან წლებში ქ. სოხუმში, მდ. კელასურის მარცხენა ნაპირზე, შესართავიდან 1-1,5 კმ-ის დაშორებით შემთხვევით აღმოჩნდა სპილენძის მონეტები, რომელიც რამდენიმე კილოს იწონიდა. განძი მთლიანად შედგება ძვ.წ. II ს-ის დასასრულისა და ძვ.წ. I ს-ის დასაწყისით დათარიღებული დიოსკურიაში მოჭრილი მონეტებისაგან [დუნდუა, ჯალალანია 2009:145; Голенко, 1977:61; Дундуа, 1987:105-108; Зограф, 1945:82-83; Пахомов, 1938:8], (იხ. რუკაზე № 41).

ვანის განძი I – 1967 წელს ვანის ნაქალაქარზე არქეოლოგიური გათხრების დროს მოზაიკურიატაკიანი ტაძრის საკურთხეველის წინ (სავარაუდოდ ქისაში) აღმოჩნდა სპილენძის მონეტები -119 ც. 118 მონეტა იდენტურია: შუბლზე სტილიზებული ლოტოსია გამოსახული, ზურგზე – რვაქიმიანი ვარსკვლავი, 1 მონეტა მოჭრილია ამისოში 111-105 წწ. მონეტების შეწირვა გ. დუნდუას აზრით, ძვ.წ. I ს-ის 80-იან წლებში უნდა მომხდარიყო [დუნდუა, 1974:146-159; დუნდუა, ლორთქიფანიძე გ., 1977:141-213; დუნდუა, ჯალალანია 2009:116; Dundua, Lordkipanidze, 1979:1-5; Дундуа, Лордкипанидзе, 1983:76-86], (იხ. რუკაზე № 42).

ამ ჯგუფის განძები განსხვავდება ერთმანეთისაგან თავისი წარმომავლობით – პირველი წარმოადგენს ჩვეულებრივად გადამალულ განძს, ისევე როგორც კოლხეთის ტერიტორიაზე არსებული განძების უმეტესობა; მეორე წარმოადგენს ტაძრისადმი შესაწირს.

4. რომაული და ბიზანტიური (სპილენძის, ვერცხლისა და ოქროს) მონეტების განძები:

გონიოს განძი II – 1998 წელს სოფ. გონიოს ციხის (ხელვაჩაურის მუნიციპ.) არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩნდა ვერცხლის რომაული მონეტები – 42 ც., რომლებიც ქისაში უნდა ყოფილიყო დაცული. ისინი მოჭრილია შემდეგი მმართველების სახელით: 1. ტიბერიუსის (14-37 წწ.) – 1 ც.; 2. პონტოს მეფე პოლემონ II-ის (49-63 წწ.) – 4 დრაქმა; 3.

ვესპასიანეს (69-79 წწ.) – 1 დენარი; 4. ტრაიანეს (98-117 წწ.) – 3 დენარი; 5. ადრიანეს (117-138 წწ.) – 1 დენარი, 2 დიდრაქმა, 1 ნახევარდრაქმა; 6. ანტონინუს პიუსის (138-161 წწ.) 1 დენარი; 7. ფაუსტინა უმცროსის (161-176 წწ.) – 1 დენარი; 8. მარკუს ავრელიუსის (161-180 წწ.), ან კომოდუსის (180-192 წწ.) – 1 დენარი; 9. კომოდუსის – 1 დენარი; 10. სეპტიმიუს სევერუსის (193-211 წწ.) – 1 დენარი, 8 დრაქმა; 11. იულია დომნას (217 წ.) – 5 დრაქმა; 12. კარაკალას (198-217 წწ.) – 7 დენარი; 13. გეტას (209-212 წწ.) – 1 დენარი, 1 დრაქმა. განძის ჩამარხვა მოხდა 213 წლის შემდეგ [ვარშალომიძე, 2000:81-86; დუნდუა, ჯალალანია 2009:23], (იხ. რუკაზე № 43).

საზოდელავოს განძი – 1897 წელს სოფ. საზოდელავოში (ზუგდიდის მუნიციპ.) შემთხვევით აღმოჩნდა ვერცხლის მონეტები (26 ც.) - რომის კონსულების – ენტეს ცილია, ემილია, ჩონსიდა, ჟულია, შალვია, შიციინა, ნიბია – 23 ც., ოქტავიანე ავგუსტუსის (ძვ.წ. 27-ახ.წ.14 წწ.) დენარი - 2 ც. და არქელაოს კაპადოკიელის (ძვ.წ. 36-ახ.წ.17 წწ.) დრაქმა – 1 ც. ეს განძი ჩაფლული უნდა ყოფილიყო ნელთალრიცხვათა მიჯნაზე [დუნდუა, ჯალალანია 2009:139; Голенко 1964:4; Дундуа, 1987:134; Зограф, 1945:68-69; Пахомов, 1926:40], (იხ. რუკაზე № 44).

ოტობაიას განძი – 1936 წელს სოფ. ოტობაიაში (გალის მუნიციპ.) შემთხვევით აღმოჩნდა კაპადოკიური მონეტები - 12 დიდრაქმა, 1 დრაქმა. მონეტები ეკუთვნოდა ადრიანეს (117-138 წწ.) და სეპტიმიუს სევერუსს (193-211 წწ.) [დუნდუა, ჯალალანია 2009:126; Зограф, 1945:80-81; Пахомов, 1940:28], (იხ. რუკაზე № 45).

ღურზულის განძი – 1926 წელს სოფ. ღურზულში (გულრიფშის მუნიციპ.), ზღვიდან 11-12 კმ-ის დაშორებით, შემთხვევით აღმოჩნდა თიხის ქოთანში გადანახული რამდენიმე ბრინჯაოს ნივთი, ოქროს გვირგვინის ორი ფურცელი და ვერცხლის მონეტები. შემორჩენილია 469 ც.: 1. ლიზიმაქეს სტატერის მინაბაძის ნატეხი; 2. იმპერატორ ოქტავიანე ავგუსტუსის (ძვ.წ. 27-ახ.წ. 14 წწ.) დენარი; 3. ნერონის (54-68 წწ.) ნახევარდრაქმა – 1 ც.; 4. ვესპასიანეს (69-79 წწ.) დიდრაქმა – 21 ც., დრაქმა – 8 ც., ნახევარდრაქმა – 1 ც.; 5. დომიციანეს (81-96 წწ.) დიდრაქმა – 8 ც., დრაქმა – 1 ც.; 6. ნერვას (96-98 წწ.) დიდრაქმა – 22

ც.; 7. ტრაიანეს (98-117 წწ.) დიდრაქმა – 80 ც., დრაქმა – 84 ც., ნახევარდრაქმა – 1 ც.; 8. ადრიანეს (117-138 წწ.) დიდრაქმა – 2 ც., დრაქმა – 13 ც., ნახევარდრაქმა – 75 ც.; 9. ანტონინუს პიუსის (138-163 წწ.) და მარკუს ავრელიუსის (161-180 წწ.) დიდრაქმა - 59 ც., დრაქმა - 63 ც.; 10. ლუციუს ვერუსის (161-169 წწ.) დიდრაქმა – 28 ც. განძის ჩამარხვა 168 წლისათვის უნდა მომხდარიყო [დუნდუა, 1997:93-94; დუნდუა გ., დუნდუა თ., 2006:117; დუნდუა, ჯალალანია 2009:168-169; Dundua, 2004:165; Абрамзон, 2005:190-202; Иващенко, 1931:1-19; Зограф, 1945:78-79; Зограф, 1951:106; Пахомов, 1938:14], (იხ. რუკაზე № 46).

სოხუმის განძი – 1909 წელს ქ. სოხუმში შემთხვევით აღმოჩნდა სპილენძის რომაული მონეტები. შემორჩენილია 3 ც. - მაქსიმიანეს (292-311 წწ.), მაქსიმიანე II-ს (305-313 წწ.), ლიციინუსის (307-323 წწ.) [Пахомов, 1940:29], (იხ. რუკაზე № 47).

ბიჭვინთის განძი I – 1958 წელს ბიჭვინთის ნაქალაქარის III უბანზე, არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩნდა ქისაში მოთავსებული 149 ცალი ვერცხლისა და სპილენძის მონეტა. აქედან 10 მონეტა მოჭრილია კაპადოკიის კესარიასში, დანარჩენი – ტრაპეზუნტში. კესარიული მონეტები მოჭრილია შემდეგი იმპერატორების სახელით: 1. ადრიანეს (117-138 წწ.) დიდრაქმა – 4 ც.; 2. კომოდუსის (182-192 წწ.) დიდრაქმა – 1 ც.; 3. სეპტიმიუს სევერუსის (193-211 წწ.) დრაქმა – 2 ც.; 4. იულია დომნას (193-217 წწ.) დრაქმა – 1 ც.; 5. გეტა (211-212 წწ.) დრაქმა – 1 ც.; 6. კარაკალას (211-217) დრაქმა – 1 ც. [დუნდუა გ., დუნდუა თ., 2006:102-103]; ტრაპეზუნტის მონეტები: 1. ლუციუს ვერუსის (161-169 წწ.), ან კომოდუსის, ან სეპტიმიუს სევერუსის – 8 ც.; 2. სეპტიმიუს სევერუსის – 25 ც.; 3. იულია დომნას – 33 ც.; 4. კარაკალას და გეტას (?) – 4 ც.; 5. კარაკალას (?) – 2 ც.; 6. კარაკალას – 8 ც.; 7. ელაგაბალუსის (218-222 წწ.) – 20 ც.; 8. გორდიანე III პიუსის (238-244 წწ.) – 16 ც.; 9. ტრანკვილინას – 1 ც.; 10. ფილიპე I უფროსის (244-249 წწ.) – 2 ც.; 11. ოტაცილას – 1 ც.; 12. ფილიპე II უმცროსის (247-249 წწ.) – 1 ც. განუსაზღვრელია – 18 ც. განძის დაფვლის დრო სავარაუდოთ, 256 წელი (გოთების თავდასხმა) უნდა იყოს [დუნდუა, ჯალალანია, 2009:26-28; დუნდუა, 1975:280-429; Дундуа, 1980:37-56; Dundua, Lortkipanidze, 1980:30-45;

Dundua, Lortkipanidze, 1995:32-38], (იხ. რუკაზე № 48).

ბიჭვინთის განძი II – 1962 წელს ბიჭვინთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ აღმოჩენილია სპილენძის მონეტები – 310 ც., რომლებიც მოჭრილია ალექსანდრიაში, ანტიოქიაში, კონსტანტინოპოლში, ნიკომედიასა და კიზიკოსში შემდეგი მმართველების სახელით: 1. კონსტანტინე I დიდის (306-337 წწ.) – 11 ც., 2. დედოფალ ელენეს (-328 წ.) – 4 ც., 3. კონსტანტინე I დიდის (სიკვდილის შემდეგ) – 52 ც., 4. კონსტანტინე II-ის (337-340 წწ.) – 6 ც., 5. კონსტანციუს II-ის (337-361 წწ.) – 102 ც., 6. კონსტანსის I (337-350 წწ.) – 75 ც., 7. კონსტანციუს II-ის (337-361 წწ.) ან კონსტანსის I (337-350 წწ.) – 60 ც., 101 მონეტა გაურკვეველია. განძი დაფლული უნდა იყოს IV ს-ის 60-70-იან წლებში [დუნდუა გ., დუნდუა თ., 2006:115-117; დუნდუა, ჯალალანია, 2009:26-28; დუნდუა, 1975:280-429; ცუხიშვილი, 1977:250-304], (იხ. რუკაზე № 49).

ბიჭვინთის განძი III – 1961 წელს ბიჭვინთის ნაქალაქარზე არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩნდა იმპერატორ იუსტინე I-ის (518-527 წწ.) სპილენძის ხუთნუმიანი მონეტები – 55 ც. [დუნდუა, ჯალალანია, 2009:28; ცუხიშვილი, 1977:305-334], (იხ. რუკაზე № 50).

ეკის განძი – 1971 წელს სოფ. ეკში (სენაკის მუნიციპ.) შემთხვევით აღმოჩნდა თიხის ქოთანში მოთავსებული ვერცხლის მონეტები – 907 ც., მოჭრილია შემდეგი მმართველების სახელით: 1. ენ. ოროდ I-ის (ძვ.წ.57-38/7 წწ.) პართული დრაქმა – 1 ც.; 2. ნერვას (96-98 წწ.) კესარიული დრაქმა; 3. ტრაიანეს (98-117 წწ.) კესარიული დიდრაქმა – 2 ც.; 4. ადრიანეს (117-138 წწ.) კესარიული დიდრაქმა – 712 ც.; 5. ანტონინუს პიუსის (138-161 წწ.) კესარიული დიდრაქმა – 55 ც.; 6. ლუციუს ვერუსის (161-169 წწ.) კესარიული დიდრაქმა – 1 ც.; 7. კომოდუსის (180-192 წწ.) რომის ზარაფხანაში მოჭრილი დენარი – 1 ც.; 8. პერტინაქსის (193 წ.) რომის ზარაფხანაში მოჭრილი დენარი – 5 ც.; 9. ნიგერიუსის (193-197 წწ.) რომის ზარაფხანაში მოჭრილი დენარი – 1 ც.; 10. სეპტიმიუს სევერუსის (193-211 წწ.) დენარი – 101 ც. – 12 ც. მოჭრილი რომში, 84 ც. – აღმოსავლეთის ზარაფხანაში, 5 ც. – ალექსანდრიაში (?); 11. იულია დომნას (193-217 წწ.) – 1 ც. კესარიული დრაქმა, 5 ც. დენარი მოჭრილი რომში, 9 ც. – აღმოსავლეთის ზარაფხანაში; 12. კარაკალას

(211-217 წწ.) – 2 ც. დენარი მოჭრილი რომში, 1 ც. კესარიული დრაქმა; 13. გეტას (211-212 წწ.) 1 ც. კესარიული დრაქმა, 1 დენარი მოჭრილი რომში ან ანტიოქიაში; 14. ელაგაბალუსის (218-222 წწ.) კესარიული დრაქმის მინაბადი – 1 ც.; ალექსანდრე სევერუსის (222-235 წწ.) 1 ც. რომში მოჭრილი დენარი, 5 ც. – აღმოსავლეთის ზარაფხანაში. განძი დამარხულია 222 წლის შემდეგ [დუნდუა, 1997:4-6; დუნდუა გ., დუნდუა თ., 2006:118; დუნდუა, ჯალალანია 2009:23; Дундуа, 1977:64-67], (იხ. რუკაზე № 51).

ნოსირის განძი – XX საუკუნის 30-იან წლებში სოფ. ნოსირში (სენაკის მუნიციპ.) შემთხვევით აღმოჩნდა კაპადოკიის კესარიაში მოჭრილი შემდეგი იმპერატორების მონეტები: 1. ვესპასიანეს (69-77 წწ.) – 1 ტრიობოლი; 2. დომიციანეს (81-96 წწ.) – 1 დრაქმა; 3. ტრაიანეს (98-117 წწ.) – 2 დიდრაქმა, 1 ნახევარდრაქმა; 4. ადრიანეს (117-138 წწ.) – 1 დრაქმა, 1 დიდრაქმა; 5. ანტონინუს პიუსის (138-161 წწ.) – 1 დრაქმა, 1 ნახევარდრაქმა [დუნდუა, ჯალალანია, 2009:120; Зорграф, 1945:80-81; Пахомов, 1949a:26], (იხ. რუკაზე № 52).

სეფიეთის განძი – 1931 წელს სოფ. სეფიეთში (მარტვილის მუნიციპ.) შემთხვევით აღმოჩნდა ვერცხლის მონეტები – 377 ცალი. ამ მონეტების ემისია ეკუთვნის რომის იმპერატორებს: 1. ტრაიანეს (98-117 წწ.) – 2 ც. დენარი (რომის ზარაფხანა); 2. ადრიანეს (117-138 წწ.) – 1 ც. დრაქმა (კაპადოკიის კესარია); 3. ანტონინუს პიუსს (138-161 წწ.) – 3 ც. დენარი (რომი); 4. მარკუს ავრელიუსს (161-180 წწ.) – 6 ც. დენარი (რომი); 5. კომოდუსს (180-192 წწ.) – 33 ც. დენარი (რომი); 6. კრისპინას (180 წ.) – 1 ც. დენარი (რომი); 7. პერტინაქსს (193 წ.) – 1 ც. დენარი (რომი); 8. ნიგერიუსს (193-197 წწ.) – 1 ც. დენარი (აღმოსავლეთის ზარაფხანა); 9. კლოდიუსს ალბინუსს (193-197 წწ.) – 7 დენარი (5-რომი, 2-ლუგდუნუმი); 10. სეპტიმიუს სევერუსს (193-211 წწ.) – 222 დენარი, 5 დრაქმა (31-რომი, 5-კესარია, 18-აღმოსავლეთის ზარაფხანა, 2-ალექსანდრია, 158 – ემესა, 13 – გაურკვეველი); 11. იულია დომნას (193-217 წწ.) – 25 დენარი, 2 დრაქმა (12-რომი, 2-კესარია, 11-აღმოსავლეთის ზარაფხანა, 2-გაურკვეველი); 12. გეტას (211-212 წწ.) – 8 დენარი, 1 დრაქმა (3-რომი, 1-კესარია, 5-აღმოსავლეთის ზარაფხანა); 13. კარაკალას (211-217 წწ.) – 15 დენარი, 3 დრაქმა (10-რომი,

2-კესარია, 3-აღმოსავლეთის ზარაფხანა, 1-კესარიული დრაქმის მინაბადი); 14. ელაგაბალუსს (218-222 წწ.) – 10 დენარი (8-რომი, 2-აღმოსავლეთის ზარაფხანა); 15. ალექსანდრე სევერუსს (222-235 წწ.) – 31 დენარი (5-რომი, 26-აღმოსავლეთის ზარაფხანა). განძის ჩაფვლა მოხდა 222 წლის შემდგომ [დუნდუა გ., დუნდუა თ. 2006:142; Пахомов, 1938:14-15], (იხ. რუკაზე № 53).

ფახულანის განძი – XX საუკუნის 30-იანი წლებში სოფ. ფახულანში (წალენჯიხის მუნიციპ.) შემთხვევით აღმოჩნდა ვერცხლის, ბერძნულ-რომაული მონეტები, შემორჩენილი 8 მონეტა ევ. პახომოვისა და ა. ზოგრაფის მიერ განსხვავებულადაა იდენტიფიცირებული [დუნდუა, ჯალალანია 2009:153]. შესაბამისად, ჩვენი აზრით, მისი განძად იდენტიფიკაცია საეჭვოა (იხ. რუკაზე № 54).

ამ განძების რაოდენობა თერთმეტია, ახ.წ. I-VI სს-ით თარიღდება და ქრონოლოგიურად სამ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: I. წელთაღრიცხვათა მიჯნა საზოდელავოს განძი (1 განძი); II. ახ.წ. II ს-ის შუა წლებიდან – ახ.წ. III ს-ის მეორე მეოთხედამდე – გონიოს II, ოტობაიას, ლურზულის, ეკის, ნოსირის, სეფიეთის განძები; III. ახ.წ. III ს-ის შუა წლებიდან – VI ს. – სოხუმის, ბიჭვინთის 3 განძი. პირველ და მეორე ქრონოლოგიურ ჯგუფებს შორის არის დაახლოებით 150 წლიანი ლაკუნა, ხოლო მეორე და მესამე ქრონოლოგიურ ჯგუფებს თარიღის გარდა, განასხვავებს განძების გავრცელების არეალიც.

II. ძვირფასი ნივთების შემცველი განძები:

მახოს განძი – 1964 წელს სოფ. მახოში (ხელვაჩაურის მუნიციპ., გონიოს მახლობლად) შემთხვევით აღმოჩნდა საიუველირო ნივთების კომპლექსი [ლორთქიფანიძე ოთ. და სხვ., 1980:10, ტაბ. III- IV], (იხ. რუკაზე № 55).

გონიოს განძი I – 1974 წელს სოფ. გონიოში შემთხვევით აღმოჩნდა ლითონის ჭურჭელში გადანახული ოქროს ნივთები (ნივთების ნუმერაცია და თანამიმდევრობა ისეა წარმოდგენილი, როგორც ეს განძის პუბლიკაციაშია მოცემული): 1. ქანდაკება ჭაბუკისა [ლორთქიფანიძე ოთ. და სხვ., 1980:11, ტაბ. VII-X]; 2. ფიალა [ლორთქიფანიძე ოთ. და სხვ. 1980:11-12, ტაბ. XIII-XIV]; 3-4. სამაჯურები – 2 ც. [ლორთქიფანიძე ოთ. და სხვ. 1980:12, ტაბ.

XV-XVI]; 5. გარსაკრავი, შემკული ცხოველთა ბრძოლის გამოსახულებით [ლორთქიფანიძე ოთ. და სხვ. 1980:12-13, ტაბ. XVII-XVIII]; 6. საკიდი, შემკული მამაკაცის ბიუსტის გამოსახულებით, რომელსაც თავზე გვირგვინად მზის დისკო ადევს [ლორთქიფანიძე ოთ. და სხვ. 1980:13, ტაბ. XIX-XX]; 7. ბალთა, შემკული ფრინველებისა და მხედრის გამოსახულებითა და ფერადი ქვებით [ლორთქიფანიძე ოთ. და სხვ. 1980:13-14, ტაბ. XXI-XXII]; 8. ბალთა, შემკული ფერადი ქვებით [ლორთქიფანიძე ოთ. და სხვ. 1980:14-15, ტაბ. XXIII-XXIV]; 9. ბალთა, შემკული ლომის ფიგურითა და ფერადი თვლებით [ლორთქიფანიძე ოთ. და სხვ. 1980:15-16, ტაბ. XXV-XXVI]; 10. ბალთა, მსგავსი № 7-ისა [ლორთქიფანიძე ოთ. და სხვ. 1980:16, ტაბ. XXV-XXVI]; 11-14. გარსაკრავები – 4 ც., მრგვალი ფორმის, შემკული ბორჯღალის გამოსახულებით [ლორთქიფანიძე ოთ. და სხვ. 1980:16, ტაბ. XXXIII-XXXIV]; 15-16. გარსაკრავი – 2 ც., მრგვალი ფორმის, შემკული კონცენტრირებული წრეებით [ლორთქიფანიძე ოთ. და სხვ. 1980:16, ტაბ. XXXV,1-XXXVI]; 17-19. კილიტები – 3 ც. [ლორთქიფანიძე ოთ. და სხვ., 1980:16, ტაბ. XXXV,2-XXXVI]; 20. ღილი – სამკუთხა [ლორთქიფანიძე ოთ. და სხვ., 1980:16, ტაბ. XXXV,3]; 21-22. მძივები – 2 ც., ბიკონუსური [ლორთქიფანიძე ოთ. და სხვ. 1980:17, ტაბ. XXXVII,1-XXXVIII]; 23-24. მძივსაკიდი ქარვისა – 2 ც. [ლორთქიფანიძე ოთ. და სხვ. 1980:17, ტაბ. XXXVII,2-XXXVIII]; 25-26. გარსაკრავი – 2 ც., სამკუთხედის ფორმის, შემკული ჭედურად გამოყვანილი მუხის ტოტით, ფოთლებითა და რკოთი [ლორთქიფანიძე ოთ. და სხვ. 1980:17, ტაბ. XXXIX-X]; 27. გარსაკრავი – გოფირებული [ლორთქიფანიძე ოთ. და სხვ. 1980:17, ტაბ. XI- XII]; 28. ფირფიტები – 13 ც., ზოლოვანი, შემკული ვარდულებით [ლორთქიფანიძე ოთ. და სხვ. 1980:17-18, ტაბ. XIII- XIV]; 29. ფირფიტები – ზოლოვანი, შემკულია მრგვალ ბუდეში ჩასმული, ორ რიგად განლაგებული თვლებით [ლორთქიფანიძე ოთ. და სხვ., 1980:18, ტაბ. XV-XVI]; 30. გარსაკრავი – შემკულია მრგვალი და მსხლისებრი ფორმის თვლებით [ლორთქიფანიძე ოთ. და სხვ., 1980:18, ტაბ. XV- XVI]; 31-32. გარსაკრავი – 2 ც., შემკულია ნიწვისებრი ორნამენტით [ლორთქიფანიძე ოთ. და სხვ., 1980:18, ტაბ. XV-XVI]; 33. თავი შტანდარტისა [ლორთქიფანიძე ოთ. და სხვ. 1980:18, ტაბ. X-

VII- XVIII]; 34. ძენკვი [ლორთქიფანიძე ოთ. და სხვ., 1980:18, ტაბ. XIX-]; 35. ძენკვი [ლორთქიფანიძე ოთ. და სხვ., 1980:18, ტაბ. I- II]; 36. ფირფიტები – უსახო [ლორთქიფანიძე ოთ. და სხვ., 1980:18]. გონიოს განძი ახ.ნ. I ს-ით თარიღდება [ლორთქიფანიძე ოთ. და სხვ., 1980:27], (იხ. რუკაზე № 56).

თაგილონის განძი - 1930 წლის 21 ივლისს, მდ. ენგურის მარჯვენა ნაპირზე, სოფ. თაგილონის მახლობლად, რკინიგზის ლიანდაგთან, მიწის ზედაპირიდან 0,75 მ-ის სიღრმეზე, მიწის სამუშაოების წარმოებისას აღმოჩნდა. ან. ამირანაშვილის აზრით, ზუგდიდის მუზეუმს გადაეცა ნივთების მხოლოდ ერთი მეოთხედი (დანარჩენი მუშებმა დაინანილეს). ზუგდიდის მუზეუმის დირექტორმა აკ. ჭანტურიამ ადგილზე ჩაატარა სამუშაოები და დამატებით ოქროს და ვერცხლის ნივთების ფრაგმენტები გამოავლინა. გარდა ამისა თვითმხილველები ახსენებდნენ რალაც ხის ყუთს, ლითონის შემკულობით, რომელიც გაცამტვერდა და დიდი ზომის თიხის ქოთანს. ან. ამირანაშვილს ეს ნივთები სამარხულ ინვენტარად მიიჩნია, მიუხედავად იმისა, რომ მიცვალებულის ძვლები, ან სამარხის მიმანიშნებელი რაიმე სხვა ნაშთები არ დაფიქსირებულა [Амиранашвили, 1935:9-10]. ამოღებულ იქნა ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოსა და რკინის ნივთები. ესენია: ოქროს ნივთები: 1) ირმის თავის გამოსახულება (ზედაპირზე, ალაგ-ალაგ, შემორჩენილი აქვს რკინის ჟანგის კვალი) [Амиранашвили, 1935:15-16, ტაბ. I,1-3]; 2) გარსაკრავის ფრაგმენტი, ზარის ფორმის [Амиранашвили, 1935:16-17, ტაბ. II,1,2]; 3) გარსაკრავის ფრაგმენტი, ხის ნივთის (შიდა მხრიდან შემორჩენილია ხის ნაშთები, ზედაპირზე, ალაგ-ალაგ, შეიმჩნევა რკინის ჟანგის კვალი) [Амиранашвили, 1935:17, ტაბ. II,3, 4, სურ. 3]; 4) მძივი [Амиранашвили, 1935:17-18, ტაბ. I, 4]; 5) ბალთა – ნახევარმთვარისებური [Амиранашвили, 1935:18, ტაბ. III,1,2]; 6) ბალთები – მრგვალი – 2 ც. [Амиранашвили, 1935:18, ტაბ. III, 3,ა,ბ; 4,ა,ბ]; 7) ბალთები, მრგვალი – ცხოველური ორნამენტით (ზედაპირზე, ალაგ-ალაგ, შეიმჩნევა რკინის ჟანგის კვალი) [Амиранашвили, 1935 : 19, ტაბ. III,5,ა,ბ, ნა,ბ, სურ. 26]; 8) ბალთები – მრგვალი – მცირე ზომის – 2ც. (ზედაპირზე, ალაგ-ალაგ, შეიმჩნევა რკინის ჟანგის კვალი) [Амиранашвили, 1935:19, ტაბ. III,7,ა,ბ; 8,ა,ბ]; 9) სარტყლისებური

ნივთის ფრაგმენტი, ჭვირული ორნამენტით [Амиранашвили, 1935:19, ტაბ. II,5,6]; 10) მცირე ზომის ვერცხლის ფირფიტის ფრაგმენტი, ოქროთი მოპირკეთებული (ზედაპირზე, ალაგ-ალაგ, შეიმჩნევა რკინის ჟანგის კვალი) [Амиранашвили, 1935:19]. ვერცხლის ნივთები: 1) ჭურჭელი, ჭიქისებური, ზემოთკენ გაფართოვებული. სასმისზე გარედან ატყვია ყურის მირჩილვის კვალი, რომელიც ამჟამად მომძვრალია და განძში ცალკე იყო (ზედაპირზე, ალაგ-ალაგ, შეიმჩნევა რკინის ჟანგის კვალი) [Амиранашвили, 1935:23, ტაბ. IV, 4, 22]; 2) ლომის თავი, ხახაში რგოლით – წინამორბედი სასმისის ყური [Амиранашвили, 1935:23-24, ტაბ. VI,6]; 3) ჭურჭელი, ნახევრადსფერული – შეიძლება აკლდეს მოპირკეთება, ყურები და ფეხი [Амиранашвили, 1935:24-25, ტაბ. VI,3]; 4) ჭურჭელი, ნახევარკვერცხისებური, კანელურებიანი (ზედაპირზე, ალაგ-ალაგ შეიმჩნევა რკინის ჟანგის კვალი) [Амиранашвили, 1935:25, ტაბ. V,3, 4; სურ. 19]; 5) წინამორბედი ჭურჭლის მსგავსი 15 ფრაგმენტი, კანელურებიანი [Амиранашвили, 1935:25, ტაბ. VII,2]; 6) თასი, ფეხიანი [Амиранашვილი, 1935:25-26, ტაბ. VI,1, 2; სურ. 24]; 7) ლამბაქი (ზედაპირზე, ალაგ-ალაგ შეიმჩნევა რკინის ჟანგის კვალი) [Амиранашვილი, 1935 : 26, ტაბ. V,1, 2, სურ. 20]; 8) თეფშის 7 ფრაგმენტი [Амиранашვილი, 1935:26, ტაბ. VII, 1; სურ. 21]; 9) ჭურჭლის ძირის ფრაგმენტი [Амиранашვილი, 1935:26, ტაბ. VIII,3, 4]; 10) ჭურჭლის ძირი [Амиранашვილი, 1935:26, ტაბ. IX, 3, 4]; 11) რგოლი, თასში ემბლემის დასამაგრებლად [Амиранашვილი, 1935 :26]; 12) ჭურჭლის ფეხი [Амиранашვილი, 1935:27, ტაბ. VI, 4]; 13) თასის ფეხი [Амиранашვილი, 1935:27, ტაბ. VI, 5]; 14) ჭურჭლის ყურის ორი ფარაკი [Амиранашვილი, 1935:27, ტაბ. VIII, 1 ა, ბ; 2 ა, ბ]; 15) ჭურჭლის ყური (ყურზე მიჟანგული იყო რკინის ჯავშნის გუნდა) [Амиранашვილი, 1935:27-28, ტაბ. X, 2 ა,]; 16) ჭურჭლის ყურის ფარაკი (14-ის ანალოგიური) [Амиранашვილი, 1935:28, ტაბ. X, 2 ბ]; 17) ჭურჭლის ყური [Амиранашვილი, 1935:28]; 18) ჭურჭლის ყური, ორნამენტირებული [Амиранашვილი, 1935:28, სურ. 5]; 19) ჭურჭლის კიდის 3 ფრაგმენტი [Амиранашვილი, 1935:29]; 20) ფირფიტის 3 ფრაგმენტი [Амиранашვილი, 1935:29]; 21) თასის კედლის 2 ფრაგმენტი, შემკული ლოტოსის გამოსახულებით [Амиранашვილი, 1935:29,

სურ. 6]; 22) ჭურჭლის კედლის 2 ფრაგმენტი [Амиранашвили, 1935:29]. ბრინჯაოს ნივთი: 1) დოქის ყური [Амиранашвили, 1935:33, ტაბ. X, 1; სურ. 18 ა, ბ]. რკინის ნივთები: 1) ცხენის ლაგამი (ძალზე დაჟანგული) [Амиранашвили, 1935:37, ტაბ. X,5 ა]; 2) ბრტყელი ფირფიტის 8 ფრაგმენტი [Амиранашвили, 1935:37]; 3) დაჟანგული ჯავშნის 4 გუნდა (ერთი ადრე იყო ნახსენები) [Амиранашвили, 1935:37]; 4) ღეროს 3 ფრაგმენტი (სავარაუდოთ ლაგამის).

ამ კომპლექსს ა. ამირანაშვილი ახ.ნ. I ს-ის მეორე ნახევრითა და II ს-ის დასაწყისით ათარიღებს [Амиранашвили, 1935:71], (იხ. რუკაზე № 57).

ვანის განძი II – 2007 წელს ვანის ნაქალაქარის ჩრდილო-აღმოსავლეთ კიდეზე, არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩნდა ბრინჯაოსა და რკინის ნივთების განძი. განძი ჩაფლული იყო დედაქანში სახელდახელოდ ამოკვეთილ ორმოში (სიგრძე – 1,90 მ., სიგანე – 0,85 მ., სიღრმე – 0,90 მ.), რომელსაც ჩაჭრილი ჰქონდა ქალაქის დამცავი კედლის ნანგრევები მას შემდეგ, კედლის დამწვარი ალიზის მასაში გაჭრილი იყო ტრანშეა საძირკვლის ქვების ამოსაღებად მათი მეორადი გამოყენების მიზნით (თავდაცვითი კედელი დაინვა და დაინგრა ძვ.წ. I ს-ის შუა წლებში [ახვლედიანი, 2010:11-12; Akhvlediani, etc. 2016:183, Fig. 1]

განძი შეიცავდა შემდეგ ნივთებს 1. ბრინჯაოს ჭურჭელი – დიდი ზომის, ნახევარსფერული მოყვანილობის ფეხიანი და ყურიანი. ყური ჭურჭელთან მიმაგრებულია აპლიკაციით, რომელიც გორგონეონს წარმოადგენს [Akhvlediani, etc. 2016:183, Fig. 2]. ჭურჭელზე, ზოგიერთ ადგილას, შემორჩენილია რკინის ჟანგი; 2. ბრინჯაოს სადგარი – ოთხკუთხა პოსტამენტზე აღმართული კანელურებიანი სვეტი, რომლის ზედა ნაწილი გარეთაა გადაშლილი და შემკულია იონიური კიმატიონით [Akhvlediani, etc. 2016:183, Fig. 3]; 3. ბრინჯაოს სადგარი — ზემოთ აღწერილის მსგავსია, ოღონდ არა აქვს გარეთ გადაშლილი კიდე და შედარებით მცირე ზომისაა [Akhvlediani, etc. 2016:183, Fig. 4]; 4. ბრინჯაოს სადგარი – წრიული, შემკული ლესბოსური კიმატიონით [Akhvlediani, etc. 2016:184, Fig. 5]; 5. ბრინჯაოს ფიგურული სადგარი – შედგება წრიული ბაზისაგან, რომელზეც დამაგრებულია არწივის ფეხი და სირენას პროტომა

[Akhvlediani, etc. 2016:184, Fig. 6]; 6. ბრინჯაოს სასაკმევლე – სამმილიანი, შემკულია სპილოს სამი თავის გამოსახულებით [Akhvlediani, etc. 2016:184, Fig. 7]. სასაკმევლეზე, ზოგიერთ ადგილას, შემორჩენილია რკინის ჟანგი; 7. ბრინჯაოს ჭრაქი – ექვსი საპატრუქეთი, რომელთაგან სამი შემკულია ადამიანთა წელსზედა გამოსახულებით (ჰერაკლეს, დიონისესა და არიადნას), სამი კი სპილოს თავების გამოსახულებით [ლორთქიფანიძე ნ., 2010:21-23; Akhvlediani, etc. 2016:184, Fig. 8]. ჭრაქზე, ზოგიერთ ადგილას, შემორჩენილია რკინის ჟანგი; 8. ბრინჯაოს ჭრაქი – სამი საპატრუქეთი, შემკული არწივის და განიმედესის გამოსახულებით [Akhvlediani, etc. 2016:184, Fig. 9]. ჭრაქზე, ზოგიერთ ადგილას, შემორჩენილია რკინის ჟანგი; 9. ბრინჯაოს ჭრაქი – სამი საპატრუქეთი, შემკული ეროსის ოთხი ფიგურით [Akhvlediani, etc. 2016:184, Fig. 10]. ჭრაქზე, ზოგიერთ ადგილას, შემორჩენილია რკინის ჟანგი; 10. ბრინჯაოს ჭრაქი – ერთი საპატრუქეთი, შემკული ვაზის რტოების, ფოთლებისა და მტევნების გამოსახულებით [Akhvlediani, etc. 2016:184-185, Fig. 11]; 11. სარეცლის (კლინეს) ფეხის ბრინჯაოს გარსაკრავები – ათი კომპლექტი, აქედან ერთი შედარებით მცირე ზომისაა და შეიძლება რაიმე სხვა ნივთს ეკუთვნოდეს [Akhvlediani, etc. 2016:185, Fig. 12]. აქედან ცხრაზე, ალაგ-ალაგ, შემორჩენილია რკინის ჟანგი; 12. რკინის თიმიატერიონი – შედგება თეფშის, კანელურებიანი ღეროსა და სამფეხა სადგარისაგან [Akhvlediani, etc. 2016:185,187 Fig. 13]; 13. რკინის თიმიატერიონი – შედგება თეფშის, მძივებითა და დისკოებით (იონიური კიმატიონით) შემკული ღეროსა და სადგარისაგან [Akhvlediani, etc. 2016:187, Fig. 13]; 14. რკინის „კერია“ – შედგება გრეხილი ღეროსაგან, რომელიც ბოლოვდება მორკალული სალტისებური სადგარებით [Akhvlediani, etc. 2016:187, Fig. 14]; 15. რკინის შუბისპირები; 16. რკინის ისრისპირები.

განძში შემავალი ნივთები ზოგადად ელინისტური ხანის ნახელავია და ისინი ქალაქის დანგრევის შემდეგ იქნენ გადამალულნი. სავარაუდოთ, ზემოთაღწერილი ნივთები „მოზაიკურიატაკიანი“ ტაძრის ინვენტარსა და შეწირულობას მიეკუთვნება, რომელიც 50 მ-ით არის დაცილებული (იხ. რუკაზე № 58).

ხაიშის განძი – 1948 წელს სოფ. ხაიშში

(მესტიის მუნიციპ.), მდ. ხაიშურას მარცხენა ნაპირზე, მისგან 200 მეტრის დაცილებით, დაახლოებით 0,80 მ-ის სიღრმეზე წყალსადენის გაყვანისას წარმოებული მიწის სამუშაოების დროს აღმოჩნდა ოქროსა და ვერცხლის ნივთები, ინვენტარი მუზეუმში შევიდა. ამ ტერიტორიის დაზვერვის შემდეგ სამარხის რაიმე ნიშანი არ დაფიქსირებულა, ამიტომ ალ. ჯავახიშვილი მას განძად და არა დანგრეულ სამარხად მიიჩნევდა. არტეფაქტების ნაწილი გაიფანტა, გადარჩენილია განძში შემავალი ცხრა ნივთი. ესენია: 1. ოქროს საკიდი; 2. ოქროს საკისრე რგოლი; 3-4. ოქროს ორი თვალადი ბეჭედი; 5-6. ოქროს ორი თხელი, მრგვალი და პატარა ფირფიტა; 7-9. ვერცხლის სამი ჭურჭლის ფრაგმენტები. ხაიშის განძი ახ.წ. I-II სს-ით თარიღდება [ჯავახიშვილი, 1958:149-157], (იხ. რუკაზე № 59).

ქუთაისის განძი – 1931 წელს ქუთაისის აღმოსავლეთით (კონკრეტული ადგილი მითითებული არ არის) აღმოჩნდა თიხის ჭურჭელში გადანახული სხვადასხვა სამკაული და იმპერატორ ტრაიანეს (98-111 წწ.) ვერცხლის მონეტა [Пахомов, 1949a:24-25]. სხვა ცნობები განძის შესახებ არ მოიპოვება (იხ. რუკაზე № 60).

ციხისძირის განძი – 1907 წელს სოფ. ციხისძირში (ქობულეთის მუნიციპ.) შემთხვევით (აგარაკების მშენებლობისას) აღმოჩნდა ოქროს სამკაული, ვერცხლისა და ბრინჯაოს ჭურჭელი, მძივები, ვერცხლის და სპილენძის მონეტები, რომლებიც გადაეცა სანქტ-პეტერბურგის ერმიტაჟს [ხოშტარია, 1962; ინაიშვილი, 1993:17-41]. მკვლევართა მოსაზრებით, „კოლექცია“ ხასიათით და შემადგენლობით მდიდრული სამარხის ინვენტარს უნდა წარმოადგენდეს [ხოშტარია, 1962:26; ინაიშვილი, 1993:41] და ახ.წ. III ს-ით თარიღდება [ინაიშვილი, 1993:41].

ურეკის განძი – 1942 და 1948 წლებში დაბა ურეკში (ოზურგეთის მუნიციპ.), ადგილ „კუჩხისაბანოსთან“ ქვიშაზვინულში აღმოჩნდა ოქროს სამკაული, ამფორები, ვერცხლისა და მინის ჭურჭელი, მონეტები. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, „განძში“ ორი ან მეტი სამარხიდან მომდინარე ნივთები იყო თავმოყრილი და ზოგადად, ახ.წ. III-IV სს-ით თარიღდება [აფაქიძე, 1947:82-112; Хоштариа, 1955:25-78; Леквинадзе, 1975:193-208; სადრაძე, 2009:50-60].

სარგვეშის განძი – 1917 წლის გაზაფხულზე სოფ. სარგვეშთან (ხარაგაულის მუნიციპ.) მიწის დამუშავების დროს შემთხვევით აღმოჩნდა ძვირფასი ნივთები: ვერცხლის ბარძიმი და კოვზი, ოქროს ბეჭდები (3 ც.), ხატისუღელი და სამაჯური. გადმოცემის თანახმად, ამ ნივთებთან მიცვალებულის ძვლებიც იყო. შესაბამისად, ამ „განძის“ ნივთები სამარხეულ ინვენტარს წარმოადგენს და ახ.წ. III ს-ის 80-იანი წლებით თარიღდება [Tschubinaschwili 1925:84].

ბორის განძი – 1902-03 და 1907 წლებში სოფ. ბორში (ხარაგაულის მუნიციპ.) მიწის დამუშავების დროს შემთხვევით აღმოჩნდა ძვირფასი ნივთები: ოქროს სამკაულები, ვერცხლისა და ბრინჯაოს ჭურჭელი, მინის სანელსაცხებლები, მონეტები, მძივები და სხვ. თავიდანვე ცნობილი იყო, რომ ეს ნივთები სამარხეულ ინვენტარს წარმოადგენდა, თუმცა სანქტ-პეტერბურგის ერმიტაჟში შევიდა, როგორც „ბორის განძი“. მათი თარიღია ახ.წ. II ს. [Такайшвили, 1904:90-91; ИКОМАО, 1913:29-30; Придик, 1914:94-110].

ზემოთჩამოთვლილიდან გონიოს I-ის, მახოს, თავილონის და ხაიშის განძებში შემავალი ინვენტარი, მხატვრულ-სტილისტური თვალსაზრისით, ერთგვაროვანია და შესაბამისად ერთ პერიოდს მიეკუთვნება – ახ.წ. I ს. - II ს-ის დასაწყისი [ლორთქიფანიძე ოთ. და სხვ. 1980:26; Мачабели, 1976:24-32]. რაც შეეხება ვანის განძს, ის აბსოლუტურად განსხვავდება დანარჩენებისაგან თავისი შემადგენლობით და შესაბამისად თარიღით.

ამდენად, სადღეისოდ ისტორიული კოლხეთის ტერიტორიაზე დაფიქსირდა ძვ.წ. V – ახ.წ. VI სს-ის 50-ზე მეტი განძი. თუ შევაჯერებთ ყოველივე ზემოთ ნათქვამს, მივიღებთ განძების გავრცელების შემდეგ სურათს:

ძვ.წ. VI ს-ის ბოლოდან ძვ.წ. III ს-მდე (სავარაუდოთ დასაწყისამდე) კოლხეთის ტერიტორიაზე გადამალულია კოლხური თეთრის შემცველი 30-ზე მეტი განძი. გამოიყოფა მათი გავრცელების სამი ზონა: I. ფიჭვნარის ნაქალაქარის გარშემო აღმოჩენილი 5 განძი – ბათუმის, ქობულეთის (3 განძი), ჯუმათის (ამ ზონას შეიძლება ჩომეთის განძიც მიეკუთვნებოდეს); II. ძველი ფასისის გარშემო აღმოჩენილი 16 განძი – ზემო ჩიბათის (2 განძი), ნიგოეთის, ფოთის, ერგეტას (3 განძი), ანაკლიის, ახალი აბასთუმნის, ახალსოფლის,

რუხის, ჭითანყაროს, ბარლების, ნაბაკევის, საბერიოს (ამ ზონას შეიძლება ჯალირასს განძიც მიეკუთვნებოდეს); III. მდ. რიონის შუა ნელზე აღმოჩენილი 15 განძი – მარცხენა სანაპირო – სულორის, დაბლაგომის(?), მარჯვენა სანაპირო – ნორიოს, კუხის, ნახუხევის, სანულუკიძეოს, ხონის (2 განძი), გუმისთავის, დღნორისის, ზარათის, ლეჩხუმის(?), ზვარგულას, მურის ციხის(?), ბარდუბნის.

ამავე ქრონოლოგიურ ჩარჩოში ჯდება ძვ.წ. IV ს-ის უკანასკნელი მეოთხედის ოქროს (მაკედონური და პანტიკაპური) მონეტების 3 განძი მესტიის მუნიციპალიტეტიდან.

ძვ.წ. III ს-ის მეორე ნახევრისა და ძვ.წ. II ს-ის განძები გამოვლენილი არ არის.

ძვ.წ. II ს-ის ბოლოსა და ძვ.წ. I ს-ის პირველი ნახევრის პონტოური მონეტების განძები გამოვლენილია სოხუმისა (დიოსკურიის) და ვანის ნაქალაქარის ტერიტორიაზე.

ძვ.წ. I ს-ის შუა წლების შემდგომ ხანას (ძველი ვანის დანგრევის შემდეგ) მიეკუთვნება ძვირფასი ნივთების შემცველი ვანის განძი II.

წელთაღრიცხვათა მიჯნა –საზოდელავოს განძი (რომაული და ბიზანტიური მონეტების).

ახ.წ. I ს. - II ს-ის დასაწყისი. ძვირფასი ნივთების შემცველი 3 განძი შავი ზღვის ნაპირთან ახლოს – მახოს, გონიოს I, თაგილონის; 1 განძი სვანეთში – ხაიშის. ამ პერიოდში აღინიშნება ლაკუნა სამონეტო განძებში.

ახ.წ. II ს-ის შუა წლებიდან - VI ს-ის ჩათვლით, ისევ განახლდა რომაული მონეტების გადამალვა, რასაც ბიზანტიური მონეტებიც დაემატა. ამ ტიპის განძები ორ ქრონოლოგიურ ჯგუფად შეიძლება დაიყოს, განსხვავებაა მათი გავრცელების არეალშიც - I. ახ.წ. II ს-ის შუა წლებიდან – ახ.წ. III ს-ის მეორე მეოთხედამდე დათარიღებული 6 განძი (გონიოს II, ოტობაიას, ლურზულის, ეკის, ნოსირის, სეფიეთის) აღმოჩენილია შავი ზღვის სანაპირო ზოლსა და მდ. რიონის შუა ნელზე; II. ახ.წ. III ს-ის შუა წლებიდან – VI ს-ით დათარიღებული 4 განძი (სოხუმის და ბიჭვინთის 3 ც.) კოლხეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში.

ლიტერატურა:

- აფაქიძე 1947:** აფაქიძე ან. გვიანანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები ურეკიდან. - სსმმ, ტ. XIV-B, თბ., გვ. 82-112.
- ახვლედიანი 2010:** ახვლედიანი დ. ახლად აღმოჩენილი განძი ვანიდან და მისი შესწავლის პერსპექტივები – არქეოლოგიური კონტექსტი. - საერთაშორისო კონფერენცია “საქართველოს არქეოლოგია საუკუნეთა მიჯნაზე: შედეგები და პერსპექტივები”, მოხსენებათა თეზისები, თბ., გვ. 11-12.
- დუნდუა 1974:** დუნდუა გ. იჭრებოდა თუ არა მონეტა ვანში? მაცნე, ისტორიის, ... სერია, № 2, თბ., გვ. 146-159.
- დუნდუა 1975:** დუნდუა გ. სამონეტო მიმოქცევა და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობანი ბიჭვინთაში ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით ძვ.წ. II-ახ.წ. IV სს. - „დიდი პიტიუნტი“, I, თბ., გვ. 280-429.
- დუნდუა გ., დუნდუა თ. 2006:** დუნდუა გ., დუნდუა თ. ქართული ნუმიზმატიკა, თბ.
- დუნდუა, ლორთქიფანიძე გ. 1977:** დუნდუა გ., ლორთქიფანიძე გ. მონეტები ვანიდან. - ვანი III, თბ., გვ. 119-152.
- დუნდუა 1997:** დუნდუა გ. ანტიკური ხანის უცხოური მონეტების განძები კოლხეთიდან (ძვ.წ. IV- ახ.წ. IV სს.). - გურია II, თბ., გვ. 80-107.
- დუნდუა 2003:** დუნდუა გ. კოლხური თეთრი (ზოგადი მიმოხილვა). - იბერია-კოლხეთი I, თბ., გვ. 33-49.
- დუნდუა, ჯალალანია 2009:** დუნდუა გ., ჯალალანია ირ. ქართული ნუმიზმატიკური ლექსიკონი, თბ.
- ვარშალომიძე 2000:** ვარშალომიძე ირ. რომაული მონეტების განძი გონიო-აფსაროსიდან. ძიებანი, № 5, თბ., გვ. 81-86.
- ინაიშვილი 1993:** ინაიშვილი ნ. ციხისძირის ახ.წ. I-VI სს. არქეოლოგიური ძეგლები, თბ.,
- ლორთქიფანიძე გ., გერაძე 2007:** ლორთქიფანიძე გ., გერაძე გ. ნარკვევები ქართული ნუმიზმატიკის ისტორიიდან, თბ.
- ლორთქიფანიძე ნ. 2010:** ლორთქიფანიძე ნ. ახლად აღმოჩენილი განძი ვანიდან და მისი შესწავლის პერსპექტივები – იკონოგრაფიული ინტერპრეტაცია. - საერთაშორისო კონფერენცია “საქართველოს არქეოლოგია საუკუნეთა მიჯნაზე: შედეგები და პერსპექტივები”, მოხსენებათა თეზისები, თბ., გვ. 21-23.
- ლორთქიფანიძე ოთ. 2002:** ლორთქიფანიძე ოთ. ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან, თბ.
- ლორთქიფანიძე ოთ. და სხვ. 1980:** ლორთქიფანიძე ოთ., მიქელაძე თ., ხახუტაიშვილი დ. გონიოს განძი, თბ.
- მაკალათია 1947:** მაკალათია ს. ახალი ტიპის კოლხური მონეტების აღმოჩენა, სსმმ, XII-, თბ., გვ. 425-428.
- სადრაძე 2009:** სადრაძე ვ. ურეკის გვიანანტიკური ხანის ძეგლები. - ჟურ. იბერია-კოლხეთი, № 5, გვ. 50-60.
- ჩართოლანი 1976:** ჩართოლანი შ. მასალები სვანეთის არქეოლოგიისათვის, თბ.
- ცუხიშვილი 1977:** ცუხიშვილი იბ. გვიანრომაული მონეტების ბიჭვინთის განძი. - “დიდი პიტიუნტი” II, გვ. 305-334.
- ხოშტარია 1962:** ხოშტარია ნ. ციხისძირი, თბ.
- ჯავახიშვილი 1958:** ჯავახიშვილი ალ. ხაიშის განძი. - ჟურ. მნათობი, № 3, თბ., გვ. 149-157.
- Akhvlediani, etc. 2016:** Akhvlediani D., Amaglobeli B., Chi J., Chichinadze M., Kalandadze N., Kacharava D., Maish J., Kvirkvelia G., Lordkipanidze N., Saunders D., Tsereteli M., Walton M. The Hoard from City-Site of Vani, - saqarTvelos mecnierebaTa erovnuli akademia, moambe, t.10. №2, თბ., გვ. 182-191.
- Dundua 2004:** Dundua G. Hoards of Foreign Coins of the Classical period from Colchis (4 c. B.C. – 4 c. A.C.). - Journal of Georgian Archaeology, № 1, Tb., 150-170.
- Dundua G., Dundua T. 1999:** Dundua G., Dundua T. Les relations Economiques de la Colchide Aux Epoques Archaïque et Classique D’apres Le Material Numismatique. - La Mer Noire zona de contacts. Actes de VII Symposium de Vani (Colchide), Paris, 109.
- Dundua G., Lortkipanidze G. 1979:** Dundua G., Lortkipanidze G. Hellenic Coins from the Site of Vani in Colchis (Western Georgia). - NC, vol. XIX, 1-5.
- Dundua G., Lortkipanidze G. 1980:** Pitiunti-Bitschwinta in der Spätantike (zur Geschichte der auswärtigen Beziehungen vom 1-4. Jh. u.z.). - “Georgica”, Jena-Tbilisi, 30-45.
- Dundua G., Lortkipanidze G. 1995:** Dundua G., Lortkipanidze G. Das numismatische Material von Pitiunti (2. Jh.v. Chr. – 5 Jh. n. Chr.). - “Georgica”, 18 jahrgang, 32-38.
- Lebanidze 1999:** Lebanidze L. Tresor Monetaire de Sulori. - Actes de VII Symposium de Vani (Colchide), Paris, 155-158.
- Pochitonov E. 1959:** Pochitonov E. Posnamky a doplky k negstrarasim rasbam Kolchidy. - Numizmatike listy XIV, Praha, 68.
- Rigling 1931:** Rigling K. Der Griechische Goldschatz von Prinkipo. - Zeitschrift für Numismatik, Berlin, 38.
- Tschubinaschwili 1925:** Tschubinaschwili G. Der Fund von Sargweschi. - «Известия Кавказского историко-археологического института», т. 3, с. 83-86.
- Абрамзон 2005:** Абрамзон М. Серебрянные монеты Кессарии Кападокинской из Герзеудского клада (собрание Абхазского Государственного Музея). - НЭ, XVII, 190-202.
- Амиранашвили 1935:** Амиранашвили А. Новая находка в низовьях р. Ингура, Тб.
- Балонов 1991:** Балонов Ф. Этюд о кладах. - Археологическая типология, Ленинград, с. 315-336.
- Воронов 1969:** Воронов Ю. Археологическая карта Абхазии, Сухуми.
- Голенко 1957:** Голенко К. Кобулетский клад серебряных монет середины IV в. до н.э. - СА, XXVIII, с. 290-298.
- Голенко 1961:** Голенко К. Клад синопских и колхидских монет из Кобулет. - ВДИ, №1, с. 42-52.
- Голенко 1964:** Голенко К. Денежное обращение Колхиды в римское время, Ленинград.
- Голенко 1977:** Голенко К. К датировке монет Диоскуриады. - НС, Тб., 60-64.

Голенко, Капанадзе 1966: Голенко К., Капанадзе Д. Четыре клада колхидок. - НЭ, VI, с. 30-38.

Дундуа 1977: Дундуа Г. Клад римских монет I-III вв. из с. Эки. - КСИА, № 151, М., 64-67.

Дундуа 1980: Дундуа Г. Взаимоотношения римского мира с Восточным Причерноморьем и некоторые вопросы Колхидского пантеона (по нумизматическим материалам Бичвинтской археологической экспедиции). - сб. Историко-филологические разыскания, Тб., 37-56.

Дундуа 1987: Дундуа Г. Нумизматика античной Грузии, Тб.

Дундуа Г., Лордкипанидзе Г. 1983: Дундуа Г., Лордкипанидзе Г. Денежное обращение центральной Колхиды в V-IV вв. до н. э. (по материалам Ванского городища), Тб.

Иващенко 1931: Иващенко М. Герзеульский клад монет Кесарии Кападокийской. - ИГАИМК, вып. 10, т. VII, Л., 1-19.

ИКОМАО, 1913: Известия Кавказского отделения Императорского Московского Археологического общества, протоколы № 40, 63, вып. III, Тиф., с. 29-30, 74.

Зограф 1935: Зограф А. Античные золотые монеты Кавказа. - ИГАИМК, вып. 110, Москва,

Зограф 1945: Зограф А. Распространение находок античных монет на Кавказе. - ТОНГЭ I, Ленинград. 56-85.

Зограф 1951: Зограф А. Античные монеты. - МИА, №16, Москва-Ленинград.

Куфтин 1950: Куфтин Б. Материалы к археологии Колхиды, том II, Тб.

Леквадзе 1975: Леквадзе В. Богатое погребение IV в. из Уреки. - СА, №4, Москва, с. 193-208.

Мачабели 1976: Мачабели К. Позднеантичная торевтика Грузии, Тб.

Пахомов 1926: Пахомов Е. Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа, вып. I, Баку.

Пахомов 1938: Пахомов Е. Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа, вып. II, Баку.

Пахомов 1940: Пахомов Е. Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа, вып. III, Баку.

Пахомов 1949: Пахомов Е. Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа, вып. IV, Баку.

Пахомов 1949а: Пахомов Е. Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа, вып. V, Баку.

Пахомов 1954: Пахомов Е. Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа, вып. VI, Баку.

Пахомов 1959: Пахомов Е. Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа, вып. VIII, Баку.

Придик 1914: Придик Е. Новые кавказские клады. - Материалы по археологии России, 34, Петроград, с. 94-110.

Такашвили 1904: Такашвили Е. Серебряная чаша из


с. Бори. - Известия Кавказского отделения Императорского Московского Археологического общества, вып. I, Тиф., с. 90-91.

Шамба 1987: Шамба С. Монетное обращение на территории Абхазии (V в. до н.э. -XIII в. н.э.), Тб.

Хоштария 1955: Хоштария Н. Археологические исследования Уреки. - მსკა I, თბ., გვ. 25-78.

ილუსტრაციების აღწერლობა:

ცაბ. I. კოლხეთის ტერიტორიაზე გამოვლენილი ძვ.წ. V-ახ.წ. VI სს-ის განძების რუკა (რუკა შეადგინა გიორგი ხაბურზანიამ).



ჟინვალის სამაროვანზე აღმოჩენილი შენობის ნაშთის დათარიღებისათვის

სამაროვანი მდებარეობს ყოფილი სოფ. ჟინვალის სამხრეთით, არაგვის ხეობის შუა ნელზე, მთიულეთისა და ფშავის არაგვის შესართავთან (ტაბ. I). ძველი განფენილია პირველ მდინარეულ ტერასაზე.

ჟინვალის სამაროვანი აღმოჩნდა 1972 წელს. მისი ინტენსიური გათხრა მიმდინარეობდა 1974-1985 წწ. ძველის შესწავლა ხდებოდა ჟინვალის წყალსაცავის მშენებლობის მოსამზადებელი სამუშაოების ფარგლებში. ექსპედიციას ხელმძღვანელობდა რ. რამიშვილი, ხოლო სამაროვნის შემსწავლელ რაზმს - ვ. ჩიხლაძე. საველე არქეოლოგიური სამუშაოების დროს სამაროვანზე გაითხარა 500-ზე მეტი სხვადასხვა პერიოდის სამარხი. აქვე აღმოჩნდა მოზრდილი, ქვით ნაგები, შენობის ნაშთიც (ტაბ. II).

დღეისათვის ჟინვალის სამაროვნის ტერიტორია წყლით არის დაფარული და მისი შემდგომი შესწავლა არქეოლოგიური გათხრების გზით შეუძლებელია. ამის გამო ჟინვალის წარსულის გამოკვლევის ერთადერთი გზაა ნაქალაქარისა და სამაროვნის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალის შემდგომი მეცნიერული კვლევა. მართალია, გათხრების პერიოდში რეგულარულად ხდებოდა აღმოჩენილი მასალის მეცნიერული კვლევა და გამოქვეყნება, მაგრამ ინვენტარის სიმრავლის გამო ძველი ჯერ კიდევ არ არის სრულად შესწავლილი და გააზრებული. ამიტომ, უკვე აღმოჩენილი მასალის გამოქვეყნებით ადრე შუა საუკუნეების მკვლევარები დამატებით ინფორმაციას მიიღებენ ჟინვალში მოსახლე ხალხის ყოფა-ცხოვრების შესახებ.

ჟინვალის სამაროვანზე აღმოჩენილი შენობა მდებარეობს მის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. იგი შედგება ერთი გრძივი და სამი მისგან გამომავალი კედლისაგან. მესამე კედლის შეერთების ადგილი დაზიანებულია, თუმცა მისი მიკუთვნება შენობასთან ეჭვს არ იწვევს (ტაბ. II). გრძივი კედლის შემორჩენილი სიგრძე შეადგენს 21 მ, ხოლო სისქე 1-1,2 მ-ია. ოთახების კედლები, გრძივ კედელთან შედარებით სქელია. მაქსიმალური სისქეა 1,7 მ-ია. ოთახის ერთი კედლის სიგრძეა 6,5 მ, მეორის კი - 5,5 მ. შედარებით სრულადაა შემორჩენილი ერთი ოთახი (6,5x2,8 მ.), რომელსაც კედელი მხოლოდ სამი მხრიდან ჰქონდა. შენობა აგებულია საშუა-

ლო, თანაბარი ზომის ქვებისაგან. გამოყენებულია როგორც რიყის, ასევე ფლეთილი ქვა, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია თიხის ხსნარით. შემორჩენილი კედლების მიხედვით შენობაში სულ ცოტა სამი ოთახი უნდა ყოფილიყო. მთლიანი ნაგებობა გეგმაში ნაგრძელებული, მართკუთხა ფორმისაა. კედლების სისქის გამო, სავარაუდოა მეორე სართულის არსებობა. შენობის შიგნით და გარშემო კრამიტის მრავალი ფრაგმენტი აღმოჩნდა, რაც მიგვითითებს ნაგებობის კრამიტით გადახურვაზე. სავარაუდოა ორფერდა გადახურვა.

შენობა ბოლომდე არ გათხრილა და შესაბამისად მისი შევსებიდან მომდინარე მასალა არ გაგვარჩნია, რის გამოც ძნელია ნაგებობის ზუსტად დათარიღება.

მიუხედავად ამისა, ზოგადი ქრონოლოგიური ჩარჩოების განსაზღვრა მაინც შესაძლებელია. ამის საფუძველს გვაძლევს შემდეგი გარემოებები: შენობის შიგნით განმედილი 5 სამარხი [კომპლექსი №№ 522, 528, 529, 537, 539], რომლებსაც ჩაჭრილი ჰქონდათ ნაგებობა და ორი სამეურნეო ორმო [№5 და №6]. სამარხებიდან ყველაზე ადრეული (№522), მასში არსებული ნივთების მიხედვით ახ.წ. IV ს.-ის დასაწყისით თარიღდება [ჩიხლაძე 2015: 148, ტაბ. V]. ცხადია, როდესაც სამარხი გაიმართა, შენობა უკვე მიტოვებული უნდა ყოფილიყო. ამ დათარიღებას ვეთანხმებით და აღვნიშნავთ, რომ სამარხების გამართვისას, სამაროვანზე არსებული შენობა უკვე დანგრეული და ნაწილობრივ მაინც მიწით დაფარული უნდა ყოფილიყო. ამ არგუმენტზე დაყრდნობით, სავარაუდოდ, შენობა III ს.-ის დასასრულამდე ფუნქციონირებდა. მისი აგების თარიღზე კი მიგვითითებს ინტერიერში გამოვლენილი რომაული ეპოქის შეღებილი კრამიტის ფრაგმენტები [ინვ. №№ 09-XXV-83-522, 09-XXV-84-54]. ასევე შენობის აგების თარიღის დასაზუსტებლად შეგვიძლია გამოვიყენოთ მის მახლობლად განმედილი ორი (№5 და №6) სამეურნეო ორმო, რომელთა დაკავშირება ნაგებობასთან შესაძლებლად მიგვარჩნია, რადგან ისინი ერთმანეთისაგან მცირე მანძილზე დაშორებული და ერთსა და იმავე პერიოდს მიეკუთვნება. აღნიშნულ ორმოებში არსებული კერამიკული ინვენტარის [ინვ. №№ 09-XXV-84-47, 09-XXV-84-59] მიხედვით (ტაბ. III), გამთხრე-

ლი მათ II-IV სს. ათარიღებს. ყოველივე ზემოთ თქმულის საფუძველზე ჟინვალის სამაროვანზე არსებულ შენობას ახ.წ. II-III საუკუნეებით ვსაზღვრავთ.

შენობის დანიშნულებაზე მსჯელობის დან-ყებამდე, ვფიქრობთ საინტერესო იქნება ჟინვალის ისტორიისა და ახ.წ. II-III საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს სოციალური მდგომარეობის ზოგადი გაცნობა.

ვახუშტის ცნობის მიხედვით, ჟინვალი „იყო ქალაქი, ან უქმ არს“ [ქართლის ცხოვრება 1973: 534, 8-10]. როგორც სამეფო ქალაქი იხსენიება „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“-ში, სადაც თამარ მეფე ჟინვალს მანდატურთუხუცეს ჭიაბერს ჩუქნის [ქართლის ცხოვრება II: 59, 8-9]. 1189-1190 წლის საბუთით ქალაქის პატრონია ვინმე შოთა [ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი 1984: 97]. გვიანშუასაუკუნეებში ჟინვალი უკვე სოფელია. 1498 წელს კახეთის მეფე ალექსანდრე I ჟინვალში მცხოვრები 7 კაცის შეწირულობას უახლებს სვეტიცხოველს [მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმისათვის 1964: 173]. ისტორიულ ცნობებს ავსებს არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალები. მიუხედავად იმისა, რომ ჟინვალი გვიანანტიკურ ხანასა და ადრე შუა საუკუნეებში ქალაქად არ მოიხსენიება, აღმოჩენილი ნამოსახლარი და სამაროვანი, მოყვანილი ფაქტების მიხედვით, სწორედ ქალაქური ტიპის დასახლებაზე მიუთითებს [ჟინვალი 1981; ჩიხლაძე 2015]. ქალაქის არსებობა, თავის მხრივ, რეგიონის ეკონომიკური განვითარების საკმაოდ მაღალ დონეზე მეტყველებს. გვიანანტიკურ ხანაში ქართლის სამეფოს სოციალური ცხოვრება შედარებით მაღალ საფეხურზეა ასული. ამ დროისათვის ქალაქების წარმოშობა დამახასიათებელი მოვლენაა და ჟინვალის ნაქალაქარის განვითარება ეპოქის ძირითად ტენდენციებს არ ეწინააღმდეგება.

ახ.წ. II-III სს. საქართველოს ისტორიაში გარდამავალი პერიოდია, რადგან მიმდინარეობს ერთი მხრივ, ძველი სოციალური წყობის ნგრევა, ხოლო მეორე მხრივ, ახალი, ფეოდალური წყობილების წარმოშობა.

ელისისტური პერიოდის ქართლში სტრაბონის ცნობების მიხედვით „ადამიანთა ოთხი გვარი მოსახლეობს ამ ქვეყანაში: ერთი და პირველი რომელისაგანაც მეფეებს სხამენ მახლობლობისა და ასაკის მიხედვით უხუცესს, ხოლო მეორე [ამ გვარიდან] მოსამართლეობს და მხედართმთავრობს. მეორე [გვარი] არის

ქურუმთა რომლებიც, ასევე ზრუნავენ ასევე მეზობლებთან სამართალზე. მესამე [გვარი] არის მხედართა და მინათმოქმედთა. მეოთხე [გვარი] არის ხალხისა რომლებიც სამეფო მონები არიან და აკეთებენ ყველაფერს, რაც საჭიროა ცხოვრებისათვის“ [ყაუხჩიშვილი 1957: 129-130]. ამ აღწერის მიხედვით ქართლში იგულისხმება თავისუფალ მინათმოქმედთა ფენის არსებობა, საიდანაც იკრიბებოდა ლაშქარი. სტრაბონისათვის მხედარი და მინათმოქმედი ერთი ფენის წარმომადგენელია. სურათი იცვლება ახ.წ. I-II საუკუნეებში, როდესაც სოციალური ურთიერთობის ცვლილებათა პარალელურად, ახალი ფენა ყალიბდება: სამხედრო ელიტა — მხედრები, რომელიც უკვე პროფესიონალი მეომრებისაგან უნდა ყოფილიყო შემდგარი. წარჩინებული მეომრები მოგვიანებით ფეოდალებად ჩამოყალიბდნენ. სოციალური მდგომარეობის ამგვარ ცვლილებაზე წერს გ. მელიქიშვილი: „უკვე გვიანანტიკურ ხანაში ქართლის (იბერიის) საზოგადოება სოციალურად საკმაოდ განვითარებულ ორგანიზმს წარმოადგენდა, ჩვენ აქ სამეფო საგვარეულოს გარდა ვხვდებით სამხედრო და სამოხელეო არისტოკრატის ძლიერ ფენას“ [მელიქიშვილი 1973: 31]. გ. ლომთათიძე ეთანხმება ამ მოსაზრებას და ასკვნის, რომ წარჩინებული მხედრების ფენა ქართლში ახ. წ. II საუკუნეში უკვე არსებობდა [ლომთათიძე 1977: 402]. გ. ლომთათიძე, აღნიშნულ დასკვნას ავრცელებს ზოგადად ქართლის სამეფოზე. თუმცა ცხადია, რომ ამგვარი დასკვნა სამართლიანი შეიძლება იყოს მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს ბარისა და მთისწინა ზოლის შესახებ. მაღალმთიან ზოლში ფეოდალური წყობილების ჩამოყალიბება ადრე შუა საუკუნეებში არ ხდება (არც არასოდეს მომხდარა). მთისწინა ზოლში კი მეტ-ნაკლებად იგივე მდგომარეობაა, რაც ბარში. ამაზე მეტყველებს ჟინვალის სამაროვანზე აღმოჩენილი სამარხები, სადაც კარგად ჩანს „სამხედრო არისტოკრატის პრიორიტეტი“ [ჩიხლაძე 2015: 213]. თუ ყოველივე ზემოთ თქმულს გავითვალისწინებთ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ დანიშნაურებული მეომრების ფენა ჟინვალშიც არსებობდა.

ახ.წ. II-III საუკუნეების სოციალური მდგომარეობის მიმოხილვის შემდეგ შესაძლებელად მიგვაჩნია ჟინვალის სამაროვანზე არსებული შენობის ფუნქციის შესახებ მოსაზრების გამოთქმა. იმის გამო, რომ ჟინვალის სამაროვანზე აღმოჩენილი შენობა ბოლომდე არ გათხრილა, მისი დანიშნულების და მნიშ-

ვნელობის შესახებ, ზომების მიხედვით გვიწევს მსჯელობა: როგორც აღინიშნა, შენობა საკმაოდ დიდია. მისი სიგრძეა 21 მეტრი, ხოლო სიგანე - 6,5 მ. ნაგებობის შემორჩენილი ფართობი დაახლოებით 120 მ²-ია. კედლების სისქის გამო, სავარაუდოდ, იგი ორსართულიანი უნდა ყოფილიყო. ძნელი წარმოსადგენია, რომ ამ ზომის შენობაში რიგითი მეთემე ცხოვრობდა. ასევე არქიტექტურული დაგეგმარებით საეჭვოა, რომ ნაგებობა საკულტო დანიშნულების ყოფილიყო (ერთი კედლის გაყოლებით მონყობილი ოთახები, ერთმანეთთან კავშირის გარეშე). სავარაუდოა, რომ იგი საცხოვრებლად გამოიყენებოდა და მასში მოხინაძრე მაღალ საზოგადოებრივ სტატუსს ატარებდა. ამასთან უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჟინვალის მდებარეობს მთისა და ბარის გარდამავალ ზონაში. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი მოსახლეობის დიდ ნაწილს მოლაშქრე-მეთემეები შეადგენენ, ამ პერიოდში დანიშნულებული მეომრების ფენა უკვე ყალიბდება. ამდენად, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ აღნიშნულ შენობაში ადგილობრივი წარჩინებული მეომარი ცხოვრობდა.

მიუხედავად იმისა, რომ აღმოსავლეთ საქართველოში ახ.წ I-III სს.-ის არაერთი ძეგლია გათხრილი (მცხეთა, კარსნისხევი, დედოფლის გორა და სხვა) [მცხეთა I: 1958; აფაქიძე 1963; ნიკოლაიშვილი 1993; Gagoshidze 2008], ჟინვალის სამაროვანზე აღმოჩენილ შენობას თავისი არქიტექტურული სტილით პირდაპირი ანალოგია არ ეძებნება. მოხსენიებული ძეგლებიდან ჟინვალის სამაროვანზე აღმოჩენილ შენობასთან გარკვეულ მსგავსებას, მხოლოდ დედოფლის გორის სასახლის კომპლექსი ავლენს. ეს ორი ძეგლი ერთმანეთისაგან განსხვავდება როგორც მასშტაბით (დედოფლის გორა გაცილებით დიდი ზომისაა), ასევე მშენებლობის ტექნიკით (დედოფლის გორა ნაგებია ალიზით), მაგრამ ორივესათვის დამახასიათებელია ერთი გრძივი კედლის გასწვრივ განლაგებული ერთმანეთთან დაუკავშირებელი ოთახები. თუმცა აღნიშნული მსგავსება არ გვაძლევს საშუალებას, რომ ეს ორი ძეგლი პირდაპირ ანალოგიად მივიჩნიოთ და მათ შორის პირდაპირი კავშირი დავინახოთ.

ამრიგად, ჟინვალის სამაროვანი რომაული ხანისა და ადრე შუა საუკუნეების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლია, სადაც სამარხების გარდა აღმოჩენილია დიდი ზომის ქვით ნაგები შენობის ნაშთიც. ჩვენ შევეცადეთ გაგვეჩვენა ჟინვალის სამაროვანზე გამოვლენილი ნაგებობის ქრონოლოგიური ჩარჩოები და ფუნქციონ-

აური დანიშნულება, ასევე მისი სავარაუდო კავშირი სამაროვანთან და მოვიყვანეთ პარალელური მასალები. შენობა მასთან დაკავშირებული ინვენტარის მიხედვით თარიღდება ახ.წ. II-III საუკუნეებით. ზომების და მშენებლობის ტექნიკის მიხედვით, სავარაუდოა, რომ ის ადგილობრივ წარჩინებულ მეომარს ეკუთვნოდა.

ლიტერატურა:

აფაქიძე 1963: აფაქიძე ან. ქალაქები და სამოქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში. თბ.

ვახუშტი ბატონიშვილი 1973: აღწერა სამეფოს საქართველოსა. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილი მიერ, ტ. IV. თბ.

ქართლის ცხოვრება 1959: ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილი მიერ, ტ II. თბ.

ლომთათიძე 1977: ლომთათიძე გ. საქართველოს მოსახლეობის კულტურა და ყოფა I-XIII საუკუნეებში. თბ.

მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის 1964: ნ. I. გამოსაცემად მოამზადეს ზ. ალექსიძემ და შ. ბურჯანაძემ, თბ.

მცხეთა I 1955: არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები 1937-1946 წწ. განათხარის მიხედვით. თბ.

ჟინვალის 1983: ჟინვალის ტ. I, რედაქტორი რ. რამიშვილი, თბ.

ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი 1984: ტომი I. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა. თბ.

მელიქიშვილი 1973: მელიქიშვილი გ. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოში ფეოდალური ურთიერთობების განვითარების ზოგიერთი საკითხი. თბ.

ნიკოლაიშვილი 1993: ნიკოლაიშვილი ვ. კარსნისხევის მეთუნე-ხელოსანთა დასახლება. თბ.

ყაუხჩიშვილი 1957: ყაუხჩიშვილი თ. სტრაბონის გეოგრაფია - ცნობები საქართველოს შესახებ. თბ.

ჩიხლაძე 2015: ჩიხლაძე ვ. ჟინვალის სამაროვანი (წინაქრისტიანული ხანის ჟინვალის სამაროვანი), თბ.



ილუსტრაციების აღწერა:


ტაბ. I. საქართველოს რუკა და არაგვის ხეობის შუა წელი.

ტაბ. II. შენობა სამაროვნის გარეშე და ჟინვალის სამაროვანი [ჩიხლაძე 2015: დანართი.], შენობის სავარაუდო აღდგენა თ. ჩეკურიშვილის მიერ.

ტაბ. III. ორმოებში აღმოჩენილი მასალა.

I





III



ანტიკური ხანის მასალები მარნეულის მუნიციპალიტეტიდან

2011 წელს მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ახალმშენებლობის ზონაში, სადაც მაღალი ძაბვის 500 კილოვან ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა იგეგმებოდა, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ინსტიტუტის ექსპედიციამ გათხრები ჩაატარა. მშენებლობის დაწყებამდე, დაზვერვების დროს, ანძების დასადგმელ მონაკვეთებზე, ორ პუნქტში (№52, №53) აიკრიფა კერამიკული მასალა — უტყუარი დასტური იმისა, რომ აქ არქეოლოგიური ობიექტებთან გვექონდა საქმე. გათხრითი სამუშაოები ჩატარდა ორ (I-II) უბანზე.

I უბანი მდებარეობდა მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე არსებული ბორცვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ფერდობზე, სადაც ზედაპირულად იკრიფებოდა რკინის ხანისა და შუა საუკუნეების თიხის ჭურჭლის ნატეხები. ელექტროგადამცემი ხაზის მიმართულების კორექტირება ვერ მოხერხდა. ამიტომ, დამკვეთმა ორგანიზაციამ — შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ არქეოლოგიური გათხრები დააფინანსა. ექსპედიციის ძირითად მიზანს წარმოადგენდა სამშენებლო ფართობის გათავისუფლება არქეოლოგიური ობიექტებისაგან.

II უბანი წარმოადგენდა სახნავ-სათეს ტერიტორიას, სადაც თითქმის მთელ ფართობზე, მიმოფანტული იყო ანტიკური ხანის თიხის ჭურჭლის ნატეხები. აქ, ანძის დასადგმელ მონაკვეთზე გაიჭრა 4,0 X 1,20 მ ფართობის 9 თხრილი, რომლებშიც ნაგებობათა ნაშთები არ გამოვლენილა. ამიტომ აღნიშნულ უბანზე ტოტალური გათხრები არ ჩატარებულა. ანტიკური ხანის ჭურჭლის ნატეხები შესაძლოა ამ მიდამოებში მოხვედრილიყო მიწის ხვნის დროს, ახლო-მახლო არსებული კულტურული ფენებიდან.

ნამოსახლარის ადგილმდებარეობა. ნამოსახლარი (I უბანი, №53), მდებარეობს მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სოფ. ილმაზლოს სიახლოვეს, მისგან ჩრდილო-აღმოსავლეთით, მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე არსებულ ბუნებრივ ბორცვზე,

რომელიც ყველა მხარიდან თითქმის ერთნაირადაა დაფერდებული (გეოგრაფიული კოორდინატები: 5033794/4586337) (ტაბ. I). ნამოსახლარი დაზიანებულია და ახლაც ზიანდება, რადგან მოსახლეობა ბორცვზე არსებულ მდინარეულ ქვიშას სამშენებლო მასალად მოიპოვებს. ამჟამად, მდინარის კალაპოტი რამდენიმე ათეული მეტრით დაბლაა ნამოსახლარის კალთებიდან. მდინარეული ფენის გაჩენა ამ სიმაღლეზე გამონვეული უნდა იყოს კასპიის ზღვის ტრანსგრესიული და რეგრესიული პროცესებით. რაც, ცხადია, ინვევდა მტკვრის დონის ცვლილებებსაც. აღსანიშნავია, რომ ნამოსახლარის სიახლოვეს მტკვრის გარდა სხვა მდინარე არ ჩამოდის.

ნამოსახლარი მოსახლეობას დაუზიანებია მაშინაც, როდესაც მტკვრის მიმართულებით, სამხრეთიდან-ჩრდილოეთისკენ, რამდენიმე ადგილზე ბუდობებით გაუჭრია 30-40 მ სიგანისა და 8-10 მ სიღრმის არხები, რათა მდინარიდან სარწყავი წყალი გადმოექაჩათ. არხების პროფილებში გაშიშვლებულია რამდენიმე მეტრის სისქის კულტურული ფენები. ნამოსახლარს აზიანებს აგრეთვე მდ. მტკვარიც. მდინარე ამ ადგილას იკეთებს უბეს და რეცხავს ნამოსახლარის ჩრდილოეთ ფერდობს (ტაბ. I, სურ. 2). მდინარის კანიონის გაყოლებაზე, ფლატეში, იკვეთება ნაგებობათა ნაშთები. ნამოსახლარი, როგორც ჩანს, გარკვეული დროის შემდეგ გაიზარდა. ის გასცდა თავდაპირველ საზღვრებს და ბორცვის ჩრდილოეთით, მტკვრის დინების აყოლებასა და სამხრეთით მდებარე მინდორზე გავრცელდა. კულტურული ფენები მდინარის გასწვრივ დაახლოებით ერთ კილომეტრზეა გაშიშვლებული. გათხრები ჩატარდა ბორცვის სამხრეთ-აღმოსავლეთ კალთაზე 700 მ² ფართობზე. შესწავლილ ტერიტორიაზე გამოვლინდა: ცხრა ნაგებობა, ერთი საკურთხეველი, 18 სამარხი და 74 ორმო.

II უბანი (№52), I უბნიდან სამხრეთით 300 მ დაშორებით მდებარეობს და ფაქტობრივად ბორცვის სამხრეთი ფერდობის გაგრძელებას წარმოადგენს. სამშენებლო ტერიტორია (520

მ²) შემოწმდა სადაზვერვო თხრილებით. ჰუმუსურ ფენაში აღმოჩნდა ანტიკური ხანის თიხის ჭურჭლის ნატეხები (ტაბ. VII, 1-6, 8-11, 13-14). ამ მონაკვეთზე ელექტროგადამცემი ხაზის ანძის დასადგმელი ქვაბულის ამოღებისას, ჭრილში გამოჩნდა სამარხი, რომელიც მთლიანად იქნა შესწავლილი (ტაბ. IV).

ნამოსახლარზე გამოვლენილი არქეოლოგიური ობიექტების ქრონოლოგია. ნამოსახლარზე გამოვლენილი კულტურული ფენები განეკუთვნება ექვს სხვადასხვა ეპოქას. ჯერჯერობით ყველაზე ადრეულია ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანების არქეოლოგიური ობიექტები. ეს პერიოდი წარმოდგენილია ალიზის აგურებისაგან შედგენილი საკურთხევლით, რომელიც შიგნიდან და გარედან თიხით იყო შელესილი. მასზე ზემოდან გადადიოდა სასახლის კედლის რიყის ქვის საძირკველი (ტაბ. IX, 1; ტაბ. XIV, 2; ტაბ. XV). საკურთხეველში აღმოჩნდა: დიდი ზომის ე. წ. ნავისებური ხელსაფქვავი, ფილთაქვა, კაყის ნამგლის ჩასართი, და თიხის ჭურჭლის ნატეხები. ამავე დროისაა მოზრდილი სამეურნეო ორმო, რომელიც მასში გამოვლენილი მასალის მიხედვით, მტკვარ-არაქსის კულტურის ფინალურ საფეხურს (ძვ.წ. XXVI-XXV სს.) მიეკუთვნება.

შემდეგ მოდის რკინის ფართო ათვისების ხანის (ძვ.წ. VIII-VII სს.) №7 სამარხი, რომელიც სასახლის აღმოსავლეთი კედლის ქვეშ მდებარეობდა. სასახლის აშენების დროს, დაუზიანებიათ სამარხის ქვაყრილი. სამარხში დაკრძალული იყო წარჩინებული ქალბატონი. მასში აღმოჩნდა ოქროს საყურეები, სპირალურფარაკიანი ოთხი ბეჭედი და თიხის ორი ჭურჭელი [გოგოჭური, კალანდაძე 2013: 21-22, ტაბ. VIII-IX].

მომდევნო ქრონოლოგიური ჯგუფის ხუთი სამარხი და ორი ორმო ანტიკური ხანისაა (ძვ.წ. IV-II სს.). ქრისტეს შობის შემდგომი პერიოდის ძეგლებია: სასახლის ნაშთი (II-IV სს.); ადრეული შუა საუკუნეების 14 სამარხი (VI-VII სს.); გვიანი შუა საუკუნეების ნაგებობები, სადაც ორი სამშენებლო ფაზა დაფიქსირდა და მათი თანადროული 73 ორმო (XV-XVI სს.).

სტატიის მიზანს წარმოადგენს ნამოსახლარზე გამოვლენილი ანტიკური ხანის სამარხებისა და სასახლის დროინდელი მასალის პუბლიკაცია და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანა. როგორც უკვე ითქვა, გათხრილია

ამ ეპოქის დროინდელი ხუთი სამარხი (№№1 (II), 10, 12, 13, 18), ორი ორმო და გვიანანტიკური ხანის სასახლის ნაშთი.

ორმოსამარხი №1 (ტაბ. IV, 1-2) გაითხარა II უბანზე (№52 პუნქტი). სამარხი შესასწავლი ტერიტორიის გარეთ აღმოჩნდა. იგი გამოვლენილია ექსკავატორის მიერ ანძის დასადგმელი ქვაბულის ამოღებისას. ჭრილში გამოჩნდა თიხის ჭურჭელი და საქონლის ძვლები. როგორც გათხრის შემდეგ გაირკვა, ისინი სამარხს ეკუთვნოდა. ოთხკუთხა ფორმის სამარხი ორმო ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ იყო დამხრობილი. სამარხის ზომებია 1,60x1,10 მ, სიღრმე მინის ზედაპირიდან — 1 მ.

მიცვალებული ესვენა მარჯვენა გვერდზე, თავით სამხრეთ-აღმოსავლეთით, ხელფეხმოკეცილ მდგომარეობაში. ხელის მტევნები სახის წინ ელაგა. სამარხში მიცვალებულის თავთან ეწყო თიხის ჭურჭელი: სამტურჩა დოქი, წითლად შეღებილი ჯამი და წითლად გამომწვარი ქოთანნი, რომელსაც ზემოდან ეფარა დიდი ჭურჭლის - დერგის გვერდის ნატეხი. თიხის ჭურჭელთან იდო ძლიერ დაშლილი რკინის ორი შუბისპირი, რკინის მოხრილი დანა. მიცვალებულს ორივე მარჯვნივ ეკეთა ბრინჯაოს ზურგჩაზნეტილი სამაჯურები, მარჯვენა ხელის ერთ-ერთ ფალანგაზე — ბრინჯაოს კონუსურფარაკიანი ბეჭედი. გულმკერდის არეში აღმოჩნდა პატარა ზარაკი. მარცხენა საფეთქელთან კი ვერცხლის პატარა რგოლი. ყელის, კისრისა და მუცლის მიდამოებში გაინმინდა მინის მძივები - იოტები: ლურჯი, მწვანე და ღია ფერის, ასევე საშუალო სიდიდის პასტის მძივები (სულ 423 ც.). მუცლის წინ იდო ალუბასტრის ორნამენტირებული კვირისტავი (ტაბ. IV, ნახ. 3-15).

ორმოსამარხი №10 (ტაბ. II; ტაბ. V, 1) აღმოჩნდა I უბნის C/3 კვადრატში. ის გაუმართავთ ქვიშაში. სამარხი მდებარეობდა ნული წერტილიდან 0,62 მ სიღრმეზე. სამარხში დაუკრძალავთ მოზარდი, მარჯვენა გვერდზე, ხელფეხ მოკეცილი, თავით დასავლეთით. სამარხის კონტურები ფხვიერ ნიადაგში არ იკვეთებოდა. ამდენად, მისი მხოლოდ მიხლოებითი ზომებია ცნობილი: 0,80 x 0,40 მ. მიცვალებულის ფეხებთან გაინმინდა თიხის დოქი. ყელის არეში აღმოჩნდა მინისებური პასტის იოტები (3 ც.) და მინის მოზრდილი

მძივი (ტაბ. V, 2-3).

ორმოსამარხი №12 (ტაბ. II; ტაბ. V, 4)
გაითხარა ნამოსახლარის A/4 კვადრატში. ნული წერტილიდან სამარხი დაფიქსირდა 0,70 მ სიღრმეზე. სამარხი დაზიანებულია გვიანი შუა საუკუნეების ორმოთი. მისგან გადარჩენილია მხოლოდ ბავშვის დაზიანებული თავის ქალა და თიხის მცირე ზომის ორი ჭურჭელი - უყურო ხელადა და ფიალა (ტაბ. V, 5-6).

ორმოსამარხი №13 (ტაბ. II; ტაბ. VI, 1, 2)
გაითხარა ნამოსახლარის A/5 კვადრატის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში. მისი კონტურები გამოიკვეთა ნულოვანი წერტილიდან 0,75 მ სიღრმეზე. სამარხი დაზიანებულია გვიანდელი ორმოსაგან. ორმოსამარხი დამხრობილი ყოფილა ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. მიცვალებული იწვა მარცხენა გვერდზე, თავით სამხრეთით. ხელის მტევნები ელაგა სახესთან. მიცვალებულის ჩონჩხი ჩაუჭრია ორმოს. ადგილზე არ აღმოჩნდა ჩონჩხის ქვედა ნაწილი. მიცვალებულის თავთან იდგა ორი ჭურჭელი - ხელადა და ფიალა. ორივე ხელის მაჯაზე ეკეთა ბრინჯაოს ზურგმედრეკილი სამაჯურები, ხოლო მარჯვენა ხელის ერთ-ერთ ფალანგაზე - რკინის ფარაკიანი ბეჭედი. კისრისა და ყელის არეში გაიწმინდა დიდი რაოდენობით მწვანე, თეთრი, ცისფრი პასტის იოტები - სფერული, კასრისებური, ოთხკუთხა და მილაკისებრი ფორმის, სულ - 415 ერთეული (ტაბ. VI, სურ. 3-8).

ორმოსამარხი №18 (ტაბ. V, 10) მდებარეობდა ნამოსახლარის B/3 კვადრატში, სასახლის ჩრდილო-დასავლეთი სათავსის იატაკის ქვეშ. სამარხი დანგრეულია ნაგებობის მშენებლობისას. მიცვალებულის ჩონჩხი ყოველგვარი ანატომიური წესრიგის გარეშე იყო მიმოფანტული. ძვლებში აღმოჩნდა რკინის ბრტყელგანივკვეთიანი სამაჯურის ფრაგმენტები (ტაბ. VI, 10. ინვ. 5)

სამარხთა აღწავლა და დაკრძალვის წესი. ნამოსახლარზე აღმოჩენილი ელინისტური ხანის ოთხი სამარხიდან ყველა დაზიანებულია მოგვიანო ნაგებობებით (ტაბ. V, 1, 4; ტაბ. VI, 1, 9). მხოლოდ ერთი - №1 (II) სამარხია შედარებით უკეთ შემორჩენილი. ის გამოვლინდა II უბანზე ქვაბულის ამოღებისას, რა დროსაც სამარხის კიდე ჩამოიჭრა და გამოჩნდა თიხის ჭურჭელი (ტაბ. IV, 1, 2).

სამარხთა ნაშთების მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ საქმე გვაქვს ორმოსამარხებთან, რომელთა დამხრობაშიც რაიმე კანონზომიერება არ შეიმჩნევა.

მიცვალებულთა ჩონჩხები შედარებით სრულყოფილი სახით შემორჩენილია ორ №1 (II) და №10 სამარხში (ტაბ. IV, 1, 2; ტაბ. V, 1). მიცვალებულები იწვნენ მარჯვენა გვერდზე, ხელფეხმოკეცილი. ერთ შემთხვევაში თავით სამხრეთ-აღმოსავლეთით, მეორე შემთხვევაში - დასავლეთით. დანარჩენ სამარხში ჩონჩხები შემორჩენილია ფრაგმენტულად (№12, 13) ან ძლიერ დაზიანებულ მდგომარეობაში (№18). ამ სამარხებიდან მხოლოდ ერთში (№13) დგინდება მიცვალებულის პოზა. შემორჩენილი ჩონჩხის ზედა ნაწილის - მკერდის, ხელებისა და თავის ქალის მიხედვით ირკვევა, რომ მიცვალებული იწვა მარცხენა გვერდზე თავით ჩრდილო-აღმოსავლეთით (ტაბ. VI, სურ. 1).

სამარხეული მასალის ანალიზი. სამარხები, როგორც ითქვა, ძლიერ დაზიანებული იყო და ამასთან, კომპლექსებიც არ გამოირჩეოდა მასალის სიმრავლით. მიუხედავად აღნიშნულისა, მაინც შესაძლებელია სამარხთა თარიღის განსაზღვრა. ამის საფუძველს იძლევა თიხის ჭურჭლის ფორმები, მათი დამზადების ტექნოლოგია და შემკობის ხერხები; ზურგმედრეკილი სამაჯურები და ბეჭედები; სამარხების თანადროული კულტურული ფენისა და ორმოების კერამიკული მასალა (ტაბ. IV-VII).

თიხის ჭურჭელი. თიხის ნაწარმი კარგადაა გამომწვარი, თიხა წმინდად განლექილია. სამარხებიდან და ფენებიდან მომდინარე თიხის ნაწარმი მოწითალოდ და მოჩალისფროდაა გამომწვარი. არის მოჩალისფრო ზედაპირზე წითელი საღებავით და თეთრი ანგობით მოხატული ჭურჭლის ნატეხებიც (ტაბ. VII). სამარხეული თიხის ჭურჭელი სულ რვა ერთეულს ითვლის. ყველა მათგანი ერთმანეთისაგან განსხვავდება ფორმით და დანიშნულების მიხედვით. კომპლექსებში ძირითადად წარმოდგენილია სუფრის ჭურჭელი: სამტუჩა და მრგვალპირიანი ორი დოქი, ქოთანის, ხელადა, სასმისი, კოჭობი, ფიალა და ჯამი.

დოქები. მეორე უბნის №1 (II) ორმოსამარხში აღმოჩნდა წმინდად განლექილი თიხისაგან დამზადებული, მოჩალისფროდ გამომწვარი

სფერულტანიანი სამტურა დოქი. აქვს მკვეთრად იმიტირებული ნისკარტისებური ტური. ოვალურგანივკვეთიანი ყური მიძერწილია ყელსა და შუა წელზე. ყურის თავზე დაძერწილია პატარა ზომის მეჭეჭისებრი კოპი. შედრკილ ლოყებზე ბრტყელი კოპებია მიძერწილი ისე, რომ შიდაპირზე ეტყობა შეზნექილობა. ყელი შემკულია ზამბარისებური ამოღარული ორნამენტით, რომლის ქვემოთ ოთხი კონცენტრული ზოლი შემოუყვება. ამას მოსდევს ირიბად დაჭდეული ხაზებისგან შედგენილი სარტყელი. შემდგომ მოდის მკრთალი ტალღური ხაზი. დოქი მხრებიდან შუა წელამდე შემკულია თანაბრად დაშორებული თეთრი ანგობისაგან შექმნილი ზოლებით (ტაბ. IV, 3).

ნისკარტისებური ტურით, ანალოგიური შემკულობით და თეთრი ანგობით მოხატული, სამტურა დოქის პირ-ყელის ფრაგმენტი აღმოჩნდა ნორიოს ანტიკური ხანის ნამოსახლარზე [გოგოჭური, ნიკოლაიშვილი და სხვ. 2019: ტაბ. 144, სურ. VIII-168; ტაბ. 129, ნახ. VIII-168]. ღია მოჩალისფროდ გამომწვარი სამტურა დოქები აღმოჩენილია ღრმახევისთავის, კამარახევის, ასურეთის, შავსაყდარას, ეცოს, კოთიშის (ცხრა-ძმის), მუხათგვერდის სამაროვნებზე [აბრამიშვილი და სხვ. 1980: 186 სურ. 185-497; ჯღარკავა 1983: 170, 177 სურ. 1286, 1359; კვიციანიძე 1975: 23-24, ტაბ. XXII_{2-5,10}; ტაბ. XXIX₇; შატბერაშვილი 2005: ტაბ. XXXIX₁₋₂; Нариманишвили 1991: 226, სურ. 315]. ნისკარტისებურპირიანი, წითელი საღებავით მოხატული სამტურა დოქის ფრაგმენტები ცნობილია სამადლოს თიხის ნაწარმიდან [Гагошидзе 1981: ტაბ. XXVI, ნახ. 331]. მსგავსი ტიპის სამტურა დოქების არსებობის ძირითადი პერიოდი ძვ.წ. IV საუკუნის პირველ ნახევარზე მოდის, თუმცა ჭურჭლის ეს სახეობა ძვ.წ. IV-III საუკუნეების მიჯნაზეც აგრძელებს არსებობას.

ერთი დოქი აღმოჩნდა №10 სამარხშიც (ტაბ. V, 2. ინვ. №550). ის სფერულტანიანია, პირგანიერი, დაბალი გამოყვანილი ყელით. მხარსა და პირზე მიძერწილი ჰქონია ყური. სადა ზედაპირი ზერელადაა მოგლუვებული. მსგავსი დოქები ცნობილია კამარახევის, ტამ-ბაშის, სანთას, პაპიგორას, აბულმულგის სამაროვნებიდან [Нариманишвили 1991: ნახ. 305, 313, 340, 364, 373, 392; გაგოშიძე 1982: ტაბ. IV, ნახ. I-1; მარგიშვილი, ნარიმანი-

იშვილი 2004: ტაბ. XXVI, ნახ. 3; ტაბ. XXXVII, ნახ. 3; ხოხობაშვილი, ძნელაძე 2008: ნახ. 76].

ქოთანი. №1 (II) სამარხში აღმოჩნდა სფერულმუცლიანი, დაბალყელიანი ქოთანი, რომელიც მონითალოდაა გამომწვარი. დამზადებულია წმინდად განლექილი, თეთრ ჩანართებიანი თიხისაგან. ნაძერწია ხელით. ხასიათდება ბრტყელი ასიმეტრიული ბაკოთი. ქოთანი დაფარულია გამონვამდე ზედაპირის მოსწორებისას დარჩენილი უსისტემო ზოლებით. ამდენად ის არაა კარგად მოგლუვებული-გაპრიალებული. ქოთანს ზემოდან ეფარა დერგის გვერდის ნატეხი. მასში აღმოჩნდა ცხოველის ძვლები (ტაბ. IV, 4, ინვ. №36).

მსგავსი ფორმის სადაზედაპირიანი ქოთნები მრავლადაა აღმოჩენილი ანტიკური ხანის ძეგლებზე. მათ ვხვდებით შავსაყდარას I, კამარახევის, მუხათგვერდის, ღრმახევისთავის, ნერონ-დერესის, აბულმულგის სამაროვნებზე, სამადლოსა და ნორიოს ნასახლარებზე და სხვ. [მარგიშვილი, ნარიმანიშვილი 2004: ტაბ. CX, ნახ. 3; Нариманишвили 1991: ნახ. 227-251; Гагошидзе 1981: ტაბ. XI, ნახ. 154; ტაბ. XXVI, ნახ. 330; გოგოჭური, ნიკოლაიშვილი და სხვ. 2019: ტაბ. 126, ნახ. XVII-636, 643]. არქეოლოგ გ. ნარიმანიშვილის მიერ ანტიკური ხანის კერამიკისთვის შემუშავებული კლასიფიკაციის მიხედვით, მსგავსი ქოთნები თითქმის ხუთივე ქრონოლოგიურ ჯგუფში გვხვდება ანუ მათი არსებობის ქრონოლოგიური ჩარჩოები ძვ.წ. V-I საუკუნეების ფარგლებში ექცევა [Нариманишвили 1991: 83, 126-129]. კომპლექსში არსებული მასალის გათვალისწინებით, ჩვენი ქოთანი, მეორე ქრონოლოგიურ ჯგუფში უნდა გაერთიანდეს, რომელსაც ავტორი ძვ.წ. IV საუკუნის მეორე ნახევრით და ძვ.წ. III საუკუნის დასაწყისით ათარიღებს [Нариманишвили 1991: 83].

ხელადა. სამარხეულ მასალაში ხელადა ერთი ეგზემპლართაა წარმოდგენილი. აღმოჩნდა №13 სამარხში. გამომწვარია მოჩალისფროდ. აქვს გადაშლი პირი, გამოყვანილი ყელი, სფერული ტანი და ფართო ძირი. პირზე და მუცელზე დაძერწილია ოვალურგანივკვეთიანი ყური. ხელადის მთელი ზედაპირი მოყავისფროდაა ანგობირებული. ჭურჭლის ყელი, მხრები და ტანის ზედა ნაწილი დაფარულია თეთრი ანგობის კონცენტრული ზოლებით. ყელის ფუძესთან ირიბი ნაჭდე-

ვებისგან შექმნილი სარტყელი შემოსდევს. ტანის ზედა ნაწილს კი წმინდა ტალღისებური ხაზებით შესრულებული სარტყელი ამკობს. მხარსა და პირზე დაძერწილია ოვალურ-განივკვეთიანი ყური (ტაბ. VI, 3, ინვ. №554). ხელადისაგან ფორმისა და შემკობის მხრივ დიდად არ განსხვავდება №12 სამარხში აღმოჩენილი უყურო, ხელადისებური ჭურჭელი. ის გამომწვარია აგურისფრად. აქვს გადაშლი პირი, მსხლისებური ტანი, ფართო ძირი. მხარზე დატანილია ირიბი ნაჭდევი ხაზები და თეთრი ანგობის ზოლები (ტაბ. V, 5, ინვ. №553).

ჩალისფრად გამომწვარი მსხლისებური თუ მრგვალტანიანი, ხელადები ძირითადად ძვ.წ. IV-III საუკუნეების არქეოლოგიურ ობიექტებზე: შავსაყდარა I-ზე, შავსაყდარა II-ზე, აბულმუგზე, ციხიაგორაზე, კუშჩიში, ეცოს სამაროვანზე, კამარახევში, ასურეთში, მცხეთიჯვარში, ვანში, თბილისში, ითხვისსა და ტახტიძირში გვხვდება. აღსანიშნავია ამ ტიპის თიხის ჭურჭლის სიმრავლე ნორიოს ანტიკური ხანის ნამოსახლარზე, რომელიც ერთი წლის წინ იქნა აღმოჩენილი და ნაწილობრივ შესწავლილი [Тушишвили и др. 1987: 34-35; მარგიშვილი ს. 1992: 51, 52, ტაბ. XVI₁; Кахиანი и др. 1991: 54, ტაბ. 133; თოლორდავა 1983: 39, ტაბ. XXXV_{5,9}, XXXVI₂, XXXVII₁; შატბერაშვილი 2005: ტაბ. XXXIX₃₋₇; ჯღარკავა 1983: სურ. 992, 1023, 1033, 1055; კვიციანიძე 1975: 24-32 ტაბ. XII₆, XVI₂; ბრაგვაძე, დავითაშვილი 1993: სურ. 77₁; ლორთქიფანიძე და სხვ. 1972: 208, სურ. 176; გოგიბერიძე 2011; გოგოჭური, ნიკოლაიშვილი და სხვ. 2019: ტაბ. 128].

ჯამი. აღმოჩნდა №1 (II) სამარხში. პირმოყრილი, ნახევარსფერული ფორმისა. მონითალოდ გამომწვარი და წითლად შეღებილი. კალთები შიგნითკენაა დაქანებული (ტაბ. IV, 5, ინვ. №35).

ჯამების ეს ტიპი ადრეანტიკური ხანიდან მოყოლებული ელინისტური ხანის ჩათვლით მუდმივად არსებობდა. მსგავსი ჯამები მიკველეულია: ხოვლეში, უფლისციხეში, სამადლოში, ღრმახევისთავში, კამარახევში, ვარსიმაანთკარში, კავთისხევის „დაჭრილებზე“, აბელიაში, თეთრინყაროში, სამთავროში, ეცოზე. მსგავსი ჯამები დიდი რაოდენობით აღმოჩნდა ნორიოს ანტიკური ხანის ნასოფლარის შენობებშიც [მუსხელიშვილი

1978: 46, 47, ტაბ. III; ხახუტაიშვილი 1964: 124, 135, ტაბ. XVII₁₋₂, XXXV₆; Гагошидзе 1979: ტაბ. VII_{75,76}, XXVII_{361,364} და ა. შ.; ტყეშელაშვილი 1969: 50, 61 ტაბ. III₄₂₀, IV₁₂₃; აბრამიშვილი და სხვ. 1980: 143, 147; ჯღარკავა 1983: 147, 175, 179, სურ. 965, 990, 1152, 1342; წითლანაძე 1983: 30, 56 ტაბ. XVIII₄; ნაკაიძე 1980: 37 ტაბ. X₁; კვიციანიძე 1975: 11, 13, 18, ტაბ. IV₁, VI₄, X₄; ბოხოჩაძე 1963: 21, ტაბ. II₃; თოლორდავა 1980: 50, ტაბ. XI₁₁; შატბერაშვილი 2005: 60, ტაბ. XXVIII₁₋₂; გოგოჭური, ნიკოლაიშვილი და სხვ. 2019: ტაბ. 133, ნახ. III-417, IV-297, VI-206, VIII-172].

ფიალა. აღმოჩნდა №13 სამარხში (ტაბ. VI, 4, ინვ. №555). დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან. გამომწვარია მონითალოდ. პირი გათხლებული და გადაშლილია. პირს ქვემოთ შემოსდევს მკვეთრი ნიბო. ძირი მომრგვალებულია. გარედან ძირზე აქვს ნათითური ფოსო, რომელიც გამოწვის შემდეგ ბასრი იარაღითაა გაფართოებული. ფსკერზე შუაგულში ზის კონუსური კოპი, რომლის გარშემო დატანილია კედლებისკენ მიმართული ცხრა ამოზურცულ-ჩაღარული ორნამენტი.

მსგავსი ომფალოსიანი ფიალები აღმოჩენილია: ღრმახევისთავის, დაბლაგომის, ითხვისის სამარხებში, ციხიაგორას სატაძრო კომპლექსის ნაგებობებში, სამადლოსა და ნორიოს ნასახლარის კულტურულ ფენებში და სხვ. [აბრამიშვილი და სხვ. 1980: 102, სურ. 79-103; ლორთქიფანიძე 1995(1996): 14; Гагошидзе 1981: ტაბ. XX, ნახ. 247; ტაბ. VII, ნახ. 248-249; ცქიტიშვილი 2003: ტაბ. XX, ნახ. 15; გოგოჭური, ნიკოლაიშვილი და სხვ. 2019: ტაბ. 136, ნახ. VIII-175]

ოქროს, ვერცხლისა და მინისგან დამზადებული ფიალები აქემენიდურ და ელინისტურ სამყაროში საზეიმო-სარიტუალო სუფრებზე სანესო სასმის წარმოადგენდა. იმის გამო, რომ ძვირადღირებული მასალისგან დამზადებული მსგავსი ჭურჭელი ყველასთვის ხელმისაწვდომი ვერ იქნებოდა, ამიტომაც დაიწყეს ფიალების თიხისგან დამზადება. ი. გაგოშიძის აზრით, ფიალების ფორმებს ქართველები, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ურარტუდან იცნობდნენ. საქართველოს, ადრეანტიკური ხანის ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს ფიალების აღმოჩენების თვალსაზრისით, ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია აქემენიდური იმპერიის უზარმაზარ ტერ-

იტორიაზე. რაც ცხადია, იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოშიც უნდა არსებულებოდა ლითონის საწარმოო ცენტრები, სადაც მზადდებოდა აღნიშნული ტიპის ლითონის ჭურჭელი [Гагошидзе 1979: 82; ლორთქიფანიძე 1995(1996): 14].

ტოლჩა თიხის, დაბალტანიანი, მოჩაღისფროდ გამომწვარი. პირგადაშლილი. ყელი ოდნავ გამოყოფილი, მუცელი ოდნავ გამოსახული აქვს. მუცლის და პირის არეში დაძვრნილია ნახევარსფერულგანივკვეთიანი ყური, აღმოჩნდა №12 სამარხის ნაშთში (ტაბ. V, 6, ინვ. №552). მსგავსი ტოლჩები მომდინარეობს: სამადლოდან, ვარსიმაანთკარიდან, სამთავროდან [Гагошидзе 1981: ტაბ. XXII, ნახ. 270; Нариманиშვილი 1991: 83, 622-624]. მსგავსი ფორმის ტოლჩა, ოღონდ მოხატული, აღმოჩნდა ნორიოს ანტიკური ხანის ნამოსახლარზე [გოგოჭური, ნიკოლაიშვილი და სხვ. 2019: ტაბ. 140, ნახ. X-62; ტაბ. 148, X-62].

ნამოსახლარზე გათხრილ სამარხულ თიხის ჭურჭლიდან რამდენიმე თეთრი ანგობის ზოლებითაა მოხატული. ამავე ჭურჭელზეა დატანილი მკრთალი ირიბი ნაჭდევეებითა და ამოღარული ტალღური ხაზებით შესრულებული სარტყლები (ტაბ. IV, ნახ. 3).

ქართულ არქეოლოგიურ სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებულია აზრი, თიხის ჭურჭლის თეთრი ანგობით მოხატვის ტრადიციის კახეთიდან გავრცელების შესახებ. თეთრი ანგობით მოხატული კერამიკა კახეთში გამოჩენას იწყებს ძვ.წ. IV საუკუნიდან და ახ.წ. IV საუკუნემდე განაგრძობს არსებობას. კახეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ელინისტური ხანის ჭურჭელი გამოირჩევა ფორმებისა და მოხატვის მხრივ სიმეტრიულობითა და დახვეწილობით, ვიდრე ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეების ჭურჭელი, რომელიც დამზადებული და მოხატულია დაუდევრად. ამ მხარეში მსგავსი კერამიკის აღმოჩენის ადგილებია: კოლოთოს ხევი, სოფ. ყარაღაჯი, ს. შრომა (ვანნაძიანი), ახალი ულიანოვკა, წინანდალი, შირაქი — „სადუდი გორა“, სოფ. საკობო (ლაგოდების რ-ნი), მილარის სტეპი [Пицхелаური 1977: 228; ფიცხელაური 2013: 96, სურ 1-2]. ქართლში ასეთი კერამიკა ძვ.წ. IV-I საუკუნეებში გვხვდება [ნარიმანიშვილი 2018: 109]. ითვლება, რომ თეთრი ანგობით მოხატული ჭურჭელი ქართლში კახეთიდანაა გავრცელებული

[Пицхелаური 1977; Гагошидзе 1979]. ამ აზრს იზიარებს გ. ნარიმანიშვილი და აღნიშნავს, რომ თეთრი ანგობით მოხატული ჭურჭელი კახეთის სამეთუნეო ცენტრებიდან ქართლში ვრცელდებოდა ძვ.წ. IV საუკუნის მეორე ნახევარსა და III საუკუნის დასაწყისში, ხოლო ადგილზე მხოლოდ ძვ.წ. II-I საუკუნის პირველ ნახევარში მზადდებოდა [ნარიმანიშვილი 2018: 109].

ქართლში ანტიკური ხანის არქეოლოგიურ ობიექტებზე თეთრი ანგობით მოხატული ჭურჭელი გვხვდება სამადლოზე [გაგოშიძე 1970: 46], კასპის ციხიანთკარას III სამშენებლო დონეზე [მახარაძე ზ. 1999: 57, ტაბ. III_{4,13}; ტაბ. IV₄], ლართისკარსა და ნატახტარში [Нариманиშვილი 1990: 81], გრძელ მინდორზე [Boxochadze 1979: 110], ნასტაკისში [Boxochadze A. 1979, Boxochadze A., Мирианашვილი Н. 1982], უფლისციხეში [ხახუტაიშვილი 1970: 146], დიდუბეში [ქორიძე 1958: 65], არაგვის ხეობაში, ვარსიმაანთკარის სამაროვანზე [მუხიგულაშვილი 2015: 80, ტაბ. CIV-8; ტაბ. CXXVII-8]. თეთრი ანგობით მოხატული თიხის ნაწარმი ცნობილია საჩხერიდან, საბადურის გორის გვიანელინისტური ხანის ფენიდან, რაც ქართლიდან შეტანილადაა მიჩნეული [მახარაძე გ., ლაშხი 1997: 58. სურ. XXXII]. დარაქოის ნამოსახლარზე ნითელი საღებავით მოხატულ ჭურჭელთან ერთად გვხვდება თეთრი ანგობით მოხატული კერამიკა [ნარიმანიშვილი 2009: 94, 101, 102]. თეთრი ანგობით მოხატული კერამიკა დიდი რაოდენობით აღმოჩნდა ნორიოს ანტიკური ხანის ნასახლარზე [გოგოჭური, ნიკოლაიშვილი და სხვ. 2019: ტაბ. 122, 128, 144].

სამადლოს თეთრი ანგობით მოხატულ ჭურჭელზე დაკვირვების შედეგად არქეოლოგი ი. გაგოშიძე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ამ სახის კერამიკას ახასიათებს ორნამენტის დატანის მკაცრად დადგენილი ზონები. კონცენტრული თეთრი ზოლებით დაფარულია ჭურჭლის ან მთელი კორპუსი, ან მხოლოდ ზედა ნაწილი. ასევე ამოკანრული მკრთალი დეკორი მდებარეობს ან ყელის ფუძესთან ან მხრებზეა დატანილი. კეცი, როგორც წესი, მკვრივია, გადანატეხზე ძირითადად ყვითელი ან მოვარდისფროა. კარგადაა განლექილი და რაც მთავარია, ჭურჭელი გამომწვარია საუცხოოდ. გარდა ამისა, სამადლოს ამგვარ ჭურჭელს, როგორც მეცნიერი ასკვნის,

ახასიათებს კიდევ ერთი თავისებური ნიშანი, რაც სხვა სახის ნაწარმისათვის უცხოა. ესაა თეთრი ანგობით მოხატული ჭურჭლის შიდაპირის უსწორმასწორობა. ჭურჭელს მთელ შიდაპირზე ეტყობა ძერწვის დროს დარჩენილი თითების (?) ნაკვალევი, მაშინ როდესაც ზედაპირი იდეალურად სწორი და გლუვია [Гагошидзе Ю. 1979: 80]. ჩვენი მხრიდან დავამატებთ, რომ ის ნიშნები, რაც სამადლოს თეთრი ანგობით მოხატულ კერამიკას ახასიათებს, როგორც ჩანს, საერთოა თეთრი ანგობით მოხატული ჭურჭლისათვის. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს საკვლევი სამარხებისა და ნორიოს ნასახლარის ჭურჭელზე ჩვენი დაკვირვებაც. ჭურჭლის აღნიშნული მახასიათებლები შესალოა ამ სახეობის ნაწარმის ერთი საწარმოო ცენტრიდან წარმომავლობაზე მიანიშნებდეს.

იარაღი. საბრძოლო იარაღი აღმოჩნდა მხოლოდ ერთ №1 (II) სამარხში. მიცვალებულისთვის ჩაუტანებიათ რკინის ნივთები: ორი მასრაგახსნილი შუბისპირი და ერთი მოხრილი დანა (ტაბ. IV, 6-8, ინვ. №38-40). სამივე იმდენად იყო კოროზირებული და დაშლილი, რომ მათგან მხოლოდ ცალკეული დეტალებიღა შემორჩენილი. ანალოგიური მასალის მიხედვით, მათი ფორმების გრაფიკულად აღდგენა მოხერხდა მხოლოდ ნაწილობრივ (ტაბ. IV, 6-8). აქედან გამომდინარე მათ შესახებ მსჯელობისგან თავს შევიკავებთ. ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ ამ ტიპის იარაღი ფართოდ იყო გავრცელებული ანტიკური ხანის საქართველოში. მკვლევარები ძვ.წ. V – ახ.წ. IV საუკუნეების რკინის შუბისპირებში გამოჰყოფენ 8 ტიპს. ჩვენი შუბის პირების ფორმები გაურკვეველია და მათი რომელიმე ტიპისთვის მიკუთვნება შეუძლებელია. პირობითად კი ისინი, ალბათ, ძვ.წ. IV-III საუკუნეებში გავრცელებულ ვინროპირიანი შუბისპირების ჯგუფში უნდა გაერთიანდეს [გამყრელიძე, შატბერაშვილი, ფირცხალავა, ჩარკვიანი 2018: ტაბ. III—IV].

სამკაული. სამარხებში სამკაული წარმოდგენილია სამაჯურების, ბეჭდების, სასაფეთქლე რგოლების, ზარაკის, კვირისტავის და მინის მძივების სახით (ტაბ. IV, 9-15; ტაბ. V, 3; ტაბ. V, 5-7, 9). ქვემოთ ჩვენ ძირითადად განვიხილავთ მხოლოდ იმ არტეფაქტებს, რომლებიც კომპლექსების დათარიღების საშუალებას იძლევა.

სამაჯურები. სამარხებში ხუთი სამაჯური აღმოჩნდა. აქედან ორ-ორი №1 (II) სამარხში (ტაბ. IV, 12-13, ინვ. №42-43) და №13 სამარხში (ტაბ. VI, 6, ინვ. №557-557'), ერთიც №18 სამარხში (ტაბ. VI, 10, ინვ. №561).

ოთხი სამაჯური ერთი ტიპისაა. ისინი ზურგმედრეკილია, დამზადებულია ბრინჯაოს მრგვალგანივკვეთიანი მავთულისაგან (ტაბ. IV, 12-13; ტაბ. VI, 6). ერთი რკინისაა, რომლის მხოლოდ ბოლოებია შემორჩენილი. სამაჯური დამზადებულია ბრტყელგანივკვეთიანი ღერაკისაგან (ტაბ. VI, 10). ყველა სამაჯური ბოლოებგახსნილია. ორ მათგანს თავებზე გარედან ნაჭდევეები აქვს (ტაბ. IV, 12-13). მეორე წყვილი სამაჯურის თავები ღეროსთან შედარებით ოდნავ შესქელებულია (ტაბ. VI, 6).

ზურგმედრეკილი სამაჯურის ტიპი გაბატონებულია ელინისტური ხანის საქართველოში. აღნიშნული სამაჯურების გავრცელება ივარაუდება აქემენიდური ირანიდან, სადაც მსგავსი სამკაული ცნობილია უკვე ძვ.წ. VII-VI საუკუნეებში. გენეტიკურად სამაჯურების ამ ტიპს უკავშირებენ აქემენიდურ ირანში ძვ.წ. VI-IV საუკუნეებში გავრცელებულ სამაჯურებს. ზურგმედრეკილი სამაჯურები საქართველოს ტერიტორიაზე ძვ.წ. VI საუკუნის დასასრულისა და V საუკუნის დასაწყისისათვის სრულიად უცხო ჩანს [გაგოშიძე 1964: 21].

ელინისტურ ხანაში ეს სამაჯურები გამქრალია თავის პირვანდელ სამშობლოში, მაშინ როდესაც ჩვენთან წელთაღრიცხვათა მიჯნამდე და უფრო გვიანაც კი გვხვდება [გაგოშიძე 1982: 19]. საქართველოს მთელ რიგ სამაროვნებზე ზურგმედრეკილი სამაჯურები არსებობას განაგრძობენ ახალი წელთაღრიცხვის პირველი ათასწლეულის პირველ მეოთხედშიც. ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს ყინვალის სამაროვნის (ძვ.წ. I – ახ.წ. III სს.) სამარხებში მათი არსებობა. მართალია, ისინი მთელი რიგი ნიშნებით განსხვავდებიან თავისი წინამორბედი მსგავსი სამკაულისგან, მაგრამ ძირითად მახასიათებელს, ზურგმედრეკილობას, მაინც ინარჩუნებენ [ჩიხლაძე 2015: 189, ტაბ. VI, 15-16; ტაბ. VIII, 343-344; ტაბ. IX, 368-370; ტაბ. XIX, 351].

საქართველოში ყველაზე ადრეული ზურგმედრეკილი სამაჯურები ჩნდება ძვ.წ. V საუკუნის შუა ხანების ისეთ მდიდრულ

სამარხებში, როგორცაა ვანის 1962 წელს გათხრილი ქალის სამარხი, ალგეთისა და ყანჩაეთის სამარხები [ლორთქიფანიძე ო. და სხვ. 1972: ტაბ. 49]. ი. გაგოშიძე ახალგორის განძს, ყანჩაეთისა და ალგეთის სამარხებს ძვ.წ. V საუკუნის შუა ხანებით ათარიღებს [გაგოშიძე 1964: 22, 77].

ზურგმედრეკილი სამაჯურების ტიპოლოგიური და ქრონოლოგიური კლასიფიკაცია, ძირითადად, მათი ბოლოების, მავთულის ფორმისა და შემკულობის მიხედვით მოცემულია ნ. გოგბერიძის ნაშრომში. აქვეა საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ზურგმედრეკილი სამაჯურების სრული ნუსხა. საქართველოს მამულებით ზურგმედრეკილი სამაჯურები აღმოჩენილია: ვანში, საირხეში, დაბლაგომში, ყაზბეგში, დაფნარში, ეშერაში, ნერონდერესში, სამთავროში, „წითელ შუქურაზე“, ითხვისში, ალგეთში, ახალგორში, ყანჩაეთში, ვასასწყაროში, აბულმუგში, ვარსიმაანთკარში და სხვ. [Гогинеридзе 2003: 101-104; ხოხობაშვილი, ძნელაძე 2008: 164, ნახ. 90; მუხიგულაშვილი 2015: 80, ტაბ. CIV-8; ტაბ. CLXIX, №539].

ჩვენი სამაჯურები ყველაზე მეტად ემსგავსებიან კამარახევის, ყაზბეგისა და დაბლაგომის სამაჯურებს, რომელთაც ნ. გოგბერიძე ძვ.წ. IV საუკუნის დასასრულითა და III საუკუნის დასაწყისით ათარიღებს [Гогинеридзе 2003: 64-65].

ზარაკი აღმოჩნდა №1 (II) სამარხში. დამზადებულია ბრინჯაოს თხელი ფირფიტისაგან. კონუსური ფორმისაა. თავთან აქვს ორი ნახვრეტი (ტაბ. IV, 11, ინვ. №41), ზარაკების ეს ტიპი საქართველოში, როგორც ჩანს, დიდად არ ყოფილა გავრცელებული სხვა ზარაკებთან შედარებით.

ნამოსახლარის II უბნის №1 სამარხში არსებული ზარაკი, ალბათ, თ. ჭანიშვილის მიერ გამოყოფილ III ტიპის მე-3 ქვეჯგუფში უნდა გაერთიანდეს, ანუ ე. წ. ნახევარსფერულ თუ კონუსური ფორმის ზარაკებში, რომელთა ასაკი ძვ.წ. IV საუკუნის ბოლოსა და III საუკუნის დასაწყისით შემოიფარგლება [ჭანიშვილი 2005: 24, ტაბ. III₁₋₄].

მსგავსი ზარაკები აღმოჩენილია: კამარახევის №65 სამარხში. სამაროვანი რ. რამიშვილს ზოგადად ძვ.წ. V-III საუკუნეებით აქვს დათარიღებული [რამიშვილი 1959: 9]. მსგავსი ზარაკი ცნობილია პაპიგორას სამაროვნის

№44 და №49 სამარხებიდან. კომპლექსები განეკუთვნება ძვ.წ. IV საუკუნის ბოლოს და III საუკუნის დასაწყისს [მარგიშვილი, ნარიშვილი 2004: 14-16, ტაბ. XXXVIII, XXXIX₁₀]. ანალოგიური ზარაკი აღმოჩენილია ყანჩაეთის სამარხში, რომლის თარიღი ძვ.წ. IV ს-ის ბოლო მეოთხედითაა განსაზღვრული [გაგოშიძე 1964: 49-50, ტაბ. VII₁₄]. კონუსური ზარაკი ნაპოვნია სოფ. ხოვლესთან გათხრილ სამარხშიც, რომელიც დათარიღებულია ძვ.წ. III-II საუკუნეებით [მატბრაშვილი 2012: 101-102, ტაბ. IV₁₂]. ჩვენი ზარაკის მსგავსია ენაგეთის №1 ქვის სამარხში (ძვ.წ. IV საუკუნის შუა ხანები) და შავსაყდარა II სამაროვნის №13 სამარხში აღმოჩენილი ბრინჯაოს გუმბათისებური ზარაკები. ეს უკანასკნელი კომპლექსი დათარიღებულია ძვ.წ. III საუკუნით [მარგიშვილი 1992: ტაბ. XVI₂, ტაბ. XXI₄].

ოდნავ სახეცვლილი კონუსური თუ ნახევარსფერული ფორმის ზარაკები საქართველოს გვიანანტიკური ხანის სამარხებშიც გვხვდება. ასეთი ორი ზარაკი აღმოჩნდა სამთავროს №105 სამარხში, ხოლო სამთავროს №310 სამარხში ოთხი ზარაკია მიკვლეული [მანჯგალაძე 1985: 48, 61-62, ნახ. 240-241, 338-341]. მსგავსი ზარაკები აღმოჩენილია I-III საუკუნეებით დათარიღებულ ჟინვალის სამაროვნის სამარხებში [ჩიხლაძე 2015: 209].

საქართველოს ფარგლებს გარეთ მსგავსი ზარაკი მხოლოდ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, მინგეჩაურის ერთ-ერთ ქვევრსამარხშია აღმოჩენილი, რომელიც ასევე გვიანი ხანით, ძვ.წ. II-I – ახ.წ. I-II საუკუნეებით თარიღდება [ჭანიშვილი 2005: 25].

ბეჭდები. სამკაულის ეს სახეობა ორი ერთეულითაა წარმოდგენილი. ერთი ბეჭედი, რომელიც ბრინჯაოსგანაა დამზადებული, აღმოჩნდა №1 (II) სამარხში (ტაბ. IV, ნახ. 10, ინვ. №44). მას კონუსურად შესქელებული „ფარაკი“ აქვს. ბეჭდის რგოლი ზემოთ განიერი და შესქელებულია, ქვემოთკენ კი ვიწროვდება და თხელდება. მსგავსი ბეჭედი ანტიკური ხანის ძეგლებიდან ამჯერად ვერ მოვიძიეთ.

მეორე ბეჭედი მომდინარეობს №13 სამარხიდან. დამზადებულია რკინისგან, ბრტყელფარაკიანია. რგოლი ბრტყელგანივკეთიანია (ტაბ. VI, 7, ინვ. №558). მსგავსი ბეჭდები ხანგრძლივი დროის განმავლობაში არსებობენ.

სამკაულის კატეგორიაში გადის ვერცხ-

ლისა და ბრინჯაოს რგოლები (ტაბ. IV, 6. ინვ. II-45; ტაბ. VI, ნახ. 5). სამკაულს წარმოადგენს სამარხებში აღმოჩენილი მინისებური პას-ტისა თუ მინისგან დამზადებული სხვადასხვა ფერის და ფორმის მძივები. სამარხებში, ძირითადად, წვრილი იოტებია ნაპოვნი. მხოლოდ №13 სამარხშია დაფიქსირებული მინის 7 მილაკისებრი მძივი. ვინაიდან ამ ტიპის სამკაულები ფართოდაა გავრცელებული პარალელების მოტანისგან თავს შვეიკავებთ.

მოსმობილ პარალელურ მასალაზე დაყრდნობით და მათი თარიღების გათვალისწინებით, კვლევის ამ ეტაპზე, სამარხეული კომპლექსების დათარიღება შემდეგნაირად გვესახება: განხილული ჯგუფიდან ადრეულია №1 (II) სამარხი, რომელიც ძვ.წ. IV საუკუნის მეორე ნახევრით და III საუკუნის პირველი ნახევრით უნდა დათარიღდეს. დანარჩენი ოთხი სამარხის (№ 10, 12, 13, 18) ასაკი ძვ.წ. III-II საუკუნეებით უნდა განისაზღვროს.

ორმოებში და ფენაში აღმოჩენილი მასალა. ილმაზლოს არქეოლოგიურ მონაპოვარში ცალკე გამოიყოფა ელინისტური ხანის მასალა, რომელიც საკმაოდ მცირე რაოდენობითაა მიკვლეული და რაც მთავარია გათხრებისას არ დაფიქსირდა ამ არტეფაქტების შესაბამისი დროის ნაგებობები. გაითხარა მხოლოდ ამ ეპოქის ორი ორმო. ერთ-ერთი ორმო (№59) აღმოჩნდა B5 კვადრატში, №4 ნაგებობის (სასახლის), ქვის საძირკვლის ქვეშ, ხოლო მეორე ორმო (№56) B6 კვადრატის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში (ტაბ. II).

ორმოები შევსებულია ნაცრიან-ნახშიროვანი მიწის მასით, რომელშიც შერეული იყო თიხის ჭურჭლის ნატეხები და ცხოველის ძვლების ფრაგმენტები. გარდა ორმოებიდან მომდინარე მასალებისა, ელინისტური თიხის ჭურჭლის ნატეხები ჩნდებოდა შესწავლილ გვიანდელ ფენებშიც. ორივე უბანზე ერთნაირი სურათი დაფიქსირდა. არტეფაქტები არის, მაგრამ არაა შესაბამისი კულტურული ფენა. გათხრებისას მოპოვებული მცირერიცხოვანი ელინისტური ხანის ნივთები ამ ადგილებში ახლომახლო ტერიტორიებიდან უნდა იყოს ჩამორეცხილ-გადაადგილებული. წარმოვადგენთ იმ მასალას, რომელიც უფრო სახიერია და რომელიც ამ ნამოსახლარზე ელინისტური ფენის არსებობას ადასტურებს.

ელინისტური ხანის სხვადასხვა დანიშ-

ნულების მასალებიდან აღსანიშნავია ქვევრის პირ-ყელის ნატეხები. ერთ-ერთი მათგანი ხასიათდება ფართო ბრტყელი ბაკოთი და ყელზე შემორჩენილი წერნაქით მოხატვის კვალით. ქვევრი გამომწვარია მოჩალისფროდ. თიხა წმინდადაა განლექილი (ტაბ. VII, 1). ერთი ნაწილი სადაა (ტაბ. VII, 2), ნაწილი კი წითლადაა შეღებილი (ტაბ. VII, 3). განათხარ მასალაში ორივე უბნის თიხის ნაწარმში ვხვდებით თეთრი ანგობით მოხატულ ნატეხებს (ტაბ. VII, 8-11, 14). ფენებიდან და ორმოებიდან მომდინარეობს წითლად შეღებილი, გვერდნიბურიანი ჯამების ფრაგმენტები (ტაბ. VII, 15-18) და ფიალის ნატეხი (ტაბ. VII, 19).

წერნაქითმოხატული ქვევრებიდან წითლად შეღებილი სუფრისა თუ სხვა დანიშნულების ჭურჭელი, აგრეთვე ანგობის თეთრი ზოლებით შემკული კერამიკული ნაწარმი ტიპურია ელინისტური ხანის (ძვ.წ. IV საუკუნის მიწურული — ძვ.წ. II საუკუნე) აღმოსავლეთ საქართველოს განათხარი ძეგლებისათვის. მსგავსი ფორმებისა და შემკულობის ჭურჭელი მრავლადაა აღმოჩენილი ელინისტური ხანის თითქმის ყველა, მათ შორის ისეთ მნიშვნელოვან ძეგლებზე, როგორცაა: მცხეთა, ურბნისი, უფლისციხე, სამადლო და სხვ. [ხახუტაიშვილი 1964: ტაბ. XXXI; ხახუტაიშვილი 1970: 76-77; Гагошидзе 1981: ტაბ. II, III].

ფენისეულ და ორმოების თიხის ნაწარმში გვხვდება წითელი საღებავით მოხატული ნატეხები (ტაბ. VII, 4-7). ფრაგმენტები დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან. ყველა მათგანი თეთრდაა ანგობირებული და ამგვარ ზედაპირზეა დატანილი წითელი საღებავით შესრულებული გეომეტრიული ორნამენტები. აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ ანტიკური ხანის წითლად მოხატულ თიხის ჭურჭელში ორნამენტის მიხედვით გამოყოფენ ოთხ სტილს: 1. სამკუთხედების, 2. სამადლოს, 3. კაზრეთის და სამთავრულს [ნარიმანაშვილი 2018: 107]. ნამოსახლარიდან მომდინარე ნატეხები იმდენად ფრაგმენტულია, რომ რომელიმე მოხატული სტილისადმი მიკუთვნება ძნელია. მსგავსი მოხატული ნატეხები საკმაოდ მრავლადაა: სამადლოს, კასპის ციხიაგორას, დარაკოვოს და ნორიოს ნამოსახლართა თიხის ნაწარმში [Гагошидзе 1981: ტაბ. XVIII, ნახ. 712-716; მახარაძე, ნარიმანიშვილი 2001: ტაბ.

VI, 6; ნარიმანიშვილი 2009: 121, ტაბ. VII, ნახ. 4, 29-30; გოგოჭური, ნიკოლაიშვილი და სხვ. 2018: ტაბ. 137, სურ. II-208, II-210; ტაბ. 141, სურ. XV-123, XIX-92].

სასახლის ნაშთი. ნამოსახლარზე გათხრილი ობიექტებიდან (I უბანი), ინტერესს იწვევს დიდი ნაგებობის ნაშთი. ჩვენ მას, პირობითად, სასახლეს ვუნოდებთ. ნაგებობა მოგვიანო ხანის არქეოლოგიური ობიექტების: ადრე შუა საუკუნეების სამარხების, გვიან შუა საუკუნეების ნაგებობებისა და ამავე ეპოქის ორმოებისგანაა განადგურებული. შემორჩენილია კედლისა და საძირკვლის მცირე ფრაგმენტები (ტაბ. II-III; ტაბ. VIII-XV).

აღმოსავლეთ-დასავლეთის ღერძულა ხაზიდან სასახლე ოდნავაა გადახრილი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთისკენ (ტაბ. II). მის ცენტრალურ დარბაზს, როგორც ჩანს, გვერდითი კედლების ოთხივე კუთხესთან გარეთა მხრიდან მიდგმული უნდა ჰქონოდა მცირე სათავსები. ამის ვარაუდის საფუძველს იძლევა ჩრდილო-დასავლეთის და სამხრეთ-აღმოსავლეთის კედლების კუთხეების გაყოლებაზე არსებული რიყის ქვისგან ნაშენი ვიწრო კედლების ნაშთები (ტაბ. II; ტაბ. IX, 2; ტაბ. X, 2; ტაბ. XI, 1; ტაბ. XII-XIII). სამხრეთ-დასავლეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ კედლების კუთხეებთან სათავსების კვალი ნაშლილია გვიანდელი შენობების მშენებლობისას. სათავსებს შორის, გრძივი კედლების გაყოლებაზე შესაძლოა ღია აივნები ყოფილიყო (ტაბ. XVI, ნახ. 1). სასახლის გარე ზომებია: 14X9 მ, შიდა — 9X6 მ.

სასახლის კედლები ნაშენია ალიზის აგურით (45X12X45 სმ) რიყის ქვის საძირკველზე. ის შედგება რიყის ქვების 5 რიგისგან. ტალახზე ნაშენი საძირკვლის სიმაღლე 0,70-0,75 მ-ია. სიგანე 1,50 მ. შემორჩენილია ალიზის აგურების სამი რიგი, რომლის სიმაღლეა 0,38-40 სმ. აგურების მაკავშირებლად გამოყენებულია 2 სმ სისქის ნაცრის ხსნარი. შემორჩენილი ალიზის აგურებიანი კედლის ნაშთის სიგრძე 4,95 მ-ია (ტაბ. II, IX, 1).

შემორჩენილი იატაკის მცირე მონაკვეთის მიხედვით ირკვევა, რომ ის სველი თიხით შემზადებულ სქელ სუბსტრუქციაზე ყოფილა საგანგებოდ მოლესილ-მოტკეპნილი. იატაკის ამ ნაწილში გაუმართავთ ადრე შუა საუკუნეების №6 სამარხი (ტაბ. XIII). ნაგე-

ბობის შიდა სივრცეში ასევე გაითხარა სამი ორმოსამარხი (№2, 3, 5). თავის მხრივ სასახლის დასავლეთ კედელს დაზიანებული აქვს ალიზის აგურებით შედგენილი და შემდგომ თიხით მოლესილი სარიტუალო ორმო, სადაც აღმოჩნდა ნავისებური ხელსაფეკვავი, ადრეყორღანული ხანისათვის დამახასიათებელი თიხის ჭურჭლის ნატეხები და ნამგლის ჩასართი (ტაბ. IX, სურ. 1; ტაბ. XIV, სურ. 2; ტაბ. XV).

სასახლე გადახურული ყოფილა ბრტყელი და ლარისებული კრამიტებით, რომელთა შორის ნითლად შეღებილიც გვხვდება. კრამიტების ზომებია: ბრტყელის – 46X31 სმ; ლარიანის – სიგრძე 47,5 სმ (ტაბ. XVII, 13-17; ტაბ. XVIII, 30-31). სასახლის ინტერიერში არ დაფიქსირებულა კრამიტყრილი და არც მისი თანადროული მასალა. ჩანს გვიანი შუა საუკუნეების სახლების შენების დროს სასახლის ტერიტორია სრულად იქნა ათვისებული. სასახლის დროინდელი მასალა, თიხის ჭურჭლის ნატეხები, სხვადასხვა დროის შერეული მასიდან გამოიყო და დაჯგუფდა სახეობების მიხედვით: ქოთნები, დოქები, ხელადები, ბადიები, ჯამები და კრამიტები (ტაბ. XVII-XVIII).

აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არა ერთ ძეგლზე ვხვდებით მსგავსი ტექნიკით და მასალით ნაშენ ნაგებობებს. რიყის ქვის საძირკველზე ალიზის აგურით ნაგები და კრამიტით გადახურული შენობების გამოჩენა იწყება ანტიკური ხანიდან და ადრე შუა საუკუნეებშიც თითქმის იგივე ხერხით აშენებენ სახლებს.

ურბნისში ანტიკური ხანის სამშენებლო ტექნიკაზე საუბრისას ლ. ჭილაშვილი აღნიშნავდა, რომ აქ სამშენებლო მასალად გამოიყენებიათ რიყის ქვები და ალიზი. რიყის ქვებით აწყობდნენ ერთ ან ორ რიგს, შემდეგ კი ალიზით აგრძელებდნენ მშენებლობას. კედლის სიგანე ყველგან ერთნაირი არაა და მერყეობს 0,60-1,20 მეტრს შორის. სავარაუდოდ, ნაგებობები დახურული იყო კრამიტით. ნითლად შეღებილი გვერდებაკეცილი კრამიტების ნატეხები აღმოჩენილია ურბნისის ნაქალაქარზე [ჭილაშვილი 1964: 34]. ურბნისში სამშენებლო ტექნიკა V-VI საუკუნეებშიც არ იცვლება, ამ დროის ნაგებობათა კედლების ქვედა ნაწილი ნაშენია რიყის ქვით, ზედა ნაწილი კი ალიზისაა. სახურავი აქ ბა-

ნური უნდა ყოფილიყო. ნაგებობა ავტორს V საუკუნის მიწურულითა და VI საუკუნის დასაწყისით აქვს დათარიღებული [ჭილაშვილი 1964: 91, 97].

დიდი მცხეთის ტერიტორიაზე შესწავლილი ადრეანტიკური, ელინისტური და გვიანანტიკური ხანის საცხოვრებელი, საკულტო და სამეურნეო დანიშნულების ნაგებობათა ნაშთები, რომელთა კედლები ქვის საძირკველზე ალიზის აგურითაა ამოყვანილი [ნიკოლაიშვილი 2005: 93]. ძალისის აკროპოლისის შემოვლებული ჰქონია 5 მ სისქის ალიზის აგურით ნაგები გალავანი. მის ტერიტორიაზე მდგარა, ძირითადად, ალიზის აგურით ნაგები და წითლად შეღებილი კრამიტით დახურული, სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობები [ბოხოჩაძე, მირიანაშვილი 1990: 1]. ქვის საძირკველზეა დაფუძნებული ალიზის აგურით ნაგები ძალისის აბანოს დამხმარე ნაგებობებიც, რომლებიც გვიანანტიკურ ხანას ახ.წ. II-III საუკუნეებს განეკუთვნება [ბოხოჩაძე 1981: 41, 54; ტაბ. XVI-2; ტაბ. XVII; ტაბ. -1]. ძალისას ალიზის აგურების ზომებია: 52X52X10 სმ. მეორე სახის აგურის სიგრძე – 48, ხოლო სისქე – 12 სმ-ს უდრის [ბოხოჩაძე 1981: 55].

კასპის ციხიაგორას ნამოსახლარის ელინისტური ხანის ნაგებობები ნაშენია რიყის ქვის საძირკველზე თიხის ხსნარითა და ალიზით. ქვითა და ალიზის აგურითაა ნაშენი ციხიაგორას სატაძრო კომპლექსის ძირითადი ნაგებობა. ციხიაგორას მარნის კედლები ქვის საძირკველზე ალიზის აგურითაა ამოყვანილი. ალიზები ნაწყობი ყოფილა ნაცარნარევე ხსნარზე. ალიზის აგურების ზომებია: სიგრძე 41-44 სმ, სიმაღლე – 12-12,5 სმ [ცქიტიშვილი 2003: 8-12, 16-17].

არაგვის ხეობაში, სოფ. არაგვისპირის ტერიტორიაზე, გაითხარა ნამოსახლარის ნაშთები და სამარხები, რომელთა ასაკი განსაზღვრულია III საუკუნითა და IV საუკუნის დასაწყისით. ნამოსახლარზე დადასტურებულია ორი სამშენებლო დონე. ზედა დონეზე სამშენებლო მასალად გამოყენებულია საგანგებოდ შერჩეული რიყის ქვები. ქვა გამოყენებულია საძირკველში. კედლები კი ამოყვანილი უნდა ყოფილიყო ალიზის აგურებით [Рамишвили, Джорбенадзе 1976: 36-37, ტაბ. XIX,].

რაც შეეხება სასახლის გეგმარებას და მის

ჩვენეულ რეკონსტრუქციას, შეიძლება აქ ბევრი კითხვები გაჩნდეს. თუმცა გათხრების დროს დადასტურებული დეტალები გვაძლევს იმის ვარაუდის საფუძველს, რომ ცენტრალურ დარბაზს ოთხივე კუთხესთან უნდა ჰქონოდა სათავსები. მხედველობაში გვაქვს ნაგებობის სამხრეთი კედლის აღმოსავლეთ კუთხესთან, ძირითადი კედლის საძირკვლის გაყოლებაზე, დაფიქსირებული ქვის ნყოფა და მის გასწვრივ, არსებული იატაკის საგანგებოდ შემზადებული საფუძველი, რომელიც სათავსის იატაკი უნდა ყოფილიყო (ტაბ. IX, 2; ტაბ. XI-XII). ანალოგიური სურათი დადასტურდა ჩრდილოეთი კედლის ჩრდილო-დასავლეთ კუთხის სიახლოვეს. აქაც, საძირკვლის პარალელურად ორ რიგად ნაწყობი ქვებით ნაშენი სათავსის კედლის ნაშთი გაინმინდა (ტაბ. XIII). ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ დანარჩენ ორ კუთხესთან მოგვიანო ნაგებობების მიერ მთლიანად ნაშლილია ადრეული კვალი. იმის ვარაუდის საფუძველს, რომ სასახლეს ამ კუთხეებშიც უნდა ჰქონოდა სათავსები გვაძლევს ნოქალაქევეში აღმოჩენილი ნაგებობის გეგმარება. ის გარკვეულწილად ემსგავსება ჩვენს ნაგებობას. მკვლევარებს, ნოქალაქევის აღნიშნული არქიტექტურული ნაგებობის ნაშთი, მეფეთა პირველი სასახლის ნანგრევად მიაჩნიათ. ავტორები სასახლეს IV საუკუნით ათარიღებენ [ზაქარაია, კაპანაძე 1991: 87-88, ნახ. 29; ტაბ. X-XI]. უფრო ადრეულ და შორეულ პარალელად, რომელიც ნოქალაქევისა და ჩვენი სასახლის მსგავსების ასოციაციას იწვევს, არის კიროს დიდის სასახლე პერსეპოლისში (ტაბ. XVI, 3) [Perrot G., Ghipic Gh. 1890: 667, ნახ. 411].

სასახლე გადახურული ყოფილა ღარისებული და ბრტყელი კრამიტებით. ღარიანი კრამიტებიდან მხოლოდ ერთი შეკონინდა და მისი ზომების დადგენაც მოხერხდა: სიგრძე – 47,5 სმ, სიგანე წინა მხარეს – 21 სმ, სიგანე უკანა მხარეს – 11 სმ, კეცის სისქე 2 სმ. რაც შეეხება ბრტყელ კრამიტებს, შედარებით მთლიანი ნიმუშის მიხედვით, მათი სიგრძე 46 სმ-ია, სიგანე 31 სმ, აკეცილი გვერდის სიმაღლე 5,5 სმ, კეცის სისქე – 2-2,5 სმ (ტაბ. XVII, 14-17). კრამიტებიდან ზოგიერთზე შემორჩენილია წითელი საღებავის კვალი (ტაბ. XVII, 14, 16, 17). მსგავსი ღარისებრი და ბრტყელი კრამიტები აღმოჩენილია აღმოსავლეთ საქართველოს გვიანანტიკური და ადრეული

შუა საუკუნეების არაერთ ძეგლზე: მცხეთაში, ურბნისში, რუსთავში [ჭილაშვილი 1964: 106; სინაურიძე 1966: 71-72], ლოჭინის ნასოფლარზე [აბრამიშვილი, ჭილაშვილი 1962: 198], ჭერემის ნაქალაქარზე [მამაიაშვილი 2004: 136-137], ახალ ჟინვალში [რამიშვილი 1983: 124], უფლისციხეში [ხახუტაიშვილი 1964: 56; მინდორაშვილი 2008: 27] და სხვ. გამოთქმულია მოსაზრება, რომ შენობების კრამიტებით დახურვა უფრო მეტად ქალაქური ან სოფლად არსებული გამორჩეული, ნაგებობებისთვისაა დამახასიათებელი (მაგ. ეკლესია, სასახლე, კოშკი და სხვ.) [ჯღამაია 1980: 18].

ძალზე საყურადღებოა სასახლის თანადროული არქეოლოგიური მასალა, რომელიც თავდაპირველ მდგომარეობაში არ დაფიქსირებულა, და როგორც უკვე ითქვა, გვიანდელი მასალებიდან მოხდა მათი გამოცალკევება. ისინი ფორმებით, შემკულობით, თიხის სტრუქტურით და ა. შ. გვიანანტიკური და ადრეული შუა საუკუნეების ელფერს ატარებს. ამ პერიოდის არტეფაქტებს შორის გამოირჩევა სამზარეულო, სუფრისა და საყოფაცხოვრებო დანიშნულების კერამიკა.

სამზარეულო დანიშნულების ჭურჭლიდან აღსანიშნავია ე.წ. „თოკისებრი“ სარტყლებით შემკული დერგები (ტაბ. XVIII, 20). მათი ახლო პარალელები ცნობილია დედოფლის გორის გვიანანტიკური და ადრეული შუა საუკუნეების მასალებიდან (საინვ. №№ 11652, 12050).

სამზარეულო კერამიკის ჯგუფს განეკუთვნება ბადიები. განათხარ მასალაში მათი მხოლოდ ორი ნიმუშია წარმოდგენილი. ისინი გამომწვარია მოჩალისფროდ (ტაბ. XVIII, 16, 19). ერთ მათგანს ბაკოზე შემოუყვება ამოღარული კონცენტრული ხაზების სარტყელი (ტაბ. XVIII, 16). თიხა წმინდადაა განლეპილი. კეცი მკვრივია. ანტიკური ხანიდან მოყოლებული, გვიანდელი შუა საუკუნეების ჩათვლით ამ ჭურჭელს თითქმის არ შეუცვლია ფორმა. მსგავსი ბადიები მრავლადაა ცნობილი: თბილისიდან [გძელიშვილი, ტყეშელაშვილი 1961: ტაბ. 21], გლდანისიდან [Артилаквa и др. 1979: ტაბ. XCI], ურბნისიდან [სინაურიძე 1966: 50], უფლისციხიდან [მინდორაშვილი 2008: 25], თელავიდან [ჩიკოიძე 1979: 29], ერწო-თიანეთიდან [ჯორბენაძე 1982: 41], ახალი ჟინვალიდან [რამიშვილი 1983: 128], ჭერემის ნაქალაქარიდან [მამაიაშვილი 2004: ტაბ. VI].

დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი ბადიები დედოფლის გორაზე, გვიანანტიკურსა და ადრეული შუა საუკუნეების ფენებში.

სუფრის ჭურჭელს შორის ყველაზე მრავალრიცხოვანია ხელადეები (ტაბ. XVIII, 5-12). მათში რამდენიმე ტიპი შეიძლება გამოიყოს. გვხვდება: სამტურჩა ხელადეები (ტაბ. XVII, 2-3; ტაბ. XVIII, 21-22); წრიულპირიანი, ვინროყელიანი, ხელადეები (ტაბ. XVII, ნახ. 4-5); წრიულპირიანი ფართოყელიანი, ყელწიბოიანი ხელადეები (ტაბ. XVII, 6; ტაბ. XVIII, 5-7, 9-12). ჭურჭელს დაძერწილი აქვს ოვალურგანივკვეთიანი ყურები (ტაბ. XVIII, 7, 11, 12). სამწუნაროდ ყველა ხელადა ფრაგმენტულადაა შემორჩენილი, თუმცა ანალოგების მიხედვით, მათი სრული სახით წარმოდგენა რთული არაა. მსგავსი ფორმისა და შემკულობის ხელადეები აღმოჩენილია: მცხეთაში [აფხაზავა 1979: ტაბ. XXIX₅], ლოჭინის ნასოფლარზე [აბრამიშვილი, ჭილაშვილი 1962: 200-201], ურბნისში [ჭილაშვილი 1964: 114; სინაურიძე 1966: ტაბ. XIII], ახალ ჟინვალში [რამიშვილი 1983: 126-127], ჭერემის ნაქალაქარზე [მამაიაშვილი 2004: 130-132], ერწო-თიანეთში [ჯორბენაძე 1982: 41] და სხვ. პარალელური მასალების მიხედვით, ხელადეები ძირითადად III-V საუკუნეების ფარგლებში ექცევა.

ჯამები მომცროა პირმოყრილი, ოვალურკალთიანი (ტაბ. XVII, 10-12; ტაბ. XVIII, 14, 15, 17). მათ შორის გვხვდება ნითელპირიალა ნიმუშებიც (ტაბ. XVII, 11; ტაბ. XVIII, 18).

ნაგებობის გათხრებისას აღმოჩენილი არაკერამიკული მასალა ცოტაა. ესენია მინის ორი სასმისის ძირი. ფორმით ისინი ერთგვაროვანია. კონუსური მოყვანილობის, ქვემოდან ღრუ. მინა მომწვანოა, ირიზირებული (ტაბ. XVIII, 28-29). მინის ჭურჭლის სრული ფორმების წარმოდგენა ჭირს. ამგვარი ფორმის მინის სასმისების ძირები არც თუ იშვიათად გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოს განათხარ ძეგლებზე. მაგალითისთვის მოვიყვანთ სამთავროს სამაროვნის IV ს-ის სამარხიდან მომდინარე მინის ჭურჭლის ძირს [აფხაზავა 1979: ტაბ. V₇].

ამრიგად, დიდი ნაგებობიდან მომდინარე არტეფაქტები პარალელური არქეოლოგიური მასალის მიხედვით, ქრონოლოგიურად გვიანანტიკური ხანის დასასრულსა და ადრეული შუა საუკუნეების საწყის პერიოდში ექცევა.

ალბათ არ შევცდებით, თუ არტიფაქტების და შესაბამისად ნაგებობის თარიღსაც II-IV, ანდა III-IV საუკუნეებით განვსაზღვრავთ. ეს ასაკი მეტად ველარ გაახალგაზრდავდება, რადგან უკვე VI-VII საუკუნეებში ნაგებობის ტერიტორიაზე ჩნდება სამარხები, რომელთა აქ გამართვა შეუძლებელი იქნებოდა ნაგებობის ფუნქციონირების პირობებში.

მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რამდენიმე წლის წინ გამოვლენილ ნამოსახლარზე გათხრილ ობიექტებს შორის, ჩვენი აზრით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს რიყის ქვის საძირკველზე ალიზის აგურით ნაშენ კრამიტსახურავიან ნაგებობას. ამ ტიპის ნაგებობებს ანტიკური ხანიდან მოყოლებული ადრე შუა საუკუნეების დასაწყისამდე, ვხვდებით ისეთ დასახლებულ პუნქტებში როგორცაა: ურბნისი, ციხიაგორა, ძალისა, სამადლო, მცხეთა და ა. შ. მათი დანიშნულება და ქალაქური ტიპის დასახლებად გადაქცევა განაპირობა მათმა მდებარეობამ სავაჭრო-საქარავნო გზებზე და გზაჯვარედინებზე. ილმაზლოს სიახლოვეს აღმოჩენილი ნამოსახლარიც იქ მდებარეობდა, სადაც მტკვრის გასწვრივ იბერიიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ მიმავალი სავაჭრო გზა გადიოდა.

საქართველოზე გამავალი საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე გზის შესახებ წერს სტრაბონი თავის „გეოგრაფიაში“. იგი ანიშნავს: „... ასე ამბობენ, რომ ოქსოსი საზღვრავს ბაქტრიანას სოგდიანასაგან და ვარგისია სანადიროდ. ისე რომ ინდური საქონელი მიაქვთ მასზე და ადვილად შემოაქვთ ჰირკანიაში და მის მეზობლად მდებარე ადგილებში, ვიდრე პონტომდე მდინარეების მეშვეობით“, ან კიდევ: „არისტობულე ოქსოსს მიიჩნევს უდიდეს მდინარედ, მის მიერ ნახულთა შორის [რომლებიც კი] აზიაზე მიმდინარეობენ, გარდა ინდოეთის [მდინარეებისა]. [არისტობულე] და პატროკლეს სიტყვით ერატოსთენეც ამბობენ, რომ (ეს მდინარე) სანაოსნოა და ამ [მდინარით] ბევრი ინდური საქონელი შემოაქვთ ჰირკანიის ზღვაში, ხოლო აქედან ალბანიაში გადააქვთ და [შემდეგ] მტკვრით და მისი მომდევნო ადგილებით ექვსინში [ზღვაში] ჩააქვთ“. აკად. ოთ. ლორთქიფანიძე ამ ციტატას ასეთ განამრტებას ურთავს: ამრიგად სტრაბონი აღწერს სავაჭრო გზას, რომელიც მოემართებოდა ინდოეთი-

დან მდინარე ოქსოსით (თანამედროვე ამუდარია) ჰირკანიის (ე. ი. კასპიის) ზღვამდე, ხოლო შემდეგ მდინარე კვიროსით (მტკვარი) და „მისი მომდევნო ადგილების“ გავლით აღწევდა პონტოს, ე. ი. შავი ზღვის სანაპიროებამდე“. ოთ. ლორთქიფანიძის ვარაუდით აღნიშნულ გზას უნდა ეარსება ადრეელინისტური ხანიდან და არა მარტო ძვ.წ. III საუკუნის 80-იანი წლებიდან, არამედ უფრო ადრეც [ლორთქიფანიძე 2010: 97-99].

ამ გზის მნიშვნელობაზე წერდა აკად. ნ. ბერძენიშვილიც. იგი აღნიშნავდა, რომ ქვემო ქართლი შუა საუკუნეებში საქართველოს ერთ-ერთი მონინავე მხარე იყო და მის დანიშნულებასაც ხელი შეუწყო აქ გამავალმა გზამ. საქარავნო გზა თბილისიდან გადიოდა კუმის-კოდა—მარაბდა—მარნეულის დასახლებულ პუნქტებზე. მარნეულიდან კი მიემართებოდა ხუნანისკენ [ბერძენიშვილი 1966: 115]. პატივცემული მკვლევარი აქ აღარ ასახელებს თბილისსა და ხუნანს შორის არსებულ კიდევ ერთ პუნქტს, რომელიც არაბ და სპარსელ მოგზაურებთან გვხვდება. ესაა ყალა იბნ-ქანდამანი, ანუ ციხე გარდაბანი.

ლ. ჭილაშვილის აზრით, გარდაბანი არა მარტო მხარის სახელწოდებას, არამედ გარკვეულ პუნქტსაც აღნიშნავდა. ამის დასტურად მეცნიერს მოჰყავს ქართლის ცხოვრებაში დაცული ცნობა, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ აშოტ კურაპალატი მოუკლავთ გარდაბანს „ეკლესიასა შინა“. ასევე ბალაზურის გადმოცემით ჰაბიბ იბნ მასლამას აუღია ხუნანიც და გარდაბანიც. მაგრამ არსებობს წერილობითი წყაროები, სადაც გარდაბნის ნაცვლად გარდაბნის ციხე იხსენიება [ჭილაშვილი 1958: 186-187]. არაბულენოვანი და სპარსი გეოგრაფების მიხედვით (ისტარხი, იბნ-ჰაუკალი) ბარდავიდან თბილისისკენ მომავალ საქარავნო გზაზე მდებარე პუნქტების განლაგება ასეთია: ბარდავი, განჯა, შამქორი, ხუნანი, ყალა იბნ-ქანდამანი და თბილისი [ჭილაშვილი 1958: 185-186].

ლ. ჭილაშვილი მიიჩნევდა, რომ ყალა იბნ-ქანდამანი ქართული გარდაბანია. არაბული სახელი „ყალა იბნ-ქანდამანი“ აღნიშნავს ციხის ქართველთა ეპონიმისადმი კუთვნილებას. ყალა იბნ-ქანდამანი, ე. ი. გარდაბოსის ძის (შთამომავალთა, resp. გარდაბოსიანთა) ციხე. იგი მხარს უჭერდა იმ აზრს, რომლის მიხედვითაც გარდაბნის ადგილმდებარეობა

მოიაზრება სადღაც მდ. ქციის (ხრამის) მტკვართან შეერთების ადგილას. სადაც შემორჩენილია ნანგრევები და მას ყიზ-ყალის სახელით მოიხსენებენ. ვახუშტი ბატონიშვილი მას ხუნანის ნაქალაქარად მიიჩნევდა [ჭილაშვილი 1958: 192-193].

მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე აღმოჩენილმა ნამოსახლარმა, რომელიც ძალიან დიდ ტერიტორიაზეა გავრცელებული და რამდენიმე ათეულ ჰექტარს მოიცავს, კვლავ წინა პლანზე წამოსწია საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის რიგი საკითხების კვლევის აუცილებლობა. კონკრეტულად კი გარდაბნის, როგორც ადმინისტრაციული ცენტრის ლოკალიზაციის საკითხი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ლ. ჭილაშვილის ვარაუდით, გარდაბანი მდ. ხრამის მტკვართან შეერთების ადგილზე უნდა ყოფილიყო გაშენებული, იქ, სადაც დღემდე შემორჩენილია ნანგრევები. გარდაბნის ციხე სტრატეგიულად კარგ ადგილზე იყო აშენებული. მისი მდებარეობა, ორი მდინარის შეერთების ადგილას მალლობზე, გზასთან ახლოს, მის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე მიუთითებს [ჭილაშვილი 1958: 194].

სოფ. ილმაზლოსთან გამოვლენილი მრავალფენიანი ნამოსახლარი, თავდაცვის თვალსაზრისით, სტრატეგიულად განსაკუთრებულ ადგილზე არ მდებარეობს. მას ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ჩამოუდის მტკვარი, რომელიც მომხვედურისათვის, შესაძლოა, ერთ-ერთი წინაღობა ყოფილიყო. თუმცა, მისი გადალახვა მტრისთვის, ალბათ, დიდი პრობლემა არ უნდა ყოფილიყო, რადგანაც აქ მტკვრის კალაპოტი გაშლილია და მდორედაც მიედინება. ვფიქრობთ, ამ მასშტაბურ დასახლებას აუცილებლად უნდა ჰქონოდა გალავანი. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ქალაქი ხუნანი, რომელსაც ალიზის კედელი ჰქონდა შემოვლებული, რის გამოც მას „მტუერის ციხის“ სახელითაც მოიხსენებდნენ [ჭილაშვილი 1958: 195]. ასევე ცნობილია, რომ ძალისას დედაციხეს იცავდა 5 მ სისქის ალიზის აგურით ნაგები გალავანი [ბოხორაძე, მირიანაშვილი 1990: 1].

გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ნამოსახლარზე, მიუხედავად გათხრილი ფართობის სიმცირისა, ანტიკური ხანიდან მოყოლებული გვიანი შუა საუკუნეების ჩათვლით, აქ უწყვეტი ცხოვრების კვალი დას-

ტურდება. მხდველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოებაც, რომ შესწავლილი ფართობი 700 მ² მდებარეობს ნამოსახლარი ბორცვის ფერდობზე, ანუ პერიფერიაზე. ჩვენი ვარაუდით, ნამოსახლარის ცენტრალურ ნაწილში, სასახლის დროინდელი არქეოლოგიური ობიექტები უნდა არსებობდეს. ნამოსახლარის გრძელვადიანი საველე კვლევა-ძიება უსათუოდ ბევრ ახალ ინფორმაციას შემატებს ქართულ არქეოლოგიას და საქართველოს წარსულით დაინტერესებულ საზოგადოებას. ასევე გაარკვევს ყიზ-ყალას, იგივე გარდაბნისა და ახლად აღმოჩენილი ნასახლარის ურთიერთმიმართებას. ამ პუნქტებს შორის მანძილი არც ისე დიდია.

დაუსრულებელი ბრძოლების შედეგად ქვემო ქართლი არამარტო ქართული მოსახლეობით იცლებოდა, არამედ იცვლებოდა და დავინყებას ეძლეოდა გეოგრაფიული სახელწოდებებიც და საერთოდ რეგიონის ტოპონიმი. განადგურებული მოსახლეობის ადგილას მოსული ახალი თურქმანული ელი ძველ ტოპონიმებს არ იცნობდა და ახალ სახელწოდებებს ამკვიდრებდა. ამის შედეგად ბევრი ნასოფლარის და დასახლების სახელწოდება დავინყებას მიეცა [ბოშიშვილი 2015: 73].

ძველი გეოგრაფიული სახელწოდების ლოკალიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხერხია ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ცალკეული ადგილების, უბნების და მისთანების შემონახული სახელწოდებები, რომლებიც ხშირად ძველი დასახლებული პუნქტის ნამდვილ სახელს ირეკლავს. თუმცა, ზოგჯერ გვხვდება ისეთებიც, რომლებშიც ჩაქსოვილია ძველის დამახინჯებული ფორმები და საკმაოდ დაკვირვებას მოითხოვს სანყისი ფორმის დასადგენად. ქვემო ქართლის ახლანდელი ტოპონიმები წარმოშობის მიხედვით, შეიძლება დაჯგუფდეს შემდეგნაირად: გეოგრაფიული სახელწოდებები, რომლებიც 1. უძველესი დროიდან უცვლელად იხმარება; 2. ადრინდელი ფორმისგან ნაწილობრივ შეცვლილი; 3. გადაადგილებული სხვა ადგილას; 4. თარგმნის გზით მიღებული; 5. სრულიად შეცვლილი უცხო სახელწოდებებით; 6. თანამედროვე სახელწოდებებით შეცვლილი; 7. ამჟამად ნასოფლარებს შერჩენილი სახელები [ხარაძე 1991: 27-28, 115-116].

ჩვენ არ გამოვრიცხავთ, რომ დღევანდელი სოფლის სახელ ილმაზლოში არეკლილი

იყოს ამ დასახლების ძველი ქართული სახელწოდება. ილმაზლო თურქული სიტყვაა - Ylmaz-ისგან ნაწარმოები და უშიშარს, შეუდრეკელს ნიშნავს. იგივე მნიშვნელობისაა - Ylmazhk, რომელიც თურქულად სიმამაცის, გმირობის აღმნიშვნელია [გოგოჭური, ბერძენიშვილი 2014: 11]. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ნასახლარის შესწავლილ ფართობზე პირველი სამშენებლო ფაზის ნაგებობები ხანძრისგან გადამწვარია. არქეოლოგიური მასალის მიხედვით, აღნიშნული ფენა XVI-XVII საუკუნეების მიჯნით თარიღდება. შესაძლოა დღევანდელი სოფლის სახელწოდებაში აისახა ქართული მოსახლეობის თავგანწირული ბრძოლა გარეშე მტერთან. ყურადსაღებია ილმაზლოს მკვიდრთა შორის გავრცელებული ზეპირი გადმოცემაც, რომლის მიხედვითაც ნამოსახლარ ბორცვზე უცხოვრია ბუმბერაზ კაცს, რომელიც შიშის ზარს სცემდა ყველას და ახლოს მიკარებას ვერავინ ბედავდა.

სოფ. ილმაზლოსთან არსებული მრავალფენიანი ნამოსახლარი, რომლის უადრესი ფენები ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანებით თარიღდება, ხოლო უგვიანესი ახ.წ. XVI-XVII საუკუნეების მიჯნით, გვიანანტიკურ და ადრე შუა საუკუნეების საწყის ეტაპზე, ქვემო ქართლში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადმინისტრაციული ცენტრი უნდა ყოფილიყო.

ლიტერატურა

აბრამიშვილი, ჭილაშვილი 1962: აბრამიშვილი რ., ჭილაშვილი ლ. ლოჭინის ნასოფლარის არქეოლოგიური გათხრები, სსმმ, ტ. XXIII-B, გვ. 197-206. თბ.

აბრამიშვილი, გიგუაშვილი, კახიანი 1980: აბრამიშვილი რ., გიგუაშვილი ნ., კახიანი კ., ღრმახვეისთავის არქეოლოგიური ძეგლები, თბ.

აფხაზავა 1979: აფხაზავა ნ. ადრეული შუა საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს ნივთიერი კულტურა, თბ.

ბოხოჩაძე 1963: ბოხოჩაძე ალ. ადრეანტიკური ხანის სამარხები თეთრინყაროს მახლობლად. მსკა ტ. 3, გვ. 27-38.

ბერძენიშვილი 1966: ბერძენიშვილი ნ. გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში. თბ.

ბოშიშვილი 2015: ბოშიშვილი ალ. ქართლის სამეფოს სამხრეთის საზღვარი და სამხრეთის პროვინციები (XV-XVII სს.). თბ.

ბოხოჩაძე, მირიანაშვილი 1990: ბოხოჩაძე ალ., მირიანაშვილი ნ. ძალისას აკლდამა. თბ.

ბოხოჩაძე 1981: ბოხოჩაძე ალ. არქეოლოგიური გათხრები ალაიანსა და ძალისაში. თბ.

ბრაგვაძე, დავითაშვილი 1993: ბრაგვაძე ზ., დავითაშვილი ა. მცხეთიჯვრის სამაროვანი, თბ.

გაგოშიძე 1970: გაგოშიძე ი. სამადლოში მოპოვებული მოხატული ჭურჭელი, „ძეგლის მეგობარი“, №23, გვ. 41-46. რედ. ა. აფაქიძე. თბ.

გაგოშიძე 1964: გაგოშიძე ი. ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან. თბ.

გაგოშიძე 1968: გაგოშიძე ი. ითხვისის სამაროვანი, სსმმ, ტ. XX-B, გვ. 35-36. თბ.

გაგოშიძე 1982: გაგოშიძე ი. თრიალეთის სამაროვნები, კატალოგი III, ანტიკური ხანის სამაროვნები. თბ.

გამყრელიძე გ., ... 2018: გამყრელიძე გ., შატბერაშვილი ვ., ფირცხალავა მ., ჩარკვიანი მ. იარაღ-საჭურველი ძვ.წ. V - ახ. წ. IV საუკუნეების საქართველოში. თბ.

გვეტაძე 2003: გვეტაძე ჯ. ახალი მონაცემები კავთისხევის ციხიანთის მიდამოებიდან (ძვ.წ. VI-IV სს.). იბერია-კოლხეთი, №1, გვ. 14-22. რედ. გ. გამყრელიძე. თბ.

გოგოჭური, კალანდაძე 2013: გოგოჭური გ., კალანდაძე ნ. მნიშვნელოვანი აღმოჩენები მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე IV (49-). გვ. 18-66; რედ. ზ. თვალჭრელიძე. თბ.

გოგოჭური, ბერძენიშვილი 2014: გოგოჭური გ., ბერძენიშვილი ი. ტახის/ღორის კულტი ქართულ არქეოლოგიასა და ეთნოკულტურაში. საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე V (50-B). გვ. 10-37; რედ. ზ. თვალჭრელიძე. თბ.

გოგოჭური, ნიკოლაიშვილი, ... 2019: გოგოჭური გ., ნიკოლაიშვილი ვ., შატბერაშვილი ვ., ხარაბაძე ს. სოფ. გლდანი-ნორიოს მონაკვეთზე სამშენებლო ზონაში RR001 0-1-ზე გამოვლენილი ანტიკური ხანის ნამოსახლარზე (CH 453) 2018 წელს ჩატარებული საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების სამეცნიერო ანგარიში.

ზაქარაია, კაპანაძე 1991: ზაქარაია პ., კაპანაძე თ. ციხეგოჯი-არქეოპოლისი-ნოქალაქევი. ხუროთმოძღვრება. გამომცემლობა „მეცნიერება“. თბ.

თოლორდავა 1980: თოლორდავა ვ. დაკრძალვის ნესები ელინისტური ხანის საქართველოში, თბ.

კვიციანიძე 1975: კვიციანიძე კ. ადრეანტიკური ხანის ძეგლები სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოდან. საკანდიდატო დისერტაცია. თბ.

ლორთქიფანიძე, ... 1972: ლორთქიფანიძე ოთ., ფუთურიძე რ., თოლორდავა ვ., ჭყონია ა. არქეოლოგიური გათხრები ვანში 1969 წელს, ვანი I. გვ. 198-242. თბ.

ლორთქიფანიძე. 1995: ლორთქიფანიძე ოთ. ვანი „ოქრომრავალი“ კოლხეთის უძველესი რელიგიური ცენტრი. თბ.

ლორთქიფანიძე 2010: ლორთქიფანიძე ო. ძველი საქართველო [კოლხეთი და იბერია] სტრატონის გეოგრაფიაში. ახალი კომენტარები. შრომები. ტომი I. თბ.

მანჯგალაძე 1985: მანჯგალაძე გ. სამთავროს სამაროვნის გვიანანტიკური ხანის სამარხები (1976-1980 წლებში აღმოჩენილი სამარხული კომპლექსები). მცხეთა ტ. VII. თბ.

მარგიშვილი 1992: მარგიშვილი ს. ანტიკური ხანის მდიდრული სამარხები ალგეთის ხეობიდან. თბ.

მარგიშვილი, ნარიმანიშვილი 2004: მარგიშვილი ს., ნარიმანიშვილი გ. ალგეთის ხეობის ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები. თბ.

მახარაძე, ლაშხი 1997: მახარაძე გ. ლაშხი ლ. საირხის ელინისტური ხანის კერამიკა (საბადურის გორის არქეოლოგიური მასალის მიხედვით). ნარკვევები III, აკად. შ. ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების სახლმნიფო მუზეუმი, გვ. 38-60. თბ.

მახარაძე 1999: მახარაძე ზ. ახალი აღმოჩენები ციხიაგორაზე, ძიებანი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჟურნალი №4, გვ. 57-59. თბ.

მახარაძე, ნარიმანიშვილი 2001: მახარაძე ზ., ნარიმანიშვილი გ. ციხიაგორა აქემენიდურ ხანაში, ძიებანი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჟურნალი №7, გვ. 47-63. თბ.

მამიაშვილი 2004: მამიაშვილი ნ. ქალაქი ჭერემი, თბ.

მინდორაშვილი 2008: მინდორაშვილი დ. უფლისციხე შუა საუკუნეებში, თბ.

მუსხელიშვილი 1978: მუსხელიშვილი დ. ხოვლეს ნამოსახლარის არქეოლოგიური მასალა. თბ.

მუხიგულაშვილი 2015: მუხიგულაშვილი ნ. რკინის საბრძოლო იარაღები ძვ.წ. VI-III სს. არაგვის ხეობაში. იბერია-კოლხეთი №11. გვ. 69-97.

ნაკაიძე 1980: ნაკაიძე ნ. ძვ.წ. IV-III საუკუნეების ქვევრსამარხები „დაჭრილები“ სამაროვიდან. კავთისხევის არქეოლოგიური ძეგლები. გვ. 28-41. რედ. გ. ცქიტიშვილი. თბ.

ნარიმანიშვილი 2009: ნარიმანიშვილი გ. დარაქოს ნამოსახლარი და სამხრეთ კავკასიის აქემენიდური ხანის ისტორიის ზოგიერთი საკითხი. იბერია-კოლხეთი №5, გვ. 94-125. რედ. გ. გამყრელიძე. თბ.

ნარიმანიშვილი 2017: ნარიმანიშვილი გ. აღმოსავლეთ საქართველოს ძვ.წ. VII - ახ. წ. VII საუკუნეების კერ-

ამიკა, ნაწილი I, იბერია-კოლხეთი, №13. თბ.

ნარიმანიშვილი გ. 2018: ნარიმანიშვილი გ. აღმოსავლეთ საქართველოს ძვ.წ. VII - ახ. წ. VII საუკუნეების კერამიკა, ნაწილი II, იბერია-კოლხეთი, №14. თბ.

ნარიმანიშვილი, შატბერაშვილი 2002: ნარიმანიშვილი გ., შატბერაშვილი ვ. ძვ.წ. V-I საუკუნეების წითლად მოხატული კერამიკა ქართლიდან (სტილისტური ანალიზი, ქრონოლოგია), ძიებანი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჟურნალი №9. თბ.

ნიკოლაიშვილი 2005: ნიკოლაიშვილი ვ. დიდი მცხეთის ისტორიული ტოპოგრაფია (არქეოლოგიურ მონაცემთა მიხედვით), იბერია-კოლხეთი №2, გვ. 93-108; რედ. გ. გამყრელიძე. თბ.

რამიშვილი 1983: რამიშვილი რ. ახალი ჟინვალის სამაროვანი და ნამოსახლარი 1971-1973 წწ. განათხარის მიხედვით, კრ. ჟინვალი I. გვ. 81-130. თბ.

რამიშვილი 1959: რამიშვილი რ. კამარახევის სამაროვანი. კრ. მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. II. გვ. 5-53. რედ. ა. აფაქიძე. თბ.

სინაურაძე 1966: სინაურაძე მ. აღმოსავლეთ საქართველოს ადრეფეოდალური ხანის კერამიკა, მსმკი, ტ. I. გვ. 39-90. თბ.

სინაურაძე 1967: სინაურაძე მ. გვიანანტიკური და ადრეფეოდალური ხანის სამარხები ყოლოთოდან. სსმმ, ტ. XXVII-. გვ. 112-134. რედ. ო. ჯაფარიძე. თბ.

სინაურაძე 1983: სინაურაძე მ. კაზრეთის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, თბ.

ტყეშელაშვილი 1969: ტყეშელაშვილი ოთ. ფოლადაურის ხეობა ძვ.წ. VI-IV საუკუნეებში, მატერიალური კულტურის ძეგლები სოფ. შორის ნასოფლარიდან, თბ.

ფიცხელაური 1973: ფიცხელაური კ. აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები (ძვ.წ. XV-VII სს.), თბ.

ფიცხელაური 2013: ფიცხელაური კ. სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიის ეთნო-კულტურული სისტემა ბრინჯაო-რკინის ხანაში. თბ.

ქორიძე 1958: ქორიძე დ. თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, ნაწილი მეორე, თბ.

შატბერაშვილი 2012: შატბერაშვილი ვ. ხეცხმელას ხეობა ანტიკურ ხანაში, იბერია-კოლხეთი №8. გვ. 98-115. რედ. გ. გამყრელიძე. თბ.

შატბერაშვილი 1999: შატბერაშვილი ვ. ეცოს სამაროვნის ქრონოლოგიის საკითხი, ძიებანი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჟურნალი, №3, გვ. 57-67, თბ.

შატბერაშვილი 2005: შატბერაშვილი ვ. ქვემო ქართლი ძვ.წ. IV-I საუკუნეებში (არქეოლოგიური მასალის მიხედვით), საკანდიდატო დისერტაცია. თბ.

შატბერაშვილი 2003: შატბერაშვილი ვ. ძვ.წ. IV-III საუკუნის საბრძოლო იარაღიანი სამარხები სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოდან, იბერია-კოლხეთი №1, გვ. 118-129; რედ. გ. გამყრელიძე. თბ.

ცქიტიშვილი 2003: ცქიტიშვილი გ. ციხიაგორას სატაძრო კომპლექსი. ძიებანი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ოთ. ლორთქიფანიძის სახ. არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჟურნალი, დამატებანი XI, რედ. ზ. მახარაძე. თბ.

ნითლანაძე 1983: ნითლანაძე ლ. ვარსიმანთკარის სამაროვანი, კრ. ჟინვალის I. თბ.

ხარაძე 1991: ხარაძე კ. საქართველოს ისტორიული გეოგრაფია, ქვემო ქართლი. თბ.

ხახუტაიშვილი 1964: ხახუტაიშვილი დ. უფლის-ციხე I, თბ.

ხახუტაიშვილი 1970: ხახუტაიშვილი დ. უფლის-ციხე II, თბ.

ხოხობაშვილი, ძნელაძე 2008: ხოხობაშვილი თ., ძნელაძე მ. აბულმუგის ანტიკური ხანის სამაროვანი (ძვ.წ. IV-III სს.). თბ.

ჩიკოიძე 1979: ჩიკოიძე ც. ქალაქი თელავი. თბ.

ჩიხლაძე 2015: ჩიხლაძე ვ. ჟინვალის სამაროვანი. თბ.

ჭანიშვილი 2005: ჭანიშვილი თ. ზარაკების ტიპ-ოლოგია-ქრონოლოგიის საკითხები აღმოსავლეთ საქართველოს არქეოლოგიური მასალის მიხედვით. იბერია-კოლხეთი №2, გვ. 19-29. რედ. გ. გამყრელიძე. თბ.

ჭილაშვილი 1964: ჭილაშვილი ლ. ნაქალაქარი ურბ-ნისი. თბ.

ჭილაშვილი 1970: ჭილაშვილი ლ. ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, ტ. II. თბ.

ჭილაშვილი 1958: ჭილაშვილი ლ. ქალაქი რუსთავი. თბ.

ჯორბენაძე 1982: ჯორბენაძე ბ. ერწო-თიანეთი შუა საუკუნეებში. თბ.

ჯღამაია 1980: ჯღამაია ჯ. სამშენებლო კერამიკა ფეოდალური ხანის საქართველოში. თბ.

ჯღარკავა 1983: ჯღარკავა თ. კამარახევის სამარო-ვანი, მცხეთა VI, გვ. 139-190. თბ.

Артилаквa и др. 1979: Артилаквa В., Иремашвили Ш., Годзиашвили Н., Гочалеишвили М. Отчёт о полевой работе гданской археологической экспедиции, Полевые археологические исследования в 1976 г, сс. 197-204. Тб.

Бохочадзе 1979: Бохочадзе А. Раскопки на территории городища Саркине и Грдзели Миндори, ПАИ в 1976 г, сс. 106-117. Тб.

Бохочадзе, Мирианашвили 1982: Бохочадзе А., Мирианашвили Н. Основные итоги работ Настакисской археологической экспедиции в 1975-79 гг. Археологические исследования на новостройках Грузинской ССР. т. II, сс. 111-123. Тб.

Гагошидзе 1979: Гагошидзе Ю. Самадло, археологические раскопки. Тбилиси.

Гагошидзе 1981: Гагошидзе Ю. Самадло, каталог. Тб.

Гогибериძე 2003: Гогибериძე Н. Браслеты и гривны V-I вв. до н. э. Тб.

Кахиანი, и др. 1991: Кахиანი К., Глигвашиვი Э., Дзнелაძე М., Кереселиძე Г., Цквითინიძე З. Археологические исследования Машаверского ущелья в 1984-86 гг. ПАИ в 1986г, сс. 51-59. Тб.

Нариманишвили 1991: Нариманишвили Г. Керамика Картли V-I вв. до н. э. Тб.

Пицхелаური 1977: Пицхелаური К. Памятники полвины I тысячелетия до н. э. на территории Кахетии, Советская Археология №3, сс. 221-229. М.

Рамишвили, Джорбенаძე 1976: Рамишвили Р., Джорбенаძე В. Археологические исследования в зоне строи-

тельства Жинвальского гидротехнического комплекса. Археологические исследования на новостройках Грузинской ССР, сс. 30-44 (редакторы Лордкипанидзе О. Д., Микеладзе Т. К.). Тб.

Тушишвили, Амиранашвили, Маргишвили 1987: Тушишвили Н., Амиранашвили Д., Маргишвили С. Археологическая экспедиция Алгетского ущелья, ПАИ в 1984-85 гг, сс. 20-21. Тб.

Perrot, Ghipicz 1890: Perrot G., Ghipicz Gh. Histoire L' Art, Dans L' Antiquite. Tome V. Paris.

ტაბულების აღწერილობა

ტაბ. I. 1. ძეგლის ადგილმდებარეობა სამხრეთ კავკასიის მასშტაბით. 2. ძეგლის მდებარეობა ქვემო ქართლის რეგიონში. 3. ნამოსახლარზე გათხრილი I უბანი.

ტაბ. II. ნამოსახლარის გათხრილი ფართობის გენგეგმა.

ტაბ. III. ნამოსახლარის გათხრილი ფართობის ჭრილები.

ტაბ. IV. 1-2. ორმოსამარხი №1 (II) პრეპარაციის შემდეგ. 3-15. სამარხეული მასალა. 3-5. თიხის ჭურჭელი. 6-7. რკინის შუბისპირები. 8. რკინის დანა. 9. ვერცხლის რგოლი. 10. ბრინჯაოს ბეჭედი. 11. ბრინჯაოს ზარაკი. 12-13. ბრინჯაოს ზურგშედრეკილი სამაჯურები. 14. ალექსატრის თაბაშირის კვირისტავი. 15. მინის მძივები.

ტაბ. V. 1. სამარხი №10 პრეპარაციის შემდეგ. 2. თიხის დოქი. 3. მინის მძივები. 4. №12 სამარხის ნაშთი. 5-6. თიხის ჭურჭელი.

ტაბ. VI. 1. №13 სამარხის ნაშთი, პრეპარაციის შემდეგ. 2. სამარხის გეგმა და ჭრილი. 3. თიხის ხელადა. 4. თიხის ფიალა. 5. ბრინჯაოს რგოლები. 6. ბრინჯაოს ზურგშედრეკილი სამაჯურები. 7. რკინის ბეჭედი. 8. მინისებური პასტის მძივები; 9. №18 სამარხის ნაშთი. 10. რკინის სამაჯურის ფრაგმენტები.

ტაბ. VII. 1-6. თიხის ჭურჭლის ნატეხები ნამოსახლარის დაზიანებული ფენებიდან. 7, 8, 12, 15-19. თიხის ჭურჭლის ნატეხები ელინისტური ორმოებიდან. 9-11. 13. 14. II უბნის ფენისეული თიხის ჭურჭლის ნატეხები.

ტაბ. VIII-XIV. სასახლის ნაშთის დეტალები.

ტაბ. XV. 1-2. სასახლის საძირკვლის ქვეშ არსებული ალიზის აგურებით შედგენილი ადრებრინჯაოს ხანის საკურთხეველი.

ტაბ. XVI. 1. სასახლის რეკონსტრუქცია (გამთხრელის მიხედვით). 2. ნოქალაქევი. მეფეთა პირველი სასახლის აქსონომეტრია (პ. ზაქარაიას და თ. კაპანაძის მიხედვით). 3. კიროსის სასახლის გეგმა. ძვ.წ. V ს. (ყ. პეროსა და შ. შიპიეზის მიხედვით).

ტაბ. XVII. სასახლის დროინდელი თიხის ჭურჭელი და კრამიტები.

ტაბ. XVIII. სასახლის დროინდელი თიხის ჭურჭლისა და კრამიტების გრაფიკული ჩანახატები.

I




1



2




3





III


პროლი 10-10



სტრუქტურული პროლი 11-11








IV





V

10






4




8




7



9



10



VIII



1



2

IX



1



2

X



1



2

XI



1



2

XII



1



2

XIII



XIV



1



2

XV




1




2


XVI



1. ილმაზლოს სასახლის რეკონსტრუქცია (გ.გოგოჭურის მიხედვით)





2. ნოქალაქევი. მეფეთა პირველი სასახლის ნაშთის აქსონომეტრია (პ.ზაქარაიასა და თ. კაპანაძის მიხედვით)




3. კიროსის სასახლის გეგმა (უ. პეროსა და შ. შიპიუზის მიხედვით)

XVII



XVIII



ოქროს ისრისპირისებური საკიდები

ოქროს სამკაულის, ზოგჯერ მხოლოდ ერთი ნიმუშის, შესწავლის საფუძველზე შესაძლებელია ქართული, კერძოდ, ძველი კოლხეთისა და იბერიის ოქრომჭედლობის განვითარების ხაზის, მისი თვითმყოფადობისა და თავისებურებების, ტრადიციულობისა და სიახლეების ურთიერთკავშირის, მხატვრული ტენდენციების ცვლილებათა ხასიათის განსაზღვრა. ამჟამად ყურადღება გამახვილდა ოქროს სამკაულის მცირერიცხოვან ჯგუფზე – საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ სამფრთიან ე.წ. ისრისპირისებურ საკიდებზე, რომლებიც არაერთხელ ყოფილა მოხსენებული კლდეეთის, ხაიშის, სამადლოს, ვანის ძეგლების კვლევისას [ლომთათიძე 1957:37-38,180; ჯავახიშვილი 1958:156 (იგივე იხ.: [ჯავახიშვილი 2017:146]); გაგოშიძე 1967:62-63; Гагошидзе 1979:76; ჭყონია 1981:76-77; კვიციანი 2011:103]. საკიდების ამ სახეობის გამოჩენა მიჩნეული იყო უცხო სამყაროდან შემოდნულ ინოვაციად და ერთ-ერთ დადასტურებად ახალი მხატვრული ტენდენციების გავრცელებისა ძვ.წ. მეოთხე საუკუნის დასასრულსა და შემდგომ პერიოდში [Чкониа 1985:523; Chqonia 2000:69].

ისრისპირისებური საკიდები მარტივი აგებულებისაა, ვიზუალურად სადა და მსუბუქი. საკიდის ძირითადი ნაწილი – სამი ფრთა გამოყვანილია ფირფიტებით: სათანადოდ გამოჭრილი – რომბული ან ცალ მხარეს წაგრძელებული, პირობითად, ოვალური – ორი ფირფიტა გაკეცილია შვეული ღერძის გასწვრივ 120°-იანი კუთხის ფარგლებში და ფირფიტების ნახევარი მირჩილულია ერთმანეთთან (ამიტომ ერთი „ფრთა“ ორფენოვანია). ფრთების ზედა ნაწილზე დამაგრებულია (ასევე მირჩილულია) მავთულისაგან შედგენილი მრგვალი ყუნწი; ქვემოთ – ერთი ან რამდენიმე ცვარა.

საკიდის სახელწოდება „ისრისპირისებური“ პირობითია, ნათარგმნია ძველბერძნულიდან და მისი წარმოშობა საუკუნეთა სიღრმეში – ძვ.წ. მესამე საუკუნის საბერძნეთში მიდის. დელოსის არტემიდეს ტაძ-

რის საგნძურის აღწერილობაში (ძვ.წ. 279წ.) — ღვთაებისადმი შეწირული საგნების სიაში ნახსენებია სამკაული ἰριος λίσχαιος (λίσχαια) ანუ ისრისპირისებური საკიდებისაგან შედგენილი ყელსაბამი [Homolle 1891:131; Michel 1900:682]. საერთოდ, სამკაულთა სახელწოდებების დადგენისას მნიშვნელოვანია ბერძნულ-ლათინურ წერილობით წყაროებში დაცული მონაცემების გათვალისწინება (მაგალითად, სხვადასხვა სახის ყელსაბამის აღმნიშვნელი ტერმინები ჰომეროსის დროიდანაა დადასტურებული [იხ.: Bielefeld 1968:C_{5,6}]. ცნობილია, აგრეთვე, საკიდის გამოსახულების მიხედვით წარმოქმნილი სამკაულის სახელწოდებები [იხ.: Coche de la Ferté 1956:63-64] — ავტორი ეყრდნობა პოლუქსის „ონომასტიკონს“ - Pollux, V. 16, 97). ამ შემთხვევაში საყურადღებოა, რომ ახალ დროში მისაღები აღმოჩნდა და, ძირითადად დამკვიდრდა კიდეც ძველბერძნულიდან სხვადასხვა ენაზე ნათარგმნი (და არა უშუალოდ ძველბერძნული) ტერმინი. თუმცა, ის ზუსტად არ გამოხატავს საკიდის რეალურ ფორმას: ჯერ ერთი, ძველბერძნული λίσχαι (λίσχαια) ერთდროულად აღნიშნავს ისრისპირს და შუბისპირს; ხოლო, ჩვეულებრივ, შუბისპირს ორი ნახნაგი აქვს. და მეორე, საკიდი არ არის მოცულობითი — ისრისპირის „ნახნაგები“ გამოსახულია ფრთების სახით. ზოგიერთი მკვლევარი (ფ. დე ვეილი, გ. ლომთათიძე, დ. უილიამსი), როგორც ჩანს, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, საკიდის ფორმას ნიფლის ხის ნაყოფის გამოსახულებას ამსგავსებს ([Waele 1931:421, შენიშვნა 1; ლომთათიძე 1957:37-38; Williams,... 1994: 42, 74, 96, 99, 168, 191]. ფ. დე ვეილის მოსაზრება საკიდის ფორმისა და წარმომავლობის შესახებ გამოქვეყნებული გასული საუკუნის ოცდაათიანი წლების დასაწყისში, შემდგომი პერიოდის ავტორების მხრიდან ყურადღების მიღმა დარჩა). გარკვეული შეუსაბამობის მიუხედავად, ალბათ, მაინც მიზანშეწონილია კონკრეტული სამკაულის მახასიათებლად ერთი ტერმინის — „ისრისპირისებურის“ გამოყენება, რაც აღწერის უნიფიცირებული

სისტემის ჩამოყალიბების საწინდარია.

საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილი ისრისპირისებური საკიდების რიცხვი მცირეა — არსებული მონაცემების მიხედვით, მხოლოდ 30 ერთეულია (აქ იგულისხმება ყველა ნიმუში ერთად, თარიღის გათვალისწინების გარეშე): ვანის ნაქალაქარიდან ცნობილია 6 საკიდი, სამადლოდან — 7, კლდეეთიდან — 13; ხოლო ხაიშის სამკაულს შემორჩა 4 საკიდი, როგორც მისი ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტი. ბატონი ალექსი ბოხოჩაძის ცნობის თანახმად, ოქროს ისრისპირისებური საკიდები აღმოჩნდა სარკინეში (1974 წლის გათხრები). მოკლე ანგარიშში მითითებულია მხოლოდ აღმოჩენის ფაქტი; არ არის მოცემული აღწერა, ზომა, რაოდენობა [Бохочаძე 1976:64]. სამწუხაროდ, ნიმუშების შესწავლა ჯერჯერობით ვერ მოხერხდა.

ვანის საკიდებიდან ოთხი — შემთხვევითაა აღმოჩენილი სხვადასხვა დროს და ნაქალაქარის სხვადასხვა მონაკვეთზე [ჭყონია 1981:76:77, 117, კატ. №№101-104, სურ. 50]. ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისგან შემადგენელი ელემენტებითა და ზომებით. ორი საკიდის ფრთები ნახევარომბის მოყვანილობისაა; ზემოთ — სადა მავთულისგან შეკრული რგოლი ანუ ყუნწი, ქვემოთ — ცვარათი შედგენილი პირამიდა ფრთებისგან გამოყოფილია სადა ირგვლივი მავთულით. ერთ საკიდზე — ორფენოვან ფრთაზე — ფირფიტის კიდეები არაზუსტადაა შემოჭრილი და ერთმანეთთან მირჩილული ნახევარომბები არ ემთხვევა ერთმანეთს (სურ.1). მეორე საკიდის ყუნწზე შებმულია ძენკვი, შედგენილი რვიანისებური ორადმოკეცილი რგოლებისაგან (დამზადებულია ე.წ. loop-in-loop პრინციპით. [იხ.: Higgins 1980:16-17, fig 3]). შემორჩენილია ძენკვის ოთხი რგოლი (სურ.2). დანარჩენი ორი საკიდის ფრთები ზემოთკენ გაფართოებულია, ემსგავსება ნახევაროვალს. ერთ საკიდზე ფრთებსა და ყუნწს შორის მოთავსებულია ირგვლივი ღარებით შემკული ცილინდრი (მსგავსი დაღარული მილაკისა). ფრთები ბოლოვდება შევული ღერძის გასწვრივ ერთმანეთთან მირჩილული სხვადასხვა ზომის ორი ცვარათი. ზედა, შედარებით მსხვილი, ცვარა შემოსაზღვრულია სადა ირგვლივი მავთულით (სურ.3). მეორე საკიდი ფრაგმენტულია; ბოლოვდება ერთი მსხვილი ცვარათი. ფრთებსა და ცვარას შორის,

ასევე, სადა ირგვლივი მავთულია დარჩილული (სურ.4). სრული საკიდების სიმაღლე 11,5-16 მმ შორის მერყეობს.

განხილული ნიმუშებისგან შედარებით რთული აგებულებითა და დეტალების სიმრავლით გამოირჩევა ორი საკიდი, რომლებიც აღმოჩნდა ვანშივე, ნაქალაქარის ზედა ტერასის ჩრდილო-აღმოსავლეთ კალთაზე გათხრილი, სავარაუდოდ, ტაძრის შიგნით (საველე დოკუმენტაციის მიხედვით, №3 ნაგებობის შიგნით, დედაქანის ზედაპირთან ახლოს განფენილ შრეში. ნაქალაქარის ამ მონაკვეთზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების ხელმძღვანელის ბატონი გ. კვირკველიას ვარაუდით, ძვ.წ. მესამე საუკუნის დასაწყისისთვის №3 ნაგებობა უკვე არსებობდა. დაწვრილებით იხ.: [კვირკველია 2011:102-104, ტაბ.III_გ]). აღსანიშნავია, რომ ისრისპირისებური საკიდები, მოპოვებული ვანში არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად, იშვიათ აღმოჩენათა რიცხვს ეკუთვნის და დათარიღებისთვის არქეოლოგიური კონტექსტის გათვალისწინების შესაძლებლობას იძლევა. თუმცა, აღმოჩენის პირობები და მცირერიცხოვნება გამორიცხავს მათი დანიშნულების დაზუსტებისთვის დამატებითი ინფორმაციის გამოვლენას. საკიდები ერთნაირია: სადა მილაკზე მოძრავად — ყუნწების საშუალებით (დამატებითი შუა რგოლის გარეშე) — დამაგრებულია სადა სფერო და მასზე მირჩილული სამი ფრთა. სფერო (უნახვრეტო), მსგავსად სფეროსებური მძივისა, მიღებულია ფირფიტისაგან გამოტვიფრული ორი ნახევარსფეროს ერთმანეთთან მირჩილვით (ამ შემთხვევაში რჩილვის ხაზი თარაზულია). ფრთები ნახევაროვალურ ფორმასთან მიახლოებულია — ზემოთკენ გაფართოებულია; ბოლოვდება ერთი მსხვილი ცვარათი. ფრთებსა და ცვარას შეერთების ადგილას დარჩილულია სადა ირგვლივი მავთული. საკიდების სიმაღლე 14 და 15 მმ-ია (სურ.5).

ვანის საკიდებიდან შემთხვევით აღმოჩენილი 4 ნიმუში დაცულია ს.ჯანაშიას სახელობის მუზეუმში (საქართველოს სახელმწიფო ეროვნული მუზეუმი), არქეოლოგიური გათხრების დროს მოძიებული ორი ერთნაირი საკიდი — ოთ. ლორთქიფანიძის სახელობის ვანის არქეოლოგიურ მუზეუმში (საქართველოს სახელმწიფო ეროვნული მუზეუმი).

ისრისპირისებური საკიდები ცნობილია

აღმოსავლეთ საქართველოდანაც, კერძოდ, სამადლოში 1912 წელს შემთხვევით გამოვლენილი კომპლექსიდან (სავარაუდოდ, სამარხეული ინვენტარის შემცველი კომპლექსიდან), რომელიც ძვ.წ. III საუკუნით დათარიღდა (დანვრილებით იხ.: [გაგოშიძე 1967:62-63, ტაბ. I, III; Гагошидзе 1979:76, табл. II; Гагошидзе 1981:табл. LX₁₃₋₁₄]).

სამადლოს საკიდებში დომინირებს ორი ელემენტი: ძირითადად ვარდული და საკუთრივ ისრისპირისებური სამკაული (სურ.6), ერთ შემთხვევაში ვარდულის ნაცვლად მძივია (სურ.7). ისინი ერთმანეთთან დაკავშირებულია მოძრავად, ყუნნების საშუალებით (დამატებითი რგოლის გარეშე). ვარდული შვიდფურცლიანია, შუაში მსხვილი ცვარათი. ფურცლები გამოყვანილია სადა ფირფიტაზე დარჩილული მავთულით. ასევე მავთულითაა შემოსაზღვრული ვარდულის შუაგული. უკანა მხარეს, ცენტრში ერთი ყუნნია. მძივი კასრისებურია, დაღარული; ფართო ნახვრეტთან მავთულია შემოვლებული. ისრისპირისებური სამკაული სადაა (ცვარათი აღნიშნული დაბოლოების გარეშე), ფრთები მოყვანილობით ნახევაროვალის მსგავსია — ზემოთკენ გაფართოებულია. ვარდულიანი საკიდის სიმაღლე 23-24 მმ-ს შორის მერყეობს; მძივიანი საკიდის სიმაღლე 17 მმ-ია.

სამადლოს საკიდები სამ მუზეუმშია გადანაწილებული: სამი ცალი დაცულია შ. ამირანაშვილის სახელობის მუზეუმში (საქართველოს სახელმწიფო ეროვნული მუზეუმი), სამი — ს. ჯანაშიას სახელობის მუზეუმში (საქართველოს სახელმწიფო ეროვნული მუზეუმი), ერთი (მძივიანი) — სახელმწიფო ერმიტაჟში.

დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, კლდეეთსა და ხაიში მოპოვებულ ნიმუშებზე დაყრდნობით ირკვევა, რომ საკიდების ეს სახეობა არსებობას განაგრძობს ახ.წ. პირველ საუკუნეებში. უფრო ზუსტი თარიღის დადგენა აღმოჩენის პირობების მიხედვით ვერ ხერხდება. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია იმ ფაქტის აღნიშვნა, რომ ოქროს ისრისპირისებურ საკიდებს შენარჩუნებული აქვს თავისი ფუნქცია საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში (ასეთ დროს, ჩვეულებრივ, არ არის გამორიცხული შედარებით ძველი სამკაულის გამოყენებაც).

კლდეეთის საკიდები აღმოჩენილია შემთხვევით, არქეოლოგიური გათხრების დანყებამდე და, სავარაუდოდ, ახ.წ. მეორე საუკუნით დათარიღებულ სამაროვანს უკავშირდება — სამარხეული ინვენტარის შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს (იხ.: [ლომთათიძე 1957:37-38, 180, კატ. №26, ტაბ. XVI₂], მითითებულია 11 საკიდი, აქედან 8 ცალი დაზიანებულია; ტაბულაზე მხოლოდ 5 საკიდეა წარმოდგენილი. დაცულია ს. ჯანაშიას სახელობის მუზეუმში — საქართველოს სახელმწიფო ეროვნული მუზეუმი. ამათ გარდა, ორი საკიდი კლდეეთიდან ასევე დაცულია ს. ჯანაშიას სახელობის მუზეუმში (ინვ. №11-57:54).

საკიდების ძირითადი ნაწილი — 11 ცალი ერთმანეთის მსგავსია: დაღარულ მილაკზე მოძრავად — ყუნნების საშუალებით (დამატებითი შუა რგოლის გარეშე) დამაგრებულია ე.წ. ისრისპირისებური გამოსახულება (სამი ფრთა), რომელიც ბოლოვდება ოთხი ცვარასგან შედგენილი პირამიდით; ფრთები ზემოთკენ გაფართოებულია — ნახევაროვალურ ფორმასთან მიახლოებულია (სურ.8). კლდეეთის კომპლექსის გამოქვეყნებისას ბატონმა გ. ლომთათიძემ სამკაულს „წინიბოიანი საკიდები“ უწოდა და, როგორც უკვე იყო აღნიშნული, წიფლის ხის ნაყოფის იმიტაციად მიიჩნია.

ორი საკიდი კლდეეთიდან ზემოაღწერილი ნიმუშებისგან განსხვავდება რამდენიმე დეტალით: ამ საკიდებზე ე.წ. ფრთები ნახევარომბული მოყვანილობისაა — ქვედა ნაწილი წაგრძელებულია და წვერთან ნაკვეთილია; სადაა, დაბოლოების — ცვარათი შედგენილი პირამიდის — გარეშე. დაღარულ მილაკთან ფრთების მოძრავად შეერთებისთვის დამატებით გამოყენებულია რგოლი, რომელიც მოქცეულია მილაკსა და ფრთებზე მირჩილულ ყუნნებს შორის. საკიდების საერთო სიმაღლე 23-დან 25 მმ-მდე მერყეობს, მილაკის სიგრძე — 7-დან 12 მმ-მდე.

საქართველოს ტერიტორიაზე ისრისპირისებური საკიდების გავრცელების ქრონოლოგიური საზღვრების (ამ შემთხვევაში ზედა საზღვრის) და, აგრეთვე, კონკრეტული ფუნქციის დადგენისთვის მნიშვნელოვანია ე.წ. ხაიშის განძის ოქროს ერთ სამკაულზე ყურადღების გამახვილება. სამკაული რთული აგებულებისაა; მოიცავს სხვადასხვა სახის ელემენტს, მათ შორის ისრისპირისებურ

საკიდებსაც; ნაკლულია — შემორჩა მხოლოდ ოთხი ისრისპირისებური და, აგრეთვე, სამი ე.წ. წვეთისებური საკიდი, რომლებიც სხვა დეტალებთან — სარდიონის მძივებიან მავთულსა და ძენკვთან ერთად — მოძრავად შეკიდულია სამკაულის ძირითად ნაწილზე — ორფერდასახურავიანი ნაგებობის („კომკურა სახლის“) გამოსახულებაზე. ისრისპირისებური საკიდები სადაა (ცვარათი აღნიშნული დაბოლოების გარეშე); ფრთები, პირობითად, ნახევარრომბისებური მოყვანილობის, ქვემოთ მკვეთრად წაგრძელებულია და წაკვეთილი. ზემოთ დარჩილია მრგვალი ყუნწი. ისრისპირისებური საკიდის სიმაღლე (ყუნწიანად) 11 მმ-ია (სურ. 9).

„განძი“, აღმოჩენილი 1948 წელს, სვანეთში — სოფ. ხაიშში წყალსადენის თხრილის გაყვანის დროს, როგორც ჩანს, სამარხეული ინვენტარის ნაწილია. მუზეუმამდე მიაღწია სულ 9 ნივთმა (დაცულია ს. ჯანაშიას სახელობის მუზეუმში — საქართველოს სახელმწიფო ეროვნული მუზეუმი). „განძის“ შემადგენლობაშია, უკვე მითითებული სამკაულის გარდა, ოქროს კისრის რკალი, ოქროს ორი ბეჭედი, ოქროს ორი მრგვალი ფირფიტა, ვერცხლის სამი სხვადასხვა ჭურჭლის ფრაგმენტები, რომლებიც ახ.წ. პირველი-მეორე საუკუნეებით დათარიღდა [ჯავახიშვილი 2017:143-149]. ბატონმა ალ. ჯავახიშვილმა, ფაქტობრივად, ხაიშის განძის პირველმა მკვლევარმა და გამომქვეყნებელმა, ხაიშის ოქროს სამკაულები დაახასიათა, როგორც ტლანქი და დაუხვეწავი, მაგრამ გამსჭვალული დეკორატიულობითა და მიმზიდველობით. ამ შეფასებაში, უპირველესად, იგულისხმება ზემოთ დასახელებული სამკაული, შემადგენელი ელემენტების ჩათვლით. ნლების განმავლობაში მას არ დაუკარგავს მიმზიდველობის უნარი და არ განელებულა მის მიმართ ინტერესი (ამაზე მეტყველებს მეცნიერთა არასრული ჩამონათვალი, რომელთა ნაშრომებში სათანადო ადგილი ეთმობა ხაიშის სამკაულის შესწავლას: გ. ლომთათიძე, ალ. ჯავახიშვილი, რ. ფუთურიძე, გ. ლორთქიფანიძე, გ. ლეჟავა, მ. ჯანდიერი, გ. ყიფიანი, მ. ოდიშელი, ნ. ლორთქიფანიძე...); სამკაულთან მიმართებაში გამოიკვეთა არაერთი აქტუალური საკითხი, რომლებიც მომავალში საგანგებო განხილვას მოითხოვს. ისრისპირისებურ საკიდებთან დაკავშირებითაც,

მათი გავრცელებისა თუ დანიშნულების გარკვევის მიზნით, შესაძლებელი გახდა, დამატებით, ზოგიერთი დეტალის გათვალისწინება-დაზუსტება.

ხაიშის ისრისპირისებური საკიდები გამოირჩევა ზოგიერთი თავისებურებით. აღსანიშნავია მისი სისადავე და მარტივი აგებულება — მხოლოდ სადა ფირფიტისგან გამოყვანილი ფრთები და სადა მავთულისგან შედგენილი ყუნწი დამატებითი დეტალების გარეშე, აგრეთვე, ფრთების მკვეთრი ასიმეტრიზმი, მცირე ზომა. ამ ნიშნებით ისინი განსხვავდება შედარებით ადრეული პერიოდის ნიმუშებისგან, მაგრამ ძნელი გასარკვევია, არის თუ არა ეს დაკავშირებული გვიანდელ თარიღთან თუ ადგილობრივი ოქრომჭედლის თავისებური სტილის გამოვლინებაა. სავსებით მისაღებია ხაიშის სამკაულის დათარიღება ზოგადად ახ.წ. პირველი საუკუნეებით. ბატონი ალ. ჯავახიშვილის მითითებით, ხაიშის განძის თარიღი განისაზღვრება ახ.წ. პირველი ან მეორე საუკუნით ვერცხლის ჭურჭლის და ოქროს სამკაულის მხატვრული სტილის მიხედვით. მისივე შენიშვნით, ხაიშის ოქროს სამკაულზე არქაული ნიშნების არსებობა ადგილობრივი სახელოსნოს სპეციფიკით აიხსნება [ჯავახიშვილი 2017:149]. ხაიშის ოქროს სამკაულზე დაკვირვება იძლევა საფუძველს დასკვნისთვის, რომ მისი შემადგენელი ყველა ელემენტი, ისრისპირისებური საკიდების ჩათვლით, ერთ სახელოსნოში ერთდროულადაა დამზადებული, სავარაუდოდ, ერთი ოსტატის ნახელავია (ცნობილია შემთხვევები, როდესაც რთული აგებულების მრავალელემენტიანი სამკაულის შექმნაზე მუშაობდა ერთად რამდენიმე ოსტატი. მაგალითად იხ.: [Williams,... 1994:146, №88]). აქედან გამომდინარე, გამორიცხულია ამ სამკაულზე ისრისპირისებური საკიდების მეორადი გამოყენება. ამგვარად, ხაიშის და კლდეეთის ნიმუშებზე დაყრდნობით, აშკარად დადასტურდა ახ.წ. პირველ-მეორე საუკუნეებში საქართველოს ტერიტორიაზე ისრისპირისებური საკიდების გავრცელების ფაქტი.

ხაიშის საკიდებთან დაკავშირებით კიდევ ერთ საკითხზე — სამკაულში მათ ადგილსა და ფუნქციაზე უნდა გამახვილდეს ყურადღება. ზემოთ განხილულ ნიმუშებს შორის ხაიშის საკიდები ერთადერთი გამონაკლისია, როდესაც სამკაულის შემადგენლობაში ზუს-

ტად ჩანს მათთვის განკუთვნილი ადგილი.

საერთოდ, საკიდების დანიშნულებისა და ადგილის გარკვევა საკმაოდ რთულია. მძივებისა და მილაკების მსგავსად, ისინი მრავალფუნქციური, დამოკიდებული სამკაულია — ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია თავსამკაულის, საყურეების, ყელსაბამების და ა.შ. სხვადასხვა სახისაა — ცხოველის და ფრინველის გამოსახულებანი, მცენარეული ნაყოფის მსგავსი, გეომეტრიულ ფორმებთან მიახლოებული — რომბისებური, ცილინდრული, პირამიდული, ბიპირამიდული, კონუსური... თავდაპირველი ჩანაფიქრით, ბუნებრივია, თითოეულ ნიმუშს განსაზღვრული ჰქონდა თავისი ადგილი, რისი დადგენა ხშირ შემთხვევაში ძნელდება, არქეოლოგიური გათხრების *in situ* მათი ფიქსაციის პირობებშიც კი. გარდა ამისა, თითოეულ ნიმუშს, ალბათ, მინიჭებული ჰქონდა განსაკუთრებული მნიშვნელობა, რისი ამოცნობაც დღეს თითქმის შეუძლებელია.

ისრისპირისებურ საკიდთან მიმართებაში ჩნდება ასეთი კითხვა — აქვს თუ არა განსაკუთრებული დატვირთვა მის ფორმას, თუ ეს მხოლოდ ოსტატი-შემოქმედის მხატვრული გემოვნების გამოსახულებაა?

ძველი დროის სამკაულში, როგორც ჩანს, არაფერი ყოფილა შემთხვევითი და გაუაზრებელი; მაგრამ ამ სიღრმეებში წვდომა — შემოქმედი-ოქრომჭედლის ზუსტ ჩანაფიქრთან მიახლოება რეალურად ვერ ხერხდება. ძველი საიუველირო ხელოვნების ცნობილი მკვლევარი ჰერბერტ ჰოფმანი აღნიშნავდა, რომ ბერძნული სამკაული არასდროს ყოფილა, უკანასკნელ ფაზაშიც კი, მხოლოდ დეკორატიული, მოკლებული რელიგიურ შინაარსს. თუმცა, შეიძლება, ეროტის თუ აფროდიტეს გამოსახულებიანი სამკაულის მფლობელი პიროვნება გამუდმებით აღარ ფიქრობდა მათზე... [Hoffmann, ... 1965:13]. რელიგია ხელშეუხებელს არ ტოვებდა არც ერთ მხარეს ადამიანის არსებობისა და ეს ნათლად აირეკლა ოქროს სამკაულზეც. რელიგიური აზრი, ალბათ ჩადებული იყო ოქროს ისრისპირისებურ საკიდებშიც. ზემოთ, „ისრისპირისებურის“, როგორც ტერმინის განხილვისას, აღინიშნა, რომ ზოგიერთმა მეცნიერმა საკიდის ფორმა ნიფლის ხის ნაყოფის გამოსახულებას მიახლოებდა. მათ შორის იყო ინგლისელი მეცნიერი დ. უილიამსი,

რომელმაც ეჭვის ქვეშ დააყენა დელოსის ტაძრის საგანძურის აღწერილობაში მოხსენებული ტერმინის სისწორე (მიანერა ეს შეცდომა ტაძრის მსახურის სუბიექტურ ხედვას). მან უპირატესობა მიანიჭა მცენარეულ მოტივთან დაკავშირებულ ტერმინს, რადგან ამ მოტივის რელიგიური მნიშვნელობა, სხვა საკიდებთან კონტექსტში, უფრო სარწმუნოდ მიიჩნია [Williams, ... 1994:42]. ყველა შემთხვევაში საკიდების გაფორმებას, რომელიმე მცენარის ნაყოფის (მაგალითად, ნიფლის ხის ნაყოფის) თუ ისრისპირის მსგავსად, რელიგიური დატვირთვა აუცილებლად ექნებოდა. აქ გასათვალისწინებელია ისიც, რომ ისრისპირი, თავისი პირდაპირი დანიშნულების გარდა, გამოიყენებოდა, აგრეთვე, ტალისმანად. ბატონ იულ. გაგოშიძის ცნობის თანახმად, ამის მაგალითები დასტურდება სამადლოს არქეოლოგიურ მონაპოვარში, ასევე, ჩრდილო შავიზღვისპირეთში, განსაკუთრებით სკვიტებთან [Гагошидзе 1979:38].

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ისრისპირისებური საკიდების შესახებ შედარებით სრულყოფილი სურათის წარმოდგენა, მიუხედავად მათი მცირერიცხოვნებისა და ფრაგმენტულობისა, შესაძლებელია ანალოგიური მასალის მოშველიებით. ცნობილია, რომ ისრისპირისებური საკიდები ხშირად გამოიყენებოდა ყელსაბამებში, განსაკუთრებით — ე.წ. სარტყელისებურ ყელსაბამებში (ისრისპირისებური საკიდიანი ნიმუშები გამოყოფილია ცალკე ტიპად, იხ.: [Blanck 1974:126-127], ხოლო მ. რუქსერის საკიდების კლასიფიკაციაში *λόγχια* გაერთიანებულია BII 2c ჯგუფში [Ruxer, ... 1972:51, 191]). საკიდებთან ერთად ძეწკვების რამდენიმე მჭიდრო რიგისგან შედგენილი სამკაული (ზოგჯერ საკიდების გარეშეც, იხ.: [Amicis, ... 1989:217-219, №151; Pfrommer 1990: pl.10,]) დიდი პოპულარობით სარგებლობდა ე.წ. გვიანკლასიკურ და შემდგომ — ადრეელინისტურ ხანაში (იხ.: [Amandry 1953:79; Blanck 1974:41, 91; Higgins 1980:165; Deppert-Lippitz 1985:168]). ი. ბლანკის ნაშრომში, გრაფიკულად შესრულებული კლასიფიკაციის მიხედვით, ყელსაბამების ეს კატეგორია შესულია ჯგუფში, რომელიც ძვ.წ. მეოთხე საუკუნის დასასრულით და მესამე საუკუნით თარიღდება). ზოგიერთ შემთხვევაში ყელსაბამების თარიღს მყარად განსაზღვრავს არქეოლოგიური მასა-

ლის კონტექსტი — მათთან ერთად აღმოჩენილი მონეტები — ფილიპე მეორის, ალექსანდრე მაკედონელის სტატერები, აგრეთვე, ტორევეტიკული თუ კერამიკული ნიმუშები და სხვ. [Marshall 1911:XXXVIII; Waele 1931:421-422; Davidson 1952:256-257; Richter 1953:15]. ისრისპირისებური საკიდებისგან შედგენილი ყელსაბამების დათარიღებისთვის გასათვალისწინებელია თ. ჰომოლის დაკვირვებაც, რომ დელოსის ტაძრის საგანძურის ძვ.წ. 364 წლის აღწერილობაში მსგავსი სამკაული ჯერ მოხსენებული არ არის [Homolle 1891:131].

სარტყელისებური ყელსაბამებისთვის დამახასიათებელია ერთგვაროვანი, ამ შემთხვევაში ისრისპირისებური საკიდების მკაცრად რითმული განლაგება, ცენტრალური ნაწილის გამოყოფის გარეშე — ადრეული პერიოდიდან შემორჩენილი ნიშან-თვისება, რომელიც კვლავ აღორძინდა გარკვეული ნყვეტილის შემდეგ [Higgins 1980:165; Ruxer, ... 1972:90, 197]. ამ ტიპის ყელსაბამის ერთერთი მნიშვნელოვანი დეტალია ვარდული, უშუალოდ დაკავშირებული ისრისპირისებურ საკიდთან. ზემოგანხილულ ნიმუშებში, როგორც აღინიშნა, ვარდული წარმოდგენილია მხოლოდ სამადლოს საკიდებზე. ცალკე — საკიდის გარეშე მსგავსი სამკაული აღმოჩნდა ვანშიც [ჭყონია 1981:87, კატ. №№262-265, სურ.66]. ბატონ იულ. გაგომიძის ვარაუდით, სამადლოს ორი ვარდული ამჟამად დაკარგული ისრისპირისებური საკიდების ნაწილები შეიძლება იყოს [Гагошидзе 1979:76, табл.II].

სარტყელისებური ყელსაბამები გამოირჩევა საკიდების მრავალრიცხოვნებით. დელოსის ტაძრის საგანძურის აღწერილობაში ერთი ყელსაბამის შემადგენლობაში 82 ისრისპირისებური საკიდია მითითებული, მეორეს შემადგენლობაში — 74 (ი. ბლანკის მიხედვით [Blanck 1974:41], შესაბამისად, Inscriptiones Graecae, XI, 2, 161, B23 და XI, 2, 161, B24). იგივეს ადასტურებს მაკედონიაში, ჩრდილო შავიზღვისპირეთსა და მცირე აზიაში აღმოჩენილი ნიმუშები (ზოგიერთი ნიმუში მაკედონიიდან იხ.: დერვენის სამაროვანი [Musti, ... 1992:№149.6], თესალონიკის მახლობლად, ე.წ. განიმედის ჯგუფი [Alexander 1940:fig.5; Williams, ... 1994:74, №30]. მცირე აზიიდან იხ.: ე.წ. კიმის ჯგუფი [Marshall 1911: №1946; Ruxer 1938:20; Hoffmann, ... 1965:115, №35; Williams, ... 1994:99, №53],

სმირნა [Hoffmann, ... 1968:18-19, №12; Deppert-Lippitz 1985:168, Abb.117]. ჩრდილო შავიზღვისპირეთიდან იხ.: პავლოვსკი [Ruxer 1938:pls. 27, and K₃; Segall 1966:Taf.44; Артамонов 1966:117, табл.277; Williams, ... 1994:168-169, №106], კულ-ობა [Журавлев, ... 2014:153, 267, №92, табл.15, 24], ტემირ გორა [Miller 1979:11, pl.5a], ბოლშაია ბლიზნიცა [Ruxer 1938: pl.29; Segall 1966:Taf.5; Артамонов 1966:118, табл.306; Williams, ... 1994:191, №123; Власова 2010:222, рис.49], ყარაგოდეუაში [Minns 1913:217, fig. 119₃]. აგრეთვე, ბერლინის სახელმწიფო მუზეუმში დაცული ყელსაბამის ფრაგმენტი ჩრდილო შავიზღვისპირეთიდან იხ.: [Greifenhagen 1970:40, Taf. 16, 19]).

ისრისპირისებური საკიდებით შედგენილი სარტყელისებური ყელსაბამის გავრცელების არეალი საკმაოდ დიდია. სამკაულის ეს ტიპი დადასტურდა ყველგან, სადაც ძლიერი იყო ბერძნული კულტურის გავლენა (გამონაკლისია სამხრეთ იტალია. შდრ.: [Amicis, ... 1989:196, 201]. საყურადღებოა, რომ ტარანტოს ნაციონალური მუზეუმის ცნობილ კოლექციებში ამ სახის ყელსაბამი ვერ მოიძებნა). განსაკუთრებით თვალში საცემია სხვადასხვა ადგილას აღმოჩენილი ყელსაბამების მსგავსება და ამიტომ პასუხგაუცემელ კითხვად რჩება მათი წარმომავლობის ანუ დამზადების სახელოსნო ცენტრის საკითხი: მაკედონია (ჩრდილოეთ საბერძნეთი) თუ იონია (მცირე აზიის ბერძნული ქალაქები). ჩრდილოეთ საბერძნეთის ნიმუშებთან დაკავშირებით რთულია რეალური სურათის აღდგენა — ზუსტად განსაზღვრა, იმპორტირებულია ისინი მცირე აზიიდან, თუ მათი იონიური ხასიათი განპირობებულია მაკედონიაში გადმოსახლებული მცირეაზიელი ბერძენი ოსტატების საქმიანობით (დანვრილებით იხ.: [Hoffmann, ... 1965: 14-15]). ზოგიერთი მკვლევარის მოსაზრებით, სავსებით შესაძლებელია ამ ტიპის ყელსაბამების დამზადება ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის სახელოსნოებში [Саверкина 2001:102].

საგანგებოდ აღსანიშნავია, რომ არსებული მონაცემების თანახმად, სარტყელისებური ყელსაბამები, შედგენილი ისრისპირისებური (ან სხვაგვარი) საკიდებისგან ძველ კოლხეთსა და იბერიაში არ გავრცელებულა. თუმცა, საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი თანადროული სხვა სახის ყელსაბამები მრავ-

ვალრიცხოვნებით, მრავალფეროვნებითა და მაღალმხატვრობით ხასიათდება. ამის დასამტკიცებლად ვანის ნაქალაქარის არქეოლოგიური მონაპოვარიც იკმარებდა — ძვ.წ. მეოთხე-მესამე საუკუნეების სამარხებში გამოვლენილი ნიმუშების სახით.

საქართველოში ასევე უცხოა საყურეები, შედგენილი დიდი ზომის დისკოსა და სხვადასხვა, მათ შორის ისრისპირისებური, საკიდებისგან (იხ.: საყურეები ე.წ. კიმის ჯგუფიდან, რომლებიც ისრისპირისებურ საკიდ-იან ყელსაბამებთან ერთ ანსამბლს ქმნის [Marshall F. 1911: NN 1672-1673; Hoffmann, ... 1965:116, N36; Segall 1966: Taf. 21 a; Deppert-Lippitz 1985:Abb. 131; Williams ... 1994: 96-97, N49], აგრეთვე, საყურე ყარაგოდეუაშხის ყორღანიდან [Анфимов Н. 1987: 132].

ამგვარად, საქართველოში აღმოჩენილი ისრისპირისებური საკიდების (გარდა ხაიში-სა) კონკრეტულად რომელიმე სამკაულისთვის მიკუთვნება რეალურად შეუძლებელია. ვარაუდის სახით, დასაშვებია ვანის ძეწკვიანი საკიდის საყურის შემადგენლობაში, ხოლო სამადლოს ვარდულიანი საკიდების ე.წ. სარტყლისებური ყელსაბამის ნაწილებად წარმოდგენა (მიუხედავად იმისა, რომ ძეწკვებისგან შედგენილი „სარტყელი“ არ აღმოჩენილა). დანარჩენი საკიდები ვანიდან, კლდეეთიდან და ერთი მძივიანი საკიდი სამადლოდან, ალბათ, „ნაკრები“ (შერეული) ყელსაბამების ნაწილებია (მდრ.: [Ruxer , ... 1972:57, pls. II₂, II₄; Rudolph, ... 1973:54, 76, NN45a, 54a; Bingol Işik 1999:60, N27]. მაიკოპში აღმოჩენილი ოთხი ისრისპირისებური საკიდის ფუნქცია, ასევე, გაურკვეველია. იხ.: [Leskov 2008: 141-142, N180]. თუმცა, სარტყელისებური ნიმუშების მსგავსად, ჯერჯერობით უცნობია ისრისპირისებური საკიდებიანი სხვა სახის სრული ყელსაბამის არსებობაც. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, საერთო მხატვრული ტენდენციებისა და ინოვაციების გავრცელების თვალსაზრისით, კოლხეთსა და იბერიაში ახალი ფორმის საკიდების გამოჩენა მცირე რაოდენობითაც კი. საკიდების ადგილზე დამზადებისას ზოგჯერ შეცვლილია და თავისებურადაა გააზრებული ცალკეული დეტალი (მაგალითად, საკიდის ფრთების არასტანდარტული — ნახევარრომბისებური მოყვანილობა; დამატებითი ელემენტები — მილაკის, სფეროსებური მძივის მსგავსი სამ-

კაულის სახით, საკიდის დაბოლოება ცვარას გარეშე). ამჟამად არსებითია, რომ ადგილობრივი ოქრომჭედელი, გამგრძელებელი საკუთარი ტრადიციებისა — შემოქმედი თავისი ხელწერით, ოსტატობით, ესთეტიკით — გარკვეულწილად დაემორჩილა დროის მოთხოვნებს და გახდა მონაწილე საერთო კულტურულ-ისტორიული პროცესებისა.

ლიტერატურა:

გაგოშიძე 1967: გაგოშიძე იულ. ელინისტური ხანის მასალები სამადლოდან. — სსმმ, ტ. XXVII-B. თბილისი, გვ. 53-93.

კვირკველია 2011: კვირკველია გ. ვანის ნაქალაქარზე გამოკვლეული ახალი ტაძარი. — იბერია — კოლხეთი. №7. თბ., გვ. 99-108.

ლომთათიძე 1957: ლომთათიძე გ. კლდეეთის სამაროვანი. თბილისი.

ჭყონია 1981: ჭყონია ან. ოქროს სამკაულები ვანის ნაქალაქარიდან. - ვანი. VI. თბილისი.

ჯავახიშვილი 1958: ჯავახიშვილი ალ. ხაიშის განძი. — მნათობი, №3. თბილისი, გვ. 149-157.

ჯავახიშვილი 2017: ჯავახიშვილი ალ. ხაიშის განძი. — ალექსანდრე (ლალი) ჯავახიშვილი. ცხოვრება და მოღვაწეობა. 100. შემდგენელი და რედაქტორი აკადემიკოსი ოთარ ჯაფარიძე. თბილისი, გვ. 137-149.

Анфимов 1987: Анфимов Н. Древнее золото Кубани. Краснодар.

Артамонов 1966: Артамонов М. Сокровища скифских курганов в собрании Государственного Эрмитажа. Прага, Ленинград.

Бохочадзе 1976: Бохочадзе А. Результаты работ Настакинской археологической экспедиции. — ПАИ в 1974 году (краткие сообщения). Тбилиси, с.61-70.

Власова 2010: Власова Е. Древности эллинские и местные. — Античное наследие Кубани. Том III. Москва, с. 198-262.

Гагошидзе 1979: Гагошидзе Ю. Самадло (археологические раскопки). Тбилиси.

Гагошидзе 1981: Гагошидзе Ю. Самадло. Каталог. Тбилиси.

Журавлев, Новикова, Шемаханская 2014: Журавлев Д., Новикова Е., Шемаханская М. Ювелирные изделия из кургана Куль-Оба в собрании Исторического музея. Историко-технологическое исследование. — Труды Государственного исторического музея. Вып. 200. Москва.

Саверкина 2001: Саверкина И. Греческие ожерелья на рубеже классики и эллинизма. — Ювелирное искусство и материальная культура. Санкт-Петербург, с. 95-103.

Чкониа 1985: Чкониа А. Ювелирное искусство Колхиды в IV-II вв. до н.э. (вопросы инноваций). — Причерноморье в эпоху эллинизма. Материалы III Всесоюзного симпозиума по древней истории Причерноморья. Тбилиси, с. 519-527.

Alexander 1940: Alexander Chr. Greek and Etruscan Jew-

elry. New York.

Amandry 1953: Amandry P. Collection Hélène Stathatos. I. Les bijoux antiques. Strasbourg.

Amicis, ... 1989: Amicis A. de, Aglio A. delle. Collane. – E.M. De Juliis. Gli ori di Taranto in Età Ellenistica. Amburgo, p.193-224.

Bielefeld 1968: Bielefeld E. Schmuck. – Archaeologia Homeric. Band I. Kapital C. S. 1-69.

Bingol Işik 1999: Bingol Işik F. Museum of Anatolian Civilizations. Ancient Jewellery. Ankara.

Blanck 1974: Blanck I. Studien zum griechischen Halschmuck der archaischen und klassischen Zeit. Köln.

Chqonia 2000: Chqonia A. Kolchis und die Hellenistische Koine im Entwicklungskontext der Goldschmiedekunst. – Phasis. Greek and Roman Studies. Volume 2-3, p. 68-72.

Coche de la Ferté 1956: Coche de la Ferté E. Les bijoux antiques. Paris.

Davidson 1952: Davidson G. The Minor Objects. – Corinth. Volume XII. Princeton, New Jersey.

Deppert-Lippitz 1985: Deppert-Lippitz B. Griechischer Goldschmuck. Mainz am Rhein.

Greifenhagen 1970: Greifenhagen A. Schmuckarbeiten in Edelmetall. Staatliche Museen Berlin. Antikenabteilung. Band I: Fundgruppen. Berlin.

Higgins 1980: Higgins R. Greek and Roman Jewellery. London.

Hoffmann, Claer 1968: Hoffmann H., Claer V.von. Antiker Gold und Silberschmuck. Museum für Kunst und Gewerbe Hamburg. Mainz am Rhein.

Hoffmann, ... 1965: Hoffmann H., Davidson P. Greek Gold. Jewelry from the Time of Alexander. Mainz am Rhein.

Homolle 1891: Homolle Th. Comptes et inventaires des temples Déliens en l'année 279. – BCH. Volume XV, p.113-168.

Javakhishvili 2017: Javakhishvili A. Jewellery and Metalwork in pre-Christian Georgia. – ალექსანდრე (ლალი) ჯავახიშვილი. ცხოვრება და მოღვაწეობა. 100. თბილისი, გვ. 357-400.

Leskov 2008: Leskov A. The Maikop Treasure. University of Pennsylvania. Museum of Archaeology and Anthropology. Philadelphia.

Marshall 1911: Marshall F.H. Catalogue of the Jewellery, Greek, Etruscan and Roman in the Department of Antiquities, British Museum. London.

Michel 1900: Michel Ch. Recueil d'inscriptions grecques. Bruxelles.

Miller 1979: Miller S. Two Groups of Thessalian Gold. Berkeley, Los Angeles, London.

Minns 1913: Minns E. Skythians and Greeks. Cambridge.

Musti, Benzi, Rocchetti, Guzzo, Calcani, Catalli 1992: Musti D., Benzi M., Rocchetti L., Guzzo P., Calcani G., Catalli F. L'Oro dei Greci. Novara.

Pfrommer 1990: Pfrommer M. Untersuchungen zur Chronologie früh- und hochhellenistischen Goldschmucks.=Istanbuler Forschungen. Band 37. Tübingen.

Richter 1953: Richter G. Handbook of the Greek collection. Cambridge.

Rudolph ... 1973: Rudolph W., Rudolph E. Ancient Jewellery from The Collection of Burton Y. Berry. Bloomington, In-

diana.

Ruxer 1938: Ruxer M. Historja Naszyjnika Greckiego. Tom I. Poznań.

Ruxer ... 1972: Ruxer M., Kubczak J. Naszyjnik grecki w okresach hellenistycznym i rzymskim. Warszawa-Poznań.

Segall 1966: Segall B. Zur griechischen Goldschmiedekunst des 4. Jahrhunderts v. Chr. Eine griechische Schmuckgruppe im Schmuckmuseum Pforzheim. Wiesbaden.

Waele 1931: Waele F. de. The Greek Stoa North of the Temple at Corinth. – AJA. Volume XXXV(4), p.394-423.

Williams, ... 1994: Williams D., Ogden J. Greek Gold. Jewellery of the Classical World. London.

ილუსტრაციების აღწერილობა:

ტაბ I. 1. ვანი. საკიდის სიმაღლე – 11,5 მმ [ჭყონია ან. 1981: სურ. 50, №101]; 2. ვანი. საკიდის სიმაღლე – 16 მმ, ძენკვის სიგრძე – 14,5 მმ [ჭყონია ან. 1981: სურ. 50, №102]; 3. ვანი. საკიდის სიმაღლე – 12 მმ [ჭყონია ან. 1981: სურ. 50, №103]; 4. ვანი. საკიდის შემორჩენილი სიმაღლე – 8,5 მმ [ჭყონია ან. 1981: სურ. 50, №104]; 5. ვანი. საკიდების სიმაღლე 14 მმ და 15 მმ [კვირკველია გ. ტაბ. III_გ]; 6. სამადლო. საკიდის სიმაღლე 23-24 მმ [Гагошидзе Ю. 1979: табл. II]; 7. სამადლო. საკიდის სიმაღლე 17 მმ [Гагошидзе Ю. 1979: табл. II]; 8. კლდეეთი. საკიდების სიმაღლე 23-25 მმ [ლომთათიძე გ. 1957: ტაბ. XVI₂]; 9. ხაიში. საკიდის სიმაღლე (ყუნწიანად) – 11 მმ [Javakhishvili A. 2017: fig. 69].

I



1



2



3



4



5



6



7



8



9

მცხეთის ჯვრის, გლდანი-ნორიოს და სამადლოს ნამოსახლარების ნითლად მოხატული კერამიკის შედარებითი პეტროგრაფიული ანალიზი

შესავალი: საქართველოს ძვ.წ. VI-I საუკუნეების მატერიალურ კულტურაში ნითლად მოხატულ კერამიკას გამორჩეული ადგილი უკავია. ამ ტიპის ჭურჭლების წარმოების ჩვენს ქვეყანაში გამოჩენა შესაძლოა დაკავშირებული იყოს ირანის ზეგნისა და ანატოლიიდან მომდინარე გავლენებთან [გაგოშიძე 1970: 41-46].

2017-2018 წლებში, -ის დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის სექციური ჩანაცვლების პროექტთან დაკავშირებული არქეოლოგიური ექსპედიციის ფარგლებში გამოვლენილ იქნა სხვადასხვა პერიოდის ძეგლები მცხეთის ჯვრისა (ძვ.წ. VI-IV და III-I სს.) და გლდანი-ნორიოს (ძვ.წ. IV-III სს.) მონაკვეთებზე, სადაც, სხვა, ტიპიურ მასალასთან ერთად, მცირე რაოდენობით ნითლად მოხატული კერამიკის ჭურჭლის ნატეხებიც აღმოჩნდა. მათ შორის მოხდა რამდენიმე ფორმის აღდგენაც. აღნიშნული ნაწარმი გარკვეულ სიახლოვეს იჩენს სამადლოს ცნობილ ნითლად მოხატულ კერამიკასთან (ძვ.წ. IV-III სს.) [Гагоშიძე 1979: 57-61] და აჩენს კითხვას მათი ტექნოლოგიისა თუ გამოყენებული ნედლეულის მხრივ ურთიერთკავშირის შესახებ.

წინამდებარე კვლევის მიზანია მიკროსკოპულ დონეზე ერთმანეთთან შედარდეს აღნიშნული სამი წინა ელინისტური და ელინისტური პერიოდის ნამოსახლარის ნითლად მოხატული კერამიკა, რათა დავადგინოთ: არსებობდა თუ არა განსხვავებები მათი დამზადების ტექნოლოგიაში და შესაძლოა თუ არა რომ ეს ჭურჭლები დამზადებული ყოფილიყო ერთ რომელიმე (მაგალითად სამადლოს ნამოსახლართან არსებულ) ან რამდენიმე დამოუკიდებელ ცენტრში და იქიდან გავრცელებულიყო აღნიშნულ დასახლებულ პუნქტებში, თუ პირიქით, შეიძლება ადგილი ჰქონოდა ადგილობრივ წარმოებას ნამოსახლარების მიმდებარე ტერიტორიაზე?

მეთოდოლოგია და საკვლევი მასალა: ზემოთ ჩამოთვლილი საკვლევი პრობლემების

გადასაჭრელად მივმართეთ პეტროგრაფიულ მეთოდს, რომელიც გულისხმობს პეტროგრაფიული მიკროსკოპის საშუალებით ჭურჭლის კეცის სტრუქტურისა და მინერალოგიურ ანალიზს. აღნიშნული მეთოდი საშუალებას გვაძლევს უფრო დეტალურად გავერკვეთ კეცის ტექნოლოგიურ ასპექტებში და წარმოდგენა შევიქმნათ მის შესაძლო წარმომავლობაზე (დამზადების რეგიონზე ან ადგილზე) [ისჰოპ, ლანდს ანდ ოლლეყ 1982: 281-286; უინნ 2013: 71-100; 117-203].

პეტროგრაფიული ანალიზისათვის მცხეთის ჯვრისა და გლდანი-ნორიოს მასალებიდან ნატეხების შერჩევას ვეცადეთ სინჯები მაქსიმალურად აგველო აღდგენილი ფორმებიდან. სამწუხაროდ ფიზიკურად ვერ მოხერხდა ორი, თითქმის მთლიანად აღდგენილი, მინიატურული, ნითლად მოხატული ჭურჭლიდან სინჯების აღება მათი მცირე ზომების გამო. საბოლოოდ მომზადდა 6 სინჯი მცხეთის ჯვრის და 5 — გლდანი-ნორიოს ნამოსახლარების მასალებიდან. სამადლოს ნითლად მოხატული კერამიკა კი წარმოდგენილი იყო აღნიშნული ნამოსახლარის ზედაპირზე დაზვერვების შედეგად ნაპოვნი 3 ფრაგმენტით: ერთი გვერდებაკეცილი, ერთი ღარისებული კრამიტისა და ერთი ნითლად მოხატული დოქის / ხელადის ნატეხით. ამან სულ შეადგინა 14 ფრაგმენტი (ტაბ. II-VI).

აღნიშნული ნატეხებიდან შლიფები დამზადდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და კავკასიის ალექსანდრე თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის ლაბორატორიებში. შლიფების მინერალოგიურ-პეტროგრაფიული და ტექნოლოგიური მახასიათებლების აღწერა განხორციელდა პეტროგრაფიული მიკროსკოპის საშუალებით, 40X, 100X, 250X და 400X გადიდებების ქვეშ. საბოლოო ეტაპზე კერამიკული ჭურჭლების წარმომავლობის საკითხის გარკვევისათვის მოვახდინეთ მიღებული შედეგების მცხეთის ჯვრის, გლდანი-ნორიოსა და სამადლოს შემოგარენი

რეგიონის გეოლოგიურ რუკებთან შედარება.

მიკროსკოპული კვლევის შედეგები.

მცხეთის ჯვრის ნამოსახლარების წითლად მოხატული კერამიკა: შლიფების მიკროსკოპული აღწერა იხილეთ ცხრილში (ტაბ. I). ქვემოთ წარმოდგენილია სინჯების სია სადაც თითოეული სინჯისათვის მოცემულია: ინვენტარის ნომერი, შლიფის ნომერი (შავად) და თარიღი.

1. 294/IX/4+800, ე.წ. სამკუთხედების სტილის მოხატულობის ექონე კეცის პირის ფრაგმენტი (№10), ძვ.წ. III-I სს. (ტაბ. II, 1.1-1.2).

2. 264/II/6+080, წითლად მოხატული ჭურჭლის კედლის ფრაგმენტი (№31), ძვ.წ. VI-IV სს. (ტაბ. II, 2.1-2.2).

3. 244/ო-II/6+080, წითლად მოხატული ჭურჭლის კედლის ფრაგმენტი (№32), ძვ.წ. VI-IV სს. (ტაბ. II, 3.1-3.2).

4. 179/ო-I/6+100, წითლად მოხატული ჭურჭლის კედლის ფრაგმენტი (№33) ძვ.წ. VI-IV სს. (ტაბ. III, 4.1-4.2).

5. 414/IX/4+800, გვერდბაკეცილი წითლად შეღებილი ჯამის პირ-კედლის ფრაგმენტი (№60), ძვ.წ. III-I სს. (ტაბ. III, 5.1-5.2).

6. 121/ო-II/6+080, წითლად მოხატული ქუსლიანი ჭურჭლის ძირის ფრაგმენტი (№61), ძვ.წ. III-I სს. (ტაბ. III, 6.1-6.2).

როგორც მიკროსკოპული აღწერა გვიჩვენებს, აქ საქმე უნდა გვქონდეს ერთმანეთთან გარკვეულწილად დაკავშირებულ სამ პეტროგრაფიულ ჯგუფთან (ჯგუფი I, II, III) (ტაბ. I). სამივე ჯგუფში მინარევ მასალაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, ნაწილობრივ გათიხებულ, კარბონატული ქანებისა და ქვიშაქვების ნატეხებს, თუმცა კი განსხვავებულია კვარცის, ფელდშპატის, ვულკანური, ფელზიტური ქანებისა და პიროქსენის შემცველობა.

I. პირველი ჯგუფი (№10 და №31) (ტაბ. II, 1.1-1.2;¹ ტაბ. II, 2.1-2.2) (ერთ ნიკოლში ღია ყავისფერი ფერის) – კეცს პლეოქროიზმი ფაქტიურად არ ახასიათებს, რაც მის 800-850 C°-თან ახლოს მდებარე ან მასზე მაღალ ექვივალენტურ ტემპერატურაზე გამოწვევას მიანიშნებს [უინ 2013:190-191]. შეიცავს დიდი რაოდენობით კარბონატული (11-12%) და მცირე რაოდენობით ვულკანური და ფელ-

ზიტური ქანის ნატეხებს (ორივე შლიფის შემთხვევაში 0,5-1%), დიდი რაოდენობით ქვიშაქვებს (6-9%) და მდიდარია რკინით (3-5%). მინარევების რაოდენობა 30-35,5%-ია და მათი მაქსიმალური ზომა არ აღემატება 0,67 მმ-ს (ტაბ. 1), ხოლო ფორიანობა 5-7%. სინჯი □31-ში შეიმჩნევა არასრულყოფილი გამოწვის კვალი (ტაბ. II, 2.2).

II. მეორე ჯგუფი (□32 და □33) (ტაბ. II, 3.1-3.2; III, 1.1-1.2) (ერთ ნიკოლში ყავისფერი, ჯვარედინ ნიკოლში — მუქი ყავისფერი მონითალო ლაქებით) – კეცს პლეოქროიზმი თითქმის არ ახასიათებს, რაც მის 800-850 C°-სთან ახლომდებარე ან მასზე მაღალ ექვივალენტურ ტემპერატურაზე გამოწვევას მიანიშნებს [უინ 2013: 190-191]. ამ ჯგუფში სხვა ყველა, მცხეთაში, ნორიოში და სამადლოში აღმოჩენილ კერამიკასთან შედარებით კვარცისა და ფელდშპატის ჯამური რაოდენობა ორჯერ უფრო მაღალია (10-14%). ნიმუშებში ასევე გვხვდება კვარციტისებური ქანის ნატეხები (0,5-1%), რაც სხვა ჯგუფების არცერთ შესწავლილ შლიფში არ გამოვლენილა. გამოკვეთილად მაღალია ვულკანური ქანების რაოდენობაც (3-4%). ამ მინერალებისა და ქანის ნატეხების მაღალი შემცველობა თიხაში, სხვა ჯგუფებისაგან განსხვავებით, ნაწილობრივ მინარევების უფრო მაღალი წილით შეიძლება აიხსნას (37-37,5%) (ტაბ. I). თუმცა ამ ჯგუფის კეცი, სხვა ყველა ჯგუფისაგან განსხვავებით, საგრძობლად თანაბარ-მარცვლოვანიცაა (მინარევების მაქსიმალური ზომა 0,43 მმ), რაც გვაფიქრებინებს, რომ, აქ განსხვავებულ ნედლეულზე თუ არა (№32 და №33 შლიფებს შორის კარბონატების შემცველობის დიდი განსხვავებისა და №32-ში სილიციტური ქანების არსებობის გამო), სხვა ჯგუფებისაგან განსხვავებულ წარმოების ტექნოლოგიაზე მაინც უნდა იყოს საუბარი.

III. მესამე ჯგუფი (№60 და №61) (ტაბ. III, 2.1-2.2; III, 3.1-3.2) (ერთ ნიკოლში მონაცრისფრო მოყავისფრო, ჯვარედინ ნიკოლში — ყავისფერი მონითალო ლაქებით) – კეცს პლეოქროიზმი საერთოდ არ აქვს, რაც მის 800-850 C°-ზე მაღალ ექვივალენტურ ტემპერატურაზე გამოწვის მანიშნებელია [უინ 2013: 190-191]. მინარევთა მაქსიმალური ზომა 0,4 მმ-ია. მესამე ჯგუფი, პირველ და მეორე ჯგუფებისაგან განსხვავებით, რკინით უფრო

¹ ტაბულეებში გამოყენებული მიკროფოტოები გადაღებულია 40X გადიდებაზე.

ლარიბია და გასამჭლეველ მასალაში შეიცავს პიროქსენს (3-4%). ეს უკანასკნელი მინერალი მას მინერალოგიურად საკმაოდ განასხვავებს პირველი ორი ჯგუფისაგან და შესაძლოა აღნიშნული ჯგუფის განსხვავებულ წარმომავლობაზეც კი მიანიშნებდეს. ამ მოსაზრებას აძლიერებს თიხაში მინარევების საერთო რაოდენობის შედარებითი სიმცირეც (26,5-27,5%) (ტაბ. I).

გლდანი-ნორიოს ნამოსახლარის წითლად მოხატული კერამიკა:

1. №-II-210, წითლად მოხატული ჭურჭლის ტანის ფრაგმენტი (№41), ძვ.წ. IV-III სს. (ტაბ. IV, 1.1-1.2).

2. №-VIII-80, წითლად მოხატული ჭურჭლის ტანის ფრაგმენტი (№42), ძვ.წ. IV-III სს. (ტაბ. IV, 2.1-2.2).

3. №-III-105, წითლად მოხატული ჭურჭლის ტანის ფრაგმენტი (№43), ძვ.წ. IV-III სს. (ტაბ. IV, 3.1-3.2).

4. №-IV-424, თეთრად ანგობირებული და წითლად შეღებილი ყელის მქონე დოქის პირ-ყურ-კედლის ფრაგმენტი (№44), ძვ.წ. IV-III სს. (ტაბ. V, 1.1-1.3).

5. №-XII-265, ქვევრის ტანის ფრაგმენტი (№45), ძვ.წ. IV-III სს., (ტაბ. V, 2.1-2.2).

აღნიშნულ 5 შლიფში გამოიყო ორი ჯგუფი: 1. შლიფები №42-45 და 2. შლიფი №41.

I. პირველი ჯგუფი (შლიფები №42-45) (ტაბ. IV, 2.1-2.2; ტაბ. IV, 3.1-3.2; ტაბ. V, 1.1-1.2; ტაბ. V, 2.1-2.2) - შლიფები კეცის ზოგადი იერიისა და სტრუქტურის მიხედვით, ერთმანეთთან ახლოს დგანან. თუმცა მინერალებისა და ქანების პროცენტული თანაფარდობა ბევრად უფრო ცვალებადია (განსაკუთრებით რკინის, პიროქსენისა და ვულკანური ქანების ნატეხების) ვიდრე ეს მცხეთის ჯვარზე აღმორჩენილი კერამიკის შემთხვევაში იყო. თიხაში მინარევების პროცენტულ რაოდენობაც უფრო მერყევა (31-36%), ხოლო მინარევთა მაქსიმალური ზომა 0,63 მმ-ია. კეცს პლეოქროიზმი არ ახასიათებს, რაც მის 800-850 C°-ზე მაღალ ტემპერატურაზე გამოწვას მიანიშნებს. ძალიან საინტერესოა ამ ჯგუფის შედარება მცხეთის ჯვრის კერამიკასთან. ის მცხეთის ჯვრის პირველი ორი ჯგუფისაგან პიროქსენის არარსებობით განსხვავდება (ტაბ. I). განსხვავებას მცხეთის ჯვრის მეორე ჯგუფთან (№32 და 33) სტრუქტურული ხასიათიც აქვს. თუმცა კი ყველაზე საინტერესო

ისაა რომ გლდანი-ნორიოს ეს ჯგუფი მოულოდნელ მინერალოგიურ და სტრუქტურულ მსგავსებას იჩენს მცხეთის ჯვრის მესამე ჯგუფთან (№60 და 61) (ტაბ. I). ეს მსგავსება შესაძლოა ამ ორი ჯგუფის საერთო წარმომავლობაზეც კი მიანიშნებდეს. ამის დასადასტურებლად საჭირო იქნება ჩვენი კერამიკული სინჯები არქეომეტრიული მეთოდების საშუალებით შედარდეს მცხეთისა და გლდანი-ნორიოს შემოგარენის თიხის საბადოებიდან აღებულ და შემდეგ გამომწვარ სინჯებს.

II. მეორე ჯგუფი (№41) – ამ შლიფს №42-45 სინჯებისაგან რადიკალურად განსხვავებული კეცი აქვს (ტაბ. IV, 1.1-1.2). იგი ხასიათდება საშუალო პლეოქროიზმით, რაც მის, სხვა ყველა ჯგუფის ჭურჭლებთან შედარებით, უფრო დაბალ ტემპერატურაზე (800-850 C°-ზე დაბალი გამოწვის ექვივალენტური ტემპერატურა) გამოწვის მანიშნებელია [უინნ 2013: 190-191]. მისი კეცი მთელს შესწავლილ კოლექციაში ყველაზე მეტად კარბონატულია (რაც მთლიანად კეცს მომწვანო ფერს აძლევს), ხოლო მასში ქვიშაქვის ნატეხების შემცველობა მცხეთის ჯვრისა და გლდანი ნორიოს სხვა სინჯებისაგან განსხვავებით ძალიან დაბალია (დაახ. 2%), პიროქსენის კი — საკმაოდ მაღალი (დაახ. 8%) (ტაბ. IV, 1.2). მინარევების საერთო რაოდენობა 31,5%-ია, ხოლო მათი მაქსიმალური ზომა სხვა კეცებისაგან განსხვავებით 0,23 მმ-ს არ აღემატება. ამ შემთხვევაში შეგვიძლია დავასკვნათ რომ სინჯი №41-ით წარმოდგენილი ჭურჭელი გლდანი-ნორიოს პირველი და მცხეთის ჯვრის სამივე ჯგუფისაგან განსხვავებული ნედლეულით, გამოწვისა და კეცის მომზადების ტექნოლოგიით არის დამზადებული. ეს კი თავისთავად ამტკიცებს რომ აღნიშნული ჭურჭელი, სხვა ყველა შესწავლილი წითლად მოხატული ჭურჭლებისაგან განსხვავებით, დამზადებულია განსხვავებული ტრადიციების მქონე სანარმოო ცენტრში. შესაძლოა აქ საქმე გვექონდეს იმპორტთან.

საინტერესო სურათს გვაძლევს მცხეთის ჯვრისა და გლდანი-ნორიოს წითლად მოხატული კერამიკის მინერალოგიურ-პეტროგრაფიული მონაცემების შედარება ნამოსახლარების შემოგარენის გეოლოგიასთან.

მცხეთის შემოგარენის გეოლოგია სხვადასხვა პერიოდის წყებებს მოიცავს. მდი-

ნარეების მტკვარი, ქსანი და არაგვის ხეობების აგებულებაში ძირითადად ქვიშაქვები (მათ შორის კვარც-არკოზული და მსხვილმარცვლოვანი ქვიშაქვები), კონგლომერატები, კარბონატული და თაბაშირიანი თიხები, მერგელები და გარკვეული რაოდენობის კირქვები მონაწილეობენ. ხოლო მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე აჭარა-თრიალეთის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში გარკვეული რაოდენობის კარბონატულ, ბიტუმინოზურ და ფიქლებრივ თიხებთან, კირქვებთან, ქვიშაქვებთან და მერგელებთან ერთად ასევე გვხვდება სუბ-ტუტე და ტუტე ბაზალტოიდების ტუფების და ლავების წყებები, იშვიათად ანდეზიტ-ბაზალტები, ანდეზინები და სხვა [უდჯაბიძე 2003]. აღნიშნული გეოლოგიური აგებულება ფაქტიურად ყველა იმ ქანისა და მინერალის ნაირგვარობას მოიცავს რაც მცხეთის ჯვრის ნამოსახლარებზე აღმოჩენილ ნითლად შეღებილი ჭურჭლების ნიმუშებში აღმოვაჩინეთ. შესაბამისად კვლევის ამ ეტაპზე კერამიკის ადგილობრივი წარმომავლობა დამაჯერებელია, თუმცა ამ მოსაზრების გასამყარებლად და თიხის კარიერის დადგენისათვის საჭირო იქნება კერამიკასთან ერთად ნედლეული მასალების არქეომეტრიული მეთოდებით კვლევა.

გლდანი-ნორიოს ნამოსახლარს რაც შეეხება, იგი ფაქტიურად მდ. არაგვის მარცხენა სანაპიროზე და თბილისის გარშემო მდებარე ზღვიური მოლასის გაგრძელებაზე მდებარეობს, რომელიც ძირითადად შედგება კარბონატული თიხების, ქვიშაქვების, კონგლომერატების, მერგელების და კირქვებისაგან. ცოტა უფრო სამხრეთით (ნამოსახლარიდან დაახლოებით 15 კილომეტრში სამხრეთ აღმოსავლეთით) ასევე გვხვდება მსხვილმარცვლოვანი კვარც-არკოზული და გრაუვაკული ქვიშაქვები, კარბონატული, ბიტუმინოზური და ფიქლებრივი თიხები, კონგლომერატები, კონგლომერატ-ბრეჩიები, უფრო იშვიათად მერგელები, კირქვები, სუბ-ტუტე ბაზალტების, ანდეზიტ-ბაზალტების და ტრაქიტების ლავები და პიროკლასტოლითები [უდჯაბიძე 2003].

როგორ ვხედავთ გლდანი-ნორიოს ნამოსახლარის შემოგარენი გეოლოგიურად დიდად არ განსხვავდება მცხეთის ჯვრის ნამოსახლარის შემოგარენიდან. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში თუ ამ ორ ნა-

მოსახლარის მიმდებარე ტერიტორიაზე ძვ.წ. IV-III სს.-ში ნითლად მოხატული კერამიკის წარმოება ერთმანეთის დამოუკიდებლად მიმდინარეობდა, ეს შეიძლება კეცებს შორის გამოკვეთილ მინერალოგიურ სხვაობაში არც ასახულიყო. მეორეს მხრივ, მცხეთის ჯვრის III-ე და გლდანი-ნორიოს II-ე ჯგუფების შორის მინერალოგიურ-პეტროგრაფიული მსგავსების საფუძველზე, დამატებითი არგუმენტების გარეშე, ვერ იქნება დამაჯერებელი რომ მხოლოდ ერთი ცენტრალური საწარმოო ცენტრის თეორიას მივანიჭოთ უპირატესობა.

მასალის ქრონოლოგიურ ჭრილში განხილვა გვიჩვენებს რომ, ძვ.წ. IV-I საუკუნეების კერამიკისაგან განსხვავებით, შედარებით თანაბარმარცვლოვანი და მინარევებით მდიდარი კეცი (მცხეთის ჯვრის მეორე ჯგუფი) შესაძლოა ძვ.წ. VI-IV საუკუნეებს უკავშირდებოდეს. ჩვენს კვლევაში გამოყენებული სინჯების რაოდენობა მცირეა, თუმცა შესაძლოა აღნიშნული ტენდენცია ნითლად მოხატული კერამიკის წარმოების ტექნოლოგიაში მიმდინარე ქრონოლოგიურ ცვლილებებს ასახავდეს.

სამადლოს ნითლად მოხატული კერამიკა (ზედაპირული მასალა):

1. შ. 2019. 1, ძვ.წ. IV-III სს., ნითლად შეღებილი გვერდებაკეცილი კრამიტის ფრაგმენტი (შ1) (ტაბ. V, 3.1-3.2).

2. შ. 2019. 2, ძვ.წ. IV-III სს., ნითლად შეღებილი მომრგვალებული კრამიტის ფრაგმენტი (შ2) (ტაბ. V, 1.1-1.2).

3. შ. 2019. 3, ძვ.წ. IV-III სს., ნითლად მოხატული დოქის(?) ყურის ფრაგმენტი (შ3) (ტაბ. V, 2.1-2.2).

სამადლოში მოპოვებულ მასალებს, გლდანი-ნორიოს მსგავსად, პიროქსენისა და კარბონატული ქანების თანაფარდობის დიდი ცვალებადობა ახასიათებთ (ტაბ. 1). კრამიტების ფრაგმენტებში (შ1 და შ2) მინარევების საერთო რაოდენობა 31,5-33%-ია, ხოლო დოქის ფრაგმენტში — 28,5%. სამადლოს სინჯები მცხეთის ჯვრისა და გლდანი-ნორიოს მასალებისაგან განსხვავებით თითქმის არ შეიცავენ კვარცისა და ფელდშპატის მინარევებს (ჯამური რაოდენობა 1,5%-ს არ აჭარბებს), აქვთ ქვიშაქვის ნატეხების დაბალი შემცველობა (დაახ. 1-2%) და ასევე საერთოდ არ შეიცავენ ფელზიტური ქანის ნატეხ-

ებს (ტაბ. I). მინარევების მაქსიმალური ზომაა 0,82 მმ.

სამადლოს შემოგარენი რეგიონის გეოლოგია დიდად არ განსხვავდება მცხეთის ჯვრისა და გლდანი-ნორიო ნამოსახლარების გარშემო არსებული გეოლოგიისაგან (ძირითადად დანალექი ქანების სიჭარბე და ნაკლებად ვულკანური ქანები) [უდჯაბიძე 2003]. თუმცა როგორც ვხედავთ შ1, შ2 და შ3 კეცებს მაინც გარკვეული მინერალოგიური თავისებურებები ახასიათებთ, რაც სავარაუდოდ იმ თიხის კარიერთანაა დაკავშირებული, რომლის მიდამოებშიც ეს ნამოსახლარი არსებობდა. აღნიშნული სამი სინჯის სამადლოს თიხის კარიერთან ლოგიკური კავშირის მიუხედავად ნედლეულის ზუსტი წარმომავლობის დასადგენად სამომავლოდ საჭირო იქნება სამადლოსა და მისი შემოგარენის საკერამიკე ნედლეულის არქეომეტრიული კვლევა და მისი კერამიკულ ნაწარმთან შედარება.

დასკვნა: კვლევაში პეტროგრაფიული მეთოდის გამოყენებით შესწავლილ იქნა მცხეთის ჯვრის ძვ.წ. VI-IV სს. და III-I სს., გლდანი-ნორიოს ძვ.წ. IV-III სს. და სამადლოს ძვ.წ. IV-III საუკუნეების ნითლად მოხატული ჭურჭლებისა და კრამიტების სინჯები (სულ 14 ცალი). მცხეთის ჯვარზე გამოიყო სამი პეტროგრაფიული ჯგუფი, გლდანი-ნორიოს ნამოსახლარზე — ორი, ხოლო სამადლოზე — ერთი. ზოგადი დაკვირვებით ჩანს რომ მცხეთის ჯვარსა და გლდანი-ნორიოს ნამოსახლარებზე მოპოვებული მასალები ერთმანეთისაგან კეცით განსხვავდება, თუმცა აქვთ ბევრი საერთოც. ყველაზე საინტერესოა მცხეთის ჯვრის III ჯგუფის ახლო მსგავსება გლდანი-ნორიოს I ჯგუფთან, რაც შესაძლოა მათი დამზადებისათვის საჭირო ნედლეულის საერთო წარმომავლობაზეც კი მიუთითებდეს. რაც შეეხება კონკრეტული საწარმოო ცენტრების შესახებ ვარაუდს, საკვლევ რეგიონში საკმაოდ ჰომოგენური გეოლოგიის არსებობის გამო, რთულია ამ ეტაპზე უპირატესობა მივანიჭოთ ორი დამოუკიდებელი ან ერთი საერთო ცენტრალური საწარმოო ცენტრის არსებობის თეორიას.

რაც შეეხება სამადლოს მასალებს, პეტროგრაფიულმა ანალიზებმა გარკვევით გვიჩვენა, რომ აქ ზედაპირზე მოპოვებული ნითლად შეღებილი კრამიტებისა და ნითლად მოხატული დოქისთვის მცხეთის ჯვრისა და გლდა-

ნი-ნორიოს ნამოსახლარებზე მოპოვებული კერამიკისაგან განსხვავებული ნედლეულია გამოყენებული.

სამომავლოდ შიდა ქართლის ნითლად მოხატული კერამიკისა და საკერამიკე ნედლეულების არქეომეტრიული კვლევა საშუალებას მოგვცემს აღნიშნულ კვლევაში გამოკვეთილი პრობლემური ასპექტები ბოლომდე გადავჭრათ და ამ რეგიონში ძვ.წ. VI-I საუკუნეებში მიმდინარე რიგი სოციალური და ეკონომიკური პროცესებიც უფრო ღრმად გავიაზროთ.

ლიტერატურა:

გაგოშიძე 1970: გაგოშიძე ი. სამადლოში მოპოვებული მოხატული ჭურჭელი, ძეგლის მეგობარი, კრ. 23., გვ. 41-46.

Gudjabidze 2003: Gudjabidze G. Geological map of Georgia (Georgian state department of geology and national oil company "Saqnavtobi" (scale 1:500 000).

Гагошидзе 1979: Гагошидзе Ю. Самадло (археологические раскопки), Тбилиси, Месნიереба.

Bishop, Rands and Holley 1982: Bishop R. L., Rands R. L. and Holley G. R.. Ceramic compositional analysis in archaeological perspective. – Advances in archaeological method and theory, Vol. 5 (1982), pp. 281-286.

Quinn 2013: Quinn P. S. Ceramic petrography: the interpretation of archaeological pottery & related artefacts in thin section. Archaeopress. Oxford.

ტაბულების აღწერილობა:

I – მიკროსკოპული ანალიზის შედეგები და კეცების ჯგუფები. შემოკლებები: კარბ. – კარბონატული, კარბ. ცემ. – კარბონატული ცემენტის მქონე ქვიშაქვა, რკინ. ცემ. – რკინით მდიდარი ცემენტის მქონე ქვიშაქვა, სილიციტ. – სილიციტური, რკინ. მდიდ. მინ. – რკინით მდიდარი მინერალი, ფელზიტ. – ფელზიტური, ორგ. – როგანული, სულ. მინ. რაოდ. სულ მინერალების რაოდენობა, მოშ. – მოშავო, მონ. – მონითალო, საშ. – საშუალო, მარცვ. – მარცვლოვანი, პეტრ. – პეტროგრაფიული).

II, 1.1-1.2 – სინჯი №10 და მისი მიკროფოტო.

II, 2.1-2.2 – სინჯი №31 და მისი მიკროფოტო.

II, 3.1-3.2 – სინჯი №32 და მისი მიკროფოტო.

III, 1.1-1.2 – სინჯი №33 და მისი მიკროფოტო.

III, 2.1-2.2 – სინჯი №60 და მისი მიკროფოტო.

III, 3.1-3.2 – სინჯი №61 და მისი მიკროფოტო.

IV, 1.1-1.2 – სინჯი №41 და მისი მიკროფოტო.

IV, 2.1-2.2 – სინჯი №42 და მისი მიკროფოტო.

IV, 3.1-3.2 – სინჯი №43 და მისი მიკროფოტო.

V, 1.1-1.2 – სინჯი №44 და მისი მიკროფოტო.

V, 2.1-2.2 – სინჯი №45 და მისი მიკროფოტო.




V, 3.1-3.2 – სინჯი S1 და მისი მიკროფოტო.

VI, 1.1-1.2 – სინჯი S2 და მისი მიკროფოტო.

VI, 2.1-2.2 – სინჯი S3 და მისი მიკროფოტო.

	მცხეთის ჯგუფი					გლდან-ნორი					სამხელო				
	10	31	32	33	60	61	61	41	42	43	44	45	51	52	53
სიხვის ნომერი															
კვარცი	3%	4%	5%	3%	2%	1%	1%	1%	3%	3%	3%	1%	1%	0,5%	
ფელდშპატი	1%	1%	5%	5%	1%	<0,5%	<0,5%	<0,5%			2%	2%		1%	<0,5%
კვარცი / ფელდშ.	2%	3%	4%	2%	1%	1%	1%	1%	3%	1%					1%
პიროქსენი			<0,5%		3%	4%			6%	3%	3%	9%	4%	8%	10%
კარბონატ-ქანი	11%	12%	4%	13%	11%	11%	14%	14%	7%	12%?	8%	11%	23%	4%(?)	10%
კარბ. ცემ.	3%	5%	4%	5%	3%	1%	2%	2%	7%	4%	3%	4%	1%		2%
ქვიშაქვა					3%	6%								1%	
რკინ. ცემ.	3%	4%													
მულკანური ქანი	1%	0,5%	4%	3%	<0,5%	<0,5%	0,5%	0,5%	1%		<0,5%	3%	2%	1%	3%
სილიციტ-ქანი		0,5%	5%					2%	1%					3%	
კვარციტისებრი ქანი			1%	0,5%											
ფელზიტ-ქანი	1%	0,5%	1%	2%	0,5%	1,5%			0,5%	2%	3%	2%			
რკინ. მდიდ. მინ.	3%	5%	4%	4%	2%	1,5%	1,5%	1,5%	2%	3%	4%	4%	2%	2%	2%
ორგ. მასალა	2%						0,5%	0,5%	0,5%						<0,5%
ბაურკმეული											7%				8%
სულ. მინ. რაოდ.	30%	35,5%	37%	37,5%	26,5%	27,5%	31,5%	31%	31%	32%	33%	36%	33%	31,5%	28,5%
პეტის ძირითადი მახასიათებლები	ღია ქვიხვ. / მოშ. მონაბაზო., წვრილ და ს.შ. მარცხ	ღია მოწ. / მოშ. მოწ., შედარებით თანაბარმარცხ	ღია მოწ. / მოშ. მოწ., შედარებით თანაბარმარცხ	მოწ. / მოწ. მარცხ-მოწ., წვრილ და ს.შ. მარცხ	მოწ. / მოწ. მარცხ-მოწ., წვრილ და ს.შ. მარცხ	ღია ქვიხვ. / მოწ. მარცხ-მოწ., წვრილ და ს.შ. მარცხ	ღია ქვიხვ. / მოწ. მარცხ-მოწ., წვრილ და ს.შ. მარცხ	ღია ქვიხვ. / მოწ. მარცხ-მოწ., წვრილ და ს.შ. მარცხ	მოწ. / მოწ. მარცხ-მოწ., წვრილ და ს.შ. მარცხ	მოწ. / მოწ. მარცხ-მოწ., წვრილ და ს.შ. მარცხ	მოწ. / მოწ. მარცხ-მოწ., წვრილ და ს.შ. მარცხ	ღია მოწ. ან მინაბაზო. / მოწ. მარცხ-მოწ.	ღია მოწ. ან მინაბაზო. / მოწ. მარცხ-მოწ.	ღია მოწ. ან მინაბაზო. / მოწ. მარცხ-მოწ.	ღია მოწ. ან მინაბაზო. / მოწ. მარცხ-მოწ.
ბეტრ. ჯგუფები	I ჯგუფი	II ჯგუფი	III ჯგუფი	IV ჯგუფი	V ჯგუფი	VI ჯგუფი	VI ჯგუფი	VI ჯგუფი	VI ჯგუფი	VI ჯგუფი	VI ჯგუფი	VI ჯგუფი	VI ჯგუფი	VI ჯგუფი	VI ჯგუფი


II



III




1.1



1.2




2.1



2.2



3.1




3.2

IV



5 cm

1.1




1.2



5 cm

2.1




2.2



5 cm

3.1




3.2

V



10 cm

1.1




1.2



10 cm

2.1




2.2



10 cm

3.1




3.2

VI



10 cm

1.1




1.2



10 cm

2.1



2.2

რეცენზიები


რევაზ პაპუაშვილი, გოგიტა ჩიტაია იოსებ პაპუაშვილი
„ყულევი (არქეოლოგია, ისტორია)“

2107 წელს გამოქვეყნდა მონოგრაფია „ყულევი“, რომლის ავტორები არიან რევაზ პაპუაშვილი, გოგიტა ჩიტაია, იოსებ პაპუაშვილი. ყულევი დიდი ხნის მანძილზე იპყრობდა არქეოლოგთა ყურადღებას. აქ ჯერ კიდევ 1944 წელს ჩატარდა სადაზვერვო სამუშაოები ნინო ხოშტარიას მიერ. 1972-1973 და 1978 წლებში ყულევში სამუშაოებს აწარმოებდნენ თეიმურაზ მიქელაძე და დავით ხახუტაიშვილი. ამ კამპანიების დროს აღმოჩენილი იქნა მნიშვნელოვანი არქეოლოგიური მასალა, რომელმაც სათანადო ადგილი დაიმკვიდრა სამეცნიერო ლიტერატურაში. თუმცა, ყულევის უახლეს მონაპოვარს მაინც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კოლხეთის არქეოლოგიისათვის. ეს აღმოჩენები მთლიანად უკავშირდება ყულევში არქეოლოგიური ექსპედიციის საქმიანობას, რომელსაც რევაზ პაპუაშვილი ხელმძღვანელობს.

სისტემატური გათხრები ყულევში დაკავშირებულია აქ ტერმინალის მშენებლობასთან. ამ აღმოჩენების შედეგები პერიოდულად ხელმისაწვდომი ხდებოდა სხვადასხვა სამეცნიერო ფორუმების საშუალებით და სარეცენზიო ნაშრომი, სწორედ ამ არქეოლოგიური გათხრების შედეგებისადმი მიძღვნილი სრულყოფილი გამოკვლევაა.

მონოგრაფია შედგება შესავლისგან და ოთხი თავისგან. პირველ თავში მიმოხილულია ყულევის გეოგრაფიული მდებარეობა. მეორე თავი ეძღვნება ყულევის შესახებ არსებული საისტორიო წყაროების შესწავლას. მესამე თავში წარმოდგენილია სხვადასხვა წლებში ჩატარებული კამპანიების მოკლე ისტორია და განხილულია ამ პერიოდში გამოვლენილი ძირითადი არქეოლოგიური შედეგები.

მონოგრაფიის მეოთხე თავში შესწავლილია 1999-2006 და 2012 წლებში არქეოლოგიური სამუშაოების დროს მოპოვებული მასალის დეტალური ანალიზი. ეს თავი შედგება რვა ქვეთავისგან და თითოეულ მათგანში არქეოლოგიური მასალისა და წერილობითი წყაროების შესწავლის ფონზე, დანვრილებითაა დახასიათებული ყულევის ისტორიის ცალკეული პერიოდები. მესამე თავის პირველი ქვეთავის ავტორები არიან ლერი ჯიბლაძე და ნანა პაპუაშვილი. აქ განხილულია ყულევის ძვ.წ. II ათასწლეულის არქეოლოგიური მასალა. ამ ეპოქის არტიფაქტებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს უბორბლო საზიდრის აღმოჩენის ფაქტი, რითაც მტკიცდება, რომ ბრინჯაოს ხანის კოლხური კულტურისთვის ცნობილი იყო უბორბლო, მარხ-



ილის მსგავსი საზიდრები, რასაც, ბუნებრივია, დიდი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოში ტრანსპორტის ისტორიის შესწავლისათვის.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მონოგრაფიის მესამე თავის შემდეგი ქვეთავები, სადაც განხილულია ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი და მეორე ნახევრის ნამოსახლარები და არქეოლოგიური არტეფაქტები. აქ ყურადღებას იპყრობს კვლევები ძველი კოლხური არქიტექტურის, სანარმოო კერებისა და სამეურნეო კულტურის მიმართულებით. დეტალურად არის განხილული არტეფაქტები მასალისა და ტიპოლოგიის მიხედვით: თუნის ნაწარმი, მეტალი, ქვის იარაღები, ოსტეოლოგიური მასალა, მცირე პლასტიკა და იმპორტული კერამიკა, რომელთა შორის საყურადღებოა სინოპური დამლიანი ამფორები. ამ პერიოდის მონაპოვრის შედარება დასავლეთ საქართველოს თანადროულ ძეგლებთან ნათლად ადასტურებს კოლხური კულტურის ერთგვაროვნებას და ყულევის, როგორც ფაზისის ერთ-ერთი გამორჩეული უბნის მნიშვნელობას ძველი კოლხეთის ისტორიაში.

I-VI საუკუნეებში ყულევი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ეგრისის (ლაზიკის) სამეფოს ისტორიაში და ამ ფაქტს ადასტურებს ამ ეპოქის არტეფაქტები (მინის ჭურჭლები, ოქროს ნივთები და სხვ.), რომლებიც მიაწოდებდა იმ საგარეო კონტაქტებზეც, რომელიც ამ სამეფოს ჰქონდა გარემომცველ სამყაროსთან.

შედარებით მცირე, მაგრამ მნიშვნელოვანი მასალებია წარმოდგენილი შუა საუკუნეებისა და XIX საუკუნის ისტორიის თვალსაზრისით, რომელთა შესწავლა ერთ მთლიანობაში წარმოადგენს ყულევის გაბმულ ისტორიას ძვ.წ. II ათასწლეულიდან ჩვენ დრომდე.

მონოგრაფიას ერთვის რეზიუმეები ინგლისურ და რუსულ ენებზე, ბიბლიოგრაფია, სურათებისა და ტაბულების აღწერილობა. ნაშრომს ამდიდრებს 74 ფერადი ილუსტრაცია და 76 ტაბულა. ფოტოები და ტაბულები შესრულებულია მაღალი ხარისხით. მაღალ დონეზეა შესრულებული როგორც სავლე ვითარების ამსახველი ნახაზები (ჭრილები, გეგმები), ასევე არტეფაქტების გრაფიკული ტაბულები. ასევე მიმზიდველია მონოგრაფიის დიზაინი და ბეჭდვის მაღალი ხარისხი.

ბოლოს აღვნიშნავ, რომ მონოგრაფია დაწერილია გამართული ქართული ენით და თავისუფლად იკითხება. ეჭვს გარეშეა, რომ ეს გამოცემა შეუცვლელი წიგნი იქნება კოლხეთის არქეოლოგიისა და ისტორიის მკვლევართათვის, როგორც ჩვენში, ასევე საქართველოს ფარგლებს გარეთაც.

ისტ. დოქტ., პროფ. **ზურაბ ბრავვაძე**


* * *

ელდარ ნადირაძე „მზით განათიებული ათასწლეულები - ჯურხა ნადირაძე“

„არქეოლოგიური აღმოჩენა ჩასვენებული მზის ხელახალ ამობრწყინებას ჰგავს. იგი შუქს ჰფენს ბნელით მოცულ შორეულ წარსულს და ხალხს, რომელმაც ეს წარსული შექმნა, სამერმისო გზას უნათებს.“ ეს სიტყვები გამოჩენილ ქართველ არქეოლოგს ჯურხა ნადირაძეს ეკუთვნის. ნლების მანძილზე იგი ხელმძღვანელობდა არქეოლოგიურ გათხრებს ზემო იმერეთში და ამ გათხრების შედეგად გამოვლენილია ბრინჯაოსა და ანტიკური ხანის არაერთი ძეგლი, რომლებსაც უკვე სათანადო ადგილი უკავიათ არქეოლოგიაში და მათი მონაცემების გათვალისწინების გარეშე დღეს უკვე შეუძლებელია საქართველოს უძველესი ისტორიისა და მატერი-ალური კულტურის კვლევა-ძიება.

ჯურხა ნადირაძის მიერ აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლებიდან განსაკუთრებული მეცნიერული მნიშვნელობით გამოირჩევა მცხეთიჯვრის სამაროვანი და ნამოსახლარი, ჯიეთისა და წინსოფლის სამაროვნები და ნამოსახლარები, მოდინახეს სამაროვნები და ნამოსახლარები და რაღა თქმა უნდა, უკვე საქვეყნოდ ცნობილი საირხე. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ყველა ზემოთხსენებ ძეგლს თავის დროზე ქართული არქეოლოგიისთვის ჰქონდა საეტაპო მნიშვნელობა და აქ მოპოვებული არტეფაქტები კიდევ დიდხანს იქნება მეცნიერული ინტერესის საგანი.

თუმცა, ეჭვს გარეშეა, რომ საქართველოს ისტორიასა და არქეოლოგიას მეცნიერული კვლევა-ძიების გარდა, ჰაერივით სჭირდება მათი მიტანა საზოგადოების ფართო ფენებამდე, რათა ერმა გაითავისოს და იამაყოს ქართველთა წინაპრების მიერ საუკუნეების მანძილზე შექმნილი უმდიდრესი კულტურითა და ისტორიით. ეს აუცილებლობა და ანბანური ჭეშმარ-



იტება კარგად ჰქონდა გათავისებული ჯურხა ნადირაძეს და მის მიერ დანატოვარ მემკვიდრეობაში მეცნიერული გამოკვლევების პარალელურად, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სამეცნიერო-პოპულარულ ნაშრომებს, რომლებიც თამამად შეგვიძლია მივიჩნიოთ ეროვნული არქეოლოგიის მონაპოვრად და მის განუყოფელ ნაწილად. არც იმ სიმართლის აღნიშვნა იქნება ზედმეტი, რომ არქეოლოგიისა და არქეოლოგიური აღმოჩენების შესახებ მხატვრულ ნაწარმოებებს ჯურხა ნადირაძესავით ვერავინ წერდა და დღემდე ვერავინ წერს. წლების განმავლობაში მომინია მუშაობა ჯ.ნადირაძესთან და კარგად ვიცო, როგორ ოცნებობდა იგი, სამეცნიერო მონოგრაფიებისა თუ სამეცნიერო-პოპულარული ნაწარმოებების გარდა გამოეცა უხვად ილუსტრირებული ალბომი, სადაც ერთად იქნებოდა

წარმოდგენილი მის მიერ აღმოჩენილი ზემო იმერეთის ბრინჯაოსა და ანტიკური ხანის საგანძური. მრავალი ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზის გამო ამ ჩანაფიქრის განხორციელება მას არ დასცალდა. მის მოულოდნელ გარდაცვალებასთან ერთად თითქოსდა ეს იდეაც წარსულს უნდა ჩაბარებოდა, მაგრამ გარდაცვალებიდან ზუსტად 25 და დაბადებიდან 90 წლისთავზე საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა და საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდმა "ქართუმ" ჯურხა ნადირაძის ოცნება აღასრულეს და ერთობლივი ძალისხმევით მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოსცეს ალბომი "ზვით განათებული ათასწლეულები", რომელშიც თავმოყრილია ზემო იმერეთში ბატონ ჯურხას მიერ გამოვლენილი ბრინჯაოსა და ანტიკური ეპოქების განუმეორებელი და მაღალმხატვრული არქეოლოგიური არტეფაქტები. ალბომის შედგენაში საკუთარი წვლილი შეიტანა ჯურხას ვაჟმა, შალვა ნადირაძემ, ხოლო ვრცელი წინასიტყვაობა ეკუთვნის ჯურხას ძმას, დოქტორ ელადარ ნადირაძეს. ალბომს ნამძღვარებული აქვს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორის, აკადემიკოს დავით ლორთქიფანიძის წერილი, რომელშიც კომპაქტურად გადმოცემულია ჯურხა ნადირაძის ღვაწლი ქართულ არქეოლოგიაში და აღმოჩენების მნიშვნელობა ქართული არქეოლოგიური მეცნიერებისთვის.

კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური თავსაზრისით ალბომი სწორედ არის შედგენილი. არქეოლოგიური ძეგლები წარმოდგენილია ცალკე-ცალკე, ხოლო არტეფაქტები დალაგებულია ქრონოლოგიური პრინციპით. ამ ალბომ-კატალოგის საშუალებით მკითხველს საშუალება ეძლევა წარმოდგენა შეიქმნას, თუ რას წარმოადგენს თითოეული ეს ძეგლი და რა ტიპის სამკაული, იარაღი თუ კერამიკული ნაწარმია მოპოვებული თითოეულ მათგანზე. კატალოგი შეგენილია ქართულ და ინგლისურ ენებზე, რაც კარგი საშუალებაა იმისთვის, რომ უძველესი ქართული კულტურა ხელმისაწვდომი და გასაგები გახდეს არა მხოლოდ ქართველი მკითხველისთვის, არამედ მის შესახებ ზუსტი და სანდო ინფორმაცია მიიღონ ქვეყნის ფარგლებს გარეთაც.

ალბომში წარმოდგენილია ქართული არქეოლოგიის ისეთი პირველხარისხოვანი არქეოლოგიური ძეგლები, როგორებიცაა საირხე, მოდინახე, ჯიეთი, წინსოფელი და მცხეთიჯვარი, რაც შემდგენელ-რედაქტორთა მაღალ კვალიფიკაციაზე მეტყველებს, რადგან ჯურხა ნადირაძე მის მიერ აღმოჩენილი და შესწავლილი 30-ზე მეტი არქეოლოგიური ძეგლიდან სწორედ კატა-

ლოგში შესულ არქეოლოგიურ ობიექტებს ანიჭებდა განსაკუთრებულ მნიშვნელობას.

ამ კატალოგის გამოცემით არა მხოლოდ სპეციალისტებმა, არამედ საქართველოს ისტორიითა და კულტურით დაინტერესებულმა მკითხველებმა კარგი საჩუქარი მიიღეს, ხოლო ეროვნულმა მუზეუმმა, ფონდმა "ქართუმ" და ოჯახის წევრებმა ჯურხა ნადირაძის იმ ქვეყნად წაღებული ოცნება რეალობად აქციეს და ასე მიულოცეს მას დაბადების 90-ე წლისთავი.


ისტ. დოქტ., პროფ. **ზურაბ ბრავაძე**

* * *

დ. ახვლედიანი, მ. ელაშვილი, გ. კირკიტაძე, ს. ხარაბაძე, გ. ასათიანი
**„მასალები ძვ.წ. V-I საუკუნის კოლხეთის არქეოლოგიური რუკისათვის
(ნამოსახლარები, სამაროვნები)“**

2017 წელს საქართველოს ეროვნული მუზეუმის და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მხარდაჭერითა და დახმარებით გამოქვეყნდა დიმიტრი ახვლედიანის, მიხეილ ელაშვილის, სულხან ხარაბაძის, გიორგი კირკიტაძის და გიორგი ასათიანის კოლექტიური ნაშრომი: „მასალები ძვ.წ. V-I საუკუნეების კოლხეთის არქეოლოგიური რუკისათვის (ნამოსახლარები, სამაროვნები)“- თბილისი 2017 წ. (87 გვერდი, რედაქტორი დარეჯან კაჭარავა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა).

მართალია, საკვლევი ეპოქა არცთუ დიდი ქრონოლოგიური დიაპაზონისაა, მაგრამ ამ დროის კოლხეთის ისტორიაში ხდება მთელი რიგი მნიშვნელოვანი ძვრები, რომლებიც უკავშირდება ბერძნულ კოლონიზაციას, ელინიზმის გავრცელებას და ა.შ. დასაწყისშივე გვინდა აღვნიშნოთ, რომ არქეოლოგიური ტექსტი ეკუთვნის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს დიმიტრი ახვლედიანსა და ეროვნული მუზეუმის მეცნიერ თანამშრომელს სულხან ხარაბაძეს.



კარტოგრაფიული სამუშაოები შესრულეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლებმა პროფ. მიხეილ ელაშვილმა, გიორგი კირკიტაძემ და გიორგი ასათიანმა. ნაშრომს ღირსებას მატებს ის ფაქტი, რომ პირველადაა განხილული ძვ.წ. V-I საუკუნეების კოლხეთის არქეოლოგია დემოგრაფიული ასპექტით.

მონოგრაფია შედგება შესავალის, ორი თავის, რვა პარაგრაფის, დასკვნისა და ინგლისური რეზიუმესაგან. წიგნს თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია, ტაბულებისა და რუკების აღწერილობა, ტაბულები, გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი და შემოკლებათა განმარტებები. ნაშრომი როგორც კვლევითი, ასევე საცნობარო ხასიათისაა.

შესავალ ნაწილში ლაკონურად განხილულია ნაშრომის მიზნები და ამოცანები. ტერიტორიული და ქრონოლოგიური პრინციპის მიხედვით დაჯგუფებულია კოლხეთის ნამოსახლარებისა და სამაროვნების მონაცემები და ფერად რუკებზეა და-

ტანილი.

მონოგრაფიული გამოკვლევის I თავში თავმოყრილია დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილი ძვ.წ. V-I სს-ის ნაქალაქარები, ნამოსახლარები, სამაროვნები და ცალკეული სამარხები. საკვლევ მხარეში განფენილი ეს ძეგლები კულტურული და ეკონომიკური ნიშნების გათვალისწინებით დაყოფილია რვა ზონად, სადაც არსებულ რაიონებში გამოყოფენ ცენტრებს დამახასიათებელი ნიშნებით. საუბარია ძირითად განმასხვავებელ ელემენტებზე დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე სხვადასხვა ზონაში კონცენტრირებულ მოხსენიებული კატეგორიის ძეგლებს შორის.

II თავში, რომელიც ნაშრომის ძირითად ნაწილს წარმოადგენს, განხილულია და მუნიპალიტეტების მიხედვით დაჯგუფებულია ძვ.წ. V-I საუკუნეების ნამოსახლარები და სამაროვნები. ავტორები მოკლედ ეხებიან შესწავლის ისტორიას, ლოკალიზაციას, იდენტიფიკაცია-ატრიბუციისა და პერიოდიზაციის საკითხებს. ზოგიერთ ცენტრზე (ფიჭვნარი, ფასისი, დიოსკურია, ვანის ნაქალაქარი, საირხე) უფრო დანვრილებით ჩერდებიან, რადგან ისინი ამის საშუალებას იძლევიან. ავტორებს მათი ჩამოთვლისას მხედველობის არედან არ რჩებათ აღნიშნული პერიოდის არცერთი მნიშვნელოვანი წყარო. თითოეული ნამოსახლარისა და სამაროვნის (ან სამარხის) ჩამონათვალზე მითითებულია შესაბამისი ლიტერატურა. აღსანიშნავია, რომ ისინი ზედმინევენით კარგად ფლობენ ინფორმაციას კოლხეთის ტერიტორიაზე განლაგებულ კლასიკური ხანის ძეგლებზე. პირველ რიგში ეს ითქმის დიმიტრი ახვლედიანზე და შემდეგ სულხან ხარაბაძეზე, რომლებიც პროფესიონალი არქეოლოგები არიან და საგანგებოდ მუშაობენ საკვლევ პერიოდის ძეგლებზე.

ძვ.წ. V-I ს-ების არქეოლოგიური რუკის შედგენისას კოლხეთის ისტორიას ოთხ პერიოდად ყოფენ თავისი დამახასიათებელი ძეგლებით: ძვ.წ. V ს. – III ს-ის დასაწყისი; ძვ.წ. III ს-ის მეორე ნახევარი – II ს; ძვ.წ. I ს-ის პირველი ნახევარი- ძვ.წ. I ს-ის შუა წლები. განსაზღვრული აქვთ თითოეული პერიოდისათვის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები. მისასაღებელია ავტორთა კოლექტივის გეგმები, რომ მომავალში მსგავსი სახის სამუშაოები გაგრძელდება და არქეოლოგიური რუკების შედგენისას აღნუსხავენ განძებს, ცალკეულ არტეფაქტებსა და სხვა კატეგორიის ძეგლებს.

მონოგრაფია გამოცემულია მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე. ავტორების დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ ყურადღების მიღმა არ რჩებათ აღნიშნული პერიოდის არცერთი წყარო. ნაშრომი დაწერილია გამართული ქართული ენით. კარგად იკითხება და სპეციალისტები მასში აღმოაჩენენ მათთვის საინტერესო საკითხებს. აღსანიშნავია, რომ ცალკეული რეგიონისა და არტეფაქტების მიხედვით ასეთი სახის სამუშაო ადრეც ყოფილა ჩატარებული (მაგალითად ი.ვორონოვი, ც.თოლორდავა, გ. ლორთქიფანიძე, ლ.ჯიბლაძე, რ.პაპუაშვილი, ნ.პაპუაშვილი და სხვ.), მაგრამ მათი რუკებზე დატანისას გამოყენებული ვერ იქნებოდა გეოსაინფორმაციო სისტემების პროგრამული პაკეტი (Ars Gis 10.2.2-ში), რომლის საფუძველს წარმოადგენს NASA-ს სატელიტის Aster-ის რელიეფის ციფრული სიმაღლითი-მოდელი (რეზოლუციით 30 მ) და დაჩრდილული რელიეფის მოდელი (მასშტაბი 1 : 900000). ისინი შესაძლებლობას იძლევიან ნაშრომში ხარისხიანად შესრულებულ ფერად რუკებზე ზუსტად იქნეს დატანილი თითოეული პუნქტი. ყურადღებას იპყრობს მონოგრაფიის ბიბლიოგრაფიული ნაწილი, რომელიც სოლიდურადაა წარმოდგენილი. საკმაოდ მოცულობითია ინგლისური რეზიუმე, რომელიც შესაძლებლობას აძლევს ამ დარგის უცხოელ სპეციალისტებს წარმოდგენა იქონიონ აღნიშნულ მონოგრაფიაზე.


დასარულს აღვნიშნავთ, რომ დიმიტრი ახვლედიანის, მიხეილ ელაშვილის, გიორგი კირკიტაძის, სულხან ხარაბაძის და გიორგი ასათიანის ნაშრომი - ძვ.წ. V-I საუკუნეების კოლხეთის არქეოლოგიური რუკისათვის (ნამოსახლარები სამაროვნები) - საყურადღებო გამოცემაა და მნიშვნელოვანი შენაძენია ქართული საისტორიო მეცნიერებისა და ამ საკითხებით დაინტერესებული მკითხველთათვის. აშკარაა, რომ წინამდებარე გამოკვლევა სამაგიდო წიგნად იქცევა კლასიკურ ხანაზე მომუშავე სპეციალისტებისათვის.

ისტ. მეცნ. დოქტ., პროფ. **ლერი ჯიბლაძე**

* * *

ვ. სადრაძე, თ. ხოხობაშვილი, მ. ძნელაძე, ელ. ლლიღვაშვილი

**„არქეოლოგიური ძეგლების საველე კვლევა-ძიების მეთოდის“
(I ნაწილი, 217 გვერდი)**



2019 წელს გამოქვეყნდა პროფ. ვაჟა სადრაძის, თამარ ხოხობაშვილის, მერაბ ძნელაძის და ელგუჯა ლლიღვაშვილის კოლექტიური ნაშრომი „არქეოლოგიური ძეგლების საველე კვლევა-ძიების მეთოდის“ (სერიის რედაქტორი — პროფ. გ. გამყრელიძე, კონსულტანტ-რედაქტორი — პროფ. ჯ. სამუშია, რეცენზენტები — ისტ. მეცნ. დოქტორები, პროფ. გ. ინანიშვილი, დ. ახვლედიანი, ლ. ჯიბლაძე, გამომცემლობა „საარი“), I ნაწილი.

სახელმძღვანელო შედგება შესავლის, 7 ნაწილის, დასკვნისა და ინგლისური რეზიუმისაგან. თითოეულ ნაწილს ახლავს გამოყენებული ლიტერატურის სია. წიგნს ერთვის ტაბულების აღწერილობა, ატლასის შედგენისას გამოყენებული სამეცნიერო ბიბლიოგრაფია, დანართები და ა.შ. აღვნიშნავთ, რომ ქართულ არქეოლოგიურ მეცნიერებაში ასეთი სახის პუბლიკაციები არცთუ ისე ხშირად ქვეყნდება. ამდენად, წინამდებარე ნაშრომის გამოცემით ის სტუდენტები, რომლებმაც სამომავლოდ არქეოლოგიის პროფესია აირჩიეს, ისარგებლებენ მეტად საინტერესო და დიდი ინფორმაციის მქონე სახელმძღვანელოთი.

აღსანიშნავია, რომ სარეცენზიო სახელმძღვანელოს ავტორები პროფესიონალი არქეოლოგები არიან, რომლებსაც როგორც კაბინეტური, ასევე საველე მუშაობის ხანგრძლივი

გამოცდილება გააჩნიათ. შესწავლილი და გამოცემული აქვთ არაერთი სამეცნიერო ხასიათის ნაშრომი. ამ სამეცნიერო ჯგუფის წევრები პარალელურად დაკავებულნი არიან სალექციო კურსით უმაღლეს სასწავლებლებში. როგორ ჩანს, საველე მუშაობის დიდმა გამოცდილებამ და უმაღლეს სასწავლებელში მიმდინარე სასწავლო პროცესების დროს სტუდენტებთან (მომავალ არქეოლოგებთან) ხშირმა კონტაქტებმა გადააწყვეტინეს ავტორებს ასეთი ტიპის სახელმძღვანელოს შექმნა, რომელიც ნამდვილად ხელეწიფებოდათ და კარგად გაართვეს თავი.

შესავალ ნაწილში ყურადღება გამახვილებულია საველე არქეოლოგიაში ამ ტიპის სახელმძღვანელოების შექმნის ძირითად მიზანზე, რაც გულისხმობს მომავალი სპეციალისტების პრაქტიკულ-თეორიული უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და საველე მუშაკად ჩამოყალიბებას. წინამდებარე ნაშრომის შესწავლით სტუდენტები საფუძვლიანად დაეუფლებიან საველე კვლევა-ძიების მეთოდებს, შემდგომში თეორიულად მიღებულ ცოდნას მოქმედ არქეოლოგიურ ექსპედიციებში მონაწილეობით გაიღრმავებენ; სრულყოფილად შეისწავლიან საველე პრაქტიკულ საქმიანობას, გაეცნობიან სხვადასხვა ხასიათის ძეგლების გათხრის სპეციფიკას და ა.შ.

სარეცენზიო ნაშრომის I ნაწილში ავტორები დეტალურად მიმოიხილავენ არქეოლოგიის განვითარების ისტორიას, გვანვდიან დიდ ინფორმაციას აღნიშნულ საკითხზე. თვალთახედვიდან არ რჩებათ განსახილველი საკითხის არცერთი საყურადღებო მონაცემი, რაც მათ მიერ ჩატარებული დიდი შრომატევადი სამუშაოს შედეგზე მეტყველებს. ავტორების აღნიშვნით, არქეოლოგია, როგორც სამეცნიერო საზოგადოებრივი ისტორიული დარგი XIX—XX საუკუნეების მიჯნაზე ყალიბდება, მაგრამ ამ ტერმინს ძვ.წ. IV საუკუნიდან სიძველეთმცოდ-

ნეობის თვალსაზრისით იყენებდნენ. ელინიზმის ეპოქაში, ბერძნული ცივილიზაციის ფართო გავრცელების პირობებში, სიძველეების ძიების მიზნით გათხრები ფართოვდება და პარალელურად იწყება ძველი ნივთების შეგროვება-კოლექციონირება. ავტორები საუბრობენ კლასიკური ხანის ცნობილ პიროვნებებზე (ჰეროდოტე, პლატონი, პოლომეონი, პავსანია, სტრაბონი და ა.შ.), ყურადღებას ამახვილებენ მათ დამსახურებაზე არქეოლოგიის დარგის განვითარებაში, რომელიც ძირითადად შემოიფარგლებოდა თანადროული, ან უფრო ადრეული ძეგლების აღწერით. საფუძვლიანად აქვთ გადმოცემული არქეოლოგიის განვითარება ალორძინების ხანაში. არქეოლოგიის განვითარებაში შედარებით მოგვიანო ეტაპის დაწყებას უკავშირებენ XVIII საუკუნის პირველ ნახევარს. სწორედ ამ პერიოდში (1711, 1748 წწ) იქნა მიკვლეული, ვულკან ვეზუვის ამოფრქვევის შედეგად განადგურებული ქალაქები ჰერკულანუმი და პომპეი. ამ აღმოჩენას მოყვა არაპროფესიონალების, კერძო პირების მიერ აღნიშნული ქალაქების ბარბაროსული გათხრები. ავტორებს მხედველობის არედან არ რჩებათ XVIII საუკუნის დასასრულს, ნაპოლეონ ბონაპარტის ეგვიპტეში შეჭრა, რომელსაც თან ახლდა მეცნიერთა და მხატვართა დიდი ჯგუფი. სწორედ ამ პერიოდიდან ეყრება საფუძველი ძველი აღმოსავლეთის არქეოლოგიური კვლევა-ძიების დასაწყისს. ასევე საუბარია იმ მეცნიერებზე, რომელთაც XIX საუკუნეში არქეოლოგიური გათხრებითა და გამოცემული ნაშრომებით უდიდესი ღვაწლი მიუძღვით დარგის განვითარების საქმეში (ჰ. ლეარდი, პ. ბოტა, ჯ. სმიტი, მ. ბროსე, გ. მორტილიე, ა. ბრელი ა. ევანსი, ჰ. შლიმანი, ლ. ფოკსი, ჟ. დეშელეტი, პ. რივერსი, ო. მონტელიუსი და სხვ.). ასევე ეხებიან იმ რუს მეცნიერებსაც, რომელთაც გარკვეული დამსახურება მიუძღვით არქეოლოგიის განვითარების საქმეში (ი. ზაბელინი, ა. სპიცინი, ბ. ფარმაკოვსკი, ვ. გოროდცოვი, ბ. პიოტროვსკი, ა. მონგაიტი, ი. არციხოვსკი და ა.შ.).

ამავე ნაწილში საუბარია XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარე გეგმაზომიერ არქეოლოგიურ კვლევებზე, სადაც ძირითადი ყურადღება გამახვილებულია ნეოლით - ენეოლითის ხანის ძეგლებზე.

სახელმძღვანელოს II ნაწილში ავტორები განიხილავენ საველე გათხრით არქეოლოგიურ სამუშაოებს საქართველოში, დაწყებული XIX საუკუნის 50-იანი წლებიდან დღემდე. საუბარია უფლისციხეში 1852 წელს დ. მელვინეთუხუცესის მიერ ჩატარებულ პირველ მეცნიერულ საველე არქეოლოგიურ გათხრებზე; 1850 წელს თბილისში გახსნილ გეოგრაფიულ საზოგადოებაზე, რომელსაც სხვა დატვირთვაც ჰქონია: საველე ექსპონანტების შეგროვება-აღწერა და საველე ექსპედიციების მოწყობა. ყურადღება გამახვილებული სამთავროს სამაროვნის გათხრებზეც, რომელიც XIX საუკუნის 70-იან წლებში უნარმოებია ფ. ბაიერსს, შემდეგ კი რამდენიმე სამარხი შეუსწავლია ე. შანტრს. საუბარია 1889 წელს ექვთიმე თაყაიშვილის მიერ ბაგინეთზე წარმოებულ არქეოლოგიურ გათხრებზე, რასაც მოყოლია ცნობილი მკვლევარის მიერ მოკლევადიანი არქეოლოგიური სამუშაოების წარმოება არმაზისხევის მიდამოებში, ასევე ვანში ახვლედიანების გორაზე და ა.შ. ავტორებს ყურადღების მიღმა არ რჩებათ დიმიტრი ბაქრაძის დიდი დამსახურება საქართველოში არქეოლოგიური ძეგლების შესწავლის საქმეში, რომელსაც საქართველოს ისტორიის შედგენისას მნიშვნელოვან მიმართულებად მიაჩნდა წყაროებისა და არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებული მასალების ყოველმხრივი ანალიზი. ხაზგასმულია, რომ დიმიტრი ბაქრაძემ მრავალწლიანი ისტორიულ-არქეოლოგიური კვლევის შედეგად საყურადღებო მონოგრაფიული გამოკვლევა დაგვიტოვა „კავკასიის ძველი ქრისტიანული ძეგლების“ შესწავლის სახით. სახელმძღვანელოში ასევე ეხებიან არაერთ საკითხს, რომელთა დეტალური მიმოხილვა შორს წაგვიყვანს.

ამავე თავში ჩამოთვლილია ის მეცნიერები, რომელთაც დიდი დამსახურება მიუძღვით არქეოლოგიის დარგის განვითარებაში. ამ თვალსაზრისით იხსენიებენ XX-XXI საუკუნეში მოღვაწე ისტორიკოსთა და არქეოლოგთა მრავალრიცხოვან პლეადას (ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი, გ. მელიქიშვილი, გ. ნიორაძე, ბ. კუფტინი, ოთ. ჯაფარიძე, ან. აფაქიძე, ალ. ჯავახიშვილი, გ. ლომთათიძე, გ. გობეჯიშვილი, ალ. კალანდაძე, ოთ. ლორთქიფანიძე, დ. ხახუტაიშვილი და სხვ.). აქვე ლაკონურად, მაგრამ ამომწურავადაა განხილული საველე გათხრითი არქეოლოგია საქართველოს ტერიტორიაზე.

სახელმძღვანელოს III ნაწილში აღნიშნულია, რომ 50 წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც აკად. ოთ. ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით განისაზღვრა არქეოლოგიის როგორც საზოგადოებრივ-ისტორიული დარგის კვლევითი ამოცანები და სტრატეგიული მიმართულებები. მოცემულია მათი მოკლე ჩამონათვალი. ამ ხნის განმავლობაში წარმოებული საველე კვლევა-ძიების შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე უმნიშვნელოვანესი არქეოლოგიური ობიექტები აღმოჩნდა, რომელთა დიდი ნაწილი მონოგრაფიულადაა შესწავლილი. უადრესი

ძეგლებიდან გამოყოფენ დმანისის ადრეპალეოლითური ხანის ადამიანის ადგილსამყოფელს, რომლის მიხედვით საქართველოს ტერიტორია უადრესი ჰომინიდების საცხოვრისადაა მიჩნეული (დ. ლორთქიფანიძე). საუბარია ადრე, შუა და გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის არქეოლოგიური კულტურების (მტკვარ-არაქსულ-ბედენურ-მარტყოფულ-თრიალეთური, ცენტრალურ ამიერკავკასიური, სამთავრული) შესწავლის მიზნით ჩატარებულ კვლევებზე და ა.შ.

ავტორების აღნიშვნით, არქეოლოგიური კვლევის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს კოლხეთისა (ლაზიკის) და იბერიის (ქართლის) სამეფოების, შედარებით გვიან ერთიანი ქართული სახელმწიფოს მატერიალური კულტურის კვლევა. ამ თვალსაზრისით შესწავლილია არაერთი არქეოლოგიური ობიექტი. ასევე განხილულია არქეოლოგიური კვლევის ცენტრის შუა საუკუნეების ძეგლებზე მომუშავე მკვლევარების სამეცნიერო საქმიანობის ძირითადი მიზნები და ამოცანები. ამ ნაწილს დართული აქვს არქეოლოგიური კვლევის ცენტრში მომუშავე არქეოლოგთა სია.

სახელმძღვანელოს IV-VI თავში განხილულია სავსე არაქეოლოგიური კვლევა-ძიების მეთოდის საკითხები. აღნიშნულია, რომ საქართველოს ტერიტორიაზე არქეოლოგიურ გათხრებსა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვას არეგულირებს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის ეროვნული სააგენტო. საუბარია სავსე არქეოლოგიურ დაზვერვებზე, არქეოლოგიურ გათხრებზე, ნამოსახლარებისა და სამაროვნების არქეოლოგიურ სამუშაოებზე, გორა სამარხების გათხრების თავისებურებებზე, ახალმშენებლობის ზონებში მოქცეულ არქეოლოგიური ობიექტების გათხრების მეთოდიკაზე, სავსე დოკუმენტაციის შედგენაზე, სავსე არქეოლოგიური პრაქტიკის მნიშვნელობაზე და ტექნიკური უსაფრთხოების საკითხებზე. სახელმძღვანელოს ერთვის დანართების სია და საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ თანმდევ კომენტარებით. ამდენად ავტორებს არქეოლოგიის დარგის სრულყოფილი შესწავლისათვის ყველაფერი აქვთ თავმოყრილი, რაც კი სტუდენტებს დასჭირდებათ.

სახელმძღვანელოს VII ნაწილში მოკლედია განხილული სხვადასხვა ეპოქაში საქართველოს არქეოლოგიური ძეგლებისა და მოძრავი არტეფაქტების ქრონოლოგია-პერიოდიზაცია (თვალსაჩინოება, კომენტარები, ატლასი).


დასასრულს აღვნიშნავთ, რომ ვ. სადრაძეს, თ. ხოხობაშვილს, მ. ძნელაძეს, ელ. ლილვაშვილს ნაშრომის „*არქეოლოგიური ძეგლების სავსე კვლევა-ძიების მეთოდი*“ შესრულებაში დიდი მოცულობის სამუშაოები აქვთ ჩატარებული, სადაც განსაკუთრებით გამოვყოფდით ვ. სადრაძის როლს. აღვნიშნავთ, რომ ასეთი ტიპის სახელმძღვანელოს შექმნით, სადაც ამომწურავად თავმოყრილია და განხილული არქეოლოგიის დარგთან დაკავშირებული თითქმის ყველა საკითხი, განებივრებულები არა ვართ. ამით ჩვენ სრულებითაც არ ვაყენებთ ჩრდილს საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში შექმნილ ამ ტიპის სხვა სახელმძღვანელოებს. კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, რომ მისი საფუძვლიანი შესწავლით სტუდენტები თეორიულად ყოველმხრივ მომზადებული იქნებიან, რომლის გამოყენება შეეძლება პრაქტიკულ საქმიანობაში. ასევე საინტერესოა ნიგნზე თანდართული საქართველოს ტერიტორიაზე არსებული არქეოლოგიური კულტურებისათვის დამახასიათებელი არტეფაქტების შემაჯამებელი ტაბულები, თავისი გავრცელების რუკებით. ჩვენ ვიტყვით, რომ წარმოდგენილი ნაშრომი „*არქეოლოგიური ძეგლების სავსე კვლევა-ძიების მეთოდი*“, იმდენად დიდ და მრავალმხრივ ინფორმაციას შეიცავს, რომ მას ენციკლოპედური, საცნობარო ხასიათის სახელმძღვანელოც კი შეიძლება ვუნოდოთ. ნაშრომს დართული აქვს ცალკეული არტეფაქტების აღწერის ნიმუშები, რომლებიც ძალზე გამოადგება სტუდენტებსა და დამწყებ არქეოლოგებს მუშაობაში.

მისასალმებელია ავტორების სურვილი, რომ სახელმძღვანელო მომავალშიც გაგრძელდეს, რადგან სახეზეა ნაშრომის მხოლოდ I ნაწილი, ხოლო მომავალი წლისათვის II ნაწილის პუბლიკაცია იგეგმება. სტუდენტები, დამწყები არქეოლოგები და ასევე სპეციალისტები აღმოაჩენენ მათთვის არაერთ მნიშვნელოვან საინტერესო საკითხს. დასასრულს აღვნიშნავთ, რომ ჩვენს მიერ რეცენზირებული, წინამდებარე ნაშრომი „*არქეოლოგიური ძეგლების სავსე კვლევა-ძიების მეთოდი*“ საყურადღებო და მნიშვნელოვანი შენაძენია.

ისტ. მეცნ. დოქტ., პროფ. **ლერი ჯიბლაძე.**

* * *

რევაზ პაპუაშვილი “ზუგდიდის არქეოლოგიისათვის”



რევაზ პაპუაშვილი კოლხეთის არქეოლოგიის ცნობილი მკვლევარია. იგი დიდი ხანია არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას აწარმოებს სამეგრელოს რეგიონში და არაერთი ძეგლის აღმოჩენია. მისი დამსახურება ისიც არის, რომ მის მიერ გათხრილი თითქმის ყველა არქეოლოგიური ძეგლის მონაცემები სწრაფად შედის სამეცნიერო მიმოქცევაში და ხელმისაწვდომი ხდება დაინტერესებული მკითხველისთვის.

2017 წელს გამოქვეყნდა მისი მონოგრაფია “ზუგდიდის არქეოლოგიისათვის”, რომელიც განკუთვნილია როგორც სამეცნიერო წრეებისათვის, ასევე-ზუგდიდის სიძველეებით დაინტერესებული მკითხველთა ფართო წრისათვის.

ზუგდიდსა და მის მიდამოებში წლების მანძილზე შემთხვევით აღმოჩენების წყალობით გროვდებოდა არქეოლოგიური არტეფაქტები, რომლებსაც დიდ ყურადღებას აქცევდნენ ადგილობრივი მხარეთმცოდნეები და მათ თავს უყრიდნენ ზუგდიდის მუზეუმში. დაარსებისთანავე მუზეუმის ფონდები მეთოდურად ივსებოდა შემთხვევით აღმოჩენილი არქეოლოგიური მას-

სალებით და სწორედ ამ მასალებს ეთმობა რ.პაპუაშვილის მონოგრაფიის ცალკე თავი.

ვისაც სამეგრელოს და კონკრეტულად, ზუგდიდის არქეოლოგიური მემკვიდრეობა აინტერესებს, ამ წიგნში ბევრ საინტერესო ნიუანსს იპოვის, რადგან აქ ცალკეული ეპოქების მიხედვით დახასიათებულია ქვის ხანის, ბრინჯაოს ეპოქის, ანტიკური ხანისა და შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები. დახასიათებულია ისეთი ცნობილი არქეოლოგიური ობიექტები, როგორებიცაა ანაკლია I, ანაკლია II, ერგეტა, მამულიების დიხაგუძუბა და ცაიშის სამაროვანი.

საგანგებოდაა წარმოდგენილი ერგეტასა და ცაიშის სამაროვნების როლი და მნიშვნელობა კოლხეთისა და კავკასიის არქეოლოგიისათვის. რამდენიმე სხვადასხვა (ერგეტის სამი სამაროვანი და ცაიშის სამაროვანი) ძეგლის პარალელური კვლევა და კვლევის შედეგების ერთობლივად წარმოდგენა მკითხველს საშუალებას აძლევს კარგად დაინახოს მათ შორის არსებული მსგავსება-განსხვავებები. აქვე აღვნიშნავ, რომ ერგეტის და ცაიშის სამაროვნებს დიდი მნიშვნელობა აქვს ძველი კოლხეთის მატერიალური და სულიერი კულტურის შესწავლის თვალსაზრისით და ისინი დღემდე რჩება ამ ტიპის ძეგლების კლასიკურ ნიმუშებად. ერგეტისა და ცაიშის სამაროვნების არქეოლოგიურმა შესწავლამ გამოავლინა ძვ.წ. VIII-VII საუკუნეების კულტურისა და ხელოვნების ბრწინვალე ძეგლები – ოქროსა და ბრინჯაოს სამკაულები, მცირე პლასტიკის ნიმუშები, გრაფირებული კოლხური ცულები, იარაღი და სხვ. ამ არტეფაქტების დიდი ნაწილი თავმოყრილი და განხილულია აღნიშნულ წიგნში.

არქეოლოგიური არტეფაქტების გარდა გაანალიზებულია კოლხური დასახლებების ხასიათი, მიცვალებულთა დაკრძალვის თავისებური წესი და ის ეკოსისტემა, რაშიც უხდებოდა ცხოვრება ადამიანს ძვ.წ. II-I ათასწლეულებში. აგრეთვე ნაჩვენებია, თუ როგორ იცვლება დასახლებების ხასიათი ანტიკურ ხანასა და შუა საუკუნეებში.

რ.პაპუაშვილი ობიექტურად წარმოაჩენს სხვა არქეოლოგებისა და მხარეთმცოდნეების დამსახურებას ზუგდიდის სიძველეების გამოვლენის, დაცვისა და შესწავლის საქმეში. რა თქმა უნდა, ცალკე აღნიშვნის ღირსია ის რეალობაც, რომ სამეგრელოს არქეოლოგიურ შესწავლას აქვს საკმაოდ დიდი ხნის ისტორია და ეს პროცესი 1856 წლიდან იღებს სათავეს.

ნაშრომი უხვად არის ილუსტრირებული და ერთვის ინგლისურენოვანი რეზიუმე, რაც მას ხელმისაწვდომს ხდის არაქართველი მკითხველისთვისაც.

ქართულ არქეოლოგიურ ლიტერატურას შეემატა გამოკვლევა, რომელიც კარგად წარმოაჩენს ერთი ქალაქის როლსა და მნიშვნელობას საქართველოს უძველესი კულტურული მემკვიდრეობის შესწავლის საქმეში.

ისტ. დოქტ., პროფ. ზურაბ ბრავვაძე

სსმ35ა



გიორგი დუნდუა
(1932-2019)

სამწუხაროდ, 2019 წელს ნუმიზმატთა რიგებს და მთელ ქართულ სამეცნიერო საზოგადოებრიობას გამოაკლდა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ეროვნული მუზეუმის თანამშრომელი, პროფესორი გიორგი დუნდუა. ქართული ნუმიზმატიკური მეცნიერების ახალი ეტაპი მნიშვნელოვნად დაკავშირებულია ცნობილი მეცნიერის ბატონი გიორგის მოღვაწეობასთან.

გიორგი დუნდუა 1932 წლის 12 ივლისს, ქ. თბილისში დაიბადა. 1951 წელს თბილისის ვაჟთა XI საშუალო სკოლის ვერცხლის მედალზე დამთავრების შემდეგ იგი სწავლას განაგრძობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობისა და ისტორიის ფაკულტეტზე და წარჩინებით ამთავრებს ამ უკანასკნელს 1957 წელს.

1958 წლიდან გიორგი დუნდუა აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილების სტაჟიორი, ლაბორანტი, შემდგომში კი უმცროსი და უფროსი მეცნიერ თანამშრომელია. 1968 წლიდან გ. დუნდუა სამუშაოდ გადადის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში. 1986 წლიდან იგი არქეოლოგიური კვლევის ცენტრის მთავარი მეცნიერ თანამშრომელია. გარდაცვალებამდე ის ამავე დანესებულებაში კონსულტანტი იყო და თავის მრავალმხრივ გამოცდილებას უზიარებდა უმცროს კოლეგებს.

ბატონი გიორგის სამეცნიერო შემოქმედება (და შესაბამისად, საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები) მთლიანად უკავშირდება ნუმიზმატიკას. ბატონმა გიორგიმ ნუმიზმატიკური მეცნიერების შესაძლებლობები გააფართოვა. იგი ყოველთვის ცდილობდა მონეტები გადაეყვინა ისტორიის პირველხარისხოვან წყაროდ. მონეტებზე დაყრდნობით, იგი ცდილობდა საქართველოს ისტორიის, პალეოეკონომიკური, კულტურისა და რელიგიის ისტორიის კარდინალური საკითხები გაეშუქებინა. ამ პრინციპითაა დაწერილი ყველა მისი ნაშრომი, რომელთა რიცხვმა (საენციკლოპედიო სტატიების ჩათვლით) ერთ ასეულს გადააჭარბა. ნაშრომები გამოქვეყნებულია ქართულ, ინგლისურ, რუსულ, გერმანულ და ფრანგულ ენებზე. ბ-ნ გიორგი მრავალგზის მონაწილეობდა საერთოშორისო სიმპოზიუმებისა და სამეცნიერო კონფერენციების მუშაობაში.

აღსანიშნავია ბატონი გიორგის დამსახურება ანტიკური ხანის კოლხეთისა და იბერიის ნუმიზმატიკისა და ისტორიის შესწავლაში. მან პირველმა შეისწავლა მონოგრაფიულად საქართველოში აღმოჩენილი ალექსანდრე მაკედონელისა და ლისიმახეს სახელით მოჭრილი სტატერები, შეადგინა მათი ქართული მინაბაძების სრული მეცნიერული კატალოგი, შეიმუშავა მათი აბსოლუტური და შედარებითი ქრონოლოგია.

გიორგი დუნდუამ სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანა ბიჭვინთისა და ვანის ნაქალაქარებზე აღმოჩენილი უაღრესად მნიშვნელოვანი ნუმიზმატიკური მასალა. მონოგრაფიულად შეისწავლა ქალაქ ტრაპეზუნტის II-III საუკუნეების სპილენძის ნაქალაქო მონეტები. მან მეცნიერულად განსაზღვრა ნასტაკისში, ალაიანსა და ერწო-თიანეთში აღმოჩენილი ნუმიზმა-

ტიკური მასალა. მონოგრაფიულად შეისწავლა „დიდი მცხეთის“ ტერიტორიაზე მიკვლეული მრავალრიცხოვანი მონეტები.

გიორგი დუნდუამ ქართულ-სასაზღვრო დრამების ატრიბუციის პრობლემა გააშუქა ირან-ბიზანტია-აღმოსავლეთ საქართველოს VI საუკუნის ისტორიის ფონზე და მჭიდროდ დაუკავშირა ქართული ხუროთმოძღვრების სიამაყის — მცხეთის ჯვრის ტაძრის მშენებლობის საკითხს.

საკანდიდატო ნაშრომში კი ის შეეჭიდა ფაქტობრივად ყამირ თემას ქართულ ნუმიზმატიკაში - XV საუკუნის სამონეტო მიმოქცევას, რომელიც გადაუჭარბებლად უნდა ითქვას, რომ ყოველთვის მის სახელს დაუკავშირდება. ხოლო 1982 წელს სადოქტორო დისერტაციაში „სამონეტო საქმე და სამონეტო მიმოქცევა ანტიკური პერიოდის საქართველოში (ძვ.წ. VI - ახ.წ. IV სს)“ შესწავლილია ანტიკური პერიოდის ნუმიზმატიკური მასალა.

2006 და 2011 წელს გამოაქვეყნა „ქართული ნუმიზმატიკა“ (თანაავტორი თ. დუნდუა). ნაშრომში საქართველოში მოჭრილი მონეტების პარალელურად, განხილულია ჩვენი ქვეყნის სამონეტო ცირკულაციაში 26 საუკუნის განმავლობაში აქტიურად მბრუნავი უცხოური ფულიც.

2009 წელს ბატონი გიორგის ინიციატივით და მის მიერ შედგენილი გეგმის თანახმად „ქართული ნუმიზმატიკური ლექსიკონი“ გამოიცა (ირ. ჯალალნიას თანაავტორობით). ხაზგასმით უნდა აღნიშნოს, რომ მას პრეცედენტი არ გააჩნია ქართულ ისტორიოგრაფიაში. ნაშრომში შესულია 400 ნუმიზმატიკური ტერმინი თავის დეფინიციითა და შესაბამისი სტატიებით, დაღვრული ანბანის მიხედვით. ლექსიკონში აღწერილია თითოეული ქართული და საქართველოში გავრცელებული უცხოური მონეტა, მოცემულია განძების სრული ნუსხა და მათი ზუსტი შემადგენლობა, განმარტებულია თითქმის ყველა იმ ძირითადი ტერმინის მნიშვნელობა, რომელებიც მოხსენიებულია ქართულ წერილობით წყაროებში. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ეს ნაშრომი სამაგიდო წიგნია საქართველოს ისტორიის საკითხებით დაინტერესებული მკითხველისთვის.

ძნელია ლაკონურად გადმოვცეთ სამეცნიერო კვლევის ის ფართო მასშტაბები, რითაც ბატონი გიორგი დარჩა ქართული ნუმიზმატიკის ისტორიაში. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მისი პედაგოგიური მოღვაწეობა და ზრუნვა ნუმიზმატიკური მეცნიერების განვითარებისა და პოპულარიზაციისთვის. ამ დარგში დაცული უამრავი დისერტაციის (როგორც საკანდიდატოს, ისე სადოქტოროს) თემატიკის ავტორი თვითონ იყო. ამით ღვანღმოსილმა მეცნიერმა შეძლო შეეხსოვო ნუმიზმატიკურ მეცნიერებაში არსებული თეთრი ლაქები.

ბატონ გიორგის სიცოცხლის ბოლო წუთამდე არ უღალატია არჩეული საქმისთვის. ორი წლის წინ, 2017 წელს სრულფასოვნად, მაღალი პასუხისმგებლობით და სიყვარულით უკანასკნელად უხელმძღვანელა ამ სტრიქონების ავტორის სადოქტორო ნაშრომს. ბ-ნ გიორგი დუნდუამ თავისი მოღვაწეობით შეძლო საქართველოს ეროვნული მუზეუმის ნუმიზმატიკური უჯრედის განვითარებაში დიდი წვლილი შეეტანა, იმ უჯრედის, რომელიც თავის დროზე საფუძვლად დაედო ქართული ნუმიზმატიკის, როგორც სამეცნიერო დისციპლინის, ჩამოყალიბებას. ამ მხრივ, გიორგი დუნდუას ღვანღვი ქართული ნუმიზმატიკური მეცნიერების წინაშე ფასდაუდებელია.

ისტ. დოქტ. *მაია პატარიძე*



გურამ ლორთქიფანიძის ხსოვნას
(1938-2019)

ქართულმა მეცნიერებამ მძიმე დანაკლისი განიცადა. 80 წლის ასაკში ხანმოკლე, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა გურამ ლორთქიფანიძე - თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემირიტუსი პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი,

გურამ ლორთქიფანიძე დაიბადა 1938 წელის 14 სექტემბერს ქალაქ ბათუმში ამბროსი ლორთქიფანიძისა და ოლღა ვახტანგიშვილის ოჯახში. სწავლობდა ბათუმის №1 საშუალო სკოლაში, ხოლო მისი ოჯახის საცხოვრებლად თბილისში გადმოსვლის შემდეგ, დაამთავრა თბილისის 68-ე სკოლა და სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისტორიის ფაკულტეტზე. პირველი კურსის დახურვის შემდეგ სასწავლებლად გადავიდა მოსკოვის მიხეილ ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც დაამთავრა 1961 წელს. 1965 წელს ცნობილი არქეოლოგის, პროფესორ ვ.დ. ბლავატსკის ხელმძღვანელობით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია „კოლხეთი ძვ.წ. II-I საუკუნეებში.“

გურამ ლორთქიფანიძემ სტუდენტობის დროიდანვე დაიწყო აქტიური არქეოლოგიური საქმიანობა. იგი მონაწილეობდა არაერთი ექსპედიციის მუშაობაში. მათგან განსაკუთრებით ნაყოფიერი აღმოჩნდა მისი მონაწილეობა ვანის ნაქალაქარის არქეოლოგიურ გათხრებში, სადაც იგი ჩამოყალიბდა როგორც გამთხრელი და მკვლევარი არქეოლოგი.

ბატონი გურამის გამორჩეული ზრუნვის საგანი იყო აფხაზეთის არქეოლოგიური ძეგლები და განსაკუთრებით, ბიჭვინთის ნაქალაქარი, რომლის არქეოლოგიურ შესწავლასაც ხელმძღვანელობდა დაახლოებით თხუთმეტი წლის განმავლობაში და მხოლოდ აფხაზეთის ტრაგედიამ შეაჩერა ამ ნაყოფიერი ექსპედიციის საქმიანობა. ბიჭვინთის ექსპედიცია იყო ქართველი და აფხაზი არქეოლოგების თანამშრომლობის შესანიშნავი მაგალითი და შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ ბატონ გურამს დღემდე დიდი სითბოთი, სიყვარულით და პატივისცემით ისხენიებენ აფხაზი კოლეგები. ბიჭვინთის ექსპედიციამ არქეოლოგიისკენ გზა გაუხსნა არერთ ქართველ და აფხაზ ახალგაზრდა სპეციალისტს, რომლებმაც საკუთარი სიტყვა თქვეს არქეოლოგიურ მეცნიერებაში და რომელთა გზის გამკვალავი და დაუზარელი დამრიგებელი იყო სწორედ გურამ ლორთქიფანიძე. ბიჭვინთის არქეოლოგიური გათხრების ძირითადი შედეგები აისახა ბატონი გურამის მონოგრაფიაში “ბიჭვინთის ნაქალაქარი”, რომელიც წარმოადგენს სამაგიდო წიგნს რომაული ეპოქის საქართველოს არქეოლოგიის მკვლევართათვის.

ნაყოფიერი საველე საქმიანობის პარალელურად გურამ ლორთქიფანიძე ეწეოდა ფართო სამეცნიერო საქმიანობას. იგი არის 13 მონოგრაფიის, 3 სახელმძღვანელოს და ორასზე მეტი სამეცნიერო სტატიის ავტორი. ძველი კოლხეთის არქეოლოგიის შესწავლის თვალსაზრისით ფასდაუდებელია მისი მონოგრაფიები „К истории древней Колхиды“ და „Колхида в VI-II вв. до н.э.“, რომლებსაც დღემდე არ დაუკარგავთ მაღალი სამეცნიერო ღირებულება.

გურამ ლორთქიფანიძე იყო არქეოლოგთა არაერთი თაობის აღმზრდელი. წლების განმავლობაში იგი “არქეოლოგიის შესავლის”, “ანტიკური არქეოლოგიისა” და “საქართველოს არქეოლოგიის” კურსებს კითხულობდა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მისი ხელმძღვანელობით მომზადებული და დაცულია არაერთი საკანდიდატო თუ სადოქტორო დისერტაცია. ძალიან გაძნელებდა იმ სადიპლომო, საკურსო თუ საკონფერენციო ნაშრომების ზუსტი რაოდენობის დასახელება, რომლებიც მისი ხელმძღვანელობისთ არის მომზადებული და დაცული. ასევე შთამბეჭდავია იმ დისერტაციებისა და მონოგრაფიების რაოდენობა, რომელთა ოპონენტი და რედაქტორიც იყო გურამ ლორთქიფანიძე.

1985 წელს ბატონი გურამის დიდი ძალისხმევით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე დაარსდა ქართული კულტურის ისტორიის კათედრა, რომელიც შემდგომ გაფართოვდა და ჩამოყალიბდა კულტურის ისტორიისა და თეორიის კათედრად. ამით საქართველოში საფუძველი ჩაეყარა ისტორიული კულტუროლოგიის კვლევას. სწორედ ბატონი გურამის ხელმძღვანელობით აღნიშნულ კათედრაზე ინტენსიურად მიმდინარეობდა სამეცნიერო კვლევები, გამოიცა “კულტურის ისტორიისა და თეორიის” ოცზე მეტი ტომი, მომზადდა ორი სრულიად ახალი ტიპის სახელმძღვანელო — “კულტუროლოგია” და “ქართული კულტურის ისტორია”, რომელსაც 1999 წელს მიენიჭა ივანე ჯავახიშვილის სახელობის პრემია.

ბატონი გურამი არასდროს კმაყოფილდებოდა მიღწეული შედეგით და მუდამ სიახლის ძიებაში იყო. მისი უშუალო ხელმძღვანელობით თსუ ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე დაინერგა ახალი სასწავლო დისციპლინა - „ბიბლიური არქეოლოგია“, რომელიც დღემდე წარმატებით იკითხება არა მარტო ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, არამედ სხვა უმაღლეს სასწავლებლებშიც. 2012 წელს პირველად საქართველოში გამოიცა “ბიბლიური არქეოლოგიის” სახელმძღვანელო გურამ ლორთქიფანიძისა და მარიკა მშვილდაძის ავტორობით.

სიცოცხლის ბოლომდე ბატონი გურამი ხელმძღვანელობდა მის მიერვე დაარსებულ “ისრაელის შემსწავლელ ცენტრს” თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში. აღნიშნულმა ცენტრმა არაერთი სასიკეთო საქმე გააკეთა და კიდევ უფრო გაამყარა ქართულ-ებრაული მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობები.

ზრუნვა ახლგაზრდა თაობებზე და ძველი თაობების ღვანლის არდავინყება—ეს იყო ბატონი გურამის ცხოვრების მთავარი კრედი და ის საქმით ადასტურებდა საკუთარი ცხოვრების ძირითად მიზანს. მისი რედაქტორობითა და ავტორობით გამოიცა “საყმანვილო კულტუროლოგიის” სამი ტომი, ხოლო მისი პირველივე მონოგრაფია მიეძღვნა პირველი ქართველი არქეოლოგი ქალის ნინო ხოშტარას ნათელ ხსოვნას.

გურამ ლორთქიფანიძის სამეცნიერო მოღვაწეობა ფართოდ იყო ცნობილი საქართველოს ფარგლებს გარეთაც. მას მოხსენებებისა და ლექციების წასაკითხად ინვევდნენ ამერიკის შეერთებულ შტატებში, დიდ ბრიტანეთში, გერმანიაში, ჩეხეთში, პოლონეთში, სლოვაკეთში, უკრაინაში, რუსეთში, ისრაელში, თურქეთში და სხვ.

ბატონი გურამის ცხოვრების გზა იყო რთული და წინააღმდეგობრივი. მამამისი, ამბროსი ლორთქიფანიძე მსახურობდა საქართველოს პირველი რესპუბლიკის სამხედრო მინისტრის გრიგოლ ლორთქიფანიძის თანაშემწედ, რის გამოც საბჭოთა პერიოდში ოჯახს არაერთი მძიმე დღის გადატანა მოუწია. მის ოჯახსაც შეეხო 30-იანი წლების რეპრესიები, მაგრამ ამის მიუხედავად ბატონმა გურამმა ღირსეულად ატარა მძიმე ცხოვრებისეული ტვირთი და ძალიან ბევრი ადამიანის ხსოვნაში სამუდამოდ დარჩა როგორც უკეთესობილესი ადამიანი, მზრუნველი მასწავლებელი და დაუზარელი მრჩეველი.

ისტ. დოქტორი, პროფ. — **ზურაბ ბრავვაძე**



ნენა (ელენა) გიგოლაშვილის გახსენება
(1941-2019)

ნენა (ელენა) გიგოლაშვილი დაიბადა თბილისში 1941 წელს. საშუალო სკოლის შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გააგრძელა სწავლა. არქეოლოგთა წრეში ნენა აღმოსავლეთმცოდნეობის სამყაროდან მოვიდა. ამ დროისთვის მას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც წარჩინებით დაასრულა, უკვე გავლილი ჰქონდა აღმოსავლური ფილოლოგიის ძლიერი სკოლა არაბული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით — ნენა აკადემიკოს გიორგი წერეთლის გამორჩეული მოწაფე იყო, რომელსაც იმ ხანად უკვე ნათარგმნი ჰქონდა ქართულ ენაზე გამოჩენილი არაბი მწერლის და მეცნიერის, ე.წ. სირიულ-ამერიკული ლიტერატურული სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებლის ჯებრან ჯებრანის (1883-1931) მხატვრული ნაწარმოები “მოტეხილი ფრთები”, რომელიც დაიბეჭდა ჟურნალ “არმაღანში” (აღმოსავლური მწერლობის ნიმუშები, 1977 წ.).

არქეოლოგიით გატაცება სერიოზული აღმოჩნდა. 1968 წლიდან ნენა ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის მუდმივი წევრია, აკადემიკოს ოთარ ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით უძღვება ნაქალაქარის ერთ-ერთი უბნის გათხრებს, პარალელურად საყურადღებო გამოსვლები აქვს ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებზე. მისი ინტერესების სფეროში შედის ანტიკური ხანის კოლხური კერამიკა, ანტიკური ხანის საქართველოს ტორევიკული ძეგლები, რომელსაც შემდგომ მიუძღვნა საკანდიდატო დისერტაცია, ასევე ვანის ნაქალაქარზე მოპოვებული სხმული ბრინჯაოს ქანდაკება, რომელთა კვლევის შედეგები მის სტატიებშია ასახული. ნენა გიგოლაშვილმა არქეოლოგიური კვლევის ცენტრის სადისერტაციო საბჭოზე, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმატებით დაიცვა დისერტაცია.

ნენა გიგოლაშვილის მიერ წარმოდგენილი საველე კვლევა-ძიების ანგარიშები და წლიური ნაშრომები მუდამ მაღალ მეცნიერულ დონეზე იყო შესრულებული. მისი სამეცნიერო წინსვლა თავდადებული შრომის შედეგს წარმოადგენდა. ნ. გიგოლაშვილი ფართო დიაპაზონის მეცნიერი იყო, გააჩნდა საოცარი ანალიტიკური კვლევისა და სწორი დასკვნების გამოტანის უნარი. ამიტომაც, მისი სამეცნიერო გამოკვლევები უაღრესად საყურადღებოა. იგი წლების განმავლობაში ერთგულად ემსახურა მშობლიურ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრს, უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობაზე.

ნენა პიროვნული თვისებებითაც გამოირჩეოდა. გარდა იმისა, რომ ის ერთნაირი მაღალი კვალიფიკაციით ფლობდა ორ ერთმანეთისგან განსხვავებულ სპეციალობას — აღმოსავლურ ფილოლოგიას და არქეოლოგიას — იყო ფაქიზი, მგრძობიარე ადამიანი, ქართული და მსოფლიო პოეზიის, და ზოგადად ლიტერატურის კარგი მცოდნე, უაღრესად საინტერესო მოსაუბრე და არაჩვეულებრივი მსმენელი. იგი იყო უღალატო და პრინციპული პიროვნება.

ნენას კოლეგებისა და მეგობრებისათვის დიდი ტკივილი იყო, როცა 2019 წლის 5 იანვარს შეწყდა მისი სიცოცხლე.

კოლეგების სახელით *მარინე ფირცხალავა*

PAPERS IN ENGLISH

COLCHIAN TETRI (COLCHIAN COINS IN ANCIENT GEORGIA)

The problem of *Colchian Tetri* is a moot question of not only Georgian numismatics but also of Georgian historiography in general. In spite of the fact that there has been written a great number of papers it still remains unresolved (through it should be noted that the question of its issuer is about to be solved in the nearest future). The first problem is that the coin itself is unepigraphic. The second is a complete absence of written sources able to provide with any kind of information about the monetary business in Colchis. And the last one: the Kingdom of Colchis and the eastern Black Sea coastal towns (e.g. Phasis) all may easily be considered as the spots that passed the current (I have to note here that the quantity of scholars who considered the coin belonging to the Royal power became less. Such idea was rejected by even those who had been supporting it for decades [Lordkipanidze 1997: 33; Lordkipanidze 1998: 69; Lordkipanidze 1999: 47], but it does not at all mean that the problem has disappeared). The situation just described makes it clear that the problem of *Colchian Tetri* passes outside the scopes of attribution of one monetary group and is closely connected with the consolidation of Colchian statehood and the problems of Greek colonization along the Eastern Black Sea littoral.

There are only several types and denomination of *Colchian Tetri* extant. The so called Tetradrachma is the biggest one. It looks like this:

Obverse – a left profile of a growling lion. Reverse – a protome of a winged horse inserted in a quadratum incusum (Fig. I, 1 III 1).

The coin was published in 1907 and the author connected it with Lesbos island without any argumentation. Now it is at The Hague Museum [Dompierre 1907: 142, pl. 4, no 35]. Identical coin was at the S. Janashia State Museum. It was published by D. Kapanadze as a unique example in 1949 [Kapanadze 1949: 85; Kapanadze 1950b: 195; Kapanadze 1950: 26; Kapanadze 1955: 33], but later he corrected the mistake [Kapanadze 1965, 32; 1969, 29]. An English Kartvelologist D. Lang published one more *Colchian Tetri* belonging to the British Museum in 1957 [Lang 1957: 138].

Neither of these coins have passports. In spite of this D. Kapanadze attributed them to the group of Colchian coins on the base of stylistical analysis [Kapanadze 1949: 85; Kapanadze 1950b: 195; Kapanadze 1950a: 26; Kapanadze 1955:33; Kapanadze 1969: 29]. It is difficult to offer a more plausible argumentation in benefit of Colchian origin of the coin. D. Kapanadze's opinion is generally accepted and nobody considers it to be controversial [see e.g. Lang 1957: 138]. As to me I think that the problem of so called Tetradrachma still remains obscure. I do not deny its typological, stylistic and textural similarities with Colchian numismatic pieces especially to those didrachmae with lying lions depicted on them. These similarities are absolutely evident when I compare them to one another but still I should note that the depiction of the "Tetradrachma" reverse (a protome of a winged horse) is beyond any analogies. I want to stress that in spite of certain doubts it is impossible to remove these coins from the series of *Colchian Tetri* because they share quite enough features with the latter. Even more it is impossible to attribute them to the numismatic heritage of any other country or town.

D. Kapanadze had compared the weight of this coin to other denomination of *Colchian Tetri* and called it a Tetradrachma [see e.g. Kapanadze 1955: 33.] But the point is that the author published the exact weight (about 13 gr) in his last paper only [Kapanadze 1969: 29.] D. Kapanadze wrote in all his previous articles and the monograph that the coin weighted 13.80 gr. [Kapanadze 1955:33]. Such circumstances had provoked D. Lang's and E. Pochitonov's reaction – they agreed with D. Kapanadze in spite of the fact that their examples were lighter (the British Museum's coin weights 12.72 gr and The Hague Museum's – 10.40 gr). [Lang 1957: 138 – 139; Pochitonov 1959: 68].

Medium weight of Colchian didrachmae varies from 8.99 to 9.90 gr. [Kapanadze 1950b: 195]. Tetradrachma is twice heavier than didrachma. An absolute exactness is of course excluded but in the case like this even an approximate correlation is destroyed, even more, some didrachmae are heavier than so called Tetradrachma: e.g. the didrachmae with depictions of lying lions weight 11.34 or 11.355 gr. [Makalatia 1933: 425 – 426]. The Hague Museum's "Tetradrachma" is 10.20 gr! There are didrachmae with humans' heads on them at the Georgian National Museum department of numismatics which weight 10.35 gr (no 4809 Museum's Treasury i.e. MT), 10.36 gr (no 1630 in the fund of Georgian coins i.e. GF) and 10.41 gr (no 4849 GF). A. Zograf had attributed a unique coin (preserved at the Kutaisi Museum) to Colchian numismatic heritage [Zograf 1945: 36, Pl. 1 no 4] and D. Kapanadze determined it as a drachma (weight 5.52 gr.) [Kapanadze 1955: 33]. Theoretically a Tetradrachma is four times more than a drachma but practically does it not be at least three times more?

It is obvious that this problem needs clarification. Either we have got an example minted according to some other monetary system, or the coin of our interest is more likely a didrachma than a Tetradrachma. T. Dundua has tried to reconsider a nominal system of Colchian coins [Dundua 2002: 5 – 8], but the problem needs much more exactness.

D. Kapanadze dated them to the 6th century BC [Kapanadze 1955: 33], D. Lang – to about 400 BC [Lang 1957: 138], and T. Dundua to the late 6th century BC. [Dundua 1997: 231]. All these three dates are based on factual, stylistic and typological analyses. Unfortunately, there are not any other criteria. The coins are definitely archaic but lack of some more additional material makes it rather difficult to say an exact date – the 6th or the 5th centuries BC. As to me I prefer to compare them to other numismatic examples and I think that the most acceptable chronological scope for them is the second half of the 6th and the beginning of the 5th centuries BC.

Then follow series of didrachmae among which the earliest seems to be the one with a lying lion on it. There are only nine of such coins in the world. Three of them are at the Georgian National Museum, two at the Hermitage (St. Petersburg) and the rest at the Kutaisi, Berlin, Boston and British Museums [Dundua 1972: 58 – 59 and a list of literature; Dundua 1987: 54]. This time I have not got an opportunity to offer their descriptions (though it is utterly necessary) because they are minted in different dice and in some cases they sharply differ from one another [description see Dundua 1972:59 – 61], though the basic scheme is one and the same [Dundua 1987: 13]. This is why I offer a description of only one coin (Fig. I, 2; III 2).

Obverse – a rightward depiction of a lying hermaphrodite (with a mane and mammary glands) lion with its head turned to the left.

Reverse – a rightward depiction of an ox-headed, knelt female (breasts, a sacrum, a thigh and a slim figure are perfectly seen) incut within a rectangle. Her right arm is let down along the thigh. The figure is graceful. Some wrinkles are seen at her throat (necklace? mask?) [Kapanadze 1955: 32, no 1; Dundua 1971: 59. no 1; Dundua 1982: 54, pl. 1; Lordkipanidze 1988: 66, fig. 1; Lordkipanidze 2000: 87, pl. 8 and photos of all coins pl. 7].

Later the depictions became rough and there appeared their altered variations.

Many scholars have tried to explain a semantic meaning of the fantastic creature featured on the reverse of the 1st type Colchian didrachma [see e.g. Lordkipanidze 1998: 67]. The most interesting hypothesis belongs to O. Lordkipanidze. He believes that it is an iconography of the river – god Phasis [Lordkipanidze 1998: 66 – 72; Lordkipanidze 2000: 81 – 90]. He tries to prove that the reverse of the 1st type Colchian didrachma represents “a naked figure of a youth with his muscular system characteristic to the Archaic period Greek art. It is a well-known fact that a naked female was never depicted in the Archaic and Classical period Greek art (until Praxiteles)” [Lordkipanidze 1998: 67 – 68].

What can I say in a case like this? Firstly – a general conception referring to the pieces of art are almost useless in connection with numismatics especially if the coins are minted in the periphery. Secondly – nobody is able to prove that it is a male in spite of his “muscular system (O. Lordkipanidze has himself published one of Colchian didrachma) [Lordkipanidze 1998: 66, fig. 1; Lordkipanidze 2000: pl. 8 no 1]. The description of the river – god offered in written records is one more obstacle – it does not coincide with the reverse iconography of the 1st type Colchian didrachma. A 3rd century Greek writer Phylostrates IV junior wrote: “You see the river (god) itself lying in its bed of reeds and it is awful to see. his hair is thick and disheveled, his chin is disgusting and eyes are shining. (Water) current comes out not from the bowl as usually (is depicted) but from completely (the God) which allows us to imagine the power how it flows into the Pont” [Urushadze 1964: 450 – 451; Lordkipanidze 1998: 71]. Once again I repeat that O. Lordkipanidze’s suggestion about the iconography of the 1st type Colchian didrachma is interesting but unfortunately it still remains as a hypothesis and nothing more.

As to the lying lion on the obverse of the coin and repeatedly noted in the scholarly literature [see e.g. Kuftin 1950: 59 – 60], each of its details is exactly similar of the one chased on Milesian coins of Croesus’ (560-546 BC) period (fig. II. 4, 5; IV.4, 5) [Richter 1955: no 312], i.e. Croesus’ period is terminus ante quem non for the time of emission of the 1st type Colchian didrachma. An image of a lion is connected with the cult of Apollo in both of the countries – Miletus and Colchis [for more details see Dundua 1972: 67-71].

What are the reasons for connecting the 1st type didrachma and the Colchian world?

First of all, it is the fact that five coins out of the above mentioned nine didrachmae were found in west Georgia and three out of the five were included in the hoards of Colchian coins uncovered at *Poti* town [Pakhomov 1926: 37, no 9; Pakhomov 1910a: 71] and *Akhalsopeli* [Makalatia 1947: 425-428] (Speaking about *Poti*’s hoard O. Lordkipanidze wrote: “It is more than doubtful to find a 6th – 5th century BC hoard at the present day *Poti* because the town was more probably covered with water at that time though it is not excluded that the hoard was somewhere near the town” [Lordkipanidze 1998: 66, ref. 1]. The same had been said by

other authors: "... the hoard has been found at the adjacent territory of *Poti* town or "near *Poti* town" [Pakhomov 1926: 37, no 9; Pakhomov 1910a: 7]. Besides all the numismatists have agreed that the head of the knelt man featured on the reverse of the 1st type Colchian didrachma obviously resembles the ox-heads depicted on Colchian half drachmae [Prokesch – Osten 1870: 260; Greenwelle 1893:88; Pakhomov 1910a: 7]. E. A. Pakhomov wrote "... the figure with a head of an ox is exactly the same as those on smaller Colchian coins" [Pakhomov 1910a: 7]. Even more, there is a complete agreement among scholars about a Colchian origin of this group of coins from geographical point of view.

B. Zograf thought that the 1st type Colchian didrachmae were dating from 500 BC [Zograf 1911: 495]. A. Zograf dated them to the end of the 6th century BC or to the beginning of the 5th century BC on basis of Milesian analogues [Zograf 1945: 37]. B. Kuftin considered that they belonged to the period close to the 6th century BC [Kuftin 1950: 60]. According to S. Makalatia and D. Kapanadze the coins were minted in the 6th century BC [Makalatia 1947: 428; Kapanadze 1955:32]. D. Lang considered that emission of didrachmae took place either in 500 BC, or even later [Lang 1957: 137]. As to M. Inadze, she considers that they should be dated to the first half of the 6th century BC [Inadze 1968: 168], and the last T. Dundua thinks that they are dating from the second half of the 6th century BC and the 5th century BC [Dundua 1997: 231].

In 1972 I wrote about the 1st type Colchian didrachmae: "Unfortunately there is no criterion for dating the 1st type didrachma but on the basis of analogues, stylistic and textural analyses it is possible to date them from the last quarter of the 6th century BC [Dundua 1972: 64]. In connection with this very date O. Lordkipanidze ironically noted: "Something like" stylistic peculiarities" or a "texture" are used as a basis of such date" [Lordkipanidze 1998: 72] and added that the emission of the coins took place in the earlier half of the 5th century BC. It is quite possible but the dating (not so fresh by the way) offered by him is generalized. Here it is: "If we take into consideration the fact that the images of anthropomorphized oxen were being developed **under the influence of a theatre** (the stress is mine G. D.) it will be possible to suppose that the didrachmae with knelt, ox-headed, naked men, i.e. the images of the River – God Phasis, were being minted in the earlier half of the 5th century BC" [Lordkipanidze 1998: 72].

I do not think that the argument just offered is more trustworthy than the style or the texture of the coin in question because first of all one should undoubtedly prove that there is really represented a male, i.e. the River – god Phasis, on the 1st type Colchian didrachma and then speak about the "influence of a theatre". There is one more fact that I have to stress once again – the scientific society has not yet got a firm evidence for dating these coins. Colchian didrachmae have never been found among well dated burials or hoards of foreign coins. But it does not mean that there is no possibility of approximate dating of their emission. As I have already noted all the scholars have unanimously agreed that the motif of a lying lion on the obverse of the 1st type Colchian didrachma is borrowed from the Croesus' period (560 – 546 BC) Milesian coins, which to a certain degree is the date pointing to the last quarter or even to the end of the 6th century BC. This notion can be more strengthened by the comparison with the examples of the Archaic period (style, texture, technique of minting). Surely, in case of good argumentation, the dating of these coins from the beginning of the 5th century BC is not excluded.

Now let me offer a description of the 2nd type Colchian didrachma (Fig. I, 3, III 3;). It looks like this:

Obverse – a human's rightward profile inserted in a linear circle;

Reverse – a pair of almost similar humans' heads face to face with each other inserted in a quadratum incusum [Kapanadze 1955: 32, no. 2, pl. 1, no. 2; Kapanadze 1965: 28, no. 2, pl. 1, no. 2; Dundua 1982b: 54, pl. 3; Lordkipanidze 1999: 45, fig. 1; Lordkipanidze 2000: 79, fig. 12 – 13].

There are 22 such coins in the world. Seven among them are at the Georgian National Museum, two – at the Kutaisi Museum, one – at the Hermitage, one – in Dr. Robinson's (USA) private collection, one – at the Moscow Historical Museum, one – at the British Museum, one – in Jameson's collection, one – at the Oxford Ashmolean Museum and the rest (seven coins) are mentioned in the scholarly literature. Three coins from the 22 were found in *Akhalsopeli* and about six (?) of them in *Poti* hoards [Dundua 1987:166, ref. 5; Dundua 1972: 64. ref. 5; Lordkipanidze 1999: 45, ref. 1].

Nobody has ever expressed any doubt about a Colchian origin of these coins. Typologically they are very close to the 2nd type Colchian half drachmae, thousands of which have been found in West Georgia. Humans' profiles portrayed on them are almost identical (I mean a general scheme and the idea) and as I have already noted, the 2nd type didrachmae were found in *Akhalsopeli* and *Poti* hoards together with other Colchian coins.

A. Zograf did not consider it possible that their emission took place earlier than the 5th century BC [Zograf 1945: 37] and D. Kapanadze agreed with him [Kapanadze 1969: 28], S. Makalatia dated them from the 5th – 4th centuries BC [Makalatia 1933: 196], D. Lang from 400 BC [Lang 1955: 7] and T. Dundua from the 5th century

BC [Dundua 1997: 231].

Like the first type didrachmae they too have unfortunately never been found in well dated numismatic or archaeological contexts. This is why it is difficult to assess their exact date. Again and again I have to rely upon the comparison with the Archaic period numismatic pieces of other countries and towns, their style and texture. To my mind these characteristic features make it possible to admit that their emission took place in the first half of the 5th century BC.

S. Makalatia connected an obverse of the 2nd type Colchian didrachma with Artemis – *Dali* [Makalatia 1933: 199]. According to E. Pakhomov the obverse of the coin represents an “independent local Goddess” [Pakhomov 1910b: 8]. Other scholars have identified the depiction with Hera [Skudnova 1952: 239], the rest with Rhea – Cybele [Amiranashvili 1950: 80] or a three-headed Hecate (i.e. three equal images featured on the coin indicate three phases of the moon) [Kapanadze, Shengelia 1968: 161; Dundua 2002: 3]. A. Boltunova believed that Hecate implied a local Phasian Goddess [Boltunova 1973: 104, ref. 89]. J. Hind has offered a very reasonable point of view – he believes that the obverse represents Phrixus and the reverse – his sons [Hind 1996: 207 – 208].

